

სერგო ვარდოსანიძე

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო
ეკლესია XIX–XX საუკუნეებში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–
პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II

წიგნი ეძღვნება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის ილია II-ის აღსაყდრების 30-ე წლისთავს და მოგვითხრობს XIX–XX საუკუნეების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას, უწმიდესისა და უნეტარესის – ილია II –ის ცხოვრების დიდ გზას 1933 წლიდან 2007 წლამდე.

რედაქტორი: დეკანოზი გიორგი ზვიადაძე

რეცენზენტები: აკადემიკოსი როინ მეტრეველი

პროფესორი ზაზა მარუაშვილი

სარჩევი

თავი I. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XIX საუკუნეში

- ა) ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსობის ხანა
- ბ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა
- გ) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1977 წლებში

თავი II. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ცხოვრების გზის დასაწყისი

თავი III. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება

თავი IV. პირველი სიძნედეები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება

თავი V. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და არამართლმადიდებლურ კონფესიებთან. ავტოკეფალიური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება

თავი VI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება, კავშირი საზღვარგარეთის სამონასტრო ცენტრებთან, წმიდა სინოდის განჩინებანი, ახალი წმინდანები

თავი VII. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია – ქართველთა ერთიანობის სიმბოლო

თავი VIII. განათლება, მეცნიერება, საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები

თავი IX. უკვდავებაში გარდასულ სახეთა არდავიწყება

თავი X. ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზე

თავი XI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო სამსახურები

თავი XII. პატრიარქი

- ა) ურთიერთობა პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან
- ბ) პატრიარქის აღსაყდრების დღესასწაულები
- გ) პატრიარქის შემოქმედება
- დ) წარსული, აწმყო და მომავალი. სამების საკათედრო ტაძარი

1977 წლის 15 ნოემბერს თბილისში დილიდან თოვდა... შუადღისას მზემ გამოანათა, მაგრამ ზამთრის სიცივე მაინც იგრძნობოდა. სიონის საპატრიარქო ტაძარში ხალხმრავლობა იყო. საქართველო ემშვიდობებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს დავით V-ს. ტაძარში ქართველ სამღვდელთაგან ერთად იმყოფებოდნენ სტუმრები: ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I, სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი ალექსი, ბულგარეთის, რუმინეთის, ელადის ეკლესიების წარმომადგენლები. ყველანი შესქცეოდნენ ახალგაზრდა მიტროპოლიტს, რომელიც წესს უგებდა განსვენებულ პატრიარქს. უჩვეულო სიამაყის გრძნობა დამეუფლა, მხოლოდ მის მშვიდ, მეტყველ სახეს ვხედავდი... ამ დღის შემდეგ თითქმის ყოველდღე დავდიოდი სიონის საპატრიარქო ტაძარში, მინდოდა კვლავ მეხილა იგი, მაგრამ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე ილია არსად ჩანდა. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა, თუ რა რთული დღეები ედგა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტ ილიას. თბილისში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მომავალი პატრიარქის ვინაობის თაობაზე. უსაზღვრო იყო ჩემი სიხარული, როდესაც მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის შესახებ შევიტყვე.

25 დეკემბერს მშრალი, სუსხიანი დღე გათენდა. ახალგაზრდების ჯგუფი მცხეთისაკენ გავემართეთ. ყველას გვინდოდა ახალი პატრიარქის აღსაყდრების თვითმხილველები ვყოფილიყავით. სვეტიცხოვლის შესასვლელთან გზა გადაგვიღობეს და ტაძარში შესასვლელი საშვები მოგვთხოვეს. ახალგაზრდები დავიფანტეთ. ერთმა უცნობმა ქალბატონმა საშვი მომცა, მადლობის თქმაც ვერ მოვასწარი...

ტაძარში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. გარეთ დარჩენილებმაც გაარღვიეს მილიციელთა კორდონი და ტაძარში შემოვიდნენ. ახალარჩეულ პატრიარქს საპატრიარქო გვირგვინი დაადგეს მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ და ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა. უჩვეულო და ამადლებული განწყობა სუფევდა სვეტიცხოველში, ბევრი ადამიანი სიხარულით ტიროდა... ყველას უნდოდა ეს დღე უსასრულოდ გაგრძელებულიყო. პატრიარქის აღსაყდრებაზე

მოსული ხალხი სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლად იქცა. უწმიდესმა და უნეტარესმა გვასწავლა პირველი ღოცვები, თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ეკლესიაში წირვის დროს. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის წირვა-ღოცვანი, ქადაგებანი ჩვენი სულიერი სიმშვიდის, უზგეულო ენერჯისა და ურთიერთსიყვარულის საფუძველი გახდა. კომუნისტური მმართველობის სულის შემსუთველი იდეოლოგიის ხანაში რწმენის, სიყვარულის მაძიებელმა ადამიანებმა ახალგაზრდა პატრიარქში დაინახეს ქრისტიანული რწმენა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდი წარსული და იმედიაანი მომავალი. უწმიდესთან ერთმა შეხვედრამაც კი ბევრი ადამიანი მოაბრუნა ეკლესიისაკენ. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი, დიდი ეპოქა შექმნა.

XX საუკუნის საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში გამორჩეული სიდიადით ბრწყინავს სამი დიდი პატრიარქი: უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. პირველი ორის სიცოცხლე იყო ტანჯვა-წამების, მაგრამ სულიერი სიმტკიცის გამოსატულება, მათ თავიანთი მოწამეობრივი სიკვდილით დაამარცხეს ბოროტება და შეუერთდნენ წმინდანთა დასს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 30 წლის განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელია... იგი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. „დიდნი საქმენი“, რომელნიც მან აღასრულა, მთელ ეპოქას ქმნის. დიდი ადამიანის ბოლომდე შეცნობა თანამედროვეებს ყოველთვის უჭირთ, მომავალი თაობები კი სრულად შეაფასებენ მის ღვაწლს: პატრიარქის ღვაწლის სრულად წარმოჩენა მომავლის საქმეა.

ეს წიგნი დიდი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით იწერებოდა. ავტორი ერთმანეთთან აჯერებდა საარქივო მასალებსა და საკუთარ მესსიერებაში დაუნჯებულ ამბებს... გვინდოდა ცოცხლად, საინტერესოდ გადმოგვეცა ისტორია. თუ როგორ მოვახერხეთ ეს, დაე, მკითხველმა განსაჯოს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

2007წ. 12 სექტემბერი.

**თავი I. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია
XIX-XX საუკუნეებში**

ა) ავტოკეფალიის გაუქმება, ეგზარქოსობის ხანა

1795 წლის 10 სექტემბერი. თბილისის შემოსასვლელთან ირანელთა 35-ათასიან ჯარს 5 ათასი ქართველი მეომარი უპირისპირდება. გადაუღებლად წვიმს. ნისლი ჩამოწოლილა ქალაქში. 75 წლის „პატარა კახმა“ მოიგერია ირანელთა იერიშები. აღა-მაჰმად ხანი თბილისიდან წასასვლელად ემზადება. ამ დროს მასთან მიჰყავთ მოღალატე უცხო ტომელები, რომელებიც დაუჯერებელ ამბავს ატყობინებენ დამპყრობელს – ერეკლე მეფეს ლაშქარი არა ჰყავს!

გათენდა 11 სექტემბერი. წვიმამ გადაიღო. მტკვარზე გაწოლილი ნისლი გაიფანტა და აღა-მაჰმად ხანმა დაინახა მცირერიცხოვან ქართველთა საბრძოლო პოზიციები.

ძალა მიეცათ სპარსელებს. დაიწყო ახალი იერიშები. მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ გამარჯვების სასწორი მის მხარეზე გადახარა: ბრძოლაში დაეცა სამასი არაგველი, მტერს შეაკედნენ მაჩაბლის რაზმის წევრები, ორმოცდაათამდე გადარჩენილმა მეომარმა ერეკლე მეფე ბრძოლის ველს განარიდა და მუხრანის ხილით ქალაქიდან ანანურისაკენ წაიყვანა...

ორი კვირის განმავლობაში არბევდა აღა-მაჰმად ხანის ლაშქარი თბილისს, აწიოკებდა მოსახლეობას. ქალაქში ეპიდემიამ იფეთქა. ვინც სპარსელებს გადაურჩა, ეპიდემიის მსხვერპლი გახდა.

1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II. ორმოცი ათასმა რჩეულმა ვაჟკაცმა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრამდე მიაცილა სამშობლოს უბედობით დაღდასმული მეფის ცხედარი...

ერთმორწმუნე რუსეთმა, რომელიც 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთს უნდა დახმარებოდა, ბედის ანაბარა მიატოვა იგი. 1800 წლის დეკემბერში, როდესაც გარდაიცვალა გიორგი XII, რუსეთის ხელისუფლებამ პავლე I-ის მანიფესტით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი რუსეთის თვალუწვდენელი იმპერიის ნაწილად გამოაცხადა; 1802 წლის 12 აპრილს კი ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას, სასულიერო მაღალიერარქებს თავი მოუყარეს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში და წაუკითხეს რუსეთის იმპერატორის – ალექსანდრე I-ის მანიფესტი

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შესახებ. ალექსანდრე I დიდსულოვნად აცხადებდა: „ძალმან გარემოებათა ამით, ზოგად ამის ძალით გრძნობამან თქვენმან, და ხმამან საქართველოსა ერისაგან, მოგვიხილეს ჩვენ, არა დაუტეოთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა ხვედრისა თვისისა დიდ სულისა რუსეთსა, საფარველისადმი... არა განვრცელებისათვის საზღვრის, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა, მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებლობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა“.[1, 237] ამ მაღალფარდოვანი სიტყვების მიღმა ქართველობამ თავისი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მოსპობა დაინახა, ერთმორწმუნეობაზე დამყარებულმა იმედებმა მსხვერველი დაიწყო. ხალხს არ უნდოდა დაფიცება, მაგრამ სიონის ტაძრის გარშემო შეიარაღებული რუსი მხედრობა ჩამწკრივდა. როგორც ბაგრატ ბატონიშვილი იგონებდა, შეკრებილთ ასეთი ულტიმატუმი წაუყენეს: „უკეთუ არა ჰყოფთ ფიცსა ერთგულებასა ზედა რუსეთისასა, ამოგწყვეტთ“[2, 63] რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I ქართველებს მიმართავდა – განღვიძებული იმედი თქვენი არა იქნების მოტყუებულიო, მაგრამ ყველაფრიდან ჩანდა, რომ ქართველობა მოტყუებული დარჩა.

ქართული სამეფოს გაუქმების შემდეგ დამყარდა რუსული მმართველობა რუსული კანონებითა და ადათ-წესებით. იმპერატორის ბრძანებით, ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წარმომადგენლები რუსეთში გადაასახლეს. ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართული ცნობიერება – ეს ის პრობლემები იყო, რომლებიც რუსეთის მმართველობას საქართველოს მოსახლეობის ასიმილაციაში ხელს შეუშლიდა, ამიტომ აუცილებელი იყო, ეწარმოებინათ გააზრებული, კარგად მოფიქრებული პოლიტიკა, რათა დაჩქარებული ტემპით მომხდარიყო ქართველობის გარუსება.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს ყურადღება მიპყრობილი იყო დასავლეთ საქართველოსაკენ. 1804–1815 წლებში რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა იმერეთის სამეფოს დაპყრობა, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროების რუსეთის მფარველობაში შეყვანა. ამის შემდეგ კოლონიური პოლიტიკის განხორციელება უფრო თამამად იყო შესაძლებელი.

რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი იყო არსებობა უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიისა, რომელსაც

სათავეში ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II ეღვა. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ერთიანობის სიმბოლო იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში. იმპერატორ ალექსანდრე I-ის საიდუმლო ინსტრუქცია საქართველოში დანიშნულ რუს მთავარმართებლებს ავალებდა, დაწვრილებით შეესწავლათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ფინანსური შემოსავლები, ეპარქიებში არსებული მდგომარეობა, ხალხის დამოკიდებულება კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ, შესაძლებლობის ფარგლებში მოეხდინათ შიდასაეკლესიო დაპირისპირების პროვოცირება, რომელიც საერო ხელისუფლებას საშუალებას მისცემდა, ჩარეულიყო საეკლესიო საქმეებში და დაეჩქარებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. ამ თვალსაზრისით სერიოზული სამუშაოები ჩაატარეს მთავარმართებლებმა: პ. ციციანოვმა (1802–1806 წწ.), ი. გუდოვიჩმა (1806–1809 წწ.), ა. ტორმასოვმა (1809–1811 წწ.), რომელთაც საქართველოს ეკლესიის ყოველწლიური ფინანსური შემოსავლებიც მიითვისეს და შიდასაეკლესიო დაპირისპირების პროვოცირებაც მოახდინეს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ანტონ II-ს დაუპირისპირეს პატივმოყვარე თბილელი მიტროპოლიტი არსენი (ბაგრატიონი). მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა რუსეთის იმპერატორისადმი გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებაში ჩამოაყალიბა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის რეორგანიზაციის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ეპარქიათა შემცირებას, იმპერატორის თანხმობის გარეშე სასულიერო პირთა კურთხევის აკრძალვას, სასულიერო მმართველობის დიკასტერიის დაარსებას.

1809 წლის შემოდგომაზე რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებით პეტერბურგში უნდა ჩატარებულიყო რუსეთის წმიდა სინოდის სხდომები, რომლებზეც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის რეორგანიზაციის საკითხები უნდა განხილულიყო. სხდომებს უნდა დასწრებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II. „ანტონ II-ის პეტერბურგში მიწვევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის „საპატიო“ გადასახლებას ნიშნავდა, საიდანაც მას დაბრუნება არ ეწერა“ [3, 44] ბევრს ეცადა უწმიდესი და უნეტარესი ანტონ II, არ წასულიყო რუსეთის საიმპერატორო კარზე და გადაერჩინა საქართველოს

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობა, მაგრამ უშედეგოდ. მას მკაცრად მოსთხოვეს პეტერბურგში ჩასვლა. მთავარმართებელმა ა. ტორმასოვმა, მთავარეპისკოპოს ვარლამ ერისთავის მოხსენების საფუძველზე, 1811 წლის 21 ივნისს ალექსანდრე I-ს ხელმოსაწერად წარუდგინა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც უქმდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტული, საქართველოს ეკლესიის მეთაურს ეწოდა „საქართველოს ეგზარქოსი“ და იგი რუსეთის წმიდა სინოდის მუდმივ წევრად დაინიშნა. ეს გადაწყვეტილება იყო წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური სამართლის უხეში დარღვევა.

1810 წლის 3 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ანტონ II-მ უკანასკნელი წირვა ჩაატარა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, გამოეთხოვა მრევლს და გაემგზავრა რუსეთში. საქართველოს ეკლესიის მეთაურად დაინიშნა მიტროპოლიტი ვარლამ ერისთავი (საქართველოს ეგზარქოსის ტიტულით). ეგზარქოსი ვარლამ ერისთავიც 1815 წელს რუსეთში გაიწვიეს. 1815 წლიდან 1917 წლამდე საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ამჯერად საქართველოს საეგზარქოსოს, განაგებდნენ რუსი ეგზარქოსები. პირველი რუსი ეგზარქოსი იყო თეოფილაქტე რუსანოვი, რომელიც აქტიურად შეუდგა საეკლესიო სფეროში გარუსების პოლიტიკას. მისი ბრძანებით სიონის საპატრიარქო ტაძარში შემოიღეს სლავური წირვა-ლოცვა. (უკანასკნელი ეგზარქოსი კი იყო პლატონ როჟდესტვენსკი). რუსი ეგზარქოსები გამოხატავდნენ ოფიციალური ხელისუფლების პოზიციას: აქტიურად იბრძოდნენ ყოველივე ქართულის წინააღმდეგ. ცნობილი რუსი მეცნიერის ნ. დურნოვის თქმით: „ვინმეს ქართველთაგანს რომ გადაეწყვიტა, დაეწერა ნამდვილი ისტორია რუსი ეგზარქოსების ქმედებაზე, გაწითლება მოგვიხდებოდა, მოვისმენდით რა მათ საქმეებს, იმდენად არცხვენდნენ ისინი რუს მღვდელმთავრობას. რუსი ეგზარქოსები ჩამოდიოდნენ საქართველოში არა მათზე მინდობილი ეკლესიების სამწყემსავად, არამედ ძველი ივერიის საეკლესიო ქონების საძარცვაგად და გასაპარტახებლად, ქართული ენის შესარყვნელად... მათ საშინელი ბოროტებისა და ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ ქართული ეკლესიისთვის. მათთვის ეს მხოლოდ ბარბაროსთა ქვეყანა იყო. მდინარე მტკვარში გადაყარეს ყველა კანონი და საეკლესიო დადგენილება, რომელნიც საქართველოს ეკლესიას ეხებოდა,

ცეცხლს მისცეს მრავალი საეკლესიო დოკუმენტი, მათი ნაწილი პეტერბურგში წაიღეს, დახურეს 25 ეპარქია, 860 ეკლესია–მონასტერი“[4, 5-6].

1817 წელს, ადგილობრივი ქართველი სასულიერო პირების ჩასანაცვლებლად და ეკლესია–მონასტრებში რუსული ენის გასაბატონებლად, თბილისში დაარსდა რუსულენოვანი სასულიერო სემინარია. ეგზარქოსმა თეოფილაქტე რუსანოვმა დაიწყო ქართველ სასულიერო პირთა დევნა–შევიწროება. მან მიზნად დაისახა საეკლესიო რეფორმების გატარება დასავლეთ საქართველოშიც.

XV საუკუნის 70–იანი წლებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე დასავლეთ საქართველოში არსებობდა ლიხთ–იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსო, რომლის სათავეში იდგა ლიხთ–იმერეთისა და აფხაზთა კათოლიკოს–პატრიარქი. საპატრიარქო რეზიდენცია XVI საუკუნემდე ბიჭვინთაში იყო, ხოლო XVI–XVIII საუკუნეებში – გელათში. „1795 წელს იმერთა მეფე სოლომონ II-ის დავალებით რუსეთში დიპლომატიური მისიით მყოფი კათოლიკოს–პატრიარქი უნეტარესი მაქსიმე (აბაშიძე) კიევში გარდაიცვალა. ლიხთ–იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსოს განაგებდა მოსაყდრე, ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი (წერეთელი). საკათოლიკოსოში მოქმედი 9 ეპარქიიდან ყველაზე გავლენიანი გაენათის ეპარქია და გაენათელი მიტროპოლიტი ექვთიმე (შერვაშიძე) იყო. თეოფილაქტე რუსანოვის პროექტის თანახმად, უნდა გაუქმებულიყო საკათოლიკოსო, ეპარქიების რაოდენობა შემცირებულიყო 3–მდე, საეკლესიო მმართველობა და ქონება უნდა დაქვემდებარებოდა სინოდალურ კანტორას თბილისში“[5, 87].

დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა აღდგა ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის განზრახვის წინააღმდეგ. ეგზარქოსის მიერ საეკლესიო მამულების აღსაწერად წარგზავნილები იმერეთიდან გააძევეს, თვით თეოფილაქტე რუსანოვი ქუთაისიდან სასწრაფოდ დაბრუნდა თბილისში. ხელისუფლება იძულებული გახდა, ოფიციალურად შეეწყვიტა იმერეთში საეკლესიო რეფორმა, მაგრამ ამავე დროს ხელსაყრელ მომენტს ეძებდა საეკლესიო ამბოხების მეთაურთა დასაპატიმრებლად. 1820 წლის 3 მარტს იმერეთის ახლადდანიშნულმა მმართველმა, პოლკოვნიკმა პუზირვესკიმ, გასცა განკარგულება ქუთათელ მიტროპოლიტ დოსითეოზისა და გაენათელ მიტროპოლიტ ექვთიმეს დაპატიმრების შესახებ. „ორივეს ჩამოაცვეს თავიდან წელამდის ტომრები, შეუკრეს ხელები, ხოლო ქუთათელს სცემეს ფრიად და ესრეთ წაიყვანეს... სურამთან ტომარაში დაიხრჩო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი, მკვდარი

წაიღეს და დამარხეს ანანურს. ხოლო გაენათელი ექვთიმე პეტერბურგს წარუდგინეს იმპერატორ ალექსანდრე I-ს: “[5, 88] იმპერატორთან აუდიენციამდე მიტროპოლიტ ექვთიმეს მოახსენეს, რომ, თუ იგი პატიებას ითხოვდა, იმპერატორი შეიწყალებდა მას. სულით გაუტყეხელმა მღვდელმთავარმა ამაყად განაცხადა, რომ მას საპატიებელი არაფერი ჰქონდა, და იმპერატორს „ახალი დროის ნერონი“ უწოდა. განრისხებულმა ალექსანდრე I-მა იგი დააპატიმრა და გაგზავნა პეტერბურგიდან შორს, სვირის მონასტერში, სადაც 1822 წლის 21 აპრილს აღესრულა კიდევ. ღიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათოლიკოსოც რუსეთის სინოდს დაექვემდებარა. სამწუხაროდ, რუსი ეგზარქოსების უმრავლესობამ თავიანთი თავაშვებული, ანტიმართლმადიდებლური საქმიანობის გამო არა მარტო ქართველების, არამედ თვით რუსი პატიოსანი ადამიანების რისხვა და სიძულვილი დაიმსახურა. ნიკოლოზ დურნოვის მხილებით, „ეგზარქოსი ევგენი ბაჟენოვი იყო ქართულ მონასტერთა და უდაბნოთა გამპარტახებელი, ისიღორემ საეკლესიო მამულების ჩამორთმევით გააღარბა ეკლესიები და გააკოტრა სავანეები, ევსევი ილინსკიმ გაყიდა კათოლიკოსთა ძვირფასი შესამოსლები, ხატებს და სამღვდელმთავრო მიტრებს მოაძრო ძვირფასეულობა, ხელი შეუწყო გელათის მდიდარი განძსაცავის გაძარცვას.“ [4, 8]

რუსი ეგზარქოსების უმრავლესობა პეტერბურგში იმპერატორის სახელზე გაგზავნილ წერილებში საქართველოში არსებულ ვითარებას მუქ ფერებში ხატავდა, შეურაცხყოფდა ქართველ ხალხს, მის ტრადიციებს, ისტორიას. ეგზარქოსი იოანიკე რუდნევი ქართველებს გონებაჩლუნგებს უწოდებდა, ხოლო ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, რომელმაც „სახელი გაითქვა“ ხახულის წმიდა ხატზე ძვირფასი თვლების მოპარვით და რომელიც ცნობილი იყო ქართველებისადმი განსაკუთრებული სიძულვილით, 1886 წლის 27 მაისს სასულიერო სემინარიის მოკლული რექტორის – დეკანოზ ჩუდეცკის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვაში საჯაროდ დაწყევლა ქართველი ერი. ეგზარქოსმა პალადი რაევსკიმ 1888 წელს დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიას ყაზანის ღვთისმშობლის ეკლესია დაარქვა. იგი პატივს არ სცემდა ქართველ წმინდანებს. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ეგზარქოს იოანიკე რუდნევიცე წერდა: „სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ, როდესაც 1882 წელს საქართველოდან გადაიყვანეს, ჯვრის უღელტეხილზე შეჩერდა, მობრუნდა საქართველოსაკენ, პირჯვარი გადაიწერა და თქვა: გამაღლობ, შენ, ყოვლადწმიდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცი, ამ

ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდით“[6,9] ეგზარქოსმა ვლადიმერ ბოგოიაველინსკიმ (1892–1898წწ.) 87 ქართველი სტუდენტი გააძევა სემინარიიდან. მას აღიზიანებდა ტერმინი „საქართველო“ და დაუფარავად მოითხოვდა მის ნაცვლად „ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის გუბერნიები“ ეთქვათ. „1894 წელს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, წირვის შემდეგ, მღვდელმსახურნი პარაკლისის გადასახდელად გამოვიდნენ. საწიგნეზე ორი ხატი იღო – „სვეტიცხოველი“ და „ღვთისმშობლის საფარველი“. ეგზარქოსმა კანდელაკს უბრძანა „სვეტიცხოვლის“ ხატი წაეღო, „ღვთისმშობლის საფარველი“ კი დაეტოვებინა. ხატი წაიღეს, მლოცველთ გული დაუძიმდათ“[7, 44]

ქართველებისადმი სიძულვილით გამოირჩეოდნენ ეგზარქოსები: ალექსი (ოპოცკი), ნიკონი (სოფიისკი), ინოკენტი (ბელიაევი), ალექსი (მოლჩანოვი), პლატონი (როჟდესტვენსკი), დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი...

სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვა დიდი ტრაგედია იყო ქართველი ხალხისათვის, მაგრამ ქართველობა არასოდეს არ შერიგებია რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას. ამის დამადასტურებელი იყო 1802 წლის კახეთის, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819–1820 წლების იმერეთის, 1832, 1841, 1856 წლების აჯანყებები. მართალია, ისინი მარცხით დამთავრდა, მაგრამ ამ აჯანყებებმა აჩვენა ქართველი ხალხის ნება, რომ ის არ შეურიგდებოდა საქართველოს ეროვნული და ეკლესიური დამოუკიდებლობის დაკარგვას.

რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნეში, ერთი მხრივ, იბრძოდა გეორგიევსკის ტრაქტატის იმ მუხლის შესრულებისათვის, რომლის თანახმადაც საქართველოს უნდა დაბრუნებოდა ოსმალეთისა და ირანისგან მიტაცებული ტერიტორიები, მეორე მხრივ, ახლადშემოერთებული ისტორიული ქართული მიწა-წყლიდან ძალით ერეკებოდა ქართველობას და იქ ასახლებდა სომხებს, რომელთაც რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში თავისი ინტერესების ყველაზე საიმედო დამცველებად მიიჩნევდა. ამასთან, უხეში კოლონიური პოლიტიკა, რომელიც ქართველების გაღიზიანებასა და წინააღმდეგობას აწყდებოდა, XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან უფრო დახვეწილი მეთოდებით შეიცვალა. „მათრახისა და თაფლაკერის პოლიტიკა“, – ასე შეაფასა ისტორიამ მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის საქმიანობა, რომელმაც ქართველ არისტოკრატებს, მათი გულის მოსაგებად, იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჯილდოები და პენსიები დაურიგა, ხოლო მათი შვილები სახელმწიფოს ხარჯზე რუსეთის სხვადასხვა ქალაქის სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნა. ხელისუფლების ამ

ვერაგულ განზრახვას გარკვეული წარმატებები ჰქონდა. 1840–1850–იან წლებში ქართული ეროვნული ცნობიერება, ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შეგნება თანდათან შესუსტდა. ის თაობა, ვისაც ახსოვდა სრესილისა და კრწანისის ბრძოლები, იმერთა მეფე სოლომონი და ქართლ–კახეთის მეფე ერეკლე II, მარადისობაში გადავიდა. ახალგაზრდობა იზრდებოდა რუსეთის იმპერიის ისტორიული გმირების მაგალითებზე, რუსულ ენაზე... ქართველობა სულს დაფავდა. გიორგი ერისთავმა შეუბრალებელ კოლონიზატორ მ. ვორონცოვს ასეთი ლექსი მიუძღვნა:

„პირველი ქართული თეატრი მან დაბადა, დააწესა.

წარმომადგენლები შეკრიბა, ჯამაგირი დაუწესა,

მწერლობიდან გამიყვანა, მეც იმათში გამამწესა,

ვერა მამა ვერ იზავდა, რაც მან ჩემზედ ღვაწლი სთესა,

ვარანცოვი მომხრე ჰყვანდა, სიტყვას დიდად უგონებდა,

რასაც ჩვენთვის შეუკვეთდა, ყოველსავე გვისრულებდა,

საქართველოს წარმატებას სულით, გულით ისურვებდა,

არ ზოგავდა შემწეობას, ქართველთათვის თავსა სდებდა.“

რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ქართველის პატრიოტობა ოჯახურ, სალონურ ჩარჩოს ვერ სცილდებოდა. რუსეთის არმიის გენერალი გრიგოლ ორბელიანი მეფე თამარის ფრესკას ცრემლმორეული ამ სიტყვებით მიმართავდა:

„მიხარის – გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ

და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,

არ გამოვფხიზლდე, რომ აღარ ვპგრობნობდე,

ჩემი სამშობლოს სულით დაცემას“ [8, 348]

იმპერიის სამსახურში ჩამდგარი ქართველობა გრძნობდა საკუთარ უმწეობას და შიშით გასცქეროდა თავისი სამშობლოს მომავალს.

ბ) ეროვნულ–განმთავისუფლებელი მოძრაობა

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ყველაზე სერიოზული მცდელობის, 1832 წლის აჯანყების, დამარცხების შემდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი სრულმა უიმედობამ მოიცვა: მათ აღარ ჰქონდათ იმის რწმენა, რომ საქართველო თავს

დააღწევდა რუსეთის ბატონობას. ქართული საზოგადოების განწყობილება კარგად ჩანს ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, პლატონ იოსელიანის თხზულებებში. „ღვთის განგებას ვერაგინ შეაყენებს, – წერდა პლატონ იოსელიანი, – ვის შეეძლო ქართველთა სამეფოს დაცვა, გარდა რუსეთისა... ნათესაობითი ერთობა ქართველთა გვარისა განმტკიცდება სარწმუნოებითითა ერთობითა მათთან. მართლმადიდებლობა რუსეთისა, ვითარცა შუქი მზისა, მაცხოველებელისა და მანათობელისა, მოჩანს ვითარცა განბნეველად მაჰმადიანობისა სიბნელისაი. ესე ყოველი ხვდა წილად რუსეთს და აღსრულებაცა ესე ვითარი ქრისტიანობითი და მოქალაქეობითი განახლება კავკასიისა... მაშინ ქვეყანა კავკასიისა, საგსე ქვეყნიურითა და ზეციურითა მადლითა, უხვებითა, სიმდიდრითა, მშვენიერებითა შეიქმნება ერთი და ყოვლადი“[1, 247-248] ამ სიტყვებით დაამთავრა მან თავისი ისტორიული ნაშრომი „ცხოვრება გიორგი XIII–ისა“. მოთხრობილი ისტორია მისთვის დარჩა წარსულში, რომელსაც არც აწმყო და არც მომავალი აღარ ჰქონდა. თუმცა ყველა ასე არ ფიქრობდა.

XIX საუკუნის 60–იანი წლებიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა – „თერგდალეულები“: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა–ფშაველა, კირილე ლორთქიფანიძე. მათთვის სრულიად მიუღებელი იყო რუსეთის კოლონიური რეჟიმისადმი უფროსი თაობის შემგუებლური დამოკიდებულება. პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალმა ილია ჭავჭავაძემ თავისი თაობის გულისთქმა მოხვევლელთ ღუნიას სიტყვებით გამოხატა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. ილიამ ასიმილაციის საფრთხეში მყოფ თანამემამულეებს შესძახა: „რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაი–ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელოთ, სუყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა–წყალი, ლენგ–თემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანავეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ–აბასებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა–მაჰმად ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით, გავუძელოთ საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ–თურქებს, სპარსელებს, რჯულიანს და

ურჯულოს, და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრითა და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავადებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თაგვმა დაგვიჭრას!“[9, 176].

ვითარება უმძიმესი იყო, რუსეთის ხელისუფლება კიდევ უფრო აძლიერებდა კოლონიურ პოლიტიკას. უფროსი თაობის ქართველობა, რომელმაც დაკარგა საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენის რწმენა, ერთგული ჩინოვნიკების როლს ასრულებდა. მიუხედავად ამისა, რუსეთის საიმპერატორო კარზე არ ავიწყდებოდათ ერმოლოვის ცნობილი სიტყვები: არ იქნება ქართველი, არ იქნება კავკასიის პრობლემა!

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მომრავლდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსული მოახალშენეები. თბილისი იქცა კავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრად, მან დაკარგა ქართული ქალაქის სახე. თბილისის პრესტიჟულ უბნებში სახლდებოდნენ რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები, გერმანელები... რუსეთის მთავრობის მითითებით, ქართველი ხალხის დენაციონალიზაციის ფარულ გეგმაში დიდი ადგილი ეთმობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დაპირისპირება-განცალკევების ვერაგულ განზრახვას. გამოჩნდნენ მეგრელების, სვანების, აფხაზების „ქართველთა ასიმილაციისაგან“ დამცველ „მეცნიერთა“ ჯგუფები. ეკლესია-მონასტრებიდან განდევნილ იქნა ქართული ენა, ქართული გალობა. ქართულ მონასტრებს რუსეთიდან ჩამოსული ბერ-მონაზვნები დაეპატრონენ...

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა მიზნად დაისახეს საკუთარ ისტორიულ ფესვებს მოწყვეტილი, გათითოკაცებული ქართველობის გაერთიანება იმ დროშის გარშემო, რომელსაც ეწერა: „მამული, ენა, სარწმუნოება“. საჭირო იყო ქართველი ხალხის გამოფხიზლება, არსებული ვითარების ღრმად გაანალიზება, უფროსი თაობის თვითკმაყოფილი ილუზიების მსხვრევა. ჟურნალ „ცისკარს“ 1863 წლიდან ჩაენაცვლა „საქართველოს მოამბე“, რომელმაც ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა აქცია საზოგადოების მთავარ მიზნად. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით. რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ

არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“[10, 25] - წერდა ილია ჭავჭავაძე.

არსებულ ვითარებასთან შეგუებული უფროსი თაობის წარმომადგენლები მტკივნეულად აღიქვამდნენ ახალი თაობის თითოეულ ნაბიჯს, აკრიტიკებდნენ მათ, ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი უმოქმედობა, მაგრამ ვერ ახერხებდნენ დამაჯერებელი პასუხი გაეცათ მათთვის წაყენებულ მთავარ ბრალდებაზე: „ჩვენც ვლეთ რუსეთი, მაგრამ არც ერთი ხელობა თქვენი არ გვისწავლია, ჩვენი ქვეყანა, მკვდარი თქვენგანა, თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია“.

თერგდალეულებმა ქართველი ხალხის ისტორიულ ფესვებთან დაბრუნება საქართველოს ისტორიის პროპაგანდით დაიწყეს. „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, - წერდა ილია ჭავჭავაძე, - როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც აღარ ახსოვს, ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისე ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწერომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგი მოხრობელია მისი, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იჭედავს მარტო სულის და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭედვითა, როგორც სარკე, გვაჩვენებს იმ ღონეს და საგზაოს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის“.[9, 153] საქართველოს ისტორიული გმირები გახდნენ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედების შთამაგონებლები. ქართველობა კვლავ ამაყობდა წმიდა მირიანის, წმიდა ვახტანგ გორგასლის, დავით კურაპალატის, ბაგრატ III-ის, გიორგი I-ის, წმიდა დავით აღმაშენებლის, წმიდა თამარის, გიორგი ბრწყინვალის, ლუარსაბ I-ის, თეიმურაზ I-ის, ერეკლე II-ის, სოლომონ I-ის სახელებით.

თერგდალეულებმა რუსეთის განათლების მინისტრის გრაფ ტოლსტოის ქართველთა ასიმილაციის საგანმანათლებლო პოლიტიკას დაუპირისპირეს 1879 წელს შექმნილი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. ამ საზოგადოების ეგიდით საქართველოს ყველა კუთხეში გაიხსნა ქართული სკოლები, რომლებშიც ყმაწვილებს ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სიყვარულს ასწავლიდნენ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენითა“ და „ბუნების კარით“.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ესარგებლა ისტორიული ძნელებლობის უამს სხვადასხვა კონფენსიაზე გადასული ქართველობის (კათოლიკე, მონოფიზიტი-გრიგორიანი, მაჰმადიანი) დაპირისპირებით, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა გააზრებული პოლიტიკის მეშვეობით ამას ვერ ახერხებდა – ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გაძლიერების მიუხედავად თანდათან უფრო მტკიცდებოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იყო, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მჭიდროდ უკავშირდებოდა ეკლესიურ დამოუკიდებლობას, ამიტომ თერგდალეულთა მოთხოვნებში მკაფიოდ იყო დაფიქსირებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობა, რეაქციონერი ეგზარქოსების პოლიტიკის მხილება. ამ მოთხოვნებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა მრავალრიცხოვანი ქართველი სამღვდელთა ეროვნული მოძრაობის თავდადებულ მებრძოლებად აქციეს.

რუსეთის ხელისუფლება მოვლენების ასეთ განვითარებას არ ელოდა, ამიტომ კიდევ უფრო გაამძაფრა კოლონიური პოლიტიკა. ხელისუფლებისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მთავარმართებლის, ეგზარქოსისა და კავკასიის განათლების მზრუნველის შეთანხმებულ საქმიანობას. ამ თანამდებობაზე მყოფნი – დონდუკოვ-კორსაკოვი, ეგზარქოსი პავლე ლებედევი, განათლების მზრუნველი კ. იანოვსკი – გამოირჩეოდნენ ქართველთა სიძულვილით; მაგრამ მათ პოლიტიკას ქართველობამ ერთიანობითა და ეროვნული ინტერესების შეუპოვარი დაცვით უპასუხა. 1886 წლის 27 მაისს ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში სემინარიის რექტორ ჩუდეცკის კუბოსთან საქართველოს ეგზარქოსმა პავლემ საჯაროდ დაწვევლა ქართველები. იგი თავის დღიურში სიამაყით წერდა: „ჩემმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მოეწონათ რუსებს და არ მოეწონა ქართველების გარკვეულ ნაწილს. სემინარიამ და ქართულმა ინტელიგენციამ საზიზღრად წარმოაჩინეს თავი“.[7, 10]

გასაოცარია მისი მსჯელობა. საჯაროდ მაწვევარი ეგზარქოსი უნდა შეექოთ?

ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვა იტვირთა ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლმა დიმიტრი ყიფიანმა. მან ეგზარქოს პავლეს ასეთი შინაარსის საპროტესტო წერილი გაუგზვნა: „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელთაგ, მოიღეთ მწვემსმთავრული მოწყალეობა და თუ

გატაცებული დაუჯერებელის ხმებით ვცოდავ, შემინდეთ ჩემი შეცოდება, მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ დასწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიაც სამწყსოთ ხართ მოწოდებული, და რომელიც მარტოდენ სიყვარულსა და შეწყალებას მოელოდა თქვენგან, ქრისტეს მსახურისა და წარმომადგენლისაგან... თუ ყოველივე ეს უფალო, მართალია, თქვენი თანამდებობის ღირსების გადარჩენა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ შეურაცხყოფელი შეურაცხყოფილი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ იქმნას გაყვანილი.“[11, 290]

ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დასაცავად ხმის ამაღლება დიმიტრი ყიფიანს თანამდებობის დატოვების, სამშობლოდან გადასახლებისა და სიცოცხლის ფასად დაუჯდა; მაგრამ მისი მუხანათური მკვლევლობა 1887 წლის 25 ოქტომბერს, სამშობლოში ჩამოსვენება და მთაწმინდაზე დაკრძალვა ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის მძლავრ დემონსტრაციად იქცა. შერცხვნილი და სახელგატეხილი ეგზარქოსი პავლე სულ მალე საქართველოდან გადაიყვანეს.

განათლების ოლქის მზრუნველი კირილე იანოვსკი ქართველთა დენაციონალიზაციისათვის კახელების, იმერლების, მეგრელების, სვანებისათვის ქართული ენის სავალდებულო სწავლებას საეჭვოდ მიიხნევდა. მისი „პედაგოგიური ნოვაციები“ ამხილეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა. ასევე კრახით დამთავრდა კოლონიური ხელისუფლების მცდელობა, ერთმანეთისათვის რელიგიურ-კონფესიური ნიშნით დაეპირისპირებინა ქართველობა. ამ მხრივ ხელისუფლების რეაქციული კურსის მხილებაში დიდი წვლილი შეიტანეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, მიხეილ თამარაშვილმა, ვინმე მესხმა (ივანე გვარამაძე), ხიმშიაშვილთა და აბაშიძეთა გამაჰმადიანებული საგვარეულოს ღირსეულმა წარმომადგენლებმა. „საქართველოს მოამბე“, „ივერია“, „დროება“, „კრებული“, „კვალი“ ის გამოცემები იყო, რომელნიც ყოველდღიურად ამხელდნენ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი დანანებით წერდა რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ორმაგ სტანდარტებზე: როდესაც საქმე ეხება ალჟირის გაფრანგებას, ან ინდოეთის გაინგლისელებას, რუსი შოვინისტები გაჰყვირიან, ეს უსამართლობააო, მაგრამ თუ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებზე იმასვე იტყვი, აქ მსჯელობა იცვლება და უსამართლობა სამართლიანობად ცხადდებაო.

რუსეთის ხელისუფლებამ სცადა სამხრეთ კავკასიის ხალხების – ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების – დაპირისპირების

პროვოცირება. სომხური ნაციონალური ბურჟუაზია, რომელიც XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთის ხელისუფლების მფარველობით საკმაოდ გაძლიერდა, ცდილობდა ქართული მიწა-წყლის დაპატრონებას, ხოლო ენშიაძინის საკათალიკოსოს მეშვეობით – ქართველობის მონოფიზიტურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაყვანას. ამ მხრივ მას წარმატებებიც ჰქონდა. ქართველობა არა საერთოდ სომეხ ხალხს, არამედ იმ ჯგუფს უპირისპირდებოდა, რომელიც უტიფრად ცდილობდა სამშობლო წაერთმია მასპინძლებისათვის. ის, რაც რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის, ქართველებთან არ გაუვიდა.

1874 წელს შვეიცარიაში, ციურიხში, ჩატარდა ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდათა შეხვედრა, სადაც იმსჯელებს რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაზე და კავკასიელ ხალხთა მეგობრობის დეკლარაციაზე ხელი სისხლით მოაწერეს. შეკრების მონაწილე ახალგაზრდობამ მიმართა თავიანთ ხალხებს, არ წამოჰგებოდნენ რუსეთის ხელისუფლების პროვოკაციებს.

ასეთი რთული იყო გზა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გაიარა. სირთულეთა მიუხედავად, XIX საუკუნის 70–90–იან წლებში ქართველობა მტკიცედ იყო გაერთიანებული იმ დროშის გარშემო, რომელსაც ეწერა „მამული, ენა, სარწმუნოება“.

XIX საუკუნის 90–იანი წლებიდან ვითარება კიდევ უფრო გაამძაფრა საზოგადო ასპარეზზე კოსმოპოლიტურ-ნიჰილისტური მსოფლმხედველობის ახალგაზრდობის გამოჩენამ. ამ ჯგუფის ერთი ფრთა ეროვნულს დრომოჭმულად მიიჩნევდა. ივანე ჯაბადარი უიმედოდ აცხადებდა, ქართველი ერი დაბერდა და სიბერის უამს სიკვდილი გარდაუვალიაო; გიორგი მუხრან-ბაგრატიონი ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლას ფუჭ საქმედ თვლიდა, გარუსება გარდაუვალიაო. თუ ჯაბადარის ნიჰილიზმს გამანადგურებელი კრიტიკით დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძე, გიორგი მუხრან-ბაგრატიონის კოსმოპოლიტიზმი ამხილა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძე), რომელმაც აღნიშნა: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე, ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის. თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხებს არგებს... მცირე ხალხი მოკლებული თავის ენასა – იქნება მოკლებული ყოველი ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც“.[12, 1976, 34-35]

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეში

იდგნენ ეპისკოპოსები: გაბრიელი (ქიქოძე) და ალექსანდრე (ოქროპირიძე). მართალია, არ არსებობს არც ერთი სტატია, ქადაგება, რომელშიც ხსენებული მღვდელმთავრები ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე მსჯელობდნენ, მაგრამ ანტიქართველი, რეაქციონერი რუსი ეგზარქოსების ფონზე ეპისკოპოსების: გაბრიელისა (1825–1896 წწ) და ალექსანდრეს (1824–1907 წწ.) საქმიანობა ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებისა და ქართული ეროვნული ცნობიერების ამადლებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითი იყო. დასავლეთ საქართველოში არ დარჩენილა სოფელი, დასახლებული პუნქტი, სადაც მეუფე გაბრიელს წირვა–ლოცვა არ აღუვლენია. იგი მრევლს ქრისტიანულ რწმენას, სამშობლოს სიყვარულს უქადაგებდა, უპირისპირდებოდა ეგზარქოსების ანტიქართულ პოლიტიკას. გაბრიელ ეპისკოპოსი სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. ილია ჭავჭავაძემ ასე შეაფასა განსვენებული მღვდელმთავრის ღვაწლი: „დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინისცემითა და მადლისფენითა... მას სიბრძნესთან ერთად ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მომადლებული ღვთისაგან. ერთი ისა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამ ერისა და იცოდა, რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენის სამშობლო სიტყვითა, იმ ენითა, რომლითაც დღესაც ვადიდებთ ღმერთსა, ვპატრონობთ ქვეყანასა და სულსა და გულს ვაწვდით ერთმანეთსა საუკუნიდან საუკუნემდე“ [12, 1976, 25] ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე), ილია ჭავჭავაძის სულიერი მოძღვარი, ქართული სასწავლებლების, წიგნების ქომაგი და დამფინანსებელი, მკაცრად დაუპირისპირდა სამეგრელოს სკოლებში ქართული ენის ნაცვლად მეგრულის შემოღების მცდელობას და ჩაშალა რუსეთის ხელისუფლების ვერაგული ზრახვები.

XIX საუკუნის 80–90–იანი წლებიდან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხებზე ქართულ და რუსულ პრესაში არაერთი საინტერესო სტატია გამოაქვეყნეს ნიკოლოზ დურნოვმა, თედო ჟორდანიამ, სერგი გორგაძემ, ეპისკოპოსებმა: კირიონმა (საძაგლიშვილი), ლეონიდემ (ოქროპირიძე), პეტრემ (კონჭოშვილი), არქიმანდრიტმა ამბროსიმ (ხელაია), დეკანოზებმა: კალისტრატე ცინცაძემ, ნიკიტა თალაკვაძემ, ქრისტეფორე ციცქიშვილმა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იდეა ახლობელი გახდა ქართული საზოგადოების ყველა ფენისათვის.

მაგრამ იყო სხვა პრობლემებიც: XIX საუკუნის 90-იან წლებში, კერძოდ, 1892 წლის 25 დეკემბერს, ყვირილაში (ზესტაფონი) შეკრებილმა ახალგაზრდა ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა განაცხადეს, რომ ემიჯნებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ლოზუნგს: „მამული, ენა, სარწმუნოება“ და საზოგადოებას მის ნაცვლად სთავაზობდნენ მოწოდებას: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა – მსოფლიო რევოლუციური იდეებით გატაცებული ახალგაზრდა მარქსისტებისათვის მიუღებელი იყვნენ. მართებულად წერდა აკაკი წერეთელი:

„მტერი იძახის, ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო,
მხოლოდ ერთია მუშათ საკითხი,
გულს დაიბეჭდეთ მარქსის მცნებაო,
ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის
სულ სხვანაირად გაიყურება,
ცდილობს კისერი მოგვატეხინოს
და მით თავის ერს ემსახურება.
ჩვენს ქართველებს კი მეცნიერების
უკანასკნელი სიტყვა ჰგონიათ
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად,
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ.“[13, 255]

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნე მაინც ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საუკუნედ.

XX საუკუნე საქართველოში დაიწყო პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთბრალდებებისა და დაპირისპირებათა გამძაფრებით. 1907 წლის 30 აგვისტოს მცხეთის ახლოს, სოფელ წიწამურთან, მოკლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერი ილია ჭავჭავაძე... ქვეყანაში ტერორმა, ღირებულებათა გადაფასებამ დაისადგურა. „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“, – ამ სიტყვებით გალაკტიონ ტაბიძემ ზუსტად დაახასიათა შექმნილი მძიმე ვითარება. პოლიტიკურ ცხოვრებაში რთული, წინააღმდეგობრივი ვითარება შეიქმნა, მაგრამ სასულიერო სფეროში XIX საუკუნის 80-იან წლებში ავტოკეფალიური მოძრაობის მიერ ანთებული სანთელი დიდ ჩირაღდნად გადაიქცა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სასულიერო ნაწილი კიდევ უფრო შეუპოვრად

და თანმიმდევრულად ითხოვდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას. რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ საქართველოს ეგზარქოსებს დაავალა იმ ქართველი სასულიერო პირების დევნა, რომელნიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მოითხოვდნენ. თავისი ანტიქართული სულისკვეთებით გამორჩეული იყო დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი, რომელიც ეგზარქოსებს თავის ნებაზე ატარებდა. მისი მითითებით, ავტოკეფალიური მოძრაობის ხელმძღვანელს, ეპისკოპოს კირიონს, ხშირად უცვლიდნენ ეპარქიებს, ხოლო 1905 წელს საქართველოდან რუსეთში გაიწვიეს. ქართველმა სამღვდელოებამ ისარგებლა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის 1905 წლის 18 თებერვლის რესკრიპტით, რომლითაც რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეს უფლება მიეცა გულახდილად გამოეთქვა თავისი აზრი, თუ რა ღონისძიებებს შეიძლებოდა შეეწყო ხელი ხალხის საკეთილდღეოდ გამიზნული გარდაქმნების წარმატებით განხორციელებაში, და საგანგებო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, დაადგინა: მოეწვიათ საგანგებო ყრილობა, რომელზედაც განიხილავდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს.

1905 წლის 28–30 ივნისს, ეგზარქოს ალექსი იპოტოცკის წინააღმდეგობის მიუხედავად, თბილისში შედგა ქართველი სამღვდელოების ყრილობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი. ყრილობამ დაგმო იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1811 წელს გამოცემული ბრძანებულება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას ითვალისწინებდა, და მიუთითა, რომ ეს იყო მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული კანონების უხეში, თვითნებური დარღვევა. „ქართველმა სამღვდელოებამ მხედველობაში მიიღო ზემოთქმული, აგრეთვე ის, რომ, ჯერ ერთი, ივერიის ეკლესია კანონიკურად გახლავთ ავტოკეფალიური, ვინაიდან არ ყოფილა კრების დადგენილება მისი ავტოკეფალიის გაუქმებისა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო; მეორეც, მხოლოდ ეკლესიას, რომელსაც თავისუფლად შეუძლია თვითშეგნების სრულად აღსარება, თავისუფალია შინგანი წყობილებით, თავისუფლად ძალუძს თავისი სიტყვით მსახურება, ყველა თავისი საქმისა და მისადმი რწმუნებული ყოველივეს თავისუფლად მართვა, მხოლოდ თავისუფლად თვითმმართველ ეკლესიას შესწევს უნარი, დაიცვას თავისი სრული დიდებული წმიდა რწმენა და სავსებით

ფლობდეს მისი ღვთაებრივი მოწოდების განსახორციელებლად აუცილებელ ხმას, რომელიც ადამიანის გულს აღანთებს... კრება ითხოვს, ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს ავტოკეფალიური უფლებები“.[6, 81-82]

პეტიციას ხელი მოაწერა 412-მა სასულიერმა პირმა. დოკუმენტის ხელმოწერის შემდეგ სამღვდელო საეკლესიო დროშებითა და ხატებით გოლოვინის (რუსთაველის) გამზირზე გამოვიდა. მათ, ეგზარქოს ალექსის განკარგულებით, გზა გადაუღობეს რუსმა სამხედროებმა, რომელთაც სამღვდელოებას დროშები და წმიდა ხატები თავზე გადაამსხვრიეს.

ასეთი გაუგონარი თავხედობა და უტიფრობა გასცდა თბილისსა და საქართველოს საზღვრებს. საიმპერატორო ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხის განსახილველად 1906 წელს პეტერბურგში სინოდის საგანგებო სხდომა დანიშნა, რომელზეც მიიწვია ქართველი მეცნიერები და სასულიერო პირები. სინოდის სხდომაზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აუცილებლობაზე მსჯელობდნენ ეპისკოპოსები: კირიონი, ლეონიდე; პროფესორები: ნიკო მარი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ალექსანდრე ცაგარელი. რუსეთის სინოდის უმრავლესობამ უარყო ქართველთა მოთხოვნა, ხოლო ქართული წარმომავლობის გარუსებულმა ეპისკოპოსმა დიმიტრი აბაშიძემ, რომელიც თავისი შავრაზმული, ანტიქართული საქმიანობის გამო 1905 წელს საქართველოდან ხალხმა გააძევა, სინოდის წევრებს ამ სიტყვებით მიმართა: დაიჭირეთ ეპისკოპოსები კირიონი და ლეონიდე და საქართველოში ავტოკეფალია აღარავის გაახსენდებაო.

რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებამ კარგად გააცნობირა შექმნილი ვითარების სერიოზულობა და დაიწყო ავტოკეფალიური მოძრაობის მეთაურთა დევნა-შევიწროება. ეპისკოპოსი კირიონი საქართველოდან გაასახლეს ჯერ კოვნოს მონასტერში, ხოლო 1908 წელს, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებულებით, მას ჩამოერთვა ეპისკოპოსობა, დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა სანაქსარის უდაბნოში პოლიციის მკაცრი მეთვალყურეობით. „სტარაია რუსაში“ გადასახლეს არქიმანდრიტი ამბროსი (ხელაია). პოლიცია მეთვალყურეობდა ეპისკოპოს ლეონიდესაც.

სინოდის ობერპროკურორის წარდგინების საფუძველზე 1906 წელს, იმპერატორის ბრძანებით, საქართველოს ეგზარქოსად დანიშნეს ეპისკოპოსი ნიკონი, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა ქართველმა სამღვდელოებამ და საზოგადოებამ. ნიკონმა კიდევ უფრო გააძლიერა ანტიქართული საქმიანობა.

მაგრამ 1908 წლის 28 მაისს იგი მოკლეს. რუსეთის ხელისუფლებამ ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში ბრალი ქართველ ავტოკეფალებისტებს დასდო და გააძლიერა მათი დევნა, მაგრამ ქართველი სასულიერო პირები სულიერად არ დაცემულან. ეპისკოპოსმა კირიონმა გადასახლებაში ყოფნის დროს დაასრულა თავისი პოლემიკური ნაშრომი „საქართველოს კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“. თბილისში დარჩენილ თანამოაზრეებს იქიდან ამხნევებდა. „ჩემი აქ ყოფნა მეტად მძიმეა, – წერდა იგი, – მაგრამ მით უფრო დამიმძიმდება, როდესაც გულსაკლავი და არასანუგეშო ამბები მომივა სამშობლოდან... მომავალი ჩვენს ხელშია, კეთილსინდისიერი შრომაა მისი დამაგვირგვინებელი. წინ ფიანდაზის მაგივრად, მართალია, ეკლიანი გზა გვიდევს, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?! სიყვარულით უნდა ავიტანოთ ტანჯვა, ვინაიდან ტანჯვა სიყვარულის ნაყოფია, ძალა ტანჯვაშია“[14, 16]

ქართველმა საზოგადოებამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის იმედი ეპისკოპოს კირიონის სახელს დაუკავშირა. მისი გაუტყეხელი სიმტკიცის ამბავი გასცდა რუსეთის იმპერიის საზღვრებს. 1915 წელს იმპერატორი ნიკოლოზ II იძულებული გახდა მისთვის დაებრუნებინა ეპისკოპოსის ხარისხი, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის უფლება მაინც არ მიუციათ.

1916–1917 წლებში რუსეთის იმპერიაში სოციალურ–პოლიტიკურმა წინააღმდეგობებმა პიკს მიაღწია. ვითარების განმუხტვის მიზნით, 1917 წლის 25 თებერვალს, იმპერატორი ნიკოლოზ II ოფიციალურად გადადგა, შეიქმნა დროებითი მთავრობა. არსებული ვითარებით ისარგებლა ქართველმა სამღვდელთებამ და 1917 წლის 12 (25) მარტისათვის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დანიშნა „რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა მშვიდობისათვის“ მიძღვნილი წირვა, დაიგზავნა შეტყობინებები საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში.

გათენდა 12 (25) მარტის დღია. თბილისის სადგურზე უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ყველანი მცხეთისაკენ მიიქროდნენ. რკინიგზის სადგურის უფროსის განკარგულებით მცხეთის მიმართულებით დამატებითი მატარებლები გავიდა. იბერიის უძველესი სატახტო ქალაქი რადაც უჩვეულო სიახლის მოლოდინში ეგებებოდა საქართველოს სხვადასხვა პროვინციიდან ჩამოსულ სტუმრებს. სვეტიცხოვლის ეზო ვერ იტევდა სასულიერო და საერო პირებს.

დაიწყო წირვა. წირავდნენ ეპისკოპოსები: ლეონიდე, პიროსი, ანტონი, გიორგი. ტაძარში თავი მოეყარათ ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს.

12 საათზე მღვდელმთავრები ამბიონზე გამოვიდნენ, გურია-ოდიშის ეპისკოპოს ლეონიდეს ხელში სპეციალური ეტრატი ეჭირა, რომელიც მან ფრთხილად გახსნა და აღელვებულმა წაიკითხა: „1917 წელსა, მარტის 12 დღესა, მცხეთის წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო ტაძარსა შინა, დღესა კვირიაკესა, შემოგვრბით ჩვენ, სრულიად საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელონი, კრებულნი და ერისაგანთა წარმომადგენელნი და შემდგომად ლიტურგიისა და კეთილდღეობისათვის ახლისა მთავრობისა სავედრებლის პარაკლისის შესრულებისა გულისხმა ვყავთ სახელმწიფოსა შინა რუსეთისასა მომხდარნი ძირითადნი ცვლილებანი და ახლის მთავრობისა დაფუძნებაი, ეგრეთვე სახელმძღვანელონი დებულებანი ამა მთავრობისანი, საკუთრივ მის მიერ სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების აღსარებაი (მუხლი 3). ამასთანავე განვბჭეთ ვითარმედ: ა) ეკლესიასა ქართველთასა აქუნდა, თანახმად მსოფლიო კრებათა კანონებისა, ავტოკეფალიური არსებობაი, რომლისა მოსპობაი ანუ გაუქმებაი არავის ძალედვა, თვინიერ მსოფლიო კრებისა, გარნა მას შინა სრულიად არაკანონიკურად შეწყვეტილ იქმნა ავტოკეფალიური მართვა-გამგეობაი; ბ) რუსეთსა შინა დამყარდა ახალი სახე სახელმწიფოს მართვა-გამგეობისაი და მას აღარ შეესაბამების ქართველთა ეკლესიისა უფლებაშეჩერებულად ყოფნაი; ამისათვის უცილობლად ვსცანით ერთხმად და ერთსულოვნად განვაჩინეთ: 1) ამიერითგან აღდგენილად ჩაითვალოს საქართველოსა შინა ავტოკეფალიური საეკლესიო მმართველობაი, ხოლო, ვიდრე კანონიკურად აღირჩეოდეს კათოლიკოსი საქართველოსა ეკლესიისაი, მოსაყდრედ მისად დაინიშნოს ყოვლადსამღვდლო ლეონიდე, გურია-ოდიშის ეპისკოპოსი, და მასთან, განსაგებელად ეკლესიისა, დაწესდეს დროებითი მმართველობაი საქართველოს ეკლესიისაი, სასულიეროთა და საეროთა პირთაგან შემდგარი. 2) ვინაიდან საქართველო ქვაკუთხედად თვისისა არსებობისა აღიარებს სრულსა სოლიდარობასა რუსეთისა ახალსა მთავრობასა თანა, განჩინებაი ესე ეცნობოს მთავრობის თავმჯდომარეს უფალს როძიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ობერპროკურორს უფალს ლვოვს და კავკასიის კომისარიატს თბილისში“.[15, 13-14]

· ეპისკოპოსმა ლეონიდემ ჩაათავა ტექსტის კითხვა და ტაძარში შეკრებილი მოულოდნელი სიხარულისაგან ატირებული ხალხი დალოცა... საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დროებით მმართველობაში შევიდნენ როგორც სასულიერო, ასევე საერო პირები,

თავმჯდომარე – ეპისკოპოსი ლეონიდი, წევრები: ეპისკოპოსები: ანტონი (გიორგაძე), პიროსი (ოქროპირიძე), პროტო-პრესვიტერი კორნელი კეკელიძე, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე, მღვდლები: ვასილი და პოლიევქტის კარბელაშვილები, კალისტრატე ცინცაძე, ქრისტეფორე ციცქიშვილი, გაბრიელ ყუბანეიშვილი, დიაკონი ტიმოთე ბაკურაძე; საერო პირნი: ვასილ ბარნოვი, ანტონ ნატროშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, გრიგოლ ყიფშიძე, იპოლიტე ვართაგავა, სერგი გორგაძე, პავლე ინგოროყვა, გიორგი ყაზბეგი, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), პარმენ გოთუა, მიხეილ მაჩაბელი, სარგის კაკაბაძე, ზურაბ ავალიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, რაფიელ ივანიცკი. დროებით მმართველობას დიდი სამუშაო უნდა შეესრულებინა იმისათვის, რომ მცხეთაში გამოცხადებული ავტოკეფალია ეღიარებინა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებას.

რუსეთის დროებითი მთავრობა შეეცადა, დაერწმუნებინა ქართველები, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მიზანშეწონილი არ იყო, თუმცა უშედეგოდ. ასეთ ვითარებაში იგი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, მაგრამ ერთი პირობით: ისინი აღიარებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეროვნულ და არა ტერიტორიულ ავტოკეფალიას. რაც შეეხებოდა რუსეთის წმიდა სინოდს, მათ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების გაგონებაც კი არ უნდოდათ.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დროებითი მმართველობის დაძაბული მოლაპარაკებანი რუსეთის საერო ხელისუფლებასთან მიმდინარეობდა 1917 წლის 13 მარტიდან 2 აგვისტომდე. ამ პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დროებითმა მმართველობამ დიდი სამუშაოები შეასრულა: ოფიციალურად გადააყენა თანამდებობიდან ეგზარქოსი პლატონ როჟდესტვენსკი, არ მისცა მას საშუალება, შეესრულებინა კავკასიის ეგზარქოსისა და თბილისის მიტროპოლიტის მოვალეობა, დაატოვებინა ეგზარქოსის სასახლე, პრინციპული პოზიცია დაიკავა პეტერბურგიდან მოლაპარაკებებზე ჩამოსულ პროფესორ ვლადიმერ ბენეშევიჩთან და კატეგორიულად უარყო მართლმადიდებელი ეკლესიებისათვის სრულიად უცხო ეროვნული ავტოკეფალიური მმართველობის ფორმა.

1917 წლის 8–17 სექტემბერს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი საეკლესიო კრება.

საეკლესიო კრებამ დაამტკიცა „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“. დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა განისაზღვრა 13-ით, გამორჩეულ იქნენ სამღვდელმთავრო კანდიდატები, განხილულ იქნა სასულიერო განათლების, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის, ბერ-მონაზვნობის ინსტიტუტის საკითხები. 17 სექტემბერს ჩატარდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობდა ორი კანდიდატი: თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი. გაიმარჯვა ეპისკოპოსმა კირიონმა. „არღარ ვართ მონა, არამედ აზნაურ“, – ამ სიტყვებით დაიწყო თავისი სიტყვა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ. 1917 წლის 1 (14) ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საზეიმო ვითარებაში შესრულდა უწმიდესისა და უნეტარესის – კირიონ II-ის აღსაყდრება. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

გ) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–1977 წლებში

„დიდი არს, მძიმე და საპასუხისმგებლო საჭეთმპყრობელობა ახლად აღდგენილისა ეკლესიისა.. განმტკიცება ახლად აღდგენილი ეკლესიისა მის ისტორიულ უფლებათა ფარგლებში, აი, პირველი საზრუნავი ჩემი... ეკლესია მუდამ უდგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას – აი, მეორე საზრუნავი ჩემი... განახლებული ქართული ეკლესია მიზნად ისახავს კვლავ წამოაყენოს ბევრისაგან დავიწყებული ლოზუნგი: „ერთ არს ღმერთი და ხმა ყოველთა, რომელთა ყოველთა ზედა არს და ჩვენ ყოველთა შორის“ [16, 69-70] – განაცხადა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ. პატრიარქმა შესანიშნავად იცოდა, რა რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში მოუხდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას დამოუკიდებელი საქმიანობის წარმართვა. მისივე სიტყვებით, იმ დროს, როდესაც „ღელავს და ბობოქრობს მსოფლიო, მრისხანედ გუგუნებს ცეცხლი მსოფლიო ომისა, რომელსა შინა ქვეყანაი და საქმენი მისნი დაწვად განმზადებულან“ [16,

69] საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას თავისი ისტორიული ადგილი უნდა დაებრუნებინა ქართველი ერის ცხოვრებაში.

პოლიტიკური ვითარება რუსეთის იმპერიაში ყოველდღიურად იცვლებოდა. დროებითი მთავრობის ცდა, შეეჩერებინათ რუსეთის იმპერიის რღვევის პროცესი, უშედეგო აღმოჩნდა. 1917 წლის ოქტომბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაშიც დიდი ცვლილებების მოლოდინში იყვნენ. რუსეთის დროებითი მთავრობის გადაყენების შემდეგ გაუქმდა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ფილიალი „ოზაკომი“. 1917 წლის 15 ნოემბერს მის ნაცვლად შექმნილმა ამიერკავკასიის კომისარიატმა, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, ვერ გადაჭრა მის წინაშე მდგარი უმწვავესი პრობლემები (ურთიერთობა თურქეთთან, პირველი მსოფლიო ომის გამო ფრონტის ხაზიდან გამოქცეულ დეზერტირთა საკითხი, ეკონომიკური და საფინანსო ურთიერთობები...). ასეთ ვითარებაში ქართულ პოლიტიკურ სპექტრში კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა. ქართველი სასულიერო პირები ეკლესია-მონასტრებში მრევლს პირდაპირ მოუწოდებდნენ, რომ საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის აღდგენის ბუნებრივი გაგრძელება უნდა ყოფილიყო პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის – კირიონ II-ის მისალმება საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობისადმი, რომელიც 1917 წლის ნოემბერში გაიმართა თბილისში. საქართველოს პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა ერთგვარ გაუბედაობას იჩენდა, მაგრამ 1918 წლის იანვარში, როდესაც ბოლშევიკებმა რუსეთში დაითხოვეს დამფუძნებელი კრება და დაამყარეს დიქტატურა ტოტალიტარული მმართველობის ფორმით, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – კირიონის II-ის ხელმძღვანელობით ორი მიმართულებით წარიმართა:

1. შიდასაეკლესიო საკითხების, ეპარქიების, საეპარქიო სასწავლებლების გაეროვნულების, საეკლესიო კანონიკის მიხედვით პრობლემების მოგვარება;

2. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლის წარმოჩენა ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო აღიარებისათვის.

როული იყო პოლიტიკურ-ეკონომიკური წინააღმდეგობებით გამორჩეულ პერიოდში ამ ამოცანების განხორციელება, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მესვეურებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მსოფლიოს წინაშე ღირსეულად წარმოჩენილიყვნენ. საეკლესიო მმართველობის გამჭვირვალობის თვალსაჩინო მაგალითი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს, საკათოლიკოსო სასამართლოს საქმიანობა, რომელსაც წარმართავდა მისი უწმიდესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმოკლეს დროში ერის ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა. 1918 წლის 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტის გახსნის საზეიმო ცერემონია უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამადლობელი პარაკლისით დაიწყო. მეცნიერმა პატრიარქმა კირიონ II-მ მიულოცა ქართველ ერს ეროვნული უნივერსიტეტის გახსნა და გამოთქვა იმედი, რომ, ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, ახლო მომავალში ამ უნივერსიტეტში იხილავდა თეოლოგიურ ფაკულტეტსაც.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისს და ამ ისტორიულ სხდომაზე საქართველოს ეკლესიის სახელით წარგზავნა თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე და არქიმანდრიტი ნაზარი (ლეჟავა). პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 1918 წლის 2 ივნისს თავისუფლების მოედანზე გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. საქართველოს ყველა მოქმედ ეკლესიაში სასულიერო პირებმა შეკრებილ მრევლს მიულოცეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო აღიარების მიზნით, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ საგანგებო ეპისტოლეებით მიმართა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, ანტიოქიის საპატრიარქოებს, რომის პაპს, ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატრიარქ-კათოლიკოსს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური აღწერდა საქართველოს ეკლესიის ისტორიას და მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონების უხეშ დარღვევად აფასებდა რუსეთის იმპერატორ

ალექსანდრე I-ის მიერ 1811 წელს გამოცემულ ბრძანებულებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ. პატრიარქი მოუწოდებდა მათ, რომ მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინათ 1917 წლის 12 (25) მარტს დამოუკიდებლობაადღეენილ ავტოკეფალიურ ეკლესიასთან. რაც შეეხებოდა რუსეთის ეკლესიასთან ურთიერთობას, ქართული მხარის მცდელობის მიუხედავად, რუსეთის პატრიარქ ტიხონს არაფრის გაგონება არ სურდა და ქართველებს მართლმადიდებლობისაგან განდგომაში სდებდა ბრალს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი წარმატებები სრულიად მიუღებელი იყო როგორც გარე ძალის, ასევე შიდა მტრული დაჯგუფებებისათვის. სულ მალე თავი იჩინა დაპირისპირებებმა, გაუმართლებელმა ინტრიგებმა. უწმიდესი კირიონ II დანაწილებით წერდა: „ოცი წლის განმავლობაში დაშორებული ვიყავი სამშობლოს, შორიდან თვალყურს ვადევნებდი, ვფიქრობდი, ამ ხნის განმავლობაში თქვენ საკმარისად შეიგნეთ საქვეყნო მოვალეობა, მაგრამ, როგორც ახლა ვრწმუნდები, თქვენ უფრო დაქვეითებულხართ და დაქსაქსულხართ; თუ ხელახლა დაიბადებით, თორემ სხვაფრთხილ თქვენი გამოხატულება შეუძლებელია.“[14, 28]

ამ დაპირისპირებების მსხვერპლი გახდა ავტოკეფალიაადღეენილი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველი პატრიარქი. 1918 წლის 27 ივნისს იგი ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში. მისი სიკვდილით ჩაქრა ლამპარი, რომელიც საუკუნეში ერთხელ აინთება ხოლმე. დიდი მეცნიერი, საეკლესიო მოღვაწე, ავტოკეფალიური მოძრაობის მეთაური 1918 წლის 7 ივლისს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში... „შეგცოდეთ, შეგვინდევ და გვაპატიე, ჩვენო დაუვიწყარო მამამთავარო“, – ამ სიტყვებით გამოეთხოვა დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე უწმიდესისა და უნეტარესის – კირიონ II-ის ცხედარს. 2002 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, კირიონ II წმინდანად შერაცხა. კირიონ II-ის მიერ დაწყებული საქმე განაგრძო ახლადარჩეულმა პატრიარქმა ლეონიდემ (ოქროპირიძე).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელმაც დასავლური დემოკრატიული ღირებულებები აღიარა პრიორიტეტად, მიუღებლად მიიჩნია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებული სტატუსი. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ეკლესია გამოყოფილ იქნა სახელმწიფოსგან; მას ჩამოერთვა მიწები, სათიბები,

წიქვილები, ვენახები, სასულიერო სასწავლებლები. საქართველოს სამოციქულო ეკლესია გაუთანაბრეს ქვეყანაში მოქმედ სხვა რელიგიურ კონფესიებს. მთავრობა ურწმუნო იყო და საქართველოს ეკლესია მას არ აინტერესებდა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე მთავრობის თავმჯდომარის – ნოე ჟორდანიასადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „ჩვენი მთავრობა სოციალისტურია და პრინციპულად ვერ შეჰგუებია ეკლესიას. თანახმა ვარ, დიახაც ნუ შეეგუებიან ურთიერთს ეკლესია და სოციალისტები, დროზე დაშორდნენ, მაგრამ გაშორებაშიც სავალდებულოა სამართლიანობა. საქართველოს ეკლესია უმთავრესი და უთვალსაჩინოესი ფაქტორია ჩვენი ერის სულიერი ცხოვრებისა. ჩვენს ეკლესიას განსაზღვრული დამსახურება მიუძღვის იმ პირობების შექმნაში, რომელთა მეოხებითაც დღეს ჩვენს სამშობლოს დაჰყურებს ეროვნული დროშა.“[17, 6443]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთადერთი პოზიტიური გადაწყვეტილება იყო 1920 წლის თებერვალსა და აგვისტოში კავკასიის სინოდალური კანტორის გაუქმება, რუსული, ბერძნული და ოსური სამრევლოების საქართველოს საკათოლიკოსოსათვის გადაცემა. ხელისუფლებასთან არსებულ უთანხმოებათა მიუხედავად, საქართველოს ეკლესია ცდილობდა გაეთავისებინა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები. უწმიდესი ლეონიდე 1919 წლის ოქტომბერში ეწვია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, გაამხნევა იქაური ქართველობა. მისი ლოცვა-კურთხევით, 1919–1920 წლებში ყველა მოქმედ ეკლესიაში 26 მაისს გადახდილ იქნა სამადლობელი პარაკლისები. პატრიარქმა მრევლისადმი მიმართვაში აღნიშნა: „როგორც თებერვლის იას მარტის ყინვებმა შეიძლება მოუსპოს სიცოცხლე, თავისუფლებაც ასეთი ნაზი, ფაქიზი ბუნებისაა. იგი მარტო იქ ხარობს და ფესვებს იდგამს, სადაც ტრიალებს სული უფლისა“[18, 71]

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა იერიში მიიტანეს საქართველოს დედაქალაქზე. 21 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელმაც იმსჯელა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე და დაადგინა:

„1. ეკლესიებში დაუყოვნებლივ იქნეს გადახდილი პარაკლისები მტრებისგან საქართველოს განთავისუფლებისათვის; 2. ეკლესიებში წინამძღვრებმა განმარტონ სამამულო ომის მნიშვნელობა; 3. სამრევლო საბჭოებმა გაიღონ ეკლესიის ქონებისგან შეწირულებანი ომისაგან გამომწვეულ

საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 4. მიღებულ იქნეს ზომები ტაძართა განძეულობისა და სიწმინდეთა დასაცავად; 5. იმავე საჭიროებისათვის წირვა-ლოცვის დროს შეკრებილ იქნეს ნებაყოფლობითი შეწირულებანი; 6. კრებულის წევრთა მიერ მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები ჯარში გაწვეულთა ოჯახების სულიერ მოთხოვნილებათა დაუყოვნებლივ დასაკმაყოფილებლად.“[17, 256]

25 თებერვალს ბოლშევიკური არმიის ნაწილები თბილისში შემოვიდნენ და მოახდინეს ქალაქის ოკუპაცია. წინა დღით უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე საეკლესიო განძითურთ ქუთაისში გადავიდა. 11 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ემიგრაციაში წავიდა. უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე 13 აპრილს თბილისში დაბრუნდა.

გულსაკლავი სანახავი იყო თბილისი. პატრიარქის ერთადერთი ავტომობილი საოკუპაციო ხელისუფლებამ მიითვისა. საოკუპაციო ხელისუფლების დროებითი ორგანოს, „რეკომის“, დადგენილებით, 1921 წლის 15 აპრილიდან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იურიდიული სტატუსის არმქონე ორგანიზაციად გამოცხადდა. უწმიდესი ლეონიდე ახალი ხელისუფლების იდეოლოგიაზე გულახდილად წერდა: „მათთვის მთავარია სიყვარული ქვეყნიერებისა და არა სამშობლოსი, შორეულისა და არა მახლობელისა, გარემესი და არა შინაურისა. ყოველივე ეს ემსგავსება წაღმა წარწერის უკუღმა კითხვას, მუხის დარგვას კენწეროთი... ღმერთმა დაიხსნას საქართველო ამ გვარის მანკიერ შვილთაგან“.[19, 1304]

თბილისში, ისევე, როგორც საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში, უმძიმესი ვითარება შეიქმნა. გაჩნდა ინფექციური დაავადებები... მისი მსხვერპლი გახდა პატრიარქიც... იგი მოიწამლა წყლით და აღესრულა 1921 წლის 11 ივლისს. 17 ივლისს პატრიარქი ლეონიდე დაკრძალეს სიონის ტაძარში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ხელახალი დაკარგვის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი საოკუპაციო ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა სამშობლოს ინტერესების დამცველ მამულიშვილებს.

„საქართველოს „რეკომი“ ფორმალურად დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა.. ფაქტობრივად კი იგი საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ხელისუფლებას განასახიერებდა.“[20, 109] ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შური იძია ქართველ ხალხზე იმით, რომ „ერთა თვითგამორკვევის პრინციპებით“ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნეს ორი ავტონომიური რესპუბლიკა (აფხაზეთი და აჭარა), ერთი ავტონომიური ოლქი (სამხრეთ ოსეთი). საქართველოს ჩამოართვეს თავისი ისტორიული ტერიტორიები:

ლორე-ტაშირის მხარე (3812 კვადრატული კილომეტრი) გადასცეს სომხეთს, აღმოსავლეთ კახეთ-ჰერეთი ანუ საინგილო (3564 კვადრატული კილომეტრი) – აზერბაიჯანს, ართვინის, არტაანის, ფოცხოვის ოლქები (12115 კვადრატული კილომეტრი) – თურქეთს; რუსეთმა მიიტაცა გაგრის ოლქის ნაწილი, ქ. სოჭი, დარიალის ხეობაში – ზემო ლარსი, ქვემო ლარსი. ამას დაემატა დემოგრაფიული ექსპანსია... ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქვეყანაში. ამ დროს მოქმედი იყო 1450 ეკლესია, 25 მონასტერი, სადაც ღვთისმსახურებას ეწეოდა 1600-ზე მეტი ადამიანი.

საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ წყდებოდა. ბოლშევიკები ხალხის დასაშინებლად დაუნდობლად უსწორდებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლებს. ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ განსვენებული კათოლიკოსის, უწმიდესისა და უნეტარესის – ლეონიდის ნაცვლად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოეცხადებინა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია).

1921 წლის 1-5 სექტემბერს ქუთაისში, გელათში, გაიმართა მესამე საეკლესიო კრება. საეკლესიო კრებაზე იმსჯელეს ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე და დაადგინეს: ეთხოვოს ხელისუფლებას, ოფიციალურად აღიაროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურიდიული სტატუსი: „ეს არამც თუ ეწინააღმდეგება დეკრეტის დებულებას სინდისის თავისუფლების შესახებ, არამედ უნდა ჩაითვალოს აუცილებელ სამართლიან პირობად ამ თავისუფლების დასაცავად. ხელისუფლების მიერ ამ სამართლიანი მოთხოვნის უარყოფა მანჯვენებელი იქნება იმისა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია გამოეცხადებულა დევნილ სარწმუნოებად და ეს გარემოება ეცნობოს ყველა მორწმუნეთ“ [21, 65]

კრებაზე იმსჯელეს ხელისუფლების ადგილობრივ წარმომადგენელთა მხრიდან ეკლესია-მონასტრების სიწმინდეთა ხელყოფის მცდელობებზე და აღნიშნეს, თუ რა სავალალო შედეგების მომტანი იქნებოდა ეს ეკლესიისათვის.

საეკლესიო კრებამ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია. იმავე წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის აღსაყდრება. პატრიარქმა მრავლისმეტყველი

ისტორიული სიტყვით მიმართა ქართველობას. „დღევანდელი ჩვენი ერის მდგომარეობა, – აღნიშნა მან, – იმას გვიმტკიცებს, რომ ხალხის ცხოვრებაში თითქმის ყველაფერი ცვალებადია, არ იცვლება მხოლოდ მისი სარწმუნოებრივი განცდა. ეროვნული იდეალების საუკეთესო დამცველი არის ჩვენი ეკლესია. ერის პოლიტიკური ცხოვრების შეცვლა არ მოასწავებს ეროვნული სარწმუნოების შეცვლას... ხალხი მხოლოდ უკავშირებს ერთმანეთს ეკლესიას და სამშობლოს, ვინაიდან ის მთელი თავისი ისტორიის განმგებლობაში იცავდა თავის სამშობლოს, მაგრამ ქრისტეს ჯვარსაც ხელიდან არ უშვებდა. ის სისხლს ღვრიდა სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად, მაგრამ სარწმუნოების დაცვაში ხედავდა მამულის დაცვასაც. ეს თვისება მას შესისხლხორცებია, გახდომია ჭეშმარიტებად და ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებად. ახლაც ამნაირია ხალხის ფსიქოლოგია და როგორ გინდათ ამოგლიჯოთ ეს ხალხის გულიდან. მრავალი საუკუნის განმავლობაში მისი ცხოვრების ღრმად ჩაყრილ საძირკველზე მას აუშენებია მკვიდრი შენობა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და შემეცნებისა და როგორ გნებავთ ახლა ის საძირკველი გამოუცვალეთ ამ დიდ შენობას და ჩაუყაროთ ახალი იმავე სიღრმეში? საძირკველის გამოცვლა არ შეარყევს თვით შენობას? მოსახერხებელია განა ამნაირი ცდა? თუ ეს მოსახერხებელია და საშიშროებაც არ არის, ვისთვის ან რისთვის არის ეს საჭირო? ასე იქცევიან ისინი, ვინც ხალხს ართმევენ სარწმუნოებას, უნდათ ეროვნულ შენობას გამოაცალონ ბურჯი. უსარგებლო და უნაყოფოა ამნაირი ცდა. ერთადერთი შედეგი ამისა შეიძლება მხოლოდ ის იქნეს, რომ დროებით შეაჩერებენ ხალხის ეროვნულ განვითარებას... შევიგნოთ ისტორიული გაკვეთილების ძალა... საჭიროა შემოგვკრბეთ ეროვნული ეკლესიის გარშემო, პოლიტიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად ნუ იქნება ცვალებადი ჩვენი შეხედულება სარწმუნოებაზე, ვემსახუროთ თავისუფალ ეროვნულ ეკლესიას და ეს მოგვცემს ძალას შევანახვინოთ ჩვენს ხალხს ეროვნული სახე და თავისუფლება, ეროვნული ეკლესიის თავისუფლება გულისხმობს ეროვნულ თავისუფლებასაც.“[22, 22-23]

დამოუკიდებლობადაკარგულ საქართველოში, სადაც საოკუპაციო ხელისუფლება უარყოფდა ყოველგვარ ეროვნულს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმკურობლის სიტყვა იყო ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოწოდება, გამხნეება შეშინებული ხალხისა. იმ დროს, როდესაც დაიწყო ქართული კულტურის, განათლების, მეცნიერების, ეროვნული იდეალების დევნა, უწმიდესი და

უნეტარესი ამბროსი და მთლიანად საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიუღებელი იყო საოკუპაციო ხელისუფლებისათვის. ქართველი ბოლშევიკების ადგილობრივი ლიდერი ფ. მახარაძე ამცირებდა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ქართულ ლიტერატურას, „ვეფხისტყაოსანს“, დავით გურამიშვილს, ილია ჭავჭავაძეს, სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოჰყავდა საზოგადოებისათვის უცხო, უნიჭო „შემოქმედნი“: შაქრო ნავთლუდელი, ვალია ბახტაძე და სხვები. ხელისუფლებისათვის ასევე მიუღებელი იყო თბილისის უნივერსიტეტის პროფესორა, რომელთა უმრავლესობას ევროპისა და რუსეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული განათლება. უნივერსიტეტიდან გააძევეს ივანე ჯავახიშვილი და მისი მოწაფეები, გააუქმეს საქართველოს ისტორიის სასწავლო საგანი და შეცვალეს იგი სამოქალაქო ისტორიით. დევნა-შევიწროებას ვერ გადაურჩნენ ეროვნული სულისკვეთების მქონე თანამედროვე ქართველი მწერლები, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების მოღვაწეები. ინტერნაციონალიზმისა და მსოფლიო მოქალაქეობის იდეებით შეპყრობილმა ხელისუფლებამ დაუნდობლად დაანგრია ეროვნული მეცნიერება და ხელოვნება. იგი ჩანაცვლებულ იქნა ფსევდომეცნიერებით, ფსევდოლიტერატურით, ფსევდოპროფესურით („წითელი პროფესორები“). პატრიოტობა ჩამორჩენილობის სინონიმი გახდა. საოკუპაციო ხელისუფლებამ 1921-1922 წლებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედ ეკლესიებში ჩაატარა აღწერა საეკლესიო ძვირფასეულობის გამოსავლენად, ხოლო რევკომის 1923 წლის 23 ნოემბრის დადგენილებით, ოქროსა და ვერცხლის ჯვარ-ხატები, ბარძიმ-ფეშხუმები, მიტრები გატანილ და გაყიდულ იქნა.

ასეთ რთულ ვითარებაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ ხმა აღიმადლა საოკუპაციო ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ. მისმა უწმიდესობამ 1922 წლის აპრილ-მაისში იტალიის ქალაქ გენუაში მიმდინარე საერთაშორისო კონფერენციას მიმართა საგანგებო წერილით, რომელშიც აღწერდა საქართველოს თავს დამტყდარ უბედურებას, ბოლშევიკების საოკუპაციო ხელისუფლების სისასტიკეს, უღმერთობას, ქართველთმოდულებას. „ოკუპანტები, მართალია, ლამობენ შინ და გარეთ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველები, მაგრამ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მოძღვარმა“ [22, 25] - აღნიშნავდა იგი. უწმიდესი ამბროსი კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავდა, დახმარებოდნენ საქართველოს, დაეცვათ ის რუსეთის საბჭოთა

იმპერიის აგრესიისაგან, რათა „საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ მოაწყოს ისეთი ნორმები სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა, რომელიც მის ფსიქიკას, სულისკეთებას, ზნე-ჩვეულებასა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“[22, 26]

მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის გაბედულმა წერილმა, მაგრამ, საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, მათ რეალური დახმარება ვერ აღმოუჩინეს საქართველოს. ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ მისი უწმიდესობა ამბროსი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭო კონტრევოლციონერებად გამოაცხადა.

1922 წლის 13 ივნისს საქართველოს უშიშროებამ („ჩეკამ“) პირველ დაკითხვაზე წაიყვანა უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი. დაკითხვა მთელი დღე გაგრძელდა. პატრიარქი ღამის 12 საათზე დაბრუნდა თავის რეზიდენციაში. საკათოლიკოსო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე წერდა: „14 ივნისს შეიკრიბა საკათოლიკოსო საბჭოს სხდომა, რომელსაც უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი თავმჯდომარეობდა.. სახეზე თითქოს განმკრთალი იყო, ეტყობოდა, რომ ერთ დღეში დიდი სულიერი ტანჯვა გამოეწვია.“[22, 28] პატრიარქმა საბჭოს წევრებს დაწვრილებით მოუთხრო „ჩეკაში“ დაკითხვის დეტალების შესახებ და მოუწოდა, გამოეჩინათ სულიერი სიმტკიცე. 1922 წლის 2 ივნისს უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის საპატრიარქო რეზიდენციაში მიართვეს საოკუპაციო ხელისუფლების დასკვნა, რომელშიც ხელისუფლება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საკათოლიკოსო საბჭოს ბრალს სდებდა „კონტრევოლუციონერობაში, პროვოკაციაში, მთავრობის გაბრიაბრუებაში“. იმავე წლის 17 ნოემბრის მთავრობის დადგენილებით, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჩამოართვეს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია. საოკუპაციო ხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა აგრესიული ათეიზმის პოლიტიკა, სასულიერო პირები კი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მტრებად მიიჩნია. მარტო 1923 წელს საქართველოში დახურეს 600-ზე მეტი ეკლესია, დაიტაცეს საეკლესიო ქონება.

უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი გრძნობდა, რომ მოსალოდნელი იყო მისი დაპატიმრება. 1923 წლის 11 იანვარს მან ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მისი დაპატიმრების შემთხვევაში უნდა

დაწესებულიყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნებოდა ურბნელი ეპისკოპოსი ქრისტეფორე (ციციქიშვილი).

1923 წლის 11 იანვრიდან 1924 წლის 12 იანვრამდე უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. 1924 წლის 12 იანვარს, „ჩეკას“ გადაწყვეტილებით, დააპატიმრეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭოს წევრები. მართლმადიდებელი სარწმუნოების წინააღმდეგ დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა როგორც თბილისში, ასევე – პროვინციებში. ანგრევდნენ ეკლესია-მონასტრებს, აპატიმრებდნენ და აწამებდნენ სასულიერო პირებს. 1924 წლის 10–19 მარტს ნაძალადევის მუშათა თეატრში (შემდგომში კინოთეატრი „საქართველო“) მიმდინარეობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების სასამართლო პროცესი. ბოლშევიკური პრესა ქართველი ხალხის ეროვნული და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ სასულიერო პირებს „ანაფორიან ინტრიგანებს“, „კონტრრევოლუციონერებს“, „ბნელეთის მოციქულებს“ უწოდებდა. მათ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაღატაში სდებდნენ ბრალს „ამხანაგები“: ვარლამოვი, ორზუმელოვი, ოქოევი, ნავთლუღელი. მომავალი თაობებისათვის სამაგალითოა უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის, საკათოლიკოსო საბჭოს სხვა წევრების სულიერი სიმტკიცე და გაუტყეველობა. პატრიარქმა ამბროსიმ კიდევ ერთხელ ამხილა საოკუპაციო ხელისუფლების ბარბაროსობა. „ისტორია გვიმტკიცებს, – აღნიშნავდა იგი, – რომ დევნილობა უძღურია მოსკოს სარწმუნოება... იგი არის ხალხის სულიერი მოთხოვნილება. დევნილობა ამ მოთხოვნილებებს კიდევ უფრო აძლიერებს, ის ღრმავდება, იკუმშება და გუბდება, და ამოხეთქავს გაძლიერებულის ძალით... მე ვიცავდი ჩვენი ერის თავისუფლებას... თუ ხელისუფლება აღიარებს ერთა თვითგამორკვევას, გაფართოებულს პოლიტიკურად გამოყოფამდის, მაშინ ვერ გამიგია, რისთვის უნდა ჩამეთვალოს დანაშაულად ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვა... მე შევასრულე ჩემი მოვალეობა და როგორი თვალით შეხედავს უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიისა და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოდებას, ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვრისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების 37 წლის განმავლობაში. ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სამსჯავრო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, იმ ქართველისა,

რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს და როგორც მორწმუნე, ვიტყვი: იყოს ნება ღვთისა! და მოგმართავთ ქრისტეს სიტყვებით: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემ ზედა, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა“ [22, 38]

პატრიარქის ეს სიტყვა იყო გაუტყხელი სიმტკიცის გამოვლენა, ათასობით ქართველი პატრიოტის გამხნეება. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ თავის თავზე მიიღო ბოლშევიკური ხელისუფლების მთავარი დარტყმა. ბოლშევიკურმა სასამართლომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის 7 წლითა და 9 თვით, საკათოლიკოსო საბჭოს წევრებს – სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

1924 წლის აგვისტოში საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში დაიწყო გამოსვლები საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა დაუნდობელი რეპრესიები, დახვრიტეს ათასობით მამულიშვილი, ზესტაფონში მატარებლის ვაგონებში ჩახოცეს ის ადამიანები, რომელნიც ხელისუფლებას არასამედოდ მიაჩნდა, მათმა სისხლმა წითლად შეღება მდინარე ყვირილა... 1924 წლის აგვისტოში „კონტრრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით, ვინმე შონიას და სამეულის (ე.წ. „ტროიკა“) დადგენილებით, დახვრიტეს ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), მღვდლები: გერმანე ჯაჯანიძე, სიმონ მჭედლიძე, იეროთეოს ნიკოლაძე, დიაკონი ბესარიონ კუხიანიძე... საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, 1995 წლის სექტემბერში ისინი წმინდანებად შერაცხა.

უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი და საკათოლიკოსო საბჭოს წევრები თბილისში, მეტეხის საპრობილეში იხდიდნენ სასჯელს. პატრიარქს აგრძნობინეს, რომ, თუ ხელისუფლებას პატიებას სთხოვდა, მათ გაათავისუფლებდნენ. პატრიარქის დღიურში ასეთი ჩანაწერია: „შეიძლება მეც მომეთხოვოს იგივე სინანული, როგორც ჩამოურთმევიათ რუსეთის პატრიარქ ტიხონისათვის... ჩემი განცხადების პროექტი ასეთი იქნება. მე ჩემი თავი არ მიმაჩნია დამნაშავედ... დარწმუნებული ვიყავი, რომ ბოლშევიკების მიერ განხორციელებულ ამ ინტერვენციას საქართველოს რესპუბლიკის შინაურ ცხოვრებაში, მოჰყვებოდა ეკლესიური თავისუფლების დაკარგვა, რაც მე

უბედურებად მიმაჩნდა ჩვენი მშობლიური ეკლესიისათვის. ჩემი შიშები სავსებით გამართლდა და ეკლესიას თავს დაატყდა დიდი უბედურება.“[22, 42]

ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, სასულიერო პირების რეპრესიების პარალელურად, სცადა ეკლესიის შიგნით დასაყრდენის მოპოვების მიზნით წაეხალისებინა სასულიერო პირთა ის ნაწილი, რომელიც აღიარებდა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც კანონიერს, და, ამავე დროს, მორწმუნეთა შორის გაავრცელებდა იმ აზრს, რომ აუცილებელი იყო საეკლესიო სფეროში რეფორმები. ეს მოძრაობა საქართველოში „განახლებისა და რეფორმების ჯგუფის“ სახელითაა ცნობილი, რუსეთში - „ობნავლენცები“, „ცოცხალი ეკლესიის მიმდევრები“. „განახლებისა და რეფორმების“ ჯგუფმა ხელისუფლების დაკვეთით დაიწყო დაპატიმრებული კათოლიკოს-პატრიარქისა და საკათოლიკოსო საბჭოს წევრების კრიტიკა. უფრო მეტიც, საქართველოს ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოითხოვეს კათოლიკოს-პატრიარქის გადადგომა. მათ შეიმუშავეს ახალი ეკლესიის პროექტი, რომელიც აუქმებდა კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობას, ეკლესიის კანკელს ცვლიდა მოაჯირი, ტაძრიდან უნდა გაეტანათ ხატები, იკრძალებოდა საცეცხლურისა და საკმევლის გამოყენება, წირვის დროს სამოციქულოს წაკითხვა არასავალდებულოდ ცხადდებოდა, შვიდი საიდუმლოდან ამოიღეს სინანული, იკრძალებოდა ბერ-მონაზვნობა, ზიარება, მარხვა, მცირდებოდა საეკლესიო დღესასწაულებიც, ძველი ქართული საგალობლები რევოლუციური ჰიმნებით უნდა შეცვლილიყო. ასეთი რეფორმირებული ეკლესია მისაღები იყო საოკუპაციო ხელისუფლებისათვის. ისინი, ვინც ასეთ რეფორმებს მიუღებლად მიიჩნევდა, რეაქციონერებად მონათლეს, ხოლო რეფორმატორები - „თანამედროვე აზროვნების პროგრესულ სამღვდელოებად“, რომელთანაც შესაძლებელი იყო თანამშრომლობა.

1925 წელს საპყრობილიდან გამოსულმა კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ რეალურად შეაფასა შექმნილი ვითარების სირთულე და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ტრადიციების შენარჩუნების მიზნით, თავისი პოზიციების გასამყარებლად, აკურთხა ახალი მღვდელმთავრები: კალისტრატე (ცინცაძე), მელქისედეკი (ფხალაძე), პავლე (ჯაფარიძე), ეფრემი (სიღამონიძე)... ხელისუფლებისაგან გათამამებულმა რეფორმატორებმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის გვერდის ავლით 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო კრება, დაშლილად გამოაცხადეს

საკათოლიკოსო საბჭო, შექმნეს საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა მიტროპოლიტ ქრისტეფორეს ხელმძღვანელობით. უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ თვითმარქვია კრება უკანონოდ გამოაცხადა, მაგრამ ე.წ. რეფორმატორებმა ისევ პატრიარქის გვერდის ავლით რეგისტრაციაში გაატარეს დროებითი მმართველობა, აიძულეს მიტროპოლიტი კალისტრატე, გადამდგარიყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან, 1927 წლის 4 იანვარს, შინაგან საქმეთა კომისარიატის დახმარებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჩამოართვეს საეპარქიო კანცელარიის გამგებლობა, საპატრიარქოს ბეჭედი... ხელისუფლებისათვის უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი მიუღებელი იყო, ამიტომაც ყველანაირად ხელს უწყობდა რეფორმატორებს. პატრიარქის დასუსტებულმა ორგანიზმმა ამდენ განსაცდელს ვეღარ გაუძლო და 1927 წლის 29 მარტს, დილის 3 საათზე, იგი გარდაიცვალა. 3 აპრილს უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. ქართველი საზოგადოება დიდი მწუხარებით გამოეთხოვა ეროვნული და ეკლესიური თავისუფლებისათვის მებრძოლ დიდ მამულიშვილს.

ათეული წლები დასჭირდა ბოლშევიკური სტერეოტიპებისაგან საზოგადოებრივი აზროვნების გათავისუფლებას. XX საუკუნის 20–80-იან წლებში ოფიციალურად „რეაქციონერ ანტისაბჭოელად“ მიჩნეული წამებული კათოლიკოსის – ამბროსის სიტყვები, ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამდღებელი ხმა და მსჯავრი მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, გამართლდა. 1995 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი წმინდანად შერაცხა...

1927 წლის 21–27 ივნისს გამართულმა მე-4 საეკლესიო კრებამ დაამტკიცა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება, მიიღო დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციცქიშვილი) აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ შეცდომად მიიჩნია საბჭოთა ხელისუფლებისადმი კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის დამოკიდებულება და საოკუპაციო ხელისუფლებასთან ლოიალობისა და თანამშრომლობის კურსი გამოაცხადა. საბედნიეროდ, რეფორმების ის პროექტი, რომელიც თავის დროზე მათ შეადგინეს, საეკლესიო ცხოვრებაში არ გატარებულა. ახალი პატრიარქი შეეცადა საბჭოთა ხელისუფლებასთან

თანამშრომლობით შეესუსტებინა ხელისუფლების აგრესიული ანტირელიგიური პოლიტიკა, მაგრამ უშედეგოდ. ოფიციალურად ხელისუფლება აღიარებდა სინდისის თავისუფლებას, მაგრამ რეალურად სასტიკად დევნიდა სასულიერო პირებს, უწესებდა დიდ საშემოსავლო გადასახადებს და აიძულებდა, თავი დაენებებინათ სასულიერო სამსახურისათვის. 1927–1928 წლებში თბილისში გაძარცვეს ვერის წმიდა ნიკოლოზის, კუკიის წმიდა ნინოს, მთაწმინდის, ავლაბრის ეკლესიები. სრული განუკითხაობა იყო პროვინციებშიც. კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის მიმართვები, პროტესტი ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი რეაგირების გარეშე რჩებოდა. ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრივ უკანონობის არაერთი მაგალითი შეიძლება გავისენოთ: თერჯოლაში მღვდელ ირაკლი გურგენიძეს „თემკომის“ თავმჯდომარეობაში მიწის წართმევით დაემუქრა, სიღნაღში სოფელ აფენის თემსაბჭოს თავმჯდომარემ ლალიაშვილმა მღვდელი დემეტრეშვილი სოფლიდან გააძევა, რაჭის სოფელ წესის მღვდელ გიორგი გოცირიძეს ადგილობრივი თემსაბჭოს თავმჯდომარემ ხელწერილი დააწერინა, რომ იგი მღვდლობაზე უარს იტყოდა. მაშინდელ სავალალო ვითარებას ასახავს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორეს III-ის წერილი საქართველოს სსრ შინსახკომისა და თბილისის აღმასკომისადმი: „მე მაქვს წარმოდგენილი დეკლარაციები ჩემი შემოსავლისა 1929–1930 წლებში, მაგრამ იმდენი გადასახადები შემომავწერეს, რასაც ვერ გადავიხდი. ფინანგენტმა აღწერა ჩემი ბინა და გასაყიდი ნივთები... ვთხოვ აღმასკომს, მოახდინოს განკარგულება, სრულიად მომეხსნას გადასახადები, როგორც მცირე შემოსავლიანს და მძიმედ დასწეულებულს, ხოლო თუ ეს არ შეიძლება ჩემთვის, მაშინ როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, გადასახადები ჩემი ფაქტიური შემოსავლის მიხედვით გადამხდეს.“[23, 2100, 1, 31]

თუ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ასე უჭირდა, რა მდგომარეობაში იქნებოდა პროვინციებში ჩვეულებრივი სამღვდელთა სასულიერო პირობა, ანაფორისა და ჯვრის ტარება გმირობის ტოლფასი იყო. ბოლშევიკური ხელისუფლება პროვინციებში ადგილობრივი კომკავშირლებისა და პარტიული ლიდერების მეშვეობით აგრძელებდა ეკლესია-მონასტრების ნგრევას, სასულიერო პირების განმოსვასა და მათგან ღვთის მკობი წერილების მოპოვებას მათ ოჯახებზე ფსიქოლოგიური ტერორის გზით. საქართველოში მოქმედი „უღმერთოთა კავშირი“, „ანტირელიგიური უნივერსიტეტი“ ატარებდნენ ფართო სააგიტაციო მუშაობას, რათა მოსახლეობა ღვთის რწმენიდან მარქსიზმ-

ლენინიზმის აღიარებაზე გადაეყვანათ. ასეთ ვითარებაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლა შესუსტდა, გაწყდა კონტაქტი მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან, რუსეთის ეკლესია კვლავ უარს ამბობდა საქართველოს ეკლესიასთან ექვარისტული კავშირის აღდგენაზე. როდესაც მსოფლიო პატრიარქმა ბასილი III-მ კონსტანტინოპოლის ეკლესია ახალ სტილზე გადაიყვანა, მან მხარდაჭერა სთხოვა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას. 1927 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ინიციატივით, საქართველოს სამოციქულო ეკლესია ერთი წლით გადავიდა ახალ სტილზე, მაგრამ იმდენი წინააღმდეგობა შეხვდა მას, რომ იძულებული გახდა 1928 წელს საგანგებო ბრძანებულებით ისევ გაეუქმებინა იგი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საეკლესიო დღესასწაულების ძველი სტილით აღნიშვნას დაუბრუნდა.

1932 წლის 10 იანვარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III გარდაიცვალა. საგანგებოდ შეკრებილმა საკათოლიკოსო სინოდმა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ცინცაძე) დაამტკიცა. უწმიდესი და უნეტარესი ქრისტეფორე III დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მე-6 საეკლესიო კრებამ, რომელიც 1932 წლის 21 ივნისს გაიმართა თბილისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე. 24 ივნისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა მისი აღსაყდრება.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიისათვის უმძიმეს უამს მოხდა მიტროპოლიტ კალისტრატეს პატრიარქად კურთხევა. მისი ოპონენტებიც კი აღიარებდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში ყველაზე სწორი არჩევანი გაკეთდა. ქუთათელი მიტროპოლიტი დავითი (კაჭახიძე) გულახდილად აცხადებდა: „კალისტრატე ინტელექტუალი და მოქმედებითაც უპირატესია, შეიძლება ზოგიერთი ჩვენთაგანი ყველაფერს მისი მსოფლმხედველობისას არ იზიარებდეს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ იგი ჩვენს შორის პირველია ჭკუით, ცოდნით, განვითარებით, საქმიანობით, გამოცდილებით.“[15, 179]

უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ თავისი საქმიანობა ოთხი მთავარი პრობლემის მოსაგვარებლად წარმართა: 1. ეკლესია-მონასტრების ადმინისტრაციული წესით დახურვისა და მათი ძარცვა-რბევის პროცესის

შეჩერება; 2. ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის კურსის შენარჩუნება; 3. საეკლესიო პირების მიმართ ხელისუფლების საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული სულის შემხუთველი გადასახადების შემცირება, სინდისის თავისუფლების კანონის რეალურ ცხოვრებაში გატარება; 4. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის ბრძოლა.

ხელისუფლებისაგან წაქეზებული ბოროტმოქმედები კვლავ აგრძელებდნენ ეკლესია-მონასტრებზე თავდასხმას. შიომღვიმის მონასტრის ბერები, ილარიონი და კვიპრიანე, ერთ-ერთი თავდასხმის დროს მოკლეს; უცნობმა ბოროტმოქმედებმა დაარბიეს კაბენის მონასტერი; 1937 წლის სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლი გახდნენ სასულიერო პირები: ბესარიონ ვაშაძე, მიხეილ ნანეიშვილი, იოსებ მირიანაშვილი, ილარიონ ოქროპირიძე, გიორგი ეპიტაშვილი, ივანე ჩიტაძე, ერმილე გოგოლიშვილი, ივანე ქააძე, მალაქია წიკლაური, სამსონ მძინარიშვილი, იოანე ბობოხიძე, პროკოფი ჩიგოვიძე, გიორგი დარჩია, ელიზბარ ანჩაბაძე, გიორგი წულაია, ივანე ფანცულაია, აპოლონ აფხაიძე, ნიკოლოზ ბეშქარიძე; გადასახლებაში გარდაიცვალა მიტროპოლიტი ვარლამი (მახარაძე), მღვდლები: გიორგი მაჭავარიანი, არსენ ჯანელიძე, ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილი, ნესტორ ჯალაღონია, ალექსანდრე ცქიფურიშვილი, ექვთიმე ნანეიშვილი. დააპატიმრეს და გადაასახლეს ეპისკოპოსი ეფრემი (სიდამონიძე), მღვდელი ტერენტი ობოლაძე, მთავარდიაკონი ამბროსი ახოზაძე...

ხელისუფლება კიდევ უფრო უზრდიდა სასულიერო პირებს საშემოსავლო გადასახადებს. დახურვის საფრთხის წინაშე დადგა თბილისის სიონი და მცხეთის სვეტიცხოველი. ქაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის ადგილზე განზრახული იყო აბანოს აშენება. კათოლიკოს-პატრიარქი გამოიძახეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს საქმეთა მმართველ ი. მირიანაშვილთან. „გამოვცხადდი 2 საათზე, – წერს უწმიდესი კალისტრატე, – პირადად არ მიმიღო, თანაშემწე მ. დავითაშვილს დააბარა საგადასახადო შედავათებზე უარი ეთქვასო“ [21, 70, 31]

უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე გრძნობდა შექმნილი ვითარების მთელ სერიოზულობას, ეკლესიისადმი ხელისუფლებისა და მისი პროპაგანდით დაბრმავებული ხალხის განწყობას. „ძველად სამღვდელოება იყო ინტელიგენცია, მაღალი შეგნებული წრე, იგი ხელმძღვანელობდა ხალხის განათლების საქმეს, მოწინავე იყო საზოგადოებრივ ასპარეზზე... ახლა ჩვენ ხალხს ვესაჭიროებით მხოლოდ საეკლესიო წესების ასრულებისათვის... მთავარია, როგორმე

სიცოცხლე შევინარჩუნოთ, როგორმე ეკლესიები ნგრევას გადავარჩინოთ, როგორმე სარწმუნოება შევინახოთ“[24, 102, 354] - აღნიშნავდა თავის ჩანაწერებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე. პატრიარქი ცდილობდა, არსებული კანონმდებლობის მოშველიებით, განემარტა ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის, რომ უსამართლო იყო მათი მოქმედებანი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მიმართ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანისათვის გაგზავნილ წერილში უწმიდესი კალისტრატე აცხადებდა: „ფინანსთა სასკომის ინსპექტორების ასეთი შეუზღუდავი თავისუფლება რამდენიმე დღეში ბოლოს მოუღებს ათასეკესასწლოვან საქართველოს ეკლესიას, სასულიერო პირები დიდი გადასახადების გამო იძულებულნი იქნებიან თავი გაანებონ სამსახურს... სანამ საბჭოთა კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი 124-ე მუხლი, ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული და ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს სამოციქულო ეკლესია, აღგვილი პირისაგან მიწისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი“[24, 102, 130] კიდევ რამდენიმე წელი და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღარ იქნებოდა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. საბჭოთა პარტიული და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთელი საბჭოთა ხალხის მონოლითურ ერთობას. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნა იოსებ სტალინმა 1941 წლის 3 ივლისს რადიოთი გამოსვლისას. 24 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ოფიციალური განცხადებით დაგმო გერმანული ფაშიზმი და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მოქმედ ტაძრებში დაიწყო თანხის შეგროვება წითელი არმიის დასახმარებლად. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ შეასუსტა ეკლესიაზე ზეწოლა. უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ მოახერხა ოფიციალურ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვა. ადმინისტრაციული წესით დახურული ზოგიერთი ეკლესია გაიხსნა, გადასახლებიდან დაბრუნდნენ სასულიერო პირები. 1945 წლისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მოქმედი იყო 29 ეკლესია, რომელთაც ემსახურებოდა 5 მღვდელმთავარი, 41 შტატიანი მღვდელი, ორი მთავარი დიაკონი... მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მაინც სავალალო რჩებოდა. საქართველოს

მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ურთიერთობას. ქართული მხარე, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები – კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე – ყველანაირად ცდილობდნენ მოეწესრიგებინათ ურთიერთობა ორ ეკლესიას შორის, მაგრამ რუსულ მხარეს არაფრის გაგონება არ სურდა. ასე იყო პატრიარქ ტიხონის დროს და ასეთივე პოლიტიკა გაგრძელდა 1925–1943 წლებში.

1943 წლის 14 სექტემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ ოფიციალური წერილით მიულოცა უწმიდეს სერგის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად არჩევა და გამოთქვა ქართულ და რუსულ ეკლესიებს შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენის სურვილი. საპასუხო წერილში პატრიარქი სერგი წერდა, რომ იგი მზად იყო მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ ორ ეკლესიას შორის არსებული პრობლემები. 1943 წლის ოქტომბერში, რუსეთის ეკლესიის სახელით, სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსმა ანტონმა სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ მორწმუნეთ აცნობა, რუსეთის ეკლესია ოფიციალურად აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას. პატრიარქმა სერგიმ 1943 წლის 31 ოქტომბერს საქართველოში მცხოვრებ რუსებს ამ სიტყვებით მიმართა: „დამთავრდა განხეთქილება ეკლესიური, ეჭვი წარსულს ჩაბარდა. რუს მრევლს საქართველოში უფლება ეძლევა ილოცოს ქართულ ტაძრებში, მიიღოს წმიდა საიდუმლოებანი, ვადიდოთ საქართველოს ღვთის სათნომყოფელთა ნათელი კრებული: საქართველოს განმანათლებელი, მოციქულთა სწორი ნინო და ქართველი მოღვაწენი, რომელნიც რუსეთის წმიდა ნათლობამდე მრავალი წლით ადრე უკვე ანათებდნენ მსოფლიოში ქრისტეს მადლს“ [15, 211]

1945 წლის იანვარ-თებერვალში პატრიარქი კალისტრატე ოფიციალური მიწვევით იმყოფებოდა რუსეთში. შემდეგ პატრიარქი ალექსი I ჩამოვიდა საქართველოში. ორ ეკლესიას შორის აღდგა ევქარისტული კავშირი, დაიწყო მჭიდრო თანამშრომლობა. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ომის წლებში იოსებ სტალინის წერილებს იღებდა, ქვეყნის პირველი პირი გამოხატავდა მადლიერებას პატრიარქისა და მორწმუნე მრევლის მიმართ, რომელიც შეწირულობებს აგზავნიდა წითელი არმიის მეომრებისათვის. უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე ომის შემდგომაც უგზავნიდა იოსებ სტალინს მისალოც წერილებს, საეკლესიო კალენდრის ყოველწლიურ ნომრებს. „კაცთა შორის

რჩეულო, დიდო ქართველო“, – ასე მიმართავდა იგი მას. ამ ურთიერთობათა წყალობით, უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას დაუბრუნა იურიდიული სტატუსი.

პატრიარქის მოთხოვნები ადგილობრივი ხელისუფლებისადმი უფრო მძაფრი და კონკრეტული გახდა. იგი ითხოვდა საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნებას, საპატრიარქო ჟურნალის გამოცემას, ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების გახსნას. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის – კალისტრატეს ხელისუფლებასთან გონივრული კომპრომისების წყალობით საქართველოს სამოციქულო ეკლესია გადაურჩა განადგურებას. პატრიარქმა მოახერხა გაუცხოებული მრევლის ეკლესიისაკენ მობრუნება, ინტელიგენციასთან მჭიდრო თანამშრომლობა, არაქართული სამრევლოების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციაში შემოყვანა, საქართველოს ეკლესიისათვის საერთაშორისო ავტორიტეტის მოპოვება. იგი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, გარდაიცვალა 1952 წლის 3 თებერვალს. 10 თებერვალს უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სიონის საპატრიარქო ტაძარში დაკრძალეს.

1952 წლის 5 აპრილს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-9 საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე). იგი ჯერ კიდევ 1943 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გამოარჩია კათოლიკოს–პატრიარქის მოსაყდრედ და ურჩია: „გთხოვთ, ჩემს მიერ აღებულ გეზსა და მიმართულებას ნუ შეცვლით. ეს არ ივარგებს. ეკლესიისა და პირადად თქვენთვის არ იქნება საზიანო.“[24, 43, 1]

პატრიარქ მელქისედეკ III–ს ურთულეს პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელისუფლების სათავეში მოვიდა ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც 20–50–იანი წლების სისხლიანი რეპრესიების მთელი სიმძიმე მხოლოდ იოსებ სტალინს დააკისრა და დაგმო მისი „პიროვნების კულტი“. ნ. ხრუშჩოვის მითითებით, ახალი იერიში მიიტანეს ეკლესიებზე. ახალ პარტიულ ბელადს მიაჩნდა, რომ XX საუკუნის 60–70–იან წლებში შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენება, აქედან გამომდინარე, სრულიად მიუღებელი იყო „წარსულის მავნე გადმონაშთად“ მონათლული ქრისტიანული სარწმუნოება. ეკლესია–მონასტრების დახურვა დაიწყო როგორც რუსეთში, ასევე – ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში. ნ.

ხრუშჩოვს მიაწერენ შემდეგ სიტყვებს: უკანასკნელ უკრაინელ ან ქართველ მღვდელს ტელევიზიით გაჩვენებთ და ქვეყანაში მასობრივი ათეიზმი დაისადგურებსო. იდეოლოგიური დარგის პარტიულ მუშაკებს ევალებოდათ, გაეკლიერებინათ ანტირელიგიური პროპაგანდა. 1944 წელს საბჭოთა კავშირში შეიქმნა რელიგიის საქმეთა კომიტეტი, რომელსაც თავისი რწმუნებულები ჰყავდა საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. რწმუნებულთა აპარატს, რომელიც უშიშროების თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, ევალებოდა მკაცრად გაეკონტროლებინა ეკლესიებში მიმდინარე პროცესები. რწმუნებულის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იყო დიაკვნის, მღვდლის, ეპისკოპოსის კურთხევა, ეპარქიებში სასულიერო პირების გაგზავნა. რელიგიის საქმეთა რწმუნებულები იყვნენ ურწმუნონი და ხელისუფლების პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან რელიგიის საქმეთა რწმუნებულები უხეშად ერეოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობაში. ძველი თაობის სასულიერო პირები თანდათან ტოვებდნენ სამოღვაწეო ასპარეზს, ახლების მომზადებისათვის კი საქართველოს სამოციქულო ეკლესიას არ ჰქონდა არც სემინარია და არც აკადემია. ჯერ კიდევ კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ლეონიდეს სურდა სასულიერო სემინარიის გახსნა, რაც განუხორციელებელ სურვილად დარჩა კათოლიკოს-პატრიარქების ამბროსის, ქრისტეფორეს და კალისტრატეს დროსაც. უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ მთავრობის წინაშე დააყენა საკითხი „საქართველოს ეკლესიის უწყებანი“-ს გამოცემის ნებართვის თაობაზე. ამავე დროს მან რელიგიის საქმეთა რწმუნებულ მ. მექვაბიშვილს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „პატივისცემით მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიას მღვდლობის კანდიდატების მომზადებისათვის სკოლა არ აქვს, ამიტომ გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ მოგვეცეს ნებართვა, სიონის ტაძართან გაეხსნათ უვადო კურსები მღვდლების კანდიდატების მოსამზადებლად; ამასთან, საჭიროა მოგვეცეს ნებართვა, რომ ეკლესიებში კედელზე გავაკრათ განცხადება კურსების გახსნის შესახებ და მოვუწოდოთ მსურველებს განუცხადონ თავიანთი სურვილი კურსების გამგეს“[25, 269]. ოფიციალურმა ხელისუფლებამ პატრიარქის თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა, ხოლო საზოგადოებაში გაავრცელა დეზინფორმაცია, პატრიარქს არ სურს სასულიერო სასწავლებლის გახსნაო. ხელისუფლების მიერ იყო ინსპირირებული მცდელობა შიდასაეკლესიო დაპირისპირებისა, რათა შიდა

პრობლემების ფონზე ეკლესიას ნაკლები დრო დარჩენოდა რეალური საქმეების საკეთებლად. მიუხედავად ამისა, პატრიარქმა მელქისედეკ III-მ მოახერხა ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება, მოაწესრიგა დიდუბის, ხაშურის, დაიბრუნა ბოდბის, მოწამეთას ეკლესიები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ცდილობდა მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიებთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ ყოველ ასეთ მცდელობას წინ ეღობებოდა ოფიციალური ხელისუფლება...

1960 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III. სასწრაფოდ შეიკრიბა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი. სინოდის წევრთა უმრავლესობამ იცოდა განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III-ის წერილობითი განკარგულების შინაარსი, რომლის თანახმადაც პატრიარქის მოსაყდრედ ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევედარიანი) ცხადდებოდა. სინოდის სხდომაზე უხუცესმა მღვდელმთავარმა დიმიტრიმ (იაშვილი) განაცხადა, რომ საქართველოს ეკლესიისათვის ესოდენ რთულ ვითარებაში უმჯობესი იყო მოსაყდრედ გამოცდილი, დამსახურებული მიტროპოლიტი ეფრემი (სიღამონიძე) აერჩიათ. სინოდის წევრთა უმრავლესობა დაეთანხმა მიტროპოლიტ დიმიტრის მოსაზრებას. 11 იანვარს ურბნელმა მიტროპოლიტმა დავითმა უარი განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეობაზე მიტროპოლიტ ეფრემის სასარგებლოდ. უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1960 წლის 19–20 თებერვალს მე-10 საეკლესიო კრებამ „სრულიად საქართველოს ეკლესიის სამღვდელმან დასმან წმიდათა მღვდელმთავართა და განკარგულთა კრებულმან და ყოველმან მორწმუნეთა საქართველოსათა, ერთითა ნებითა, ერთითა გულითა და ერთითა პირითა აღირჩიეს შთაგონებითა ღმრთისათა მთავარეპისკოპოსად მცხეთისა და თბილისისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად მაღალყოვლადუსამღვდელოესი ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ეფრემი“ [26, 902] იმავე წლის 21 თებერვალს სვეტიცხოვლის ტაძარში შესრულდა პატრიარქის აღსაყდრება. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II შეუდგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებას. პატრიარქი თითოეული სასულიერო პირის გარდაცვალებას მტკივნეულად განიცდიდა, ვინაიდან შემცველნი აღარ იყვნენ. „აი, ჩვენ, მოხუცებულები, მივდივართ და შემცველნი აღარავინ რჩება. რატომ გაუბრუნდა ქართველი ერი

თავის მშობელ ეკლესიას?... განა იმიტომ, რომ ღვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერის წინაშე?“[26, 902] – გულისტკივილით აღნიშნავდა იგი. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II რელიგიის საქმეთა რწმუნებულის – ა. შალუტაშვილის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში წერდა: „პატრიარქად არჩევის შემდეგ, ახლო გავეცანი რა საქართველოს ეკლესიის სინამდვილეს, ვსცანი, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა მისი სამწუხარო მდგომარეობა, კატასტროფას ვერ გადაურჩებოდა... განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში იყო ღვთისმსახურთა რაოდენობა. ეს პრობლემა მძიმე ლოდივით ადევს ქართულ ეკლესიას... საფრთხეს უმზადებს მას. 1962 წლის 3 ივლისს მომეცა შესაძლებლობა, მქონოდა აუდიენცია საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, ბატონ გივი ჯავახიშვილთან. ჩემი მოხსენების შემდეგ მან ბრძანა: რახან არსებობს ეკლესია, მას კიდევ უნდა ჰქონდეს სკოლაც და გამომცემლობაც. ამას ისმენდა ჩემს გვერდით მჯდომი მაშინდელი რწმუნებული ბატონი მ. მექვაბიშვილი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთდა.“[27, 576, 4773]

სასულიერო სასწავლებლისა და გამომცემლობის არარსებობის გარდა, პრობლემად რჩებოდა საპატრიარქო რეზიდენციის საკითხი. უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II მოითხოვდა 1923 წელს საპატრიარქოსათვის ჩამორთმეული რეზიდენციის დაბრუნებას ან ახლის აშენების ნებართვას. რთული ვითარება იყო ეპარქიებში, სადაც მღვდელმთავრებს ავიწროებდნენ ადგილობრივი პარტიული და შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომლები, ალავერდელ ეპისკოპოს დავითს (ბურდილაძე) ედაგებოდნენ, თუ 1962 წელს რატომ მივიდა ალავერდობის დღესასწაულზე ტაძარში, ემუქრებოდნენ დაპატიმრებით. გორის მორწმუნე საზოგადოებას სურდა ქალაქში ტაძრის გახსნა, მაგრამ ხელის მომწერთ სამსახურიდან დათხოვნით ემუქრებოდნენ. გაზრდილი საშემოსავლო გადასახადის გადახდას ვერ აუდიოდნენ სასულიერო პირები, მღვდელმთავრები, თვით პატრიარქიც იძულებული გახდა წერილით მიემართა მთავრობისათვის, რათა სიცხადე შეეტანა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკაში.

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის წინააღმდეგ ამხედრებდნენ ცალკეულ სასულიერო პირებს, მორწმუნეებს. „დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების – კალისტრატეს ან მელქისედეკის დროს იყო. ძალიან გართულებულ გარემოცვაშია ჩვენი ეკლესია, შეიძლება გულშემბატკივარი ბევრი ჰყავდეს, მაგრამ აქტიურ მომქმედთ ვერ ვხედავ“[28, 20] – სწერდა უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II ცნობილ ქართველ მწერალს იპოლიტე ვართაგავას. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის

აპარატის თანამშრომლები თითოეულ სასულიერო პირზე ადგენდნენ საშემოსავლო უწყისებს. კათოლიკოს-პატრიარქი ევრემ II რწმუნებულისაგან ულტიმატუმის ენით დაწერილ ასეთ მიმართვებს იღებდა: „კათოლიკოს-პატრიარქ ევრემ II-ს. გთხოვთ, დაავალდებულოთ პროტოდიაკონი ამბროსი ახობაძე, უყოყმანოთ დაფაროს საშემოსავლო დავალიანება. ამასთანავე, აიძულოთ ყველა ურჩი ღვთისმსახური, დაუყოვნებლივ გადაიხადოს გადასახადები“ [27, 3640]. „ურჩი“ პროტოდიაკონი კი კათოლიკოს-პატრიარქს თვალცრემლიანი სწერდა: ნახევრად მშიერი დავდივარ, ჩასაცემელის ფულიც არა მაქვს, როგორ გადავიხადო ეს საშემოსავლო გადასახადიო.

კვლავ გახშირდა ეკლესია-მონასტრების ძარცვა. „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში“ ეკლესიები საერთოდ უნდა გაუქმებულიყო და ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დაკმაყოფილებას არ აპირებდნენ. მიუხედავად ასეთი შევიწროებისა, უწმიდესმა და უნეტარესმა ევრემ II-მ აკურთხა 3 ახალი ეპისკოპოსი. მათ შორის იყო 1963 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული ილია ღუდუშაური-შიოლაშვილი, რომელსაც ჩააბარა შემოქმედის ეპარქია. მასვე მიანდო მცხეთაში ახლადგახსნილი სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობა. მეუფე ილია ყოველთვის განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავდა უწმიდესი და უნეტარესი ევრემ II-ის მიმართ. აი, რას სწერდა ახალგაზრდა მღვდელმთავარი მას: „თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო პატრიარქო და უნეტარესო მამამთავარო და ღვთით დადგენილო მამაო, წმიდა ევრემ ფილოსოფოსი ესრეთ გადმოგვცემს გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვებს: „ყოველთა მეუფემან ღმერთმან მაღალმან ერთი გპოვა შენ ღირსი მღვდელმთავარი თავისა თვისისა, ღირსად მსახური ნათესავსა ამას ჩვენსა შორის... ხმამაღალი ქადაგი ჭეშმარიტებისაი... და თვალი ბრწყინვალე ქრისტეანობისაი. დიახ, თქვენო უწმიდესობავ, მხოლოდ მაღალმან ღმერთმან და განგებამან უფლისამან გამოგარჩიათ და აღგიყვანათ ღირსი მამამთავრისა ტახტსა ზედა. თქვენ გაგივლიათ დიდი და მეტად რთული ცხოვრების გზა, გზა ექსორიობისა და განსაცდელისა. ღვთისგან რჩეული და ხელდასხმული ადამიანის ცხოვრება მუდამ გამოირჩევა სხვა მოქალაქეთა ცხოვრებისაგან. ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ის ახალგაზრდა ჭაბუკი გრიგოლ სიდამონიძე, რომელიც ხელს აწერდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აქტზე, მომავალში იქნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი? თქვენ თვითონ შეგეძლოთ ამის წარმოდგენა? იმ დროს

იდუმალი მარჯვენა ღვთისა, ფარული ყველასათვის, უკვე იყო თქვენ ზედა. უწმიდესო პატრიარქო კირიონ, ჩვენ გვწამს, რომ დღეს არა მარტო ხორციით, არამედ სულითაც იმყოფები ჩვენთანა. გრძნობდი თუ არა, რომ ის ახალგაზრდა სემინარიის სტუდენტი, რომელსაც მოკრძალებით შენთვის მოჰქონდა წიგნები, მომავალში იქნებოდა შენი მემკვიდრე? მე მესმის ხმა იდუმალი. დიახ, გული მითქმოლა“[27, 3603]

უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ 1963 წელს გამოსცა „ახალი აღთქმა“, განაახლა ყოველწლიური საეკლესიო კალენდრის გამოცემა. 1963 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია გაწევრიანდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში, რათა მას საერთაშორისო ტრიბუნა გამოეყენებინა საქართველოს ეკლესიის ინტერესებისათვის. 1962 წლის აგვისტოში უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II სიტყვით გამოვიდა ენევაში, სამშვიდობო კონფერენციაზე. ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საზღვარგარეთ გაემგზავრა. ამის შემდეგ იგი ლევილში შეხვდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს. უწმიდესისა და უნეტარესის – ეფრემ II-ის დროს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ გაააქტიურა ურთიერთობები მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან, მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებისაგან პრინციპულად მოითხოვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარება. პატრიარქი ხშირად სტუმრობდა მოსკოვს, ენშიაძინს, საპასუხო ვიზიტითაც ჩამოდიოდნენ საქართველოში უწმიდესი ალექსი I და სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მოახერხა, გაეგრძელებინა უწმიდესისა და უნეტარესის – კალისტრატეს ტრადიცია მეცნიერებთან, ინტელიგენციასთან თანამშრომლობისა. თავის დღიურში პატრიარქი წერდა: „მე მჯერა, ცხოვრება დაწყნარდება, მაშინ ეკლესიაც საპატიო ადგილს დაიჭერს საქართველოს სინამდვილეში“.[27, 4773, 32]

უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II გარდაიცვალა 1972 წლის 8 აპრილს. 1972 წლის 8 აპრილსვე შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევედარიანი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II 13 აპრილს დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში.

1972 წლის 1 ივნისს თბილისში გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-11 საეკლესიო კრება, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ურბნელი მიტროპოლიტი დავითი. 2 ივნისს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის აღსაყდრება, რომელსაც დაესწრნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I.

კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ს შთამბეჭდავი სიტყვით მიმართა ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ: „ქართველ ადამიანს სურს, დაინახოს თქვენში მაგალითი კეთილი მოძღვრისა, მოსიყვარულე და თავდადებული მამა, ლამპარი სარწმუნოებისა და ყოველივე სათნოებისა. ჩვენ გეწამს, რომ ეს ასეც იქნება, რადგან თქვენ გაქვთ ორმოცდაათწლიანი სულიერი ცხოვრების დიდი გამოცდილება. დღეს კაცთაგან მიუწვდომელმან განგებამან ღვთისმამან ჩაგაბარათ თქვენ სადავე ჩვენი ეკლესიისა. თქვენს წინაშე დღეიდან აღიმართა ქართული ეკლესიური და ეროვნული პრობლემები, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ღვთივდაცული ერის სარწმუნოებრივ-ზნეობრივი ამაღლება. ჩვენი აზრით, მტკიცე რწმენა და მაღალი ზნეობა არის საწინდარი ადამიანის ბედნიერებისა. ამას გარდა, არ უნდა შეწყდეს ხმა ჩვენი ეკლესიისა საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ჩვენი ეკლესია გამოდის, როგორც უძველესი დამოუკიდებელი ერთეული. ჩვენმა ეკლესიამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, რომელთაც ენატრებათ ქართული ენა, ქართული ლოცვა, მშობლიური მიწა, ისინიც ხომ საქართველოს პატრიარქის სულიერი შვილები არიან... ჩვენმა ეკლესიამ უნდა გააძლიეროს ხმა, მომწოდებელი მშვიდობისა, რათა დაემკვიდროს „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. ამისათვის თქვენ გესაჭიროებათ განათლებული მოძღვრები, ამისათვის საჭიროა ძლიერი სასულიერო სასწავლებელი, რომლის მიმართ თქვენი უწმიდესობა გამოიჩენს მამობრივ მზრუნველობას.“[29, 800] მიტროპოლიტი ილიას ეს სიტყვა იყო ქართველი საზოგადოების საუკეთესო ნაწილის გულისნადების გამოხატულება, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ეწინააღმდეგებოდა მიტროპოლიტ დავითის კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. შექმნილ დაპირისპირებას ეხმიანება მე-11 საეკლესიო კრებისადმი შედგენილი მიმართვა: „ჩვენ, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სინოდის წევრები, აღშფოთებას გამოვხატავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევასთან

დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის ირგვლივ, რომელიც გამოიხატება კერძო თუ კოლექტიური ხელმოწერილი და ანონიმური განცხადებებით, თავდასხმებით მოსაყდრე დავით მიტროპოლიტისადმი და მრავალი სხვა არასასიამოვნო ფაქტით. ვაცხადებთ, რომ ამ სამწუხარო ამბების მოთავე და ჩამდენი პირები არიან უძველესი საქართველოს ეკლესიის აშკარა მტრები, რომელთაც სურთ მის შინაურ ცხოვრებაში შეიტანონ არეუ-ღარევა, შექმნან ქაოსი და დაბრკოლება კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის მეტად სერიოზულ საკითხში“[27, 3868].

ვითარება კიდევ უფრო გართულდა, რაც, ცხადია, ხელს აძლევდა საერო ხელისუფლებას. მათ სურდათ შიდასაეკლესიო დაპირისპირების გაღრმავება და ამ დაპირისპირებაში მღვდელმთავართა ჩართვა. 1972 წლის 10 ნოემბერს მაშინდელი კიროვის რაიონის პროკურატურის წარმომადგენელმა დ. ქორიძემ წერილით მიმართა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას: „გთხოვთ, დაგვიწეროთ და გამოგვიგზავნოთ ახსნა-განმარტება შემდეგ საკითხებზე: 1. თქვენი ბიოგრაფია, 2. რა იცით განსვენებულ პატრიარქ ეფრემ II-ზე. 3. ახალი პატრიარქის არჩევნები სწორად ჩატარდა თუ გაქვთ რაიმე შენიშვნა. 4. ცნობილია თქვენთვის თუ არა ზემდგომ ორგანოებში ამ საკითხზე შემოსული საჩივრების ამბავი და რა აზრის ბრძანდებით ამის შესახებ?“[27, 3226]. მიტროპოლიტი ილია შესანიშნავად გრძნობდა, რა სურდა საერო ხელისუფლებას, ამიტომ პროკურატურის წარმომადგენელს მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი წერილით აგრძნობინა, რომ იგი არ აპირებდა ხელისუფლების მიერ დაგეგმილ პროვოკაციებში მონაწილეობას: „ბატონ დ. ქორიძეს. 1972 წლის 10 ნოემბრის თქვენ მოწერილობაზე მოგახსენებთ, ყოველგვარ თქვენთვის საინტერესო საკითხზე მიმართეთ საქართველოს საპატრიარქოს კანცელარიას. ილია – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი“[27, 3226]. 1972-1977 წლებში ოფიციალურმა ხელისუფლებამ კიდევ უფრო გააძლიერა ზეწოლა ეკლესიაზე. 1975 წელს, ადღგომის დღესასწაულზე, მორწმუნეთა დაშინების მიზნით, მოხდა აფეთქებები სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრების ეზოში. მკაცრი მეთვალყურეობა დაწესდა მცხეთის სასულიერო სემინარიის მისაღებ კონტიგენტზე.

პატრიარქ დავით V-ის დროს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამობრძანდა ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, მოსკოვისა და რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყოველთა სომეხთა პატრიარქი ვაზგენ I. უწმიდესი და უნეტარესი დავით V სტუმრობდა მოსკოვს, ეჩმიაძინს. პატრიარქს მძიმე

ავადმყოფობის გამო ბოლო წლებში უჭირდა თავისი მოვალეობის შესრულება. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: ვინ უნდა გამხდარიყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ახალი საჭეთმპყრობელი? შეძლება თუ არა იგი შექმნილი მძიმე ვითარებიდან გამოსავალის პოვნას? რა წინააღმდეგობები იყო გადასალახავი?

ქართველ მორწმუნე მრევლს, საზოგადოებას, არჩევანი გაკეთებული ჰქონდა ახალგაზრდა, განათლებული მღვდელმთავრის, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია ღუდუშაურ-შიოლაშვილის სასარგებლოდ, მაგრამ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ საზოგადოების სწორ არჩევანს...

1977 წლის 9 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე კიდევ ერთი ურთულესი გამოცდის წინაშე დადგა ჩვენი დედაეკლესია. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ იმ დროს შექმნილი ვითარების სრული სურათი, რომელიც აღდგენილია საარქივო მასალების საფუძველზე, მანამდე კი აუცილებელია მომავალი პატრიარქის ბავშვობიდან დავიწყოთ.

თავი II. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ცხოვრების გზის დასაწყისი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ერისკაცობაში ირაკლი გიორგის ძე ღუდუშაური-შიოლაშვილი, მოხევეა. ხევი ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საქართველოს ისტორიაში. საუკუნეთა მანძილზე მოხევენი მტკიცედ იდგნენ კავკასიონის გადმოსასვლელთან, დარიალთან, და საქართველოს მტრებს არ უშვებდნენ ქვეყნის სიღრმეში. V საუკუნის 40-იან წლებში მეფე ვახტანგ გორგასალმა ილაშქრა ჩრდილო კავკასიაში, დაამარცხა ალან-ოსები და ჩაკეტა დარიალის კარი. გადმოცემის თანახმად, მეფის ლაშქარში თავი გამოუჩენია სნოელ ღუდუშას, რომელსაც მეფემ პატივისცემის ნიშნად შვილი მოუნათლა. ღუდუშას შთამომავლები – ღუდუშაურები – განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ ხევის ცხოვრებაში. XVII საუკუნეში ხევში განთქმული იყო შიოლა ღუდუშაურის სახელი, რომლის შთამომავლებიც შიოლაშვილებად იწოდებიან. შიოლას შთამომავლები არიან: შარამბალი-სულუტა-გლახა-შაქრო-გაგა (იგივე გიორგი – უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მამა).

ხევი ცნობილია ქრისტიანული ეკლესიების სიმრავლით. მყინვარწვერის ფონზე გერგეტის სამება წარუშლელ კვალს ტოვებს მნახველზე. გასაოცარი ბუნება იშლება სამების ტაძრიდან. „შესაძლოა იმიტომ, რომ მე წარმოშობით მთის კაცი ვარ, ყველაფერს მირჩევნია მთის პეიზაჟი. ყველაზე თვალწარმტაცი სანახაობა ჩემთვის არის გერგეტიდან წმიდა სამებაში ასვლისას მთის ყვავილებით მოფენილი ფერდობების ხილვა. გარშემო საოცარი სილამაზეა“ [30, 370]. – აღნიშნავს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთსა და საქართველოს შორის ერთადერთი დამაკავშირებელი გზა დარიალზე გადიოდა. XIX საუკუნის II ნახევრის დიდი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის (ჩოფიკაშვილის) შემოქმედებაში მკაფიოდ აისახა თავისუფლებისმოყვარე ქართველების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ქართველებისთვის დღესაც აქტუალურია მწერლის სიტყვები, რომელიც მან თავის გმირს ათქმევინა: „არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, იმას გედავებიან და არ დაანებო!“

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთიდან სამშობლოში მომავალმა „თერგდალეულმა“ ილია ჭავჭავაძემ კი მოხვევ ლელთ ღუნისას პირით ქართველობას სანუკვარი მიზანი დაუსახა - „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

საქართველოს ამ გამორჩეულ კუთხეში ცხოვრობდნენ მომავალი პატრიარქის მშობლები: მამა - გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილი და დედა - ნატალია იოსების ასული კობაიძე.

გიორგი შიოლაშვილის ახალშექმნილი ოჯახი სწრაფად დამკვიდრდა. ხევში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, იწყებოდა ბოლშევიკური ექსპერიმენტი კოლექტივიზაციის სახით. ინდივიდუალური სოფლის მეურნეობა აზრს კარგავდა. სოფელს გაუჭირდა. გიორგი შიოლაშვილმა 1927 წელს ოჯახი დროებით საცხოვრებლად ქ. ვლადიკავკაზში (ძაუბში) გადაიყვანა, სადაც შეიძინა სახლი. ამ ქალაქში XIX საუკუნის II ნახევრიდან არსებობდა მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა, რომელიც სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული დედასამშობლოსთან.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახი ვლადიკავკაზში ცნობილი იყო, როგორც ღვთისმომადიდებელი და ღრმადმორწმუნე. 1933 წლის 4 იანვარს ოჯახს ახალი წევრი შეემატა, დაიბადა ვაჟი, რომელსაც მამამ მეფე ერეკლე II-ის პატივსაცემად ირაკლი დაარქვა. იმ დროს ვლადიკავკაზში ჯერ კიდევ იყო წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ტაძრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ტარასი კანდელაკი, კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ყოფილი მდივანი, გაჭირვებით, მაგრამ მაინც ახერხებდა ეკლესიის დაცვას როგორც ადგილობრივი საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების შემოტევებისაგან.

პატარა ირაკლი მონათლეს წმიდა ნინოს სახელობის ქართულ ეკლესიაში. მისი ნათლია – მონაზონი ზოილე დვალიშვილი – დიდი ხნის განმავლობაში მცხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი იყო. ნათლიას ნათლული ხშირად ჩამოჰყავდა მცხეთაში. ერთხელ, სვეტიცხოველობაზე, მან ყმაწვილი ირაკლი უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატესთან მიიყვანა და დაალოცვინა იგი. მომავალი პატრიარქის მრავალრიცხოვანი ოჯახი (დედა, მამა, ძმები: თეიმურაზი, შოთა, ვიქტორი, და – ნინო) ყოველდღე ლოცულობდა. „არ მახსოვს ჩემი თავი უფლისადმი რწმენისა და სიყვარულის გარეშე... თვით ჩემი ოჯახი იყო მორწმუნე და მშობლები ბავშვობიდანვე გვინერგავდნენ ღვთის სიყვარულს.

სახლში მუდამ გვექონდა ხატები, აუცილებლად ერთო კანდელი, ყოველ შაბათ-კვირას ეკლესიაში დავდიოდით,“[30, 375] – იხსენებს მისი უწმიდესობა.

გიორგი შიოლაშვილის ოჯახი მჭიდროდ იყო დაკავშირებული დედასამშობლოსთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძესთან. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდა 1938 წლის 24 თებერვლის შემდეგ, როდესაც გაუქმდა ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და დაიწყო მორწმუნე ქართველობის დევნა-შევიწროება. „ჩემი ბავშვობა, – აღნიშნავს მისი უწმიდესობა, – დაემთხვა საქართველოს ეკლესიისათვის მეტად მძიმე პერიოდს. სამღვდელოება იდევენებოდა, ეკლესიები იხურებოდა. ხალხს წირვა-ლოცვაზე დასწრებისა ეშინოდა. ჩვენს სახლს ხშირად აფარებდნენ თავს დევნილი სასულიერო პირები, თვეობით რჩებოდნენ ისინი ჩვენთან და წარუშლელ კვალს ტოვებდნენ პირადად ჩემს აზროვნებასა და ბუნებაზე.“[30, 14]

გიორგი შიოლაშვილის ოჯახთან მეგობრობდნენ მაჰმადიანი ქისტებიც. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს, ხშირად ისინი მათი სახლის სტუმრებისთვის გამოყოფილ ოთახშიც ლოცულობდნენ თავიანთი წესის მიხედვით, შემდეგ კი სტუმრები და მასპინძლები სადილზე ერთად იკრიბებოდნენ. გიორგი და ნატალია შიოლაშვილების დეაწლით, 1947 წელს ვლადიკავკაზში აშენდა ყოვლადწმიდა დეთისმშობლის საფარველის სახელობის ეკლესია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია მასალები, რომლებიც ადასტურებს ამ ფაქტს.

1952 წელს, უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს გარდაცვალების გამო, ვლადიკავკაზიდან ჩამოვიდა ქართველთა სათვისტომოს დელეგაცია, რომელსაც გიორგი შიოლაშვილი ხელმძღვანელობდა.

პატარა ირაკლი ზაფხულს ძირითადად სნოში, საგვარეულო სახლში, ატარებდა, უფროსებისგან ისმენდა ხალხურ თქმულებებს, დადიოდა სნოსა და თრუსოს ხეობებში, ათვალიერებდა მრავალრიცხოვან ციხე-კოშკებს, ეკლესია-მონასტრებს... იგი 1941 წლის სექტემბერში ქ. ორჯონიკიძის № 22 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლე გახდა. ოჯახური ტრადიციიდან გამომდინარე, პატარა ირაკლი დიდ დროს უთმობდა წირვა-ლოცვებს, თუმცა ეს ხელს არ უშლიდა კარგად ესწავლა სასკოლო საგნები. განსაკუთრებით იტაცებდა ისტორია, გეოგრაფია, უცხო ენა.

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. გერმანელთა ჯარებმა პირველ თვეებში მოახერხეს საბჭოთა კავშირის

სიღრმეში შემოჭრა. 1941 წლის შემოდგომაზე ისინი მიაღწენ მოსკოვს, საფრთხე შეექმნა კავკასიას. ვლადიკავკაზი ფრონტისპირა ქალაქად იქცა. გიორგი შიოლაშვილმა ოჯახი შექმნილ საფრთხეს განარიდა და მშობლიურ სნოში ჩამოიყვანა. ომის დამთავრების შემდეგ ირაკლი შიოლაშვილმა სწავლა განაგრძო ვლადიკავკაზის 22-ე სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1952 წელს. იმავე წლის ივნისში ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილის სახელზე ძაუჯიკაუს (ორჯონიკიძე – ვლადიკავკაზი) 22-ე სკოლამ გასცა ატესტატი № 946415. ახალგაზრდა ირაკლიმ გადაწყვიტა, სწავლა გაეგრძელებინა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც ღვთისმეტყველების შესწავლისათვის საუკეთესო პირობები იყო – გამორჩეული პედაგოგები, მდიდარი ბიბლიოთეკა, სემინარიის ზომიერად მკაცრი შინაგანაწესი. უწმიდესი და უნეტარესი სიევარულითა და მადლიერებით იხსენებს თავის პედაგოგებს, რომელნიც გამოირჩეოდნენ საოცარი პასუხისმგებლობითა და სიევარულით სტუდენტების მიმართ.

1956–1960 წლებში ირაკლი შიოლაშვილი ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტი. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცული დოკუმენტები სრულ წარმოდგენას გვიქმნის ირაკლი შიოლაშვილის მოსკოვის სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის პერიოდზე. I კურსის ნიშნების ფურცელი, რომელიც შევსებულია 1953 წლის 11 მაისს, გვამცნობს, რომ ირაკლი შიოლაშვილს ყველა საგანში აქვს „ფრიადი“, II კურსზე მხოლოდ ბერძნულში აქვს „4“, III კურსზე იგი კვლავ ფრიადოსანია.[27, 1264, 8265] ირაკლი შიოლაშვილმა I კურსზე სწავლის დროს საკონკურსოდ წარადგინა თხზულება, რომელმაც პირველი ადგილი დაიმსახურა. გამარჯვებული დაჯილდოვდა 50 მანეთით მიტროპოლიტ ფილარეტის ფონდიდან, ხოლო ტროცკი–სერგეევის ლავრამ მას 30 მანეთი გადასცა. საპატრიარქო არქივში დაცულია მისი ჩათვლის წიგნაკი (ნიშნების ფურცლები), რომელსაც ხელს აწერენ აკადემიის ინსპექტორი ვ. სარიჩევი და მდივანი ნ. მურავიოვი. აკადემიის კურსდამთავრებულ მღვდელმონაზონ ილიას ყველა საგანში ფრიადი აქვს.

აკადემიაში სწავლის პირველსავე წელს ირაკლი შიოლაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, უარი ეთქვა საერო ცხოვრებაზე და ბერად აღკვეცილიყო. 1957 წლის 16 აპრილს თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ის ღოცვა-კურთხევით, ეპისკოპოსმა ზინობმა ირაკლი შიოლაშვილი ბერად აღკვეცა და სახელად უწოდა ილია. როდესაც მეუფე ზინობმა ბერად აღკვეცილი ილია სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს მელქისედეკ III-ს წარუდგინა, გახარებულმა პატრიარქმა ამ სიტყვებით მიმართა მას: ათი შენისთანა რომ მყავდეს, საქართველოს ეკლესიას აღარაფერი გაუჭირდებაო. 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა მელქისედეკ III-მ ხელი დაასხა მას იეროდიაკუნად. 1959 წლის 10 მაისს უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ის წერილობითი ნებართვით რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა ზაგორსკის წმიდა სერგის სავანის სატრაპეზოში იეროდიაკონი ილია მღვდელმონაზვნად აკურთხა.

სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა დედაეკლესიისა და სამშობლოს სიყვრული. ამის დასტურია მისი წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-სადმი. წერილი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საჭიროდ მიმაჩნია მისი სრულად წარმოდგენა: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ... აქ, ჩვენ წრეში, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კადრი; 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა; 3) საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა.

ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი (საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ჟვანიაზე – ს.ვ.). და რომ მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ.

ზემოთმოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვაძლევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების

აღდგენა–განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება, საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა–განახლების შესახებ... საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალთ და კეთილი ნებით, შეიძლება ჩაყენებულ იქნან საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში.

ქართველი ერის სიამაყე, სიწმინდე და დიდება „სვეტიცხოველი“ არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმიდა მიდამოებში თქვენი ლოცვა–კურთხევით საეკლესიო მუზეუმ–წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდებით, მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, წმიდა ხატები, ჯვარი და სხვა აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში, ე.ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. მზად ვართ ამ დიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკაც. საადღომო არდადეგებისათვის შესაძლოა ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებითა და ლოცვა–კურთხევით, არსებული წესის დაცვით, სადღესასწაულო ქადაგებებით მიემართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვ თქვენს წმიდა ლოცვა–კურთხევას. ი. შიოლაშვილი, ზაგორსკი 1957 წლის 12 თებერვალი“.[25, 2718]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმძიმესი მდგომარეობა მოსვენებას უკარგავდა ახალგაზრდა სტუდენტს და ასეთი თამამი, მაგრამ სამართლიანი განცხადებით მიმართავდა იგი უწმიდესსა და უნეტარესს მელქისედეკ III–ს.

ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს მღვდელმონაზონმა ილიამ საკვალიფიკაციო თემად აირჩია „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“. რუსულენოვანი მასალების მოძიებისა და დამუშავების შემდეგ იგი შეხვდა ზაგორსკის აკადემიის რექტორს დეკანოზ კ. რუჟიცკის და სთხოვა მიეცა ნებართვა, რომ რამდენიმე თვით წამოსულიყო საქართველოში ქართულენოვანი ლიტერატურის სრულად შესწავლის მიზნით. 1959 წლის 4 ივნისითაა დათარიღებული რექტორ კ. რუჟიცკის მომართვა საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, ცენტრალური არქივის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის სახელზე, რათა თავიანთი დაწესებულებების ბიბლიოთეკებში, წიგნსაცავებსა და ხელნაწერთა განყოფილებაში სამუშაოდ დაეშვათ სასულიერო აკადემიის IV კურსის სტუდენტი მღვდელმონაზონი ილია (ირაკლი გიორგის ძე შიოლაშვილი). მღვდელმონაზონმა ილიამ რამდენიმე თვე იმუშავა თბილისის ბიბლიოთეკებში, ქართველი მეცნიერებისაგან მიიღო რჩევები.

1960 წლის ივნისში ზაგორსკის აკადემიაში შედგა მისი საკვალიფიკაციო ნაშრომის საჯარო დაცვა. ოფიციალურმა ოპონენტებმა – პროფესორებმა ნ. მურავიოვმა და ა. გეორგიევსკიმ – მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ნაშრომს. მოსკოვის ზაგორსკის სასულიერო აკადემიის რექტორმა საგანგებო წერილით მიმართა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს უწმიდეს ალექსი I-ს, რათა საუკეთესო ნაშრომისათვის დაეჯილდოებინა ღვთისმეტყველების კანდიდატი, მღვდელმონაზონი ილია. საქართველოს საპატრიარქო არქივში დაცულია ზაგორსკის აკადემიის მიერ მღვდელმონაზონ ილია შიოლაშვილის სახელზე გაცემული წარჩინების დიპლომი, რომელსაც ხელს აწერენ: აკადემიის რექტორი, დეკანოზი კ. რუჟიცკი, ინსპექტორი, არქიმანდრიტი პიტირიმი, მდივანი ა. ოსტაპოვი.[27, 1264, 826]

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ავტობიოგრაფიაში აღიშნავს: „სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, მე ყყოფილიყავი დატოვებული აკადემიაში პროფესორთა სტიპენდიატად, მაგრამ ჩემი ერის სიყვარულმა მიმატოვებინა ეს ყველაფერი და მომიყვანა საქართველოში.“[27, 1264, 826,8] იგი ეახლა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ეფრემ II–ს და ასეთი განცხადებით მიმართა: „თქვენო უწმიდესობავ! გაცნობებთ, რომ 1960 წელს დავამთავრე მოსკოვის სასულიერო აკადემია. გთხოვთ, მომცეთ სამსახური, გამგზავნოთ იქ, სადაც თქვენ სცნობთ საჭიროდ.“[27, 1264. 826, 10]. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ

მღვდელმონაზონი ილია ბათუმის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურად დანიშნა.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მიერ შედგენილ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1960 წლის 19 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II-ის მიერ აღყვანილ ვიყავი იღუმენის ხარისხში, 1961 წლის 16 სექტემბერს – არქიმანდრიტის პატივში“ [31, 1264, 2265]. 1963 წლის 23 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის – ეფრემ II-ის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელმაც ბათუმის წმიდა ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის მოადგილე, არქიმანდრიტი ილია, გამოარჩია შემოქმედელ ეპისკოპოსად. ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა შესრულდა კვირას, 25 აგვისტოს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. არქიმანდრიტ ილიას ეპისკოპოსად კურთხევას ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II, ურბნელი მიტროპოლიტი დავითი (დევდარიანი), ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (უვანია), სტეფანავანელი ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა).

მრავალმხრივ საყურადღებოა სიტყვა, რომელიც არქიმანდრიტმა ილიამ შემოქმედელ ეპისკოპოსად კურთხევის უამს წარმოთქვა: „თქვენო უწმიდესობავ! თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ღვთივგანგრძნობილნო მწყემსმთავარნო და მოძღვარნო! ნებითა ღმრთისათა და ბრძანებითა თქვენისა უწმიდესობის და უნეტარესობის კათოლიკოსისთანაი სამღვდელო სინოდის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მოწოდებულ ვარ მღვდელმთავრობის მაღლის მისაღებად სამსახურისათვის. ჩემთვის ფრიად ძნელია, გამოვთქვა შინაგანი სულიერი განცდანი და მღელვარებანი, რომლითაც ვარ ახლა გარემოცული, ამ ჩემთვის მეტად საღმრთო და საიდუმლო უამს. ვგრძნობ შიშსა და ძრწოლას, მაგრამ, ამავე დროს, სულიერ სიხარულს და იმედს, შიშსა და ძრწოლას განვიცდი, რადგან არ ვგრძნობ თავს საამისოდ მომზადებულად. უკეთუ ხანში შესული ხვაებარაქიანი დიდი პავლე მოციქული იტყვის: „ვიქადი მხოლოდ უძლურებითა ჩემითაო“. მე არღარა მეტქმის ამ სიტყბუკის წლებში, რომელ წელთა სიმცირეს არ მოუცია ჩემთვის საამისო გამოცდილება, მაგრამ მძიმე განცდების დროს მანუგეშებს და მამხნეებს ის მაღლი ღვთისა, რომელიც უნდა გარდამოვიდეს ჩემს უძლურებას ზედა თქვენი საღმრთო მარჯვენის ხელდასხმით. მე მწამს, რომ

ის, რომელიც არის დასაბამი და დასასრული ყოვლისა არსისა, ის, რომელიც გარდამოხდა ზეცით დაცემული კაცის აღსადგენად, შემაძლებინებს კეთილად წარვმართო ეს დიდი სამსახური. თუ თავით თვისით კაცს ვერ ძალუძს მიღებად ამ პატივისა, მიენიჭება მხოლოდ ღვთის მიერ მოწოდებულ (ებრაელთა 5,4)... ღმერთი შეეწევა და გაუწევს მფარველობას იმ კაცს, რომელიც ღრმად მორწმუნეა და გული გამთბარი აქვს ღვთისა და კაცის სიყვარულით. ღმერთი მიანიჭებს სიბრძნეს და გულისხმაყოფასა მას, რომელსაც აქვს შიში ღვთისა. ამისთანა კაცზედ იტყვის ბრძენი სოლომონი: „დასაბამი სიბრძნისა შიში ღვთისა არს“, ხოლო მღვდელმთავარს მუდამ სჭირდება სიბრძნე ღვთიური, გონებით იყვეს ბრძენი და მაღალი, ხოლო ცხოვრებით – უბრალო და მდაბალი. იყვეს ერთგული დარაჯი ქრისტეს ეკლესიისა, იყვეს შემოსილი უბიწო ცხოვრებით, ვითარცა ბრძანებს მოციქული პავლე. სიტყვისამებრ ბრძენი სოლომონისა, „რომელიც ვალს უბიწოდ, იგი ვალს უშიშრად“. ვხედავ რა ყოველივე ამაში შეურყეველს ნებას ღვთისა, თავმდაბლად მოვიხრი სულიერსა და ხორციელს ქედსა ჩემსა თქვენს წინაშე.

მამამთავართა მამამთავარო! წმიდა ყოვლადსამღვდელონო და მამანო და ესრეთ ვქადაგებ: გმადლობთ, მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და არარას მცირესა წინააღმდეგომსა ვიტყვი. გვედრებით, თქვენო უწმიდესობავ და ყოვლადსამღვდელონო, ოდეს დამდებთ ცხოველმყოფელი სულის მომნიჭებელთა ხელთა თქვენთა, მრჩობილ აღვაველენდეთ წინაშე ღვთისა ლოცვათა თქვენთა, რათა გარდამოსულმან სულმან წმიდამან აღავსოს ყოველივე ნაკლოვანებანი ჩემნი, რათა ვიქმნე სახედ მორწმუნეთა სიტყვით სვლით, სიყვარულით, სიწმიდით, რათა ჟამს მეორედ მოსვლისასა მოკრძალებით გარნა კადნიერებით წარვსდგე წინაშე მართალსა მსაჯულისა განცხადებად: „აჰა ესერა, მე და ყრმანი, რომელნი მომცნა მე ღმერთმან“ (ებრაელთა 2.13). ამინ“[31, 1264, 8265]

ეპისკოპოსი ილია დაინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. მასვე დაევალა 1963 წლიდან მცხეთის სამოძღვრო კურსების ხელმძღვანელობა. ახალგაზრდა მღვდელმთავარი ენერგიულად შეუდგა მცხეთის სამოძღვრო კურსების სასულიერო სემინარიად გადაკეთებისათვის ნიადაგის მომზადებას. აკადემიაში მიღებულმა ფართო განათლებამ მას საშუალება მისცა, მაღალ დონეზე დაეყენებინა როგორც დისციპლინა, ასევე – სასწავლო პროცესი. შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და სასწავლებლის დირექტორმა სემინარიაში სამუშაოდ მიიწვია ცნობილი მეცნიერები, შეადგინეს სასწავლო პროგრამები, სალექციო კონსპექტები,

სისტემატურად ტარდებოდა პედსაბჭოს სხდომები. იგი სასწავლებელში მომხდარ მნიშვნელოვან ღონისძიებებს უთანხმებდა უწმიდესსა და უნეტარესს ეფრემ II–ს. „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ, ზეგ საშობაოთ სტუდენტებს ვუშვებთ არდადეგებზე. ხვალ, 12 საათზე, ვფიქრობ პედსაბჭოს მოწვევას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იქნება, თუ ჩამობრძანდებით და დაესწრებით. ეპისკოპოსი ილია.“

უწმიდესი ეფრემ II პედსაბჭოს ყველა სხდომას ესწრებოდა. მცხეთის სასულიერო სემინარია შემოქმედელი ეპისკოპოსის ილიას თავდადებული შრომით ღირსეულ სასწავლებლად იქცა. მან მოახერხა სასწავლებლის წინაშე არსებული უამრავი პრობლემის გადალახვა. მცხეთის სასულიერო სემინარიის ავტორიტეტზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ აქაურ კურსდამთავრებულებს უგამოცდოდ იღებდნენ ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში. მეუფე ილია, შემდეგში უწმიდესი და უნეტარესი ილია II, ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა ზაგორსკის აკადემიას, აკადემია კი ამაყობდა თავისი კურსდამთავრებულით. 1978 წლის 16 თებერვალს ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ იგი თავის საპატიო წევრად აირჩია. პატრიარქი მოსკოვში ვიზიტისას აუცილებლად სტუმრობს ხოლმე ზაგორსკის აკადემიას.

1963–1967 წლებში მეუფე ილია მოღვაწეობდა შემოქმედის ეპარქიაში, ხოლო 1967 წლის 1 სექტემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ეფრემ II–ის ლოცვა–კურთხევით, ეპისკოპოსი ილია გადაყვანილ იქნა ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის მმართველად.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ცხუმ–აფხაზეთის ეპარქია ერთ–ერთი ყველაზე რთული ეპარქია იყო. XIX საუკუნეში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიაში რუსეთის ეკლესიური ინტერესების განმტკიცებას. დაიწყო ეპარქიიდან ქართველი სასულიერო პირების გამოძევება და მათი რუსებით ჩანაცვლების პროცესი. XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის გააქტიურების ფონზე, რუსეთის ხელისუფლებამ სცადა სოხუმის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფა, მაგრამ აფხაზეთის ქართველობის წინააღმდეგობის გამო ეს ვერ მოახერხა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ცხუმ–აფხაზეთის ეპარქიის რუსულმა სამრევლოებმა,

რუსეთის ეკლესიის ხელშეწყობით, უარი განაცხადეს, დამორჩილებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დანიშნულ ცხუმ-აფხაზეთის ქართველ მღვდელმთავრებს. ვითარება კიდევ უფრო გართულდა XX საუკუნის 20–30-იან წლებში, როდესაც ადგილობრივი სეპარატისტული ტენდენციების მატარებელი პარტიული ხელმძღვანელობა, ქვეყანაში არსებული საერთო ანტირელიგიური ბრძოლის ფონზე, კიდევ უფრო ავიწროებდა ქართველ სასულიერო პირებს, ეპარქიის მღვდელმთავრებს. 1937 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე (იგი 1944 წელს გადასახლებაში გარდაიცვალა). ვითარება შედარებით გამოსწორდა 1943 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის ეკლესიამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის რუსულენოვანი სამღვდელოება იძულებული გახდა, შერიგებოდა შექმნილ ვითარებას.

1938–1952 წლებში ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას განაგებდა მიტროპოლიტი ანტონი (გიგინეიშვილი), 1957–1964 წლებში კი – ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია). ამ დროს ეპარქიაში მოქმედი იყო 7 ეკლესია: სოხუმის წმიდა ნიკოლოზის, თავისუფლების, სასაფლაოს ეკლესია, ილორის წმიდა გიორგის, ლიხნის, უსპენსკის, გაგრის სამლოცველო სახლი. ღვთისმსახურთა უმრავლესობა არაქართველი იყო. წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე სრულდებოდა. მდგომარეობა არც 1965–1967 წლებში შეცვლილა, როდესაც ეპარქიას მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი) განაგებდა. ასეთი ეპარქია ჩაიბარა 1967 წელს ეპისკოპოსმა ილიამ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა რწმუნებული იყო გააფხაზეთული ქართველი ა. ლაგვილავა, რომელიც ყველანაირად ავიწროებდა სასულიერო პირებს, მორწმუნე მრევლს. ერთ-ერთ საიდუმლო წერილში, რომელიც მან საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნა, იგი წერდა, რომ აუცილებელი იყო სოფელ კამანში მეღორეობის ან მეფრინველეობის ფერმის აშენება. „ამით დაკავდება ის ფართობი, რომელსაც წმინდა ადგილად ცნობენ და, ამავე დროს, ადგილი აღარ ექნება მორწმუნეთა მასობრივ შესვლას წყალში განსაკურნებლად“ [23, 1880, 1, 29] – აცხობინებდა იგი კომისიის თავმჯდომარეს.

ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსმა ილიამ მოახერხა მრევლის შემოკრება. თუმის მღვდელმთავრობამდე მხოლოდ 2 ქართველი სასულიერო პირი მოღვაწეობდა ეპარქიაში, 1975 წელს ისინი უკვე თორმეტი გახდნენ. ეს იყო მეუფე ილიას

შორს გამიზნული პოლიტიკა, ასეთ ვითარებაში აფხაზი სეპარატისტები ვერ მოახერხებდნენ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში თავისი მიზნების განხორციელებას.

1969 წლის 17 მაისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ II-მ ეპისკოპოსი ილია მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა. 1972 წელს საქართველოს ეკლესიის წინაშე დიდი დამსახურებისათვის მან მიიღო მეორე პანაღის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს – სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება. მიტროპოლიტი ილია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახედ იქცა.

სამწუხაროდ, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც ყველანაირად ცდილობდნენ მიტროპოლიტ ილიასათვის ხელის შეშლას. 1972 წლის 26 მაისს იგი იძულებული გახდა, პირადი განცხადების საფუძველზე, დაეტოვებინა მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობა. მიტროპოლიტი ილია გულახდილად წერდა რექტორობიდან წასვლის მიზეზებზე. „როგორც მოგეხსენებათ, – მიმართავდა მიტროპოლიტი ილია წმიდა სინოდს, – 1963 წლიდან მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის დიდი შრომითა და მეცადინეობით, მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის ხელმძღვანელად ვიყავი დანიშნული. ეს იყო ახალი დიდი საქმე, რომელსაც სჭირდებოდა დიდი ენერჯია და გამოცდილება. არც მე და არც მასწავლებლები არ ვიშურებდით ძალას სემინარიის გაძლიერებისა და განმტკიცებისათვის. ამ წლების განმავლობაში ჩვენ შევხვედით ბევრ წინააღმდეგობასა და სიძნელეს. მიუხედავად ამისა, ჩვენ შევძელით სასწავლებელი მყარ ნიადაგზე დაგვეყენებინა. არ უარვყოფ იმას, რომ სემინარიის კურსდამთავრებულთაგან ყველამ ვერ გაამართლა ჩვენი იმედები და ვერ გამოიჩინა მოძღვრის მაღალი თვისებები... მიუხედავად ზოგიერთი არასასურველი ფაქტისა, ჩვენ ვხედავთ, რომ კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი თავდადებულად ემსახურება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტაძრებს. გულისტკივილით უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში, დახმარების ნაცვლად მესმოდა მხოლოდ კრიტიკა.“[31, 1264, 8265] დამაფიქრებელი იყო ყოველივე ეს.

ვითარება კიდევ უფრო გართულდა 1976–1977 წლებში. ამ დროს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები იყვნენ: თეორიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), ბათუმ-შემოქმედელი

მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). იერარქიულობის მიხედვით, ქართველ მღვდელმთავართა შორის უპირატესი იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელიც ითვლებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, მაგრამ 1977 წლის 10 სექტემბერს მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის მდივანმა გ. მშვიდლობაძემ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ ილიას. გაცნობებთ, რომ კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის ბრძანებით, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, მიტროპოლიტ რომანოზს, მიეცა პირველი ადგილი მიტროპოლიტთა შორის.“[32, 2, 1229]

**თავი III. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის
მე-12 საეკლესიო კრება, მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა-აღსაყდრება**

1977 წლის 9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, უწმიდესი და უნეტარესი დავით V (დევდარიანი). საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის ტრადიციის თანახმად, რომელიც ასახულია 1945 წელს დამტკიცებულ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებაში, კათოლიკოს-პატრიარქის მძიმე ავადმყოფობის ან გარდაცვალების შემთხვევაში წმიდა სინოდის ყველა წევრი იკრიბება საპატრიარქო რეზიდენციაში და, კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის თანდასწრებით, ხსნის სპეციალურ სეიფს, რომელშიც ინახება განსვენებული კათოლიკოს-პატრიარქის წერილობითი განკარგულება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის (მოვალეობის შემსრულებლის) თაობაზე. 9 ნოემბერს, დილის 10 საათიდან 19 საათამდე, წმიდა სინოდის წევრები – ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი – ელოდებოდნენ ბათუმ-შემოქმედელ და ჭყონდიდელ მიტროპოლიტ რომანოზს, მაგრამ იგი არ ჩამოვიდა თბილისში.

სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით წმიდა სინოდი მუშაობას შეუდგა. როგორც გაირკვა, არ არსებობდა უწმიდესისა და უნეტარესი დავით V-ის წერილობითი განკარგულება კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის ვინაობის შესახებ. 1945 წელს დამტკიცებული ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, ასეთ შემთხვევაში კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ ქიროტონით უხუცესი მღვდელმთავარი ცხადდება, რომელსაც ამტკიცებს წმიდა სინოდი. თითქმის ყველაფერი გარკვეული იყო. სინოდის სხდომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მდინად – ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი.

დამტკიცდა წმიდა სინოდის მუშაობის დღის წესრიგი: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის არჩევა; 2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის – დავით V-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები. წმიდა სინოდის სხდომაზე თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა, მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ, ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა მხარი დაუჭირეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ არჩევას. წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა არ დაუჭირა მხარი წამოყენებულ კანდიდატურას და კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ დაასახელა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი. ხმათა უმრავლესობით ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ.

სინოდმა განაჩინა: 1. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V-ის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, მიტროპოლიტი ილია; 2. უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაიკრძალოს სიონის საპატრიარქო ტაძარში 1977 წლის 15 ნოემბერს; 3. წმიდა სინოდის სხდომის გადაწყვეტილებანი ოფიციალურად ეცნობოს მსოფლიოს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს, საერო ხელისუფლებას.

წმიდა სინოდის გადაწყვეტილებანი მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ზოგიერთი მაღალიერარქისათვის, რომელთაც სცადეს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებათა გადასინჯვა. შექმნილი რთული ვითარების სრული სურათი კარგადაა ასახული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 1977 წლის 12 ნოემბრის საგანგებო სხდომის მიერ მიღებულ განცხადებაში: „საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესია თავის მართვა-გამგეობაში ხელმძღვანელობს დებულებით, რომელიც მიღებული იყო 1945 წლის 28 მარტს და რომლის შეცვლა შედის მხოლოდ საეკლესიო კრების კომპენტენციაში. 1977 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V. გარდაცვალების წინ იგი მძიმედ ავადმყოფობდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ამ დროს თბილისში იმყოფებოდა ყველა მღვდელმთავარი, გარდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზისა და ალავერდელი ეპისკოპოსის – გრიგოლისა. 8 ნოემბერს, დღის 15 საათზე, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა გრიგოლ მშვიდობაძემ მათ დაუგზავნა დეპეშები, რომლითაც ატყობინებდა პატრიარქის ავადმყოფობას და სთხოვდა, სასწრაფოდ ჩამოსულიყვნენ თბილისში.

9 ნოემბერს, დილის 9 საათზე, კათოლიკოს-პატრიარქი დავით V გარდაიცვალა. 10 საათზე ჩამობრძანდა ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი. როგორც საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების 21-ე პარაგრაფის მე-2 შენიშვნაშია მითითებული, კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, საეკლესიო მართვა-გამგეობისათვის მის ადგილს იჭერს ის მღვდელმთავარი, რომლის შესახებაც კათოლიკოს-პატრიარქის მდივანთან ინახება მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილობითი განკარგულება, მაგრამ ასეთი განკარგულება არ აღმოჩნდა და საჭირო შეიქმნა, სასწრაფოდ მოწვეულიყო წმიდა სინოდის სხდომა. 9 ნოემბერს, მთელი დღის განმავლობაში, სინოდი ელოდებოდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის ჩამობრძანებას, მაგრამ, რადგან იგი არ ჩამობრძანებულა და არც რაიმე ცნობა მოსულა მისგან, საღამოს 19 საათზე, წმიდა სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, შედგა სინოდის ოფიციალური სხდომა, რომელსაც უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე და გადაეწყვიტა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – დავით V-ის დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხები.

სინოდის სხდომაზე ერთხმად იქნენ არჩეული: სხდომის თავმჯდომარედ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, მდივნად – ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი. როდესაც სინოდის სხდომაზე დაისვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის არჩევის საკითხი, კანდიდატად დასახელებული იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელსაც მხოლოდ წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა არ დაუჭირა მხარი და წამოაყენა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზის კანდიდატურა. რაც შეეხება დანარჩენ მღვდელმთავრებს, მათ ერთხმად დაუჭირეს მხარი მიტროპოლიტ ილიას. ეპისკოპოს ილარიონს სურდა თავი შეეკავებინა ხმის მიცემისაგან, მაგრამ რადგან ამის უფლება არა ჰქონდა საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ამიტომ ხმა მისცა მიტროპოლიტ ილიას.

9 ნოემბერს ჩატარებული წმიდა სინოდის სხდომა იყო კანონიერი, საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების მე-15 მუხლის დაცვით, სადაც

ნათქვამია: „სინოდის სხდომა კანონიერია, თუ მას დაესწრება თავმჯდომარე და მოწვეულ წევრთა ნახევარი“, ხოლო სხდომას ესწრებოდა არა თუ ნახევარი, არამედ ყველა წევრი, გარდა ერთისა (მიტროპოლიტ რომანოზისა). ამიტომ მიტროპოლიტ რომანოზის, მიტროპოლიტ გაიოზისა და ეპისკოპოს ილარიონის განცხადება, რომელშიც ისინი ამტკიცებენ, თითქოსდა თვითნებურად იყო მოწვეული სინოდის სხდომა, რომელზეც ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ თავი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოაცხადა, უსაფუძვლოა. წმიდა სინოდის სხდომა კანონიერ საფუძველზე ჩატარდა და მიტროპოლიტ ილიას თავი კი არ გამოუცხადებია მოსაყდრედ, არამედ ასეთი იყო სინოდის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილება.

10 ნოემბერს თბილისში ჩამოსული მიტროპოლიტი რომანოზი საპატრიარქოში გამოცხადდა მოგვიანებით და განაცხადა, რომ იგი, როგორც უხუცესი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, იერარქიული პატივით ყველა მღვდელმთავარზე მაღლა დგას და ამის საფუძველზე მოითხოვა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობა. როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების 23-ე მუხლის მე-2 შენიშვნაშია აღნიშნული, „მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით“. ეს იმას ნიშნავს, რომ ის სასულიერო პირი ითვლება უხუცეს მღვდელმთავრად, რომელიც უფრო ადრე იყო ნაკურთხი ეპისკოპოსის ხარისხში. მიტროპოლიტი ილია ეპისკოპოსად ნაკურთხი იყო 1963 წლის 25 აგვისტოს, ხოლო მიტროპოლიტი რომანოზი – 1965 წლის 21 თებერვალს; მიტროპოლიტის ხარისხი ილიას მიენიჭა 1969 წელს, რომანოზს – 1972 წელს; რაც შეეხება ეპარქიის, ან ასაკის (მიტროპოლიტი რომანოზი 1977 წელს იყო 90 წლის) მიხედვით უხუცესობას, ეს არაა გათვალისწინებული მართვა-გამგეობის დებულებაში.

წმიდა სინოდი სინანულით აღნიშნავს მიტროპოლიტ რომანოზის, მიტროპოლიტ გაიოზის, ეპისკოპოს ილარიონის განცხადების უსაფუძველობას, თითქოს მიტროპოლიტ ილიას მოსაყდრეობა დაუშვებელია იმიტომ, რომ იგი დაბადებულია საქართველოს საზღვრების იქით, ჩრდილო ოსეთის ავტონომიური ოლქის ქ. ორჯონიკიძეში. ჯერ ერთი, საეკლესიო მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, ამ ფაქტს არა აქვს არავითარი მნიშვნელობა და, მეორეც, მიტროპოლიტი ილია და მისი მშობლები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წევრები იყვნენ მუდამ, რადგან ორჯონიკიძეში არსებობდა ქართული ეკლესია, რომელიც ექვემდებარებოდა საქართველოს

საპატრიარქოს და თავად მიტროპოლიტი ილია მონათლულია ამ ეკლესიაში არქიმანდრიტ ტარასი კანდელაკის მიერ, რომელიც შემდეგში გახდა წილკნელი ეპისკოპოსი და დაკრძალულია სვეტიცხოვლის გალავანში.

მიტროპოლიტმა რომანოზმა, მიტროპოლიტმა გაიოზმა და ეპისკოპოსმა ილარიომა აგრეთვე განაცხადეს, რომ მათ შეუძლიათ აკურთხონ ახალი ეპისკოპოსები, დაუგზავნონ დეპეშები მსოფლიო საეკლესიო ცენტრებს იმის შესახებ, რომ თითქოს ჩატარებული სინოდის სხდომა იყო არაკანონიერი და მოსაყდრეც არჩეული იყო უკანონოდ.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი თვლის, რომ მათი ასეთი ანტიეკლესიური და კანონთა საწინააღმდეგო მოქმედება დიდ ზიანს აყენებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას“[23, 1880, 1, 310, 8-9]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის შიგნით არსებული დაძაბულობა იგრძნობოდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის დაკრძალვის დღესაც (1977 წლის 15 ნოემბერს) სიონის საპატრიარქო ტაძარში, სადაც წირავდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. თანამწირველნი იყვნენ სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი ალექსი (რუსეთის პატრიარქი ალექსი II), ქსანთიის მიტროპოლიტი ანტონიოსი, თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი, ზარაის ეპისკოპოსი იოსი. წირვას ესწრებოდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I.

წირვის დასრულების შემდეგ განსვენებულ პატრიარქს სიტყვით მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ: „დღეს ჩვენ ღოცვითა და ცრემლით ვაცილებთ ჩვენს მამამთავარს, რომლის უკვდავი სული მოევიწიება იმ წილს, სადაც განისვენებენ ჩვენი დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე, მელქისედეკი და ეფრემი... მიმდინარე წელიწადი მისთვის იყო საიუბილეო – მას შეუსრულდა სამღვდლო ხარისხში აყვანიდან 50 წელი. ამ ხნის განმავლობაში მას განუცდია არაერთი სასიხარულო დღე, ღვთისაგან მონიჭებული, მაგრამ მასთან ერთად მას მრავალჯერ შეუსვამს სიმწრისა და მწუხარების ფიალა. ამ დიდ ადამიანს დღეს ემშვიდობება ქართველი ერი, ჩვენი დაობლებული ეკლესია.“[31, 1263, 2266]

უწმიდესი და უნეტარესი დავით V დაკრძალეს სიონის საპატრიარქო ტაძარში...

1977 წლის 16 ნოემბერს, დღის 12 საათზე, დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი), თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი (მაჟუგა), ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონდაძე), ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე), ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). სხდომას, სინოდის წევრთა მოწვევით, ოქმის შესადგენად ესწრებოდა კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდლობაძე.

„დღის წესრიგი: 1. მოსაყდრე მიტროპოლიტ ილიას მოსკოვში გამგზავრების მიზეზი და იქაური თათბირის შინაარსის მოხსენება; 2. წილკნელი მიტროპოლიტის გაიოზის მიერ მთავრობის სახელზე გაგზავნილი ტექსტის განხილვა; 3. საეკლესიო კრებისა და კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციის (აღსაყდრების) თარიღის დადგენა; 4. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევი კანდიდატის დასახელება.

პირველ საკითხზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტმა ილიამ სინოდს მოახსენა ზაგორსკში რელიგიის მოღვაწეთა თათბირის შესახებ, სადაც დაგმობილ იქნა ნეიტრონული ბომბის მომზადებისა და გავრცელების განზრახვა.

მეორე საკითხზე წილკნელმა მიტროპოლიტმა გაიოზმა წაიკითხა მთავრობის სახელზე გაგზავნილი განცხადების სრული ტექსტი.

გადაწყდა, მე-12 საეკლესიო კრება გაიმართოს 1977 წლის 23 დეკემბერს. ახლადარჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაცია (აღსაყდრება) შესრულდეს 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

მეოთხე საკითხზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევე კანდიდატად მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ დაასახელა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. მას მხარი დაუჭირეს ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა, თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა. მიტროპოლიტმა რომანოზმა არ დაასახელა კანდიდატი და მოითხოვა, აერჩიათ

ახალი მოსაყდრე. მიტროპოლიტი გაიოზი არ სცნობს სინოდის სხდომას კანონიერად. ეპისკოპოსი ილარიონი არ ასახელებს პატრიარქობის კანდიდატს.

მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია თანხმობას აცხადებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატად მის დასახელებაზე.“[23, 1880, 1, 310, 10-11]

მოვლენების უფრო გამძაფრებას გვამცნობს ალავერდელი ეპისკოპოსის გრიგოლის (ცერცვაძე) ჩანაწერები: „1977 წლის 17 ნოემბერს ჩემთან, ეკლესიაში, მოვიდა უცნობი ახოვანი ახალგაზრდა, გამომიძახა, თქვენთან ცალკე საუბარი მსურსო... წამოიწყო საუბარი: სინოდი, რომელიც გუშინ შედგა, მთავრობის მიერ გაუქმებულიაო, მთავრობას არ სურს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევაო... მას სურდა ჩემი დაყოლიება, უარი მეტქვა სინოდის სხდომაზე ჩემს მიერ წამოყენებულ კანდიდატზე. მე ვუპასუხე, რაც სინოდზე გადაწყდა, იმას ხაზი არ გადაესმევა-მეთქი... ბოლოს საუბარი იმით დაამთავრა, მოკლე ხანში მოგივით დეპეშა იმისათვის, რომ სინოდის ხელახალი სხდომა შედგესო. მე ვუპასუხე, რაც ვთქვი იმასვე ვიტყვი-თქო. მაინცდამაინც ნასიამოვნები არ წასულა. “[23, 1880, 1, 310, 10-11]

ქართველი საზოგადოება დაძაბული ადევნებდა თვალყურს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შექმნილ რთულ ვითარებას და ერთმნიშვნელოვნად უჭერდა მხარს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას.

ყოველი ახალი დღე ახალი ჭორებითა და მითქმა-მოთქმის გამძაფრებით იწყებოდა. ამ უსიამოვნებათა კულმინაცია იყო 1977 წლის 18 დეკემბერი. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივნის, გრიგოლ მშვიდობაძის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ილიასადმი გაგზავნილი შეტყობინებიდან ირკვევა: „18 დეკემბერს, საღამოს 19 საათზე, საქართველოს საპატრიარქოს შენობაში ძალით შეჭრილა წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო განსხვავებული პოზიციის სამი მღვდელმთავარი. მათ გაუტყნიათ პატრიარქის კაბინეტის კარები, კანცელარიის ოთახში გაუღიათ მდივნის საწერი მაგიდა და სეიფი – პატრიარქის კაბინეტში, დაუხვევიათ საქმიანი ქაღალდები, მათ შორის – მოსაყდრის არჩევის ოქმი, გამოუყენებიათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბეჭედი, უსარგებლიათ ქართული და რუსული საბეჭდი მანქანით. როგორც დარჩენილი შავი ნაწერებიდან ჩანს, მათ დაუგზავნიათ პროვოკაციული დეპეშები მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რუსეთის საპატრიარქოში, სომხეთის ეკლესიაში,

დაუმტკრევიათ პატრიარქის კაბინეტის გასაღები და ჩაუსვამთ ახალი.“[27, 298, 2449] გაგზავნილ დეპეშებში ისინი აღნიშნავენ, თითქოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან გადაყენებული იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ხოლო მე-12 საეკლესიო კრების ჩატარების თარიღი – გადატანილი.

საზოგადოების, ინტელიგენციის აქტიური ჩარევის შემდეგ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, მიტროპოლიტ ილიას მოწინააღმდეგენი იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ყველა დელავდა, სიმშვიდეს ინარჩუნებდა მიტროპოლიტი ილია, რომელმაც ხელმეორედ დაგზავნა შეტყობინებები მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან, საერო ხელისუფლებაში, იმის შესახებ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები და ახლადარჩეული კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრება ნამდვილად გაიმართებოდა 1977 წლის 23–25 დეკემბერს.

დაძაბული, უძილო ღამეების შემდეგ, როგორც იქნა, გათენდა 23 დეკემბერი. თბილისში სტუმრად ჩამოვიდნენ: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I, საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები. 23 დეკემბერს, სიონში, მე-12 საეკლესიო კრების გახსნამდე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიენის ე. შევარდნაძის სახელზე ასეთი შინაარსის დეპეშა გაიგზავნა: „29 ნოემბერს ხელისუფლების წარმომადგენელმა თ. ონოფრიშვილმა ოფიციალურად გამოგვიცხადა – საპატრიარქო ტახტზე მიტროპოლიტ ილია შიოლაშვილის კანდიდატურა ოფიციალურად დამტკიცებულია და, თუ ეკლესიაში სამსახური გვინდა, შევწყვიტოთ მასზე საჩივრების წერა, წმიდა სინოდმა მას უნდა დაუჭიროთ მხარიო. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ თქვენგან არავითარ ამგვარ გადაწყვეტილებას ადგილი არ ჰქონია... საკითხი სერიოზულია. გთხოვთ, სასწრაფოდ მიგვიღოთ წმიდა სინოდის განსხვავებულად მოაზროვნე წევრები, რათა პირადად მოგახსენოთ საქმის რეალური ვითარება“[27, 298, 295]

იმავე დღეს დეპეშები გაიგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პავლე გილაშვილისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ზურაბ პატარიძის სახელზე, რომლებშიც საუბარი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი სამართლებრივი ნორმების დარღვევაზე. იმავე დღის 15 საათზე ბათუმ-

შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის – რომანოზის სახელით დეპეშა გაიგზავნა მოსკოვში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლეონიდ ბრეჟნევთან: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ! –წერდა მიტროპოლიტი რომანოზი, – საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა მიტროპოლიტი ილია (შოლაშვილი). იგი ჯერ კიდევ 1972 წლიდან ქართველი დისიდენტების მხარდამჭერი და წამქეზებელია. მოვითხოვ, მოიხსნას მისი კანდიდატურა.“[27, 298, 295]

საოცრად ულოგიკო იყო მიტროპოლიტ რომანოზის ქმედება. 1977 წლის 16 ნოემბრის წმიდა სინოდის სხდომაზე იგი აცხადებდა, რომ მიტროპოლიტ ილიას პატრიარქობის შემთხვევაში იყო იმის საშიშროება, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმებულიყო და რუსეთს დაქვემდებარებოდა. ამიტომ 90 წლის ასაკში იგი მზად იყო, ეტვირთა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელობა; ხოლო 23 დეკემბერს ლ. ბრეჟნევისადმი გაგზავნილ დეპეშაში იგივე პიროვნება მან ქართველი დისიდენტების წამქეზებლად გამოაცხადა.

ასეთი რთული ვითარების ფონზე დაიწყო მუშაობა მე-12 საეკლესიო კრებამ, რომელსაც ესწრებოდა 45 დელეგატი. კრება გახსნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ, რომელმაც აღნიშნა: „დღეს ამ უძველეს საპატრიარქო ტაძარში შეიკრიბა მე-12 საეკლესიო კრება. განვლო 45 დღემ, რაც ღვთივ განისვენა უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V-მ, რომელიც წინ უძღოდა ჩვენს ეკლესიას 5 წლის განმავლობაში, დადო დიდი შრომა და ღვაწლი, რათა სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო ჩვენი ეკლესია. 40 დღე იგლოვა ჩვენმა ხალხმა. დღეს მე-12 საეკლესიო კრებამ უნდა აირჩიოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარი. ჩვენს კრებას პატივი დასდო მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა, როგორც მოძმე ეკლესიის მამამთავარმა, მონაწილეობა მიიღოს ჩვენს ზეიმში. დღეს ჩვენ ვდგევართ იმ უძველეს ეკლესიაში, სადაც იდგნენ და მამამთავრობდნენ დიდნი კათოლიკოს-პატრიარქნი, უწმიდესნი და უნეტარესნი: კირიონი, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორო, მელქისედეკი, ეფრემი, დავითი. ჩვენი მღვდელმთავრები, სამღვდელთა, მორწმუნე ერი მუდამ იქნება ერთად, რომ გადაწყვიტოს ის დიდი საკითხები, რომლებიც ჩვენი ეკლესიის წინაშე დგას. ქრისტესმიერი

სიყვარულით მოგესალმებით და მე-12 საეკლესიო კრებას გახსნილად ვაცხადებ.“[27, 1229, 52]

საეკლესიო კრებას მიესალმა და ნაყოფიერი მუშაობა უსურვა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა პიმენმა.

კრებამ დაამტკიცა 4 კომისიის შემადგენლობა. ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა წმიდა სინოდის გადაწყვეტილება, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ასარჩევ კანდიდატად დასახელებულიყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. კრების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილიამ, კრების მონაწილეებს მიმართა, რომ, სურვილის შემთხვევაში, მათ თავისუფლად შეეძლოთ ჩაეწერათ სხვა კანდიდატის სახელი დარიგებულ ბიულეტენზე.

გაიმართა ფარული კენჭისყრა. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, არქიმანდრიტმა იოანე ანანიაშვილმა, გამოაცხადა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე მიტროპოლიტი ილია ერთხმად იყო არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. კრებაზე შეადგინეს საგანგებო სიგელი, რომელსაც ხელს აწერდნენ კრების მონაწილენი.

„მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას!

წყალობითა ღმრთისათა და მადლითა და განგებითა სულისა წმიდისათა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დამოუკიდებლობის აღნიშვნიდან მე-12 ადგილობრივმა კრებამ, რომელიც შედგა 1977 წლის 23 დეკემბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში, შემადგენლობითა საქართველოს ეკლესიის ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავართა, სამღვდელოთა, სამონაზვნო წესთა და ერისკაცთა, მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიათა წარმომადგენელთა, მღვდელმთავართა, სამღვდელოთა დასთა თანდასწრებით აღირჩია თქვენი სიწმიდე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად.“[32, 2, 1429] საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს ეწოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II.

მე-12 საეკლესიო კრების გადაწყვეტილება იმავე დღეს გახდა ცნობილი სრულიად საქართველოსათვის. ყველას სურდა ეხილა ახალგაზრდა, ინტელექტუალი, გამორჩეული გარეგნობის მწყემსმთავარი, რომელიც მოახერხებდა ეკლესიის წინაშე არსებულ პრობლემათა მოგვარებას და

საქართველოს უძველეს სამოციქულო ეკლესიას დაუბრუნებდა ისტორიულ მისიას.

ახალი პატრიარქის არჩევა XX საუკუნის 70-იანი წლების „უძრაობის ხანას“ დაემთხვა. თვალნათლივ ჩანდა საბჭოთა იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, მაგრამ ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურნი კვლავ ამტკიცებდნენ განვითარებული სოციალიზმისა და კომუნიზმის ნათელი მომავლის სიკეთეს. ქრისტიანული სარწმუნოება კვლავ „წარსულის მავნე გადმონაშთად“ ითვლებოდა. ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებში დიდი ადგილი ეთმობოდა ანტირელიგიურ თემებს. საქართველოში გამოძავალი ოფიციალური გაზეთები – „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „სოფლის ცხოვრება“ – მოკლე ინფორმაციით გამოეხმაურნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მე-12 საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევას. შედარებით ვრცელი მასალა გამოაქვეყნა გაზეთ „სამშობლოში“ ჟურნალისტმა ლამარა თელიამ.

25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრისაკენ ზღვა ხალხი დაიძრა. ასეთი ხალხმრავლობა მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აღარ ყოფილა. ოფიციალური ხელისუფლება, წესრიგის დაცვის საბაბით, შეეცადა სპეციალური საშვების მქონე პირთა გარდა ტაძარში არავინ შეეშვა, მაგრამ ხალხის ტალღამ გაარღვია მილიციელთა კორდონი და ტაძარში შევიდა.

ხალხის ხმაური მიწინარდა. სვეტიცხოვლის ზარები უწმიდესისა და უნატარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მობრძანებას იუწყებოდა. მასთან ერთად მობრძანდნენ: თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი, მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი; სტუმრები: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი, უწმიდესი პიმენი, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ I, ქართული ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მეთაურის საზეიმო კურთხევა. ქართველი პატრიარქების ჯვარ-პანადიები, საპატრიარქო გვირგვინი და კუნკულ-ბარტყულა უწმიდესსა და უნეტარეს ილია

II-ს მიართვეს მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ და ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა.

ახლადარჩეულ პატრიარქს სიტყვით მიმართეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა, უწმიდესმა პიმენმა და ყოველთა სომეხთა პატრიარქ კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავისი გამოსვლა ამ სიტყვებით დაიწყო: „საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა. არც მის მოწყალებას აქვს საზღვარი. ჭეშმარიტად, ამ განგებამ და მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მამამთავრისა. მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოხილ ხსენებას მისას. თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება იმ სარწმუნოებით, რომელი სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა.. ჩვენი ეკლესიის მომავალი საქმიანობის მთავარი საკითხი უნდა იყოს ქართველ ხალხში სასოებისა და უტეხი ნების განმტკიცება. ჩვენს ხალხს მუდამ მოეპოვებოდა ენერგია სასოებისა და წინსვლისათვის და ეს ენერგია ახლაც ჭარბად აქვს მას; გამოვლინდეს და სიკეთეს მოხმარდეს ეს ენერგია, – აი ჩვენი მიზანი... ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის მთავარი საზრუნავი... იმისათვის, რომ ღვთიური გზით წარემართოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა, გვჭირდება შინაგანი მთლიანობა.“[27, 2, 1429]

უწმიდესმა და უნეტარესმა ჯვარი გარდასახა სვეტიცხოველში შეკრებილ ათასობით ადამიანს და სტუმრებთან ერთად ეკლესიიდან გავიდა. სვეტიცხოველში შეკრებილი ხალხი არ იშლებოდა. ყველა გრძნობდა, რომ ისტორიული მოვლენის მონაწილე გახდა. ათეისტური კომუნისტური ხელისუფლებისაგან დევნილი, შევიწროებული და საზოგადოებისგან ჩამოშორებული საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია თავისი ისტორიული როლის აღდგენისათვის ემზადებოდა. ეს – მომავალში, მაგრამ პირველი დღეებისა და თვეების სირთულეს ყველა აცნობიერებდა.

საზეიმო დღეებმა გადაფარა ორმოცდახუთდღიანი რთული პრობლემები, თუმცა ბევრი საფიქრალიც გაჩნდა: ვის შეეძლო გადაეჭრა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის მთავარი ჭაღის ჯაჭვი, რომლის ჩამოვარდნას 25 დეკემბერს ტრაგედია მოჰყვებოდა? რამდენი ხილული და უხილავი მტერი იყო ჩასაფრებული ახალგაზრდა პატრიარქის წინააღმდეგ?

საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ფინანსურადაც ძალიან უჭირდა.

ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა ამ სიტყვებით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს ილია II-ს: თქვენ რომ გიყურებთ, მახსენდება ჩემი პატრიარქობის პირველი წლები... ჩაიარა საზეიმო დღეებმა და მკაცრი რეალობა მძიმე აღმოჩნდა. თვის ბოლოს იმის სახსარიც კი არ გვქონდა, რომ მაგლობლებისათვის მცირე ხელფასი მიგვეცა, მაგრამ, ღვთის შეწევნით, გადავლახეთ ყველა პრობლემა... ეს ამბავი შემთხვევით არ გამიხსენებია, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა პრობლემას თავს გაართმევს და საქართველოს ეკლესიის საქმიანობას მეტ სითამამეს შესძენს.

25 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით გამართა საზეიმო მიღება, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდლოება, მოწვეული სტუმრები. ქართული ინტელიგენციის სახელით უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს სიტყვებით მიმართეს პროფესორებმა: ალექსანდრე ალექსიძემ, გაიოზ იმედაშვილმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა. „თქვენ თქვენი მორწმუნებრივი სიწმიდით, – აღნიშნა პროფ. გ. იმედაშვილმა, – სათნო ცხოვრებით, ცოდნითა და ეკლესიისადმი უანგარო, თავდადებული მოღვაწეობით დიდი ხნის წინათვე გქონდათ მოპოვებული ხალხის სიყვარული და პატივისცემა. ამიტომ იყო, რომ წილად გხვდათ ეკლესიისა და ხალხის სიყვარული და პატივისცემა... ეკლესიისა და ხალხის ნება-სურვილის სრულ თანხმობაში ერთსულოვნად აგირჩიეს დაობლებული ქართული ეკლესიის მამამთავრად... დღეს ყოველი ფენის, განათლებისა და პროფესიის ქართველობა თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობისადმი ნუგეშით მონდობილი სასოებს, რომ ოდესმე დიდებული ეკლესია კვლავ ჩადგეს ერის სამსახურში.“ [27, 2, 1429]

ყველა გამომსვლელის ნატვრა იყო, კვლავ ძლიერი ეხილა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საზეიმო მიღებაზე მოსულ საზოგადოებას მიმართა მოკლე საპროგრამო სიტყვით, რომელშიც ჩამოაყალიბა ის ამოცანები, რომლებიც უნდა გადაეწყვიტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას: „ჩვენ ყველა ასეთ საქმეში ღვთის ნებას ვხედავთ, მის მოწყალებას, მისი მარჯვენის ძლიერებას, სამართალს მისას, მის ნათლით მოხილ სიყვარულს იმათ მიმართ, ვისაც ჩაჰბერა მან სიცოცხლე თავისი წმიდა სულის მიცემით. ღვთაების ამ წარმოუდგენლად მრავალმხრივმა დიდმა სიკეთემ მისგან ბოძებული ძლიერების კვეთხით დამაყენა ჩემი საყვარელი ქართველი ხალხის წინაშე, როგორც მსახური ამ ხალხისა და აღმასრულებელი ყოველად მაღალი ნებისა ხალხის სულიერი ცხოვრების ამალღებაში. მე ტვირთის ზიდვა დამაკისრა მისმა გასაოცარმა მოწყალებამ, მოკვდავი გონებისათვის წარმოუდგენელმა ძლიერებამ მომცა ძალა და სასოება, რომ ზეიმით ვზიდო ეს ტვირთი, როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ის... ჩვენი ეკლესიის საქმიანობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც რაღაც მხოლოდ მორწმუნე ხალხთან კარჩაკეტილობა. ჩვენ ყველაფერი უნდა გვწამდეს პროგრესული საწყისებით, ამისათვის ჩვენი ეკლესიაც უნდა იდგეს მთელ ხალხთან ერთად, რომელი ხალხიც სიკეთესა და აღმავლობას ემსახურება... უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, სადაც დაფლულია უფლის კვართი, იმ ქვეყანაში დაბადებულნი და აღზრდილნი, რომელი ქვეყანაც წილად ხვდა ყოველადწმიდა ღვთისმშობელს, იმ წინაპართა შთამომავალნი ვართ, რომელთაც ქრისტიანობა უქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა... ასეთი წარსული გვავალებს, რომ მუდამ ვიზრუნოთ ჩვენი ეკლესიის სიწმინდის ამალღებისათვის. რა თქმა უნდა, იოლი როდია ღვთისა და ერის წინაშე ვალის მოხდა, მაგრამ განა შეიძლება რაიმე ტვირთის სიმძიმეზე ფიქრი მაშინ, როდესაც ვიცით, ეს ტვირთი ღვთისგან მივიღეთ? ამ ტვირთთან ერთად მოგვცა სასოება განგებამ. ყოველი ტახტი პატრიარქისა უნდა ემსახუროს ღმერთის დიდების საქმეს. ვიდრე ვიცოცხლებ, ჩემს თვალწინ იქნება ის თვალით უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზეც დამსვა უფლის ძლიერმა მარჯვენამ. ჩემს გულზედ წერია ის ვალდებულებანი, რომლებიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზე ფიქრი, რომ ყოველად მაღალი მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველი ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც მაღალი ღმერთის მადლმა და ძალამ დამაკისრა.“[27, 2, 1429, 9]

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის 141-ე მეთაურის არჩევას გამოეხმაურა მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების საინფორმაციო საშუალებანი. ქრისტიანული მსოფლიო კარგად იცნობდა უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, რომელიც 1963 წლიდან, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, მონაწილეობდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმებში. მას პირადი გულისთავი ურთიერთობები აკავშირებდა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის, რუსეთის, ელადის, სერბეთის და სხვა მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან.

26 დეკემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა ოფიციალურად მიიღო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, ყოველთა სომეხთა კათოლიკოსი ვაზგენ I. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში თანამშრომლობა შესთავაზა. „ვიტვირთე რა საჭეთმყობელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა, წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით მიიღეთ უღრმესი პატივისცემა და კეთილი სურვილები“ [31, 1264, 8265] – სწერდა მისი უწმიდესობა ე. შევარდნაძეს.

ჩაიარა სახეიმო დღეებმა. დადგა 1978 წელი. სიონის საპატრიარქო ტაძარი, რომელიც მხოლოდ დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ივსებოდა ძირითადად ხანდაზმული ადამიანებით, ყოველი კვირის ორშაბათს, სამშაბათს, შაბათსა და კვირას ახალგაზრდებით, ინტელიგენციის წარმომადგენლებით იყო სავსე. ეს ხალხი უსიტყვო პროტესტს უცხადებდა კომუნისტურ იდეოლოგიას და სარწმუნოებაში ცდილობდა სულიერი შვების მოპოვებას. უწმიდესი და უნეტარესი მათთვის გასაგები ენით ესაუბრებოდა მრევლს მართლმადიდებელი სარწმუნოების სიდიადეზე. ადამიანები, რომლებიც ერთხელ მაინც მოვიდოდნენ ტაძარში, აქ რჩებოდნენ და მრევლად იქცეოდნენ... როგორი მშვიდი, ბედნიერი და კმაყოფილი იყო თითოეული მათგანი, უწმიდესისა და უნეტარესის სიტბოთი და სიყვარულით აღტაცებული.

ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. 1995 წელს უწმიდესმა და

უნეტარესმა ილია II-მ ასე გაიხსენა პატრიარქობის პირველი რთული, მაგრამ საინტერესო წლები: „დღეს მე მხოლოდ ჩვენი ეკლესიის ცხოვრების ზოგიერთ ასპექტს შევეხები, გავიხსენებ, რა ურთიერთობა იყო ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის, რომელიც თითქმის ისეთივე ზეწოლას განიცდიდა და ისევე იღვენებოდა, როგორც სასულიერო პირნი. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ქართველი კაცის სული გადაარჩინა. ამიტომ ჩვენი მიზანი იყო მჭიდრო კავშირი ეკლესიასა და ინტელიგენციას შორის. სახელმწიფო ცდილობდა, არ მომხდარიყო ეს დაახლოება. ინტელიგენციას ჰქონდა სულიერებისაკენ სწრაფვა, მაგრამ გამოცდილება აკლდა. მახსოვს, საპატრიარქოში ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსები მოვიწვიეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად, დავამუშავეთ გეგმა და გავანაწილეთ თემები, მაგრამ, როდესაც დამუშავებული ნაწილები წარმომიდგინეს, მივხვდი, რომ მათი გამოცემა არ შეიძლებოდა, რადგან ეს არაეკლესიური ადამიანების მიერ დაწერილი ისტორია იყო... მიუხედავად ამისა, სწრაფვა დაახლოებისაკენ არ შეჩერებულა. საპატრიარქოში გრძელდებოდა შეხვედრები მეცნიერებთან. ხშირად საკითხები, რომელთაც ჩვენ ამ შეხვედრებზე განვიხილავდით, იმდენად საინტერესო იყო, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მათ შესახებ სტუდენტებს ლექციებზე უყვებოდნენ... ჩვენმა მეცნიერებმა დიდი მისიონერული ღვაწლი გასწიეს და მე მადლობელი ვარ მათი მძიმე მდგომარეობაში გამოჩენილი თანადგომისათვის.“[33, II, 111]

თავი IV. პირველი სიძნელები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზების ძიება

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა იყო. გარეგნულად სუვერენული, თავისუფალი რესპუბლიკა რეალურად მკაცრად ცენტრალიზებული მმართველობის სისტემით ხასიათდებოდა. ადგილობრივი მარიონეტული ხელისუფლება – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახით – მოსკოვთან შეუთანხმებლად ვერც ერთი საკითხის გადაწყვეტას ვერ ახერხებდა. ქვეყანა აშენებდა ე.წ. „განვითარებულ სოციალიზმს“. გაბატონებული იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი. საზეიმო მსვლელობები იმართებოდა 1 მაისს, მშრომელთა სოლიდარობის დღეს, და 7 ნოემბერს, რუსეთის ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის „ისტორიული“ დღის აღსანიშნავად. საზეიმოდ აღინიშნებოდა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე, 9 მაისი, და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მიღების დღე, 5 დეკემბერი. ის ადამიანები, რომელთაც ახსოვდათ 1918–1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ან ემიგრაციაში იმყოფებოდნენ, ან, 20–50-იანი წლების დაუნდობელ ანგარიშსწორებას გადარჩენილნი, ოცნებასაც ვერ ბედავდნენ თავისუფალ საქართველოზე. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამაყად აცხადებდა, რომ ქვეყანაში დაძლეული იყო „წარსულის მანე გადმონაშთები“, მოსახლეობის რელიგიურობა. ახალი იდეოლოგიური წნეხის პირობებში გაიზარდნენ თაობები, რომელთა მესხიერებიდან ცდილობდნენ ამოეშალათ ისტორიული წარსული, ქართული ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულება; საშუალო სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან განდევნილ იყო საქართველოს ისტორიის სწავლება, ახალგაზრდებისათვის გაუცხოებული იყო

XIX–XX საუკუნეების სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლ წინაპართა – სოლომონ II–ის, ალექსანდრე ბატონიშვილის, სოლომონ ლეონიძის, ფილადელფოს კიკნაძის, დოსითეოზ ქუთათელის, ექვთიმე გაენათელის, სპირიდონ კედიას, ნოე რამიშვილის, ნოე ჟორდანიას, კოტე აფხაზის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, გრიგოლ ლორთქიფანიძის, უწმიდესი ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის, ზურაბ ავალიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, ვიქტორ ნოზაძისა და სხვათა სახელები. XIX საუკუნის ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალურ მოძრაობად მოინათლა. ქვეყანაში გაბატონებული იყო რუსული ენა და იდეენებოდა ქართული, გარუსება – ინტერნაციონალიზმად, ხოლო საქართველოს ისტორიის, ქართული ენის უფლებებისათვის ბრძოლა ნაციონალიზმად ცხადდებოდა, მკაცრი ცენზურა იყო ყველა სფეროში. მიუხედავად ასეთი რთული ვითარებისა, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისი აშკარა იყო. იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ (1953 წლის 5 მარტს), რომელიც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის გარანტი იყო 31 წლის განმავლობაში, კიდევ უფრო გაართულდა ვითარება. ქვეყნის სათავეში მოსულმა ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, 1956 წლის საგანგებო დადგენილებით დაგმო იოსებ სტალინის პიროვნების კულტი და 20–50–იანი წლების რეპრესიები მხოლოდ მას დააბრალა. ნ. ხრუშჩოვს ამ ნაბიჯით სისტემის გადარჩენა სურდა, მაგრამ მოხდა პირიქით, დაჩქარდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევის პროცესი. 1956 წლის 9 მარტს თბილისში მშვიდობიანი მანიფესტაციის ბარბაროსულმა დარბევამ, სისხლიანმა ანგარიშსწორებამ ქართულ საზოგადოებაში აზროვნების წესის შეცვლა დააჩქარა, საქართველოს სახელმწიფოებრივი თავისუფლების მივიწყებული იდეა გამოაცოცხლა, კომუნისტური სისტემის კრიტიკა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გახდა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანი.

XX საუკუნის 60–70–იან წლებში ეს მოძრაობა საბჭოთა იდეოლოგიებისა და მისი სპეცსამსახურებისათვის დისიდენტურ (სხვაგვარად მოაზროვნეთა) მოძრაობად მოინათლა. დისიდენტური მოძრაობისათვის საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მომხდარი ცვლილებები, ახალგაზრდა, განათლებული კათოლიკოს–პატრიარქის მოხვლა იყო დიდი სიხარულისა და იმედების მომცემი, ამიტომ ქართველი მამულიშვილები უყოყმანოდ დადგნენ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, ილია II–ის გვერდით. პატრიარქი შინაგანად

ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალების ერთგული იყო. ამის დასტურია საქართველოს საპატრიარქოს არქივში, მისი უწმიდესობის სტუდენტობისდროინდელ საარქივო მასალებში, ახალგაზრდა მღვდელმონაზონ ილიას მიერ ლამაზად გადაწერილი მემორანდუმის ტექსტი, რომლითაც 1922 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსი ხელაიამ მიმართა გენუის საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს. გარდა ამისა, ჩვენი სახელოვანი პატრიარქი ახალგაზრდობიდანვე ხშირად იხსენებდა უწმიდესსა და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს: „ახლა თვალწინ მყავს წარმოდგენილი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II ერეკლეს ძე, მაგონდება მისი ტირილი და გოდება დაობლებულ საქართველოზე, იგი იმედდაკარგული და დამწუხრებული რწყავდა რუსეთის მიწას თავისი მღუდარე ცრემლებით.“[27, 2, 1004] - წერდა თავის დღიურში მღვდელმონაზონი ილია.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის სიტყვა, დარბაზობაზე თქმული 1977 წლის 25 დეკემბერს, კარგი გზავნილი იყო თავისუფლების იდეალების ერთგული თანამემამულეებისათვის. ასეთ ვითარებაში დაიწყო უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობა. ერთ-ერთმა სასულიერო პირმა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მიმართა, რომ მან სუდარაგადაფარებული ეკლესია ჩაიბარა. ვითარება იყო მძიმე, მაგრამ არა უიმედო. ამ დროს მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედი იყო მცხეთის სეპტიცხოველი, სამთავროსა და ოლღას მონასტრები, თბილისის სიონი, ქაშუეთის წმიდა გიორგის, დიდუბის ღვთისმშობლის, კუკიის წმიდა ნინოს, მთაწმინდის მამა დავითის, სამების, ალექსანდრე ნეველის, მიხეილ ტვერელის, იოანე ღვთისმეტყველის, წმიდა ბარბარეს ეკლესიები. არ ფუნქციონირებდა ანჩისხატის, კარის, ფერისცვალების, წმიდა ნიკოლოზის, მეტეხის ღვთისმშობლის, ვერის ეკლესიები; ნაძალადევში, ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ჰიგიენის სახლი (აბანო) იყო გახსნილი. ეკლესიას არ ჰყავდა მრევლი, თითქმის არ არსებობდა ქართულენოვანი სასულიერო წიგნები, ქართული ხატები, ჯვრები, შემცირებული იყო მგალობელთა გუნდები. წმიდა სინოდის წევრი ექვსი მღვდელმთავრის ასაკი მერყეობდა 70-90 წლებს შორის, ხანდაზმული იყო სასულიერო პირთა უმრავლესობაც. პირველ ხანებში პატრიარქის შემოსეველნი ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან მოსული რუსი სტიქაროსნები იყვნენ. უწმიდესი და უნეტარესი ილია II სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ხალხს, რომელიც ჯერ მრევლი არ იყო, ასწავლიდა, როგორ უნდა ელოცათ, რომელი ღოცვები უნდა ესწავლათ, როგორ უნდა

გადაეწერათ პირჯვარი, რატომ იყო აუცილებელი წირვა-ლოცვაზე ბოლომდე დასწრება, რატომ უნდა დაეცვათ მარხვა, ეთქვათ აღსარება და მიეღოთ წმიდა ზიარება, რატომ იყო ტაძარში საჭირო სიწყნარე წირვა-ლოცვის დროს, რატომ იყო აუცილებელი ტაძარში სალოცავად მოცული ქალისთვის თავსაბურავით ყოფნა... ადამიანები გაუბედავად, მაგრამ მაინც მოდიოდნენ ეკლესიაში და ერთფეროვანი ცხოვრებიდან უეცრად სხვა სამყაროში გადმოდიოდნენ, სადაც აფორიაქებულნი სულიერ სიმშვიდეს პოულობდნენ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეულნი იმედით აღივსებოდნენ. საოცარი სანახავი იყო ორშაბათს, სამშაბათს, შაბათს და კვირას სიონის საპატრიარქო ტაძარი. ახალგაზრდები სასოებით შეჰყურებდნენ თავიანთ სულიერ წინამძღოლს, წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ ნელა მიუყვებოდნენ ლესელიძის, ერეკლე II -ის ქუჩებს, რუსთაველის გამზირს.

პატრიარქმა პირველ საახალწლო ეპისტოლეში ამ სიტყვებით მიმართა ქართველს ხალხს: „სარწმუნოება – ეს ნათელია მშვიდობის გზაზე, სარწმუნოება თავადაა მშვიდობა და სასოება მარადიული, სარწმუნოება წყარო არის სიყვარულისა, რომელიც ამაღლებს კაცის გულსა და გონებას. იგი ხიდი არის, მიწიდან ცისკენ მიმავალი. დადებით მტკიცედ ამ ხიდზე... ჩვენ სიხარულით ვუჩვენებთ ყველას ამ ხიდისაკენ მიმავალ გზას, იმ საქმეთა ნუსხას, რომელიც უნდა აკეთოს მარადიულობისაკენ ამ ხიდით მიმავალმა ადამიანმა, მიუვითებთ ბედნიერების იმ ჭეშმარიტ წყაროზე, საიდანაც უნდა სვას სულისა და ხორცის მასაზრდოებელი ცხოველმყოფელი წყალი, დავეხმარებით სულიერი ამაღლების გზით იხილოს ის ნათელი, რომელიც მზისგან კი არ მოდის, არამედ რომლისგანაც მზემ მიიღო ნათელი თავად.“[33, I, 337-338]

კომუნისტური იდეოლოგიისაგან სულშეხუთული ხალხისათვის, რომელსაც მიწიერ სამოთხეს ჰპირდებოდნენ, ეს იყო სრულიად ახალი. ადამიანები თანდათან დაუბრუნდნენ თავიანთი წინაპრების მიერ სისხლითა და თავგანწირვით შენარჩუნებულ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ნომინალური მორწმუნეებიდან ჭეშმარიტ მორწმუნეებად გადაიქცნენ. საერო ცხოვრებაში სამშობლო, მისი ისტორიული გმირები, მშობლიური ენა დავიწყებას ეძლეოდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური კი მათი არდავიწყებისაკენ მოუწოდებდა მრევლს: „როცა გადავხედავთ ჩვენს წარსულს, გვაოცებს, თუ ამდენ წინააღმდეგობაში ვით შეინარჩუნა ქართველმა ხალხმა თავისი ენა, ქრისტიანული სარწმუნოება და კულტურა, როგორ არ მოისპო ეს ყველაფერი და ვით გაუძლო ჟამთა ჭიდილს. ჩვენი დღემდე არსებობის და

სულიერი სიმტკიცის საიდუმლოება ქრისტიანულ სარწმუნოებაში მდგომარეობს...
წმიდა ნინო, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიდი რუსთაველი, დიმიტრი
თავდადებული, სირიელი მამები, თორნიკე ერისთავი; მეფე-მოწამენი: არჩილი და
ლუარსაბი; სჯულისათვის თავდადებულნი: დედოფალი ქეთევანი, მღვდელი
თევდორე, გმირნი მარაბდელნი, დავით გურამიშვილი, 300 არაგველი, ექვთიმე
თაყაიშვილი, ილია ჭავჭავაძე; კათოლიკოს-პატრიარქნი: კირიონი, ამბროსი,
კალისტრატე და მრავალი სხვა მნათობნი და სვეტნი არიან საქართველოსი...
ჩვენ უნდა ვიყოთ განმგრძელებელნი იმ დიდი საქმისა, რასაც შეეწირნენ ისინი.
“[33, I, 343]. ოფიციალური ხელისუფლებისა და მისი იდეოლოგიისათვის
სრულიად მიუღებელი იყო წარსულის, აწმყოსა და მომავლის ასეთი ხედვა. თუ
საქართველოს წარსულიდან ამ დიდებული ადამიანების მაგალითებს წინ
წამოვწევდით, აღარ რჩებოდა ადგილი იოსებ სტალინის, სერგო ორჯონიკიძის,
კამოს (ტერ-პეტროსიანის), ფილიპე მახარაძის, ლევან ღოღობერიძის, მიხეილ
კალინინის, სერგეი კიროვის, ალექსანდრე უდანოვის, კომპარტიის სხვა ბელადთა
ცხოვრების შესწავლისათვის, რომელთა შრომებსა და „საგმირო საქმეებზე“
მოგვითსრობდნენ სავალდებულო პოლიტ-სემინარებზე, კომპარტიის ისტორიის
ლექციებზე.

1978 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოში დიდი მღელვარება
გამოიწვია საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვამ.
ახალ პროექტში, მოსკოვის მითითებით, ამოღებულ იქნა ის მუხლი, რომელიც
საქართველოს რესპუბლიკაში ქართული ენის სახელმწიფოებრივ სტატუსს
აკანონებდა. სხვადასხვა ორგანიზაციაში საქართველოს სსრ ახალი
კონსტიტუციის პროექტის განხილვა არსებული პოლიტიკური სისტემის მძაფრ
კრიტიკაში გადაიზარდა.

ამ დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალგაზრდული
ბირთვი, ზ. გამსახურდიას, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიას, მ. გიორგაძის, თ. ჩხეიძის,
ზ. ჭავჭავაძის სახით, სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი იყო. ხელისუფლება
გრძნობდა, რომ საქართველოში ქართული ენის დასაცავად გამოსული
ადამიანების ძლიერი მოკავშირე იყო საქართველოს მართლმადიდებელი
სამოციქულო ეკლესია.

გათენდა 1978 წლის 14 აპრილი. დილის 9 საათზე თბილისის
უნივერსიტეტის ეზოში ათასობით სტუდენტი შეიკრიბა და დაიძრა რუსთაველის
გამზირისაკენ, მთავრობის სასახლისაკენ, სადაც საქართველოს სსრ უმაღლესი
საბჭოს საგანგებო სესიას უნდა დაემტკიცებინა საქართველოს სსრ ახალი

კონსტიტუცია. ახალგაზრდები მოითხოვდნენ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას. მედიქიშვილის ქუჩაზე უნივერსიტეტის სტუდენტებს შეუერთდნენ თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები; ფილარმონიასთან მათ გაარღვიეს მილიციის კორდონი, მეორე წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა რუსთაველის ძეგლთან, ათასობით დემონსტრანტი სკანდირებით: „საქართველო“, „სამშობლო“, „დედა ენა“ – მთავრობის სახლთან მივიდა... ქუჩებში დაძაბულობა იგრძნობოდა, ბრეზენტგადახურულ მანქანებში სამხედრო ტექნიკა, ჯარი იდგა... უფროსი თაობა ტიროდა, მათ ახსოვდათ 1956 წლის 9 მარტი და ეშინოდათ მისი განმეორებისა...

ვეებერთელა საბჭოთა იმპერიაში ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა. მოსკოვი იძულებული გახდა, უკან დაეხია, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ქართული ენა სახელმწიფო ენად დაკანონდა. ეს იყო დიდი გამარჯვება და სიხარული. დემონსტრანტები სიონის საპატრიარქო ტაძრისაკენ დაიძრნენ. ამ დროს კი საქართველოს საპატრიარქო (დღემდე დაუდგენელია მიზეზები) ხანძრის აღში იყო გახვეული. ხანძრის შედეგად დაიწვა ვერცხლის ხატი, XVII საუკუნის წმიდანინოს ხატი, წმიდა ნიკოლოზის ხატი, 4 სამღვდელმთავრო კვერთხი, ბარძიშ-ფეშხუმები, მუხის კანკელი, მაგიდა, სკამები; კათოლიკოს-პატრიარქების – კირიონ II-ის, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, მელქისედეკის, ეფრემ II-ის, დავით V-ის – სურათები (ორიგინალები). პატრიარქი გადარჩა... მისი უწმიდესობა თითქმის ერთი წელი რეზიდენციის გარეშე იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, კვლავ ჩვეული შეუპოვრობით გაეგრძელებინა საქმიანობა.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას 1917 წელს ჰქონდა ოფიციალური საინფორმაციო ორგანო - ჟურნალი „სვეტიცხოველი“, რომელიც მალე დაიხურა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების – ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს, ეფრემისა და დავითის – სურვილი, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ჰქონოდა თავისი საინფორმაციო ჟურნალი, მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის გამო განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, გამოვიდა ფერადი ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. თავდაპირველად განზრახული იყო, ჟურნალი ყოველთვიური ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების

მძაფრი წინააღმდეგობის გამო გადაწყდა ყოველწლიურად ორი ნომრის გამოშვება. ჟურნალს უნდა გაეშუქებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, წმიდა სინოდის სხდომები, თეოლოგიის, მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ჟურნალს აგრეთვე ჰქონდა რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე. ოცდაათი წლის მანძილზე ჟურნალის უცვლელი რედაქტორია ქალბატონი თინათინ კობალაძე. „ჯვარი ვაზისას“ 1978 წლის პირველი ნომერი მთლიანად მიეძღვნა საქართველოს მე-12 საეკლესიო კრებას, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებას. შეზღუდული ტირაჟის გამო სიონის საპატრიარქო ტაძარში სპეციალურ მაგიდაზე ეწყო ჟურნალის ნომრები და მკითხველები იწერდნენ მათთვის საინტერესო სტატიებს.

პირველ ხანებში ყოველდღიური ღოცვები, ფსალმუნები მორწმუნე მრევლს ხელით ჰქონდა გადაწერილი. 1978–1979 წლებში ეს ღოცვები დაიბეჭდა, მაგრამ მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ ისინი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, 1978–1987 წლებში საეკლესიო კალენდარში იბეჭდებოდა ყოველდღიური ღოცვები და ფსალმუნები. უნიკალური ქართული ანბანი – ასომთავრული და ნუსხახუცური – მხოლოდ სპეციალისტებისა და ღვთისმსახურებისათვის იყო გასაგები. ხალხი დაშორებული იყო ძველ ქართულ ტექსტებსა და დამწერლობას. „ქართველ მრევლში იშვიათად თუ მოიძებნება ადამიანი, – მიმართა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მრევლს, – რომელსაც შეეძლება მედავითნეობა გაუწიოს მოძვარს... ვთხოვ ქართველ მორწმუნეთ, გამოიჩინონ სიბეჯითე და გულმოდგინება, შეისწავლონ ასომთავრული და ხუცური დამწერლობა, არ მოშალონ ხიდი, გადებული სახელოვან წარსულსა და ბედნიერ მომავალს შორის.“[33, I, 47]. სულ მალე ეკლესიებში გამოჩნდა ასომთავრულით და ნუსხახუცურით დაწერილი ყოველდღიური ღოცვები, ფსალმუნები. ქართველი მორწმუნეებისათვის ასომთავრული და ნუსხახუცური ანბანი ახლობელი და გასაგები გახდა...

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, ოფიციალური ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, იძულებითი იზოლაციიდან გამოდიოდა. 1978 წლის 24 ნოემბერს ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორმა რევაზ თაბუკაშვილმა იტალიიდან გადმოასვენა 1911 წელს ქ. ჩივიტავეკიაში სხვის გადასარჩენად ზღვაში დაღუპული დიდი ქართველი მეცნიერის, მიხეილ თამარაშვილის, ნეშტი. 26 ნოემბერს, კვირას, ხელოვნების მუზეუმის დარბაზში

გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ათასობით ქართველი დაესწრო. პანაშვიდზე მობრძანდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მისმა უწმიდესობამ დიდუბის პანთეონში წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისტორიულად ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია მუდამ ერთად იდგა და ასე იქნება მომავალშიც. ეს იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის ხალხში გასვლის პირველი წარმატებული ნაბიჯი... ბევრ ადამიანზე პატრიარქის უშუალოდ, სიწმიდემ ისე იმოქმედა, რომ ეკლესიას მიაშურა. სულ მალე სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ქართული ხატები, ჯვრები. უწმიდესის ღოცვა-კურთხევით, მხატვარმა ალექსანდრე ბანძელაძემ დაიწყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვა. 1979 წელს სიონის საპატრიარქო ტაძარში გამოჩნდა ყოველდღე მღვდლის, მაცხოვრის, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა კეთილმსახურ თამარ მეფის, წმიდა ქეთევან წამებულის, ღირსი მამა იოანე ზედაზნელის, წმიდა მოწამეების – დავითისა და კონსტანტინეს – ახალი ხატები.

1978 წლის ზაფხულში, როდესაც საქართველოში უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს მოწვევით სტუმრად ჩამობრძანდა ათონის მთის გუბერნატორი, დოქტორი დიმიტრიოს ცამისი, პატრიარქმა ოფიციალურ ხელისუფლებას აცნობა, რომ აუცილებელი იყო, საპატიო სტუმარი მიეწვიათ თბილისის უნივერსიტეტში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სახელმწიფო მუზეუმში. ხელისუფლება იძულებული გახდა, დასთანხმებოდა, რამაც უწმიდესსა და უნეტარესს საშუალება მისცა, შეხვედროდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, სტუმრისათვის დაეთვალაწინებინა საქართველოს ისტორიის კაბინეტი, სადაც მათ ესაუბრა საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები პირველად შეხვდნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომლისადმი პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი ყოველდღიურად იზრდებოდა ქართველ ხალხში. საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, საერო ხელისუფლების ღონისძიებითა პარალელურად, აღნიშნა იაკობ ხუცესის მიერ წმიდა შუშანიკის წამების აღწერიდან 1500 წლისთავი, პატრიარქის ღოცვა-კურთხევით დაიწერა წმიდა შუშანიკის ხატი. ეკლესიამ ხელისუფლებას მოსთხოვა, გადმოეცა მისთვის მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი,

სადაც არის წმიდა შუშანიკის საფლავი და იმხანად კი ახალგაზრდული თეატრი იყო განთავსებული.

ყოველი მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წმიდა მირონის მომზადებას. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია VIII საუკუნიდან ამზადებს წმიდა მირონს. მირონის მომზადება საზეიმო ვითარებაში ხდება სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში მირონის მომზადება მოკრძალებულად აღინიშნებოდა, ამიტომ ვრცელდებოდა ხმები, თითქოს მირონი სხვა ქვეყნიდან შემოჰქონდათ.

1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში მომზადდა წმიდა მირონი. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მცხეთაში ჩამოსულ ათასობით მორწმუნეს შეეძლო თვითმხილველი ყოფილიყო მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის წიაღში მირონის კურთხევის მსახურებისა. ორი კვირის მანძილზე სადღეღამისო წირვა-ლოცვა არ წყდებოდა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. გაიფანტა უაზრო ჭორები. მომზადებული მირონი მოათავსეს საგანგებო ჭურჭელში. უწმიდესისა და უნეტარესის მანქანა, რომელსაც მართავდა პროტოდიაკონი ღვთისო შალიკაშვილი, თბილისისაკენ დაიძრა. მანქანაში წმიდა მირონით სავსე ჭურჭელიც იყო მოთავსებული. მანქანამ გაიარა რამდენიმე კილომეტრი და ამოტრიალდა. თანმხლები მანქანებიდან თავზარდაცემული გადმოვიდნენ წმიდა სინოდის წევრები, სამღვდელოება, მორწმუნე მრევლი. დამტვრეული მანქანიდან უვნებელი გადმოვიდა მისი უწმიდესობა, წმიდა მირონის ჭურჭელიც დაუზიანებელი იყო. რომ არა ღვთის ნება, ყველაფერი სხვაგვარად დასრულდებოდა.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო, ქართველი ხალხის გარკვეულ ნაწილში კომუნისტური ხელისუფლების მიერ ეკლესიებზე შექმნილი სტერეოტიპი „ისტორიული კულტურის ძეგლისა“ გაეფანტა და მისი ნამდვილი დანიშნულება მკაფიოდ და ნათლად განემარტა. „ტაძარი ადგილია ადამიანის ეკლესიური კურთხევისა, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – კარიბჭეა მარადიულობისა, სავანეა ღვთისა; აქაური მადლმოსილი გარემო აღაზევებს, აკეთილშობილებს სულს, განწმედს და განათავისუფლებს ცოდვებისაგან, ტაძარი ოაზისია, რომელშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ორომტრიალით,

დღევით და ამოებით დაცლილი სული შინაგან მშვიდობასა და სიწყნარეს პოვებს.“[33, I, 48].

ოფიციალურმა ხელისუფლებამ რელიგიურ დღესასწაულებს დაუპირისპირა ე.წ. სახალხო „დავით გარეჯობა“, „მცხეთობა“, „ალავერდობა“, „თელეთობა“. მთელი დღის განმავლობაში შეზარხოშებული ხალხი ზურნა-დუღუკის ფონზე წმიდა ტაძრების ეზოებში რაღაცას ზეიმობდა, თუ რას, ვერც ერთი მოზეიმე ვერ იტყოდა. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1978 წლის სექტემბერში კახეთში გაემგზავრა ალავერდობაზე. ახმეტის პარტიულმა ხელმძღვანელობამ სცადა, ათასობით მორწმუნისათვის გზა გადაეღობა, მაგრამ უშედეგოდ. ეს იყო პირველი ალავერდობა, რომლის დროსაც საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდის წევრები აღასრულებდნენ ღვთისმსახურებას. საოცარი ვითარება იყო. წარმართულ-გახალხურებული დღესასწაული თავის ნამდვილ სახეს იბრუნებდა. ასე მოხდა თელეთში, მცხეთაში, ლომისაზე. ეს იყო ქართველი ხალხის ქრისტიანული რწმენისკენ შემობრუნების რთული, მაგრამ შეუქცევადი პროცესის დასაწყისი. ოფიციალური ხელისუფლების მცდელობა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია საზოგადოებისაგან იზოლირებული დარჩენილიყო, სრული კრახით დამთავრდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობას. კომუნისტურ-კომკავშირული პროპაგანდით სულშეხუთულმა ახალგაზრდებმა სულის სიმშვიდე, სამშობლოს ინტერესების დაცვის, წინაპართა ტრადიციების პატივისცემის ძალა ეკლესიაში იპოვეს.

1978 წლის 6 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ოფიციალური დელეგაცია მოსკოვიდან თბილისში ბრუნდებოდა. მოსკოვის აეროპორტში ქართულად ხმამაღლა ნათქვამმა სიტყვამ პატრიარქი მოაბრუნა. „უწმიდესო, – მიმართა უცნობმა ახალგაზრდამ, დაიხოქა მის წინ და წერილი გადასცა, – სულ ორი თვე გავიდა თქვენი კურთხევიდან და სასახელოდ გაუძეულით დიდ გამოცდას. თქვენი ყოველი წირვა, ყოველი ქადაგება ჩვენს გულს მაღამოდ ეცხება. სიონი ჩვენი სულისა და გონების წმიდა ტაძარია, აკადემიაა, რომელშიც ადამიანი არა მარტო გონების საზრდოს იღებს, არამედ – სულიერ საზრდოსაც. თქვენ ხართ ის სულიერი მოძღვარი, რომელმაც ბევრი გზასაცდენილი ადამიანი მოაქციეთ; იმედი გქონდეთ, ქართველი ახალგაზრდები მუდამ მხარში ამოგიდგები.“[27, 2254]. ეს გულახდილი წერილი-აღსარება

ადასტურებდა უწმიდესისა და უნეტარესის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯების სისწორეს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ქართული მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. ათეისტურ ეპოქაში აღზრდილ ადამიანებს იგი მინიშნებით ასწავლიდა სასულიერო პირებთან ურთიერთობის ნიუანსებს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლ „შთამომავლობას“. სპექტაკლში შთამბეჭდავი სახე შექმნა დიდმა ქართველმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ. სპექტაკლის დასასრულს მისმა უწმიდესობამ დალოცა მსახიობები. აღფრთოვანებულმა ვერიკო ანჯაფარიძემ ასე მიმართა მის უწმიდესობას:

– არც კი ვიცი, როგორ უნდა მოგმართოთ. ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი გახდით ჩემი დიდი ოჯახური ტრაგედიის შემდეგ. (შვილის გარდაცვალების შემდეგ პატრიარქმა დიდ მსახიობს ურჩია, დიდი რწმენა გადაგაღახვინებს დიდ მწუხარებას).

უწმიდესმა დალოცა სუხიშვილების ანსამბლი, ანსამბლი „რუსთავი“...

უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტის ამაღლების, ქვეყანაში მოსახლეობის რელიგიურობის გაზრდის ფონზე ოფიციალური სახელისუფლებო სტრუქტურები ფიქრობდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მათი ანტირელიგიური მუშაობის სტრატეგია და ტაქტიკა. ამ მიზნით რეკომენდაციების შემუშავება დაევალა საქართველოს იდეოლოგიურ მუშაკთა საგანგებო ჯგუფებს, რომელთაც 1979–1984 წლებში შეკრებები გამართეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. გამომსვლელთა უმრავლესობა ცდილობდა, ოპონირება გაეწია საქართველოს ისტორიის საღვთისმეტყველო კონცეფციისათვის, დაეგმო ახალგაზრდობის დიდი ნაწილის ეკლესიისაკენ ლტოლვა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შექმნილიყო კომკავშირული შტაბები, რომელნიც საეკლესიო დღესასწაულების დროს ეკლესიებში მოსულ ახალგაზრდებს გამოავლენდნენ და ფართო „ახსნა–განმარტებით სამუშაოებს“ ჩაატარებდნენ. ხელისუფლების მითითებით, სახელმწიფო სამსახურში მყოფ ადამიანებს სამსახურიდან გაშვებით, ხოლო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს – სასწავლებლიდან გარიცხვით ემუქრებოდნენ. ოფიციალურ ხელისუფლებას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაზე ზემოქმედებისათვის შექმნილი ჰქონდა საგანგებო სახელმწიფო სტრუქტურა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის

სახით, რომელიც 1943 წელს, ხოლო მისი ფილიალი - საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა – 1947 წლის 22 აგვისტოს დაფუძნდა მთავრობის დადგენილების საფუძველზე. რწმუნებულთა აპარატს ევალებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობის კოორდინაცია, სასულიერო პირთა აღრიცხვა, მოქმედი ეკლესიების რეგისტრაცია, საბჭოთა კანონმდებლობით რელიგიური ორგანიზაციებისათვის მინიჭებულ უფლებათა დაცვა. რწმუნებულთა სამოქალაქო სამსახურის უკან საბჭოთა კავშირის უშიშროების განყოფილება იდგა, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა ეკლესიის საქმიანობას.

1947 წლიდან 1990 წლამდე საქართველოში რელიგიის საქმეთა რწმუნებულები იყვნენ: კ. ქადაგიშვილი, მ. ბუჯიაშვილი, მ. მექვაბიშვილი, დ. ენუქიძე, დ. შალუტაშვილი, თ. ონოფრიშვილი, გ. მაისურაძე, ა. წიკლაური... 1976–1978 წლებში საქართველოს სსრ რელიგიის საქმეთა რწმუნებული იყო თენგიზ ონოფრიშვილი. ამ დროს საქართველოში ძალაში იყო 1977 წლის 16 მარტს დამტკიცებული დებულება „რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ“. დებულების თანახმად, ახალი ეკლესიის გახსნა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა რელიგიური საზოგადოების 20 წევრი. თუ სასულიერო პირს არ ჰქონდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მიერ გაცემული რეგისტრაციის მოწმობა, მას ეკრძალებოდა მღვდელმსახურება.

რწმუნებულთა აპარატი ცდილობდა, სრულად ეკონტროლებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა, დიდი საშემოსავლო გადასახადები დაეწესებინა სასულიერო პირებისათვის, გაეგრძელებინა მათთვის არასასურველ სასულიერო პირებზე შეურაცხმყოფელი ჭორები, რათა საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შექმნოდა მათზე. რწმუნებულმა თენგიზ ონოფრიშვილმა ვერ მოახერხა ხელისუფლების მოთხოვნების წარმატებით შესრულება, ამიტომ იგი გაათავისუფლეს და ეს მისია გ. მაისურაძეს დააკისრეს. როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, იგი 1980 წელს დასწრებია მცხეთის სასულიერო სემინარიაში მისაღებ გამოცდებს და გულისტკივილი გამოუთქვამს: „სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით, სემინარიაში მოსული კონტინგენტი ამჯერად გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა. მათ შორის არიან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი“ [23, 1880, 1, 382, 2]. უკეთესი იქნებოდა, თუ სემინარიაში გაუნათლებელი, საეჭვო

წარსულის მქონე ადამიანები ჩაირიცხებოდნენ, რადგან მათ შანტაჟს ხელისუფლება უფრო ადვილად შეძლებდა.

რწმუნებულის დავალებით, მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორმა 1982 წლის იანვარში შიომღვიმის მონასტერში ჩაკეტა მონასტრის წინამძღვარი მამა იოაკიმე ასათიანი. მოვუსმინოთ მამა იოაკიმეს: „მიმდინარე წლის 6 იანვარი იყო, შობის წინა დღე. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით, შიომღვიმის მონასტრისაკენ გავემგზავრე სალოცავად (ამ დროს მონასტერი მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის ფილიალი იყო ს.ვ.). დღის 15 საათზე მონასტრის გალავანს მივადექი. როდესაც მონასტერში შევედი, კარი მოჯახუნდა. გარედან ვიღაცამ ბოქლომი დაადო. ყვიროდნენ და უშვერი სიტყვებით მლანძღავდნენ. ასე გავატარე მთელი ღამე. გათენდა. ჩემი საყვარელი ეკლესია საპყრობილის მაგივრობას მიწვედა, მციოდა, მწყუროდა, მშიოდა და მიჭირდა გაძლება. პირველის ნახევარზე რაღაც ხმები შემომესმა, ავტეხე ყვირილი, შეველას ვითხოვდი. კართან მოვიდა ვიღაც სამხედრო, როგორც თვითონ მითხრა, ავიაციის მაიორი, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად ამოსულიყო მონასტერში. შეველა ვთხოვე. კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა და მკითხა, თუ რით შეეძლო ჩემი დახმარება. შევევედრე, თბილისში ჩასულიყო და საპატრიარქოში ეამბნა ყველაფერი. ოფიცერი საკუთარი მანქანით წავიდა. ამასობაში კიდევ ერთი დამთვალეირებელი – დემურ ბობოხიძე – მოვიდა. მასაც ვთხოვე, ჩასულიყო მცხეთაში და ენახა სვეტიცხოვლის მოძღვრები. მალე საპატრიარქოდან მოვიდნენ... მცხეთაში დ. ბობოხიძე მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორთან გაუგზავნიათ, რომელსაც შიომღვიმის ყარაულებისათვის მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი წერილი მიუწერია: „აწი კმარა და გაუშვითო“ [23, 1880, 1, 551, 1-5].

რელიგიის საქმეთა რწმუნებულები ცდილობდნენ, უხეშად ჩარეულიყვნენ ეკლესიის შიდა საქმეებში. 1986 წლის 21 ნოემბერს რელიგიის საქმეთა რწმუნებული ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს: „ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებლად მივიჩნევთ თქვენი ყურადღება მივაპყროთ რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევების ფაქტებზე, რომლებიც საკმაოდ მოხშირდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა მხრივ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რწმუნებულთა აპარატს საჭიროდ მიაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ აღნიშნულ

დარღვევათა უახლოეს ვადებში აღმოსაფხვრელად გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებანი:

1. აეკრძალოთ ეკლესიათა მღვდელმსახურებსა და საპატრიარქოს თანამშრომლებს, უშუალოდ მიმართონ რესპუბლიკისა თუ საკავშირო ინსტანციებს და აწარმოონ მათთან მიმოწერა რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით;

2. შეიზღუდოს მღვდლების სხვადასხვა ეკლესიებში გადაყვან-გადმოყვანა, თუ ეს განსაკუთრებული აუცილებლობით არ იქნება გამოწვეული;

3. მკაცრად აეკრძალოს ყველა ღვთისმსახურსა თუ ეკლესიის წინამძღვარს რელიგიური საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმეებში ჩართვა.

4. მკაცრად იქნეს გაფრთხილებული ყველა მღვდელმთავარი და სხვა კულტის მსახურნი, რათა შეწყდეს არამოქმედ და არარეგისტრირებულ ეკლესიებში სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობა.“[23, 1880, 1, 551, 5-6].

რელიგიის საქმეთა რწმუნებულის დავალებით, ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ შიო ავალიშვილს ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გელათის ფილიალის თანამშრომლები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ადმინისტრაციული წესით დახურულ ეკლესიაში 8 თებერვალს დავით IV აღმაშენებლის საფლავზე პარაკლისი გადახდილიყო. ასე იყო ყველგან, მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი სურვილისა, რწმუნებულთა აპარატი ვეღარ ახერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამოქმედო ასპარეზის შეზღუდვას. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის ერთ-ერთ გულახდილ ჩანაწერში ვკითხულობთ: „მხოლოდ უკიდურესად რეაქციული ეკლესიის მსახურნი, უცხოელ ანტისაბჭოელებთან ერთად, მოითხოვენ, რომ ჩვენს ქვეყანაში რელიგიურ გაერთიანებებსა და მათ წევრებს უფლება მიეცეთ იმოქმედონ ისე, როგორც ეს მათ მოესურვებათ“[27, 1200, 7720].

ასე აზროვნებდნენ რელიგიის საქმეთა რწმუნებულთა აპარატში.

1980-იანი წლებიდან უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ოფიციალური ხელისუფლებისაგან დაჟინებით მოითხოვდა სასულიერო აკადემიის გახსნის ნებართვას. როგორც მისი უწმიდესობა აღნიშნავს, ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწია რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა, ბატონმა ანზორ წიკლაურმა.

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, არაერთხელ დაისვა

საკითხი რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის გაუქმების შესახებ. 1990 წლის 22 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭომ ასეთი დადგენილება გამოსცა: „გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ყველა თავისი ფუნქციით. რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა გამოცხადდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“[27, 16420].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II საოცარი მიმტვევებლობით და არაჩვეულებრივი მაღლიერების გრძნობით ყოველთვის მაგალითს აძლევს ერს. 1995 წელს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებული კრებაზე, მან აღნიშნა, რომ საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი ეკლესიის შეზღუდვისა და დაჩაგვრისათვის იყო შექმნილი, მაგრამ „არ შემიძლია არ გავისხენო, – ბრძანა უწმიდესმა, – რელიგიის საქმეთა ორი რწმუნებული: თენგიზ ონოფრიშვილი და ანზორ წიკლაური. თენგიზ ონოფრიშვილი მღვდლის შვილიშვილი იყო, რომლის სურათიც მან ერთხელ საიდუმლოდ მაჩვენა. ანზორ წიკლაურს, რომელიც ახლახან გარდაიცვალა, დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნაში. ერთიცა და მეორეც ისტორიკოსები იყვნენ და კარგად ესმოდათ ეკლესიის როლი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში“[33, II, 110].

თავი V. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ურთიერთობა მართლმადიდებელ ეკლესიებთან და არამართლმადიდებლურ კონფესიებთან. ავტოკეფალიური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და პირველი საეკლესიო კრების მიერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად კირიონ II-ის არჩევის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ დაიწყო სერიოზული მუშაობა, რათა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მსოფლიოს მკაფიო წარმოდგენა შეჰქმნოდათ, რა მოხდა საქართველოში, და არ აღმოჩენილიყვნენ რუსეთის საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ტენდენციური ინფორმაციების ტყვეობაში. პირველ ყოვლისა, იყო სურვილი რუსეთის ეკლესიასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა, მაგრამ 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ახლადარჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მაღალიერარქებს მცხეთაში 1917 წლის 12 (25) მარტს მიღებული დოკუმენტის გაუქმებისა და სინანულისაკენ მოუწოდა. ამიტომ 25 წლის მანძილზე საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ექვარისტული კავშირი არ არსებობდა.

1943 წლის 31 ოქტომბერს, დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, რუსეთის პატრიარქმა სერგიმ ოფიციალურად აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, 1917 წლის 12 (25) მარტის სვეტიცხოვლის დამოუკიდებლობის აქტის კანონიერება და რუსი მრევლისადმი მიმართვაში დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ექვარისტული კავშირის აღდგენა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტს ხელს აწერდნენ პატრიარქი სერგი და სინოდის მუდმივი წევრები, მიტროპოლიტები: ალექსი, ნიკოლოზი, მთავარეპისკოპოსები: ანდრეი, ალექსი, იოანე.

1946 წელს საქართველოში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამობრძანდა რუსეთის პატრიარქი უწმიდესი ალექსი I. 1958 წელს იგი მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. 1945–1948 წლებში უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე სტუმრობდა მოსკოვს. 1951–1970 წლებში მოსკოვში არაერთხელ ჩატარდა საბჭოთა კავშირში არსებულ რელიგიურ კონფესიათა მეთაურების შეხვედრა, სამშვიდობო კონფერენციები. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქნი: მელქისედეკ III, ევრემ II, დავით V, ილია II. რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა დამყარდა.

1977 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი ამ სიტყვებით მიესალმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, აღსავე უღრმესი პატივისცემით თავისი ერთმორწმუნე, მოძმე ქართული ეკლესიისადმი, გულით ხარობს ამ უწმიდეს ტაძარში გამეფებული სიხარულითა და ზემით. ეს სიხარული წმიდაა და ნათელი. ჩვენც სიხარულმა მოგვიყვანა აქ, რათა ერთხელ კიდევ დაუუდასტუროთ კეთილმორწმუნე ქართველ ერს და მის ღირსეულ მწყემსმთავარს სრულიად რუსეთის ეკლესიის სამწყსოს სიყვარული“ [34, 1978, 12].

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II პატრიარქ პიმენის ამ პოზიციას პატივისცემითა და რუსეთის ეკლესიისადმი სიყვარულით პასუხობდა. 1978 წლის მაისში მან მონაწილეობა მიიღო რუსეთში პატრიარქობის აღდგენიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაში. აქ იგი შეხვდა და მომავალი ურთიერთობების გადრმაგების საკითხებზე ესაუბრა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს, მიტროპოლიტებს – მელიტონსა და ბართოლომეოსს (ახლანდელ მსოფლიო პატრიარქს), იერუსალიმის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ გერმანეს, რუმინეთის ეკლესიიდან – მიტროპოლიტ თეოქსტიტეს (შემდგომში პატრიარქს), ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს, ელადის ეკლესიის წარმომადგენელს – მიტროპოლიტ ვარნავას, კვიპროსის ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაურს – დოროთეს, პოლონეთის ეკლესიის მეთაურს – მიტროპოლიტ ვასილს, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს – მთავარეპისკოპოს თეოდოსის, სომხური ეკლესიის მეთაურს – პატრიარქ-კათოლიკოს ვაზგენს I-ს. რუსეთის

ეკლესიის მეთაურის, უწმიდეს პიმენისადმი მიმართულ მისაღმებაში მან აღნიშნა: „რუსული ეკლესიის ათასწლოვანი ისტორია – ეს არის ქრისტეს ჯვრის მტვირთელობის ათასწლოვანი გზა. ეს არის წმინდანთა დასები, ეს არის ქრისტიანული სიყვარული, ეს არის ბრძოლა ჭეშმარიტი რწმენისა და მამულისათვის. ეს არის სულიერ ფასეულობათა შექმნა და ზრუნვა მათი შენარჩუნებისათვის“[30, 234].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა რუსეთის პატრიარქებს – უწმიდეს ალექსი I-სა და უწმიდეს პიმენს. მან 1990 წელს პატრიარქ პიმენის დაკრძალვაზე ასე დაახასიათა იგი: „როდესაც ჩვენ უწმიდესი პატრიარქის – პიმენის ცხოვრებას შორიდან ვუყურებთ, ვხედავთ მხოლოდ მის სიღიადეს, გვახსენდება სადღესასწაულო ღვთისმსახურებანი, წირვა–ლოცვანი, მაგრამ ვერ ვხედავთ იმ მძიმე განსაცდელსა და დევნას, რომელიც მან გადაიტანა, ვერ ვხედავთ იმ თავგანწირულ მსახურებას, მის უძილო, ღოცვით გათენებულ ღამეებს, მის ცრემლებსა და ტანჯვას, იმ მძიმე ჯვარს, რომელიც მას თავისი მხრებით მიჰქონდა“[30, 237].

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახლადარჩეულ პატრიარქ ალექსი II-ს ტრადიციული მეგობრობა და ურთიერთთანამშრომლობა შესთავაზა.

XX საუუნის 90-იან წლებში ბოლშევიკების მიერ მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია – საბჭოთა კავშირი – დაიშალა. ეს პროცესი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, მათ შორის – საქართველოსათვის, საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. რუსეთის პოლიტიკური წრეების წაქეზებითა და მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული ტენდენციები საქართველოს ისტორიულ მიწა–წყალზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. რუსეთმა ფაქტობრივად ამ ტერიტორიების ანექსია მოახდინა, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობას ჯიუტად უმტკიცებს, რომ იგი რეგიონში იცავს მშვიდობასა და სტაბილურობას. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც 300 000 ქართველი გამოძევებულია აფხაზეთის ტერიტორიიდან, 14 ათასზე მეტი ადამიანი კი დახოცეს საკუთარ მიწა–წყალზე. დახვრიტეს მამა ანდრია, დაარბიეს ეკლესიები.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია თავის ბუნდოვან განცხადებებში თითქოს გმობდა ძალადობას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერში ირიბად ქართველებს ადანაშაულებდა. რუსეთის პატრიარქმა ალექსი II-მ თბილისში ყოფნისას თავი აარიდა ამ პრობლემებზე მსჯელობას. ცხუმ–აფხაზეთისა და ცხინვალის ეპარქიებიდან სეპარატისტების მიერ გამოძევებულია ქართველი სამღვდლოება და ამ დროს რუსეთის ეკლესია, საქართველოს საპატრიარქოს

გვერდის ავლით, ცდილობს იქ რუსი სასულიერო პირების დამკვიდრებას და ამას ამართლებს მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნებით. ისეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე, რომ, როგორც რუსეთის სახელმწიფო, ასევე ეკლესია, საჯაროდ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ეკლესიის ტერიტორიულ ავტოკეფალიას, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იქცევიან. ამ თვალსაზრისით რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ცხინვალის სეპარატისტული უკანონო შეიარაღებული ფორმირების აღლუმზე მონაწილეობს რუსეთის ვლადიკავკაზის ეპარქიის წინამძღოლი?

რუსეთის „პატრიოტ მეცნიერთა“ წრეებში გაჩნდა მოსაზრებანი ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნების აუცილებლობის შესახებ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II მკაცრად გმობს ყოველივე ამას. რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავს: „მე მივიღე საკმაოდ უცნაური და გაუგებარი წერილი და აუცილებლად მივიჩნიე, გამეცნო იგი თქვენთვის, მით უმეტეს, რომ იგი რუსეთისა და საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიების ურთიერთობებს ეხება.... უპირველეს ყოვლისა, გვაოცებს, რატომ ერევიან მეცნიერები ორი ძმური ავტოკეფალიური ეკლესიის ურთიერთობაში? ვინ მისცა მათ ამის უფლებამოსილება? მე არ ვფიქრობ, რომ ეს თქვენგან მიეცათ. მტკიცება ახალი ათონის მონასტრის რუსეთის ეკლესიისათვის დაბრუნებისა იმ მოტივით, რომ იგი რუსი ოსტატების, რუსი ხალხისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ხარჯებით აშენდა, არასწორია. მე შემიძლია მრავალი მაგალითი მოვიყვანო იმის თაობაზე, რომ ბევრი ქართული ტაძარი და შენობა მოსკოვში, პეტერბურგსა თუ რუსეთის სხვა ქალაქებში ქართველი მეფეებისა და თავადების მიერ არის აშენებული; ჩვენ რომ დღეს ერთმანეთს მსგავსი პროტენზიები წავუყენოთ, ეს არ შეუწყობს ხელს ჩვენი ხალხებისა და ეკლესიების მეგობრობას... გარდა ამისა, მინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც 1943 წელს რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ტერიტორიული ავტოკეფალია, საქართველოში არსებული ყველა რუსული სამწყსო და მონასტერი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციას გადაეცა“ [33, II, 421-422]. პატრიარქმა ასევე მკაცრად დაგმო ვლადიკავკაზისა და სტავროპოლის მიტროპოლიტ გედეონის მცდელობა „სამხრეთ ოსეთის ხალხისათვის სულიერი დახმარების აღმოჩენის შესახებ“ და დასძინა: „უპირველეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია საქართველოს უძველესი ტერიტორიაა, თავისი

განცხადებით იგი მტრობას სთესს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს, არამედ ქართველებსა და რუსებს შორისაც“[33, II, 424].

სამწუხაროდ, რუსეთის ეკლესიამ მკაფიო პასუხი ვერ გასცა, თუ რატომ ხდება ყოველივე ეს, ვერც 1992 წლის ოქტომბერში, როდესაც უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს და სთხოვა, გამოეყენებინა თავისი ავტორიტეტი აფხაზეთში დატრიალებული სისხლისღვრის შესაჩერებლად, და ვერც შემდგომ.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაში ყველაზე რთული არ ყოფილა არც ამოუცნობნიშნებიანი თვითმფრინავებით საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების პერმანენტული დაბომბვა, არც ეკონომიკური ბლოკადა და არც ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, ბევრად უფრო მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო 2006 წლის შემოდგომაზე ქართველთა დამამცირებელი დეპორტაცია რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან და მათი დევნა ეთნიკური ნიშნის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა საშიშ ზღვარს გასცდა. ამ ვითარებაში რუსეთის საპატრიარქოს მიერ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიწვევა მოსკოვში მართლმადიდებელი ენციკლოპედიის მე-13 ტომის პრეზენტაციაზე დასასწრებად, სცილდებოდა ენციკლოპედიის პრეზენტაციის ფარგლებს. ვიზიტი 2007 წლის 1-5 მარტს შედგა. მრავალრიცხოვანი ქართული დელეგაცია, რომელსაც პატრიარქი ხელმძღვანელობდა, ფიქრობდა, მსჯელობდა, როგორი შედეგები ექნებოდა ამ ვიზიტს. ყველა დელაგდა, მშვიდად მხოლოდ მისი უწმიდესობა იყო. მან პირველსავე ოფიციალურ შეხვედრაზე მკაფიოდ განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა... ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: დილით, ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს... რუსეთს უნდა სჭირდებოდეს ერთიანი, მეგობრული საქართველო.“[35, 18-19].

პატრიარქმა 4 მარტს მოსკოვის მაცხოვრის საკათედრო ტაძარში, უწმიდეს ალექსი II-სთან ერთობლივი ღვთისმსახურების შემდეგ, მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა: „პრობლემები, რომლებიც წარმოიშვნენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ღვთის მადლით, გადაწყდება ქართული სახელმწიფოს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის

წილში, ხოლო არჩევნები, რომელიც დღეს ტარდება აფხაზეთში, საიდანაც 300 ათასი მკვიდრი მცხოვრები გამოძევებულია, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურად.“[35, 35]. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ პოლიტიკა რთული ხელოვნებაა, მაგრამ, როგორც აზვირთებულ ოკეანეში გემის ბრძენ წინამძღოლს შეუძლია მისი სამშვიდობოზე გაყვანა, მის უწმიდესობას შესწევს ძალა ურთულეს დიპლომატიურ ლაბირინთებში მშვიდად გაიაროს და თავისი ქვეყნისა და დედა ეკლესიის ინტერესები დაიცვას უდიდესი ტაქტიკითა და ღირსებით.

უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1917–1918 წლებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენას. 1811 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთის იმპერატორმა – ალექსანდრე I-მა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან გაწედა მრავალსაუკუნოვანი კავშირი. უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II მსოფლიო პატრიარქ ბასილ III-ს წერილში მოკლედ მოუთხრობდა 1811–1917 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიას და აცხადებდა: „გულისხმავყოფ ბრძანებასა მოციქულისასა თანახმად ერთობისა მას სულისასა საკვირველისასა... სიყვარულით მოგიკითხავ, უნეტარესო მამაო, და წრფელითა გულითა გითხრა: „ქრისტე არს ჩვენს შორის“. ღვაწლი ჩემდა იქნების დაცვაი დოღმატთა მართლმადიდებლობისათა, რომელთა არცა გამცემელ ყოფილ არს ეკლესიაი ჩვენი, გზად ჩემდა იქმნების ზრუნვაი კეთილდგომისათვის წმიდათა ღმერთისა ეკლესიათა და კეთილი წარმატებისათვის ერისა ჩემის ზღუდელ ჩემდა იქმნების კანონი.“[15, 206]. კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, რუსეთის ეკლესიის გავლენით, ერიდებოდა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობას XX საუკუნის 20–60-იან წლებში. ერთადერთი შემთხვევა უკავშირდება 1928 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ახალ სტილზე გადასვლის გამო მხარდაჭერა სთხოვა.

ბოლშევიკური მმართველობის ხანაში სხვა მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიებთან პირადი კონტაქტები გაძნელებული იყო. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საბჭოთა კავშირის მიერ მტრულად შერაცხილი სამხედრო ორგანიზაციის, „ნატოს“ წევრი ქვეყნის – თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს

მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოსთან თავისუფალ ურთიერთობას უკრძალავდა. დღეს ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, თუ რამდენად იყო გამართლებული 1962 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II-ის თანხმობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში გაწევრიანების შესახებ. ამ ორგანიზაციის ეგიდით მოწყობილ სამშვიდობო ფორუმზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, მსოფლიოს მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებისათვის მკაფიოდ განემარტათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მნიშვნელობა და მოეთხოვათ მათგან ამ ავტოკეფალიის აღიარება. 1963 წელს შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია მონაწილეობდა კუნძულ როდოსზე გამართულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამშვიდობო ფორუმში, რომელზეც საქართველოს ეკლესია ყველაზე ახალგაზრდა ავტონომიურ ეკლესიად გამოაცხადეს. ამას მოჰყვა მეუფე ილიას მწვავე რეაქცია. მან განუმარტა დამსწრეთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის უძველესი სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესია და მოითხოვს შესაბამის პატივისცემას. როდოსიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა ილიამ ვრცელ მოხსენებით ბარათში უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს აუხსნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ირგვლივ შექმნილი ვითარება. უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II-მ მას დააგალა, ემუშავა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, მეცნიერებთან თანამშრომლობით მოეძია ავტოკეფალიის ისტორიული მტკიცებულებანი. დაიწყო ამ მიმართულებით დაძაბული მუშაობა. 1970 წლის 2 მარტს უწმიდესსა და უნეტარეს ეფრემ II-ს სამუშაო დღიურში ჩაუწერია: „კონსტანტინეპოლის მსოფლიო პატრიარქი ჩვენს ეკლესიასთან არ არის კეთილად განწყობილი, ცნობილმა ვიდაცამ (?) ყურში ბოროტად ჩაუჩურჩულა, ჩვენს პატრიარქობას არ სცნობს... ჩვენ ჩვენს გზას ვაგრძელებთ.“[27, 3797].

მსოფლიო საპატრიარქოსთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე ინტენსიური მოლაპარაკებები ვაგრძელდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ღოცვა-კურთხევით. 1978 წლის 1-4 ივნისს, პატრიარქის მოწვევით, თბილისში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვა-

ნელობდა ქალკედონის მიტროპოლიტი მელიტონი. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართოლომეოსი (ახლანდელი მსოფლიო პატრიარქი) და შვედეთის მიტროპოლიტი პავლე. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა პირველი სერიოზული მოლაპარაკება საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე. 1978 წლის 16 ივნისს უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვედრა მოუწყო ქართველ მეცნიერებს. შეხვედრას ესწრებოდნენ პროფესორები: მ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, ო. ჯაფარიძე, პ. ზაქარაია, შ. ლომსაძე, ი. სიხარულიძე, გ. მამულია, ნ. ასათიანი, რ. სირაძე, ა. ბოგვერაძე, დ. გოგოლაძე, თ. ბერაძე, ი. ლოლაშვილი, ბ. ლომინაძე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ მეცნიერებს სთხოვა, ინტენსიურად ემუშავათ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე. მანვე აღნიშნა, რომ მოსაგვარებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების საკითხი. საჭირო იყო, მყარი ისტორიული მტკიცებულებების მქონე საბუთებით დამტკიცებინათ ბერძნული საპატრიარქოებისთვის, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური V საუკუნიდან კათოლიკოსის, ხოლო XI საუკუნიდან – კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულს ატარებდა. მეცნიერებმა აღუთქვეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ინტერესების დასაცავად. მართლაც, უმოკლეს დროში შეიქმნა ნ. ლომოურის, ბ. ლომინაძის, დ. გოგოლაძის, ა. ბენდიანიშვილის ნაშრომები საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე.

1979 წლის 2–8 მაისს უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თანმხლებ პირებთან ერთად სტამბულში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის – უწმიდესი დიმიტრიოსის მიწვევით. „თითქმის რვაასი წელია, რაც კონსტანტინოპოლში არ ყოფილა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, – განაცხადა მისმა უწმიდესობამ, – ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა და ღვთის ღოცვა-კურთხევით ჩამოვედი ამ ქალაქში, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იყო ცენტრი ეკლესიური, კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. ჩვენი ეკლესია მუდამ გრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება მსოფლიო საპატრიარქოს, ის მუდამ უნდა ყოფილიყო იმ

ძალად, რომელიც დააკავშირებდა ავტოკეფალიურ ეკლესიებს.“[34, 1979, 2, 12-13]. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შეხვდა მსოფლიო საპატრიარქოს მმართველ მღვდელმთავრებს, გაიმართა აზრთა გაზიარება მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობის საკითხებზე. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შეხვედრაზე განაცხადა: „როდესაც წერილს ან მილოცვას გვიგზავნის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო, სწორად არ არის მოხსენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ისე როგორც წოდებულია V საუკუნიდან... საეკლესიო ფორუმებსა და კონფერენციებზე საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია კანონიერად უნდა იკავებდეს თავის ადგილს... როცა ხდება კუთვნილი VI ადგილის დარღვევა, ეს გავლენას ახდენს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაზე და მის ავტორიტეტზე მთელ მსოფლიოში... ჩვენ გვსურს, რომ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს... არ ვითხოვ ახალი რამის მოცემას ან დამტკიცებას, ჩვენ გვინდა ადვადგინოთ წინანდელი ჩვენი მდგომარეობა, რომელიც, სამწუხაროდ, 1811 წელს დაგვარგეთ.“[34, 1979, 2, 11].

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სახელით გამოსულმა ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღუთქვა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურს, რომ ეს საკითხები დადებითად გადაიჭრებოდა დასაბუთებული ისტორიული მასალების გაცნობის საფუძველზე.

დაძაბული მოლაპარაკებები 11 წელი გაგრძელდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ავტოკეფალიისა და დიპტიხის საკითხებში არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა. 1982 წლის 3 ივლისს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ უწმიდესი და უნეტარესი ილია II და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 13 მღვდელმთავარი, ნათქვამი იყო: „თუ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქო სადავოდ მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ადგილს დიპტიხში, იმ შემთხვევაში საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ მოწყობილ ღონისძიებებში.“[27, 10417].

საქართველოს საპატრიარქომ გააპროტესტა ის ფაქტი, რომ 1981 წელს საბერძნეთისა და კვიპროსის ეკლესიების მიერ შედგენილ კალენდარში საქართველოს ეკლესია არ იყო მოხსენიებული ისტორიულად მის კუთვნილ მე-9 ადგილზე. მის უწმიდესობას მოუბოდიშეს, რომ იძულებული იყვნენ დაეცვათ

მსოფლიო საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიური ეკლესიებისათვის განკუთვნილი რიგი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ქართველ მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ, მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებს დაუგზავნა დასაბუთებული, ისტორიული დოკუმენტებით გაჯერებული წერილები, რომლებიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიულ ავტოკეფალიასა და დიპტიხში მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის მისი კუთვნილი მე-6 ადგილის კანონიერებას ამტკიცებდა. პატრიარქმა ილია II-მ მოძმე ეკლესიებისგან წერილობითი მხარდაჭერა მოითხოვა. მისი უწმიდესობის მოთხოვნას დადებითად გამოეხმაურნენ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი უწმიდესი პიმენი (1982 წ. 29. IX), პრადისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთეოსი (1982 წ. 16.VII), ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე (1982 წ. 16.V), ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი უწმიდესი ნიკოლოზ VI (1982 წ. 1.IX). მრავალმხრივ საგულისხმო იყო იერუსალიმის პატრიარქის დიოდოროსის პასუხი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია... დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამებრივმა, მაგრამ, ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში.“[27, 1374, 8701]. უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს წერილს დაუყოვნებლივ უპასუხა მსოფლიო პატრიარქმაც: „მივიღე და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და წმიდა სინოდის ძმურ წერილს, რომელიც შეეხება წმიდა დიპტიხში თქვენი ეკლესიის ადგილს ისტორიული და კანონიერი მონაცემებით. გაცნობებთ, რომ იგი განსახილველად გადაეგზავნა სინოდის საბჭოს.“[27, 8701].

1988 წლის აგვისტოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მოწვევით, თბილისში ჩამობრძანდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უწმიდესი დიმიტრიოსი, რომელმაც მოილოცა ქართული ეკლესია-მონასტრები, ხელოვნების მუზეუმში დაათვალიერა ქართული საეკლესიო სიწმინდენი. მსოფლიო პატრიარქი გააოცა ეკლესია-მონასტრებში მრევლის, ძირითადად ახალგაზრდობის, სიმრავლემ.

საქართველოს საპატრიარქოში წმიდა სინოდის წევრებთან და ქართველ მეცნიერებთან გაიმართა მსჯელობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობისა და მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიხში VI ადგილის დაკავების შესახებ. გადაწყდა, აღნიშნულ საკითხებზე გაგრძელებულიყო მოლაპარაკებები.

1988–1989 წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხებზე მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მიტროპოლიტები: ქრიზოსთომოსი და დამასკინოსი. უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა სიტყვას, რომელიც აღიარების ტექსტში უნდა შესულიყო. მოლაპარაკებები იყო რთული, მაგრამ კონსტრუქციული. 1990 წლის 7 იანვარს (ძვ. სტ. 25 დეკემბერს), სიონის საპატრიარქო ტაძარში წირვის დამთავრების შემდეგ, მიტროპოლიტმა ქრიზოსთომოსმა ოფიციალურად გამოაცხადა მსოფლიო საპატრიარქოს გადაწყვეტილება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის აღიარების შესახებ.

1990 წლის 4 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსის ხელმოწერით მიიღო ორი სიგელი:

„1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი“, რომლის თანახმადაც მსოფლიო საპატრიარქომ მიიღო გადაწყვეტილება „ცნოს და დაამტკიცოს საქართველოს წმიდა ეკლესიის ავტოკეფალია და დამოუკიდებელი სტრუქტურა“.

2. კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქის – დიმიტრიოსის – განჩინებით, საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებული იქნა საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში. პატრიარქის ტიტულია: „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსა.“[34, 1990, 3, 5-8].

მისმა უწმიდესობამ გულითადი მადლობა მოახსენა მსოფლიო საპატრიარქოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ დიპტიხის საკითხიც ასევე სამართლიანად გადაწყდებოდა.

საქართველო მოუთმენლად ელოდა მისი უწმიდესობის სამშობლოში დაბრუნებას. ერთი წელი სრულდებოდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის

სისხლიანი დღეებიდან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მკაფიოდ აყენებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს. როგორც 1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა წინ უსწრებდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ისე მოხდა 73 წლის შემდეგაც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის ცნობის სიგელებით ხელდამშვენებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დაბრუნდა სამშობლოში. თბილისის აეროპორტიდან საპატრიარქო რეზიდენციამდე ბედნიერებისაგან აცრემლებული, ერთ მუშტად შეკრული ქართველობა აცილებდა თავის ღირსეულ სულიერ წინამძღოლს. 28 მარტს სიონის საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ სიტყვაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიულოცა ქართველ ერს ისტორიული დღე და აღნიშნა: „ამჯერად ხელთ გვაქვს ის საბუთები, რომელთაც საქართველო 1500 წლის მანძილზე ელოდა... ისინი იმდენად დიდი მნიშვნელობის საბუთებია, რომ ვერასდროს, ღვთის წყალობით და ღვთის ღოცვა-კურთხევით, ვერავინ ვეღარ შეახებს ხელს საქართველოს ეკლესიას.“[34, 1990, 3, 4]. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა მის უწმიდესობას, მარტო ეს ეყოფოდა ისტორიაში შესასვლელად.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მსოფლიო საპატრიარქოსთან ურთიერთობას ყოველთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. 1991 წლის 29 აპრილს თურქეთის ხელისუფლებამ სტამბოლის მერის მოადგილის მეშვეობით გამოიძახა მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი და მოუწყო დაკითხვა. თურქეთის ხელისუფლება XV საუკუნიდან არ სცნობს მსოფლიო საპატრიარქოს და კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს ადგილობრივი ბერძნული თემის ეკლესიის მეთაურებს უწოდებს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თურქეთის პრეზიდენტ თურგუტ ოზალისადმი გაგზავნილ წერილში ხმა აღიმალა მსოფლიო საპატრიარქოს პატივისა და ღირსების დასაცავად, დაგმო მსოფლიო პატრიარქის დაკითხვის ფაქტი და გამოთქვა რწმენა, რომ მსგავსი ინციდენტი არ განმეორდებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა გაამხნევა მსოფლიო პატრიარქი. „საქართველოს საპატრიარქო მუდამ თქვენთან იქნება“, – განუცხადა მას უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ეს მოხდა იმ დროს, როდესაც დემოკრატიული მსოფლიოს რელიგიურ კონფენსიათა ლიდერები თურქეთის ხელისუფლების განაწყენებას მოერიდნენ და შექმნილ ვითარებაში დუმილი ამჯობინეს. თავის მხრივ, მსოფლიო საპატრიარქომ მკაცრად დაგმო რუსეთის იმპერიული

პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და მოუწოდა რუსეთის საპატრიარქოს, თავი შეიკავოს რელიგიური სეპარატიზმის მხარდაჭერისგან.

1994 წლის მაისში კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I პატრიარქის რანგში პირველად ეწვია საქართველოს. ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ ღირსეული მასპინძლობა გაუწია მას. 2003 წლის 19–24 სექტემბერს მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეოს I კვლავ სტუმრობდა საქართველოს. მან იმოგზაურა ქუთაის-გაენათის, ხონის, ბათუმისა და სხალთის ეპარქიებში. მოილოცა ქართული სიწმიდეები. სამების საკათედრო ტაძრის დათვალიერების შემდეგ უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა განაცხადა: „ეს ტაძარი იქნება დიდი წარმატება თქვენი კათოლიკოს-პატრიარქისა, რომელსაც ბევრი რამ აქვს გაკეთებული, მაგრამ ეს იქნება გვირგვინი მისი მოღვაწეობისა“ [36, 2003, 38]. პატრიარქმა ბართოლომეოსმა აღნიშნა, რომ „რაც უფრო მეტი პრობლემების წინაშე დგას საქართველო, მით უფრო მეტად იზრდება ხალხის რწმენა და მათი მხურვალე დამოკიდებულება მართლმადიდებლობისადმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველი ხალხი პრობლემებთან შესაბრძოლებლად ძალას იღებს შემოქმედი ღმერთისგან.“ [36, 2003, 38].

მსოფლიო პატრიარქის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ ჩავიდა კონსტანტინეპოლში, ეწვია ისტორიულ კაბადოკიას, მოილოცა ისტორიული საქართველოს – ტაო-კლარჯეთის – ეკლესია-მონასტრები, გაამხნევა თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველობა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და ალექსანდრიის საპატრიარქოს ურთიერთობები 1917–1970-იან წლებში მხოლოდ საახალწლო, საადღმომო და საშობაო მილოცვებით შემოიფარგლებოდა. ალექსანდრიის უძველეს ეკლესიასთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის დაახლოების პროცესი დაიწყო 1976 წლიდან, როდესაც ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI სოხუმში შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას. მიტროპოლიტმა ილიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსანდრიის პატრიარქზე. 1981 წლის 20–31 ივლისს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ალექსანდრიის პატრიარქთან ერთად მოილოცა საქართველოს მოქმედი ეკლესია-მონასტრები. უწმიდესი ნიკოლოზ VI საქართველოს მართლმადიდებელი

სამოციქულო ეკლესიის მეთაურს დაჰპირდა მხარდაჭერას საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. იმ დროს, როდესაც ქართველი სწავლულებისათვის საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში მუშაობა აუხდენელი ოცნება იყო, ალექსანდრიის პატრიარქმა განაცხადა: „დიდი სიამოვნებით მივიღებ თქვენ მიერ მოვლინებულ ქართველ მეცნიერებს, რომლებიც ალექსანდრიისა და კაიროს სამონასტრო ბიბლიოთეკებში დაცულ ქართულ ხელნაწერებს შეისწავლიან და მათ ფოტოპირებს გადაიღებენ.“[34, 1981, 2, 9].

დარბაზობაზე უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ განაცხადა: „კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სახე საშუალებას მაძლევს ვთქვა, რომ დღეს საქართველოს ეკლესიაში ბატონობს სიბრძნე, სიყვარული და ძლიერება. იგი ძალზე ენერგიულად უძღვება ეკლესიის საჭეს და ღვთის შვილები უფლის მიერ დაკანონებული გზით მიჰყავს.“[34, 1981, 2, 13].

1984 წლის 18–30 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ალექსანდრიის საპატრიარქოს, დაათვალიერა ადგილობრივი სიწმიდენი, მოილოცა წმიდა ეკატერინეს მონასტერი სინას მთაზე, დაათვალიერა მონასტრის უნიკალური ბიბლიოთეკა, სადაც ქართული ხელნაწერი წიგნებიც არის დაცული. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა ალექსანდრიის პატრიარქს და აღნიშნა: „ჩვენს ხალხებს დიდი ნიჭი მოჰმადლა უფალმა, ამიტომაც უფრო მძიმე იყო და არის ჯვარი ჩვენი ერებისა; თითქოს საქრისტიანოს საზღვრების დარაჯად დაადგინა უფალმა ისინი, ამიტომაც არიან უმეტესად გვემულნი და ჯვარცმულნი, მაგრამ, ღვთის შეწევნით, კვლავაც მკვდრეთით აღმდგარნი და ამაღლებულნი.“[34, 1984, 2, 12].

ალექსანდრიის უძველეს საპატრიარქოსა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას შორის გულითადი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ალექსანდრიის პაპმა და პატრიარქმა ნიკოლოზ VI-მ განსაკუთრებით შეიყვარა საქართველო. 1981 წლიდან მოყოლებული იგი ყოველ ზაფხულს ჩამოდის საქართველოში. საქართველოსაკენ მისი ასეთი ლტოლვა ახლობელთა გაოცებასაც იწვევდა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართული სტუმარ-მასპინძლობის წესის დაცვით ხვდებოდა სასურველ სტუმარს. უწმიდესი ნიკოლოზ VI-ის პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. 1984 წლის ზაფხულში უნეტარესმა ნიკოლოზ VI-მ ამ

სიტყვებით მიმართა ქართველ მრევლს: – მე ალბათ, მეტად ვეღარ შეგვეხვედებით, მაგრამ ლოცვებით მუდამ თქვენთან ვიქნები.

ალექსანდრიის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ VI 1984 წლის 9 ივლისს გარდაიცვალა. მისი საქმე განაგრძეს უნეტარესმა პარტენიოსმა და პეტრე VII-მ.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მიზანი იყო ყველა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მთავარი მაინც პირველი ოთხი საპატრიარქო იყო: კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის. საქართველოს სამოციქულო ეკლესია უძველესი დროიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიებთან. V საუკუნეში პალესტინაში მოღვაწეობდა პეტრე ქართველი, რომელმაც დააარსა ქართული მონასტერი. აქედან მოყოლებული XIX საუკუნემდე ქართველები მრავლად იყვნენ წმიდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტრებში. ვახტანგ გორგასლის დროს უკვე აშენდა დიდი მონასტერი, რომელიც XI საუკუნის 30–50-იან წლებში განუახლებია ჯვრის მონასტრის სახელით გიორგი – პროხორე ქართველს. XIV საუკუნეში ქართველები გოლგოთას ფლობდნენ და მაცხოვრის საფლავის კლიტენი ქართველთა საკუთრება იყო. ისტორიულმა ქართველებმა ქართველების პოზიციები შეასუსტა იერუსალიმში, განსაკუთრებით – XIX საუკუნეში, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში ყოფნის დროს. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყოველი მცდელობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან ურთიერთობის აღდგენისა XX საუკუნის 20–60-იან წლებში უშედეგო აღმოჩნდა. მხოლოდ 1977 წლის შემდეგ დაიწყო იერუსალიმის საპატრიარქოსთან ინტენსიური მოლაპარაკებები. 1980 წლის 29 მაისიდან 5 ივნისამდე მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი იერუსალიმის პატრიარქის, ბენედიქტე I-ის მიწვევით იერუსალიმში იმყოფებოდა. მთელი მსოფლიო გააოცა იმ ფაქტმა, რომ ქართველ პატრიარქს აღტაცების შეძახილებითა და ცრემლებით შეხვდნენ ქართველი ებრაელები, რომლებიც გამოხატავდნენ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას მისი უწმიდესობისა და, მისი სახით, სრულიად საქართველოს მიმართ. ისრაელის რელიგიის საქმეთა მინისტრმა უწმიდესთან შეხვედრაზე განაცხადა: – ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება საქართველოს ებრაელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობის თვალსაზრისით. საუკუნეთა მანძილზე ამ ურთიერთობებში არ ყოფილა არავითარი გაუგებრობა. მადლობა თქვენ ამისათვის.

ამ ოფიციალურ შეხვედრაზე პირველად დაისვა ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხი. იერუსალიმის პატრიარქ ბენედიქტესთან შეხვედრაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, აღდგეს ის ძველი, ტრადიციული ურთიერთობანი, რაც გვქონდა ადრე. წარსულში ჩვენი ქვეყნების ავტონომიამ შეწყვიტა ეს ძმური ურთიერთობა და დღეს კი, ვფიქრობ, დადგა დრო იერუსალიმის ეკლესიამ შეასრულოს ის დიდი მისია, რაც დედა ეკლესიას ეკუთვნის“ [34, 1980, 1, 10]. 300 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც წმიდა ქალაქ იერუსალიმს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური ესტუმრა.

1981 წლის 17–20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მისი უნეტარესობა, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროს I, რომელმაც განაცხადა, რომ „ეს შეხვედრა იყო ისტორიული იმიტომ, რომ პირველად დიდი ხნის შემდეგ ჩვენ, ორი ეკლესიის მამამთავრებს კვლავ მოგვეცა ერთობლივი თანამწირველობის შესაძლებლობა.“ [34, 1981, 2, 17]. ქართველოლოგიისათვის დიდი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იერუსალიმის პატრიარქის დაპირებას, რომელიც მან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში სტუმრობისას აკადემიკოს ელენე მეტრეველს მისცა, რომ იგი ინსტიტუტს მიაწვდიდა ჯვრის მონასტერში დაცული იმ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს, რომლებიც აქამდე არ იყო შესწავლილი. საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის აღდგა ისტორიული ურთიერთობანი.

1987 წლის ოქტომბერში უწმიდესი და უნეტარესი ილია II კვლავ ესტუმრა წმიდა ქალაქ იერუსალიმს. ამ ვიზიტის დროს მსოფლიომ თვალნათლივ დაინახა ქართველი ერის ტოლერანტობისა და სხვა ერებისადმი სანიმუშო პატივისცემის ნაყოფი. ქართველი ებრაელები კვლავ დიდი სიყვარულით შეეგებნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს – დიდი ხნის წინ თბილისიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ონიდან, კულაშიდან წასული ებრაელები მოდიოდნენ შვილებით, შვილიშვილებით და აღტაცებულნი ოვაციებს უმართავდნენ უწმიდესსა და უნეტარესს. იერუსალიმის მთავარმა ქურნალმა სტატიაში – „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის პილიგრიმობა იერუსალიმში“ – ასე დაახასიათა საქართველოს ეკლესიის საჭეთმყრობელი: „კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის გულდია, დინამიური პიროვნება. მან საქართველოს უძველესი ეკლესია, თბილისი, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის ცენტრი, ძველი მცხეთა, როგორც

სასულიერო დედაქალაქი, ახალი აყვავების გზით წაიყვანა. აღსრულდა პატრიარქის სურვილი, იერუსალიმში უკვე ქართველი ბერები და მონაზვნები არიან. ღვთის შეწევნით წმიდა მიწაზე ქართველებს აქვთ ადგილი, სადაც აშენდება მონასტერი. მართალია, ჯვრის მონასტერი ჯერჯერობით ისევ ბერძნების ხელშია, მაგრამ ღვთის შეწევნით დაუბრუნდება მის კანონიერ მფლობელს“. 2000 წელს ქრისტეშობის დიდ დღესასწაულზე მისი უწმიდესობა მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად კვლავ ჩაბრძანდა იერუსალიმში.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ანტიოქიის საპატრიარქოსთან ისტორიული ურთიერთობის აღდგენა. საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV–V ს.ს.). ქართული სამწყსო ანტიოქიის საპატრიარქოს იურისდიქციაში შედიოდა. ანტიოქიის პატრიარქებს შუა საუკუნეებში პრეტენზია ჰქონდათ ქართულ სამწყსოზე, მაგრამ XI საუკუნის 50–იან წლებში გიორგი მთაწმინდელის დასაბუთებული პასუხის შემდეგ, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქს შეახსენა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობა, პრეტენზიები შეწყდა. XV–XIX საუკუნეებში, მაჰმადიანთა მძლავრობის ხანაში, ანტიოქიის საპატრიარქო, რომელიც ბიზანტიის იმპერიაში შედიოდა, უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა, თუმცა საპატრიარქომ მოახერხა თავის გადარჩენა და აღმოსავლეთის (სირია, ლიბანი) ქრისტიანული ცენტრის ფუნქცია შეინარჩუნა. მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქი, უნეტარესი ეგნატე IV 1981 წლის ოქტომბერში ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას. უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ილია II-მ საპატიო სტუმარს დაათვალიერებინა თბილისისა და მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, შესრულდა ერთობლივი წირვა. საზეიმო მიღებაზე გამოითქვა რწმენა, რომ ურთიერთობა, რომელიც ამ ორ ეკლესიას საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა, კიდევ უფრო გაღრმავდებოდა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, როგორც საეკლესიო პოლიტიკის უდიდესმა სპეციალისტმა, ყოველთვის კარგად იცოდა, რომ მართლმადიდებელ მსოფლიოში ექვსი ბერძნული საპატრიარქო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას გადამწყვეტ როლს ასრულებდა. გარდა ამისა, საზღვარგარეთ არსებული ქართული ისტორიული სამონასტრო ცენტრების უმრავლესობა ამ ექვსი საპატრიარქოს ტერიტორიაზეა. ამიტომ ჩვენი ეკლესიისათვის დიდი

მნიშვნელობა ჰქონდა მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას ათენისა და სრულიად ელადის, კვიპროსის ეკლესიებთან. ჯერ კიდევ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტობის დროს, 1976 წლის 17–20 ივნისს, იგი იყო უშუალო მასპინძელი ათენისა და ელადის ეკლესიათა მრავალრიცხოვანი დელეგაციისა, რომელშიც 7 მიტროპოლიტი და 11 მღვდელი შედიოდა. მიტროპოლიტ ილიას ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „პირველად ერთგვარი ეჭვის თვალთ გვიყურებდნენ, იგრძნობოდა რაღაც დაძაბულობა და უნდობლობა ბერძნების მხრიდან, შემდეგ თითქოს გაღლვა ყინული... მათ გამოთქვეს სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა, მოითხოვეს სტუდენტების გაცვლა. საქართველოს ეკლესიამ ხელიდან არ უნდა გაუშვას ეს მომენტი. სტუდენტების გაგზავნით მივადწევთ სამ მიზანს: 1. შევიძენთ ბერძნული ენის სპეციალისტებს; 2. ქართული ეკლესია მათი მეშვეობით უფრო დაუკავშირდება ბერძნულ ეკლესიას; 3. ამ სტუდენტების მეშვეობით ჩვენი ეკლესია და ქართველი მეცნიერები დაუკავშირდებიან ათონის ივერთა მონასტერს და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებს“ [27, 2585].

უწმიდესისა და უნეტარესის ძალისხმევით ელადის ეკლესიასთან დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. 2002 წელს ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსი ქრისტოდულოსი ჩამოვიდა საქართველოში, შეხვდა მის უწმიდესობას, წმიდა სინოდს, ქართველ მეცნიერებს, გამოხატა აღფრთოვანება საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების აღმავლობის გამო და საქართველოს ეკლესიასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავების სურვილი გამოთქვა. მან აღნიშნა: ჩვენი დღევანდელი თანამწირველობა არის უმაღლესი გამოხატულება მოძმე ეკლესიების საჭეთმპყრობელთა ერთიანობისა და წარმოადგენს ბეჭედს გააზრებული, ორმხრივი სიყვარულისა და ურთიერთრწმენისა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღვაწლითა და ლოცვა-კურთხევით საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სხვადასხვა დროს ესტუმრნენ ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, რუმინეთის პატრიარქი თეოქსტიტე, ჩეხოსლოვაკიის ეკლესიის მეთაური დოროთეოსი, ვარშავისა და პოლონეთის მიტროპოლიტი ვასილი, სერბეთის პატრიარქი პავლე; ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურები: ჯერ – თეოდოსი, შემდეგ – ჰერმანე. უწმიდესი და უნეტარესი ილიაც II სტუმრობდა მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიებს, ხვდებოდა არა მარტო ეკლესიათა მეთაურებს, არამედ – ქვეყნის პოლიტიკურ ლიდერებსაც. მისი უწმიდესობა თავის მისასაღმებელ სიტყვას ყველგან საქართველოს ისტორიის, საქართველოს

სამოციქულო ეკლესიის უნიკალურობისა და თავისთავადობის რაობის ახსნით იწყებდა. გასული საუკუნის 70–90–იან წლებში მსოფლიომ ძალიან ცოტა რამ იცოდა საქართველოზე, ქართველ ხალხზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო ქართველი ერის ის სულიერი წინამძღოლი, რომელსაც მსოფლიოსათვის უნდა გაეცნო ყოველივე ეს. ამ შეხვედრებმა, პატრიარქის საოცარმა პიროვნულმა ხიბლმა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების თვალში კიდევ უფრო აამაღლა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. ამიტომ იყო, რომ 1990 წელს, როდესაც მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, ყველამ მხარი დაუჭირა და საგანგებო მოლოცვები გამოუგზავნა მის უწმიდესობას.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად, ქვეყნის გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა განსხვავებულ რელიგიურ კონფესიებთან ურთიერთობას, რომელიც ურთიერთპატივისცემის პრინციპებს ეყრდნობოდა. შუა საუკუნეებში მონღოლების, ირანელებისა და ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფეები და კათოლიკოს–პატრიარქები ცდილობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან მოკავშირეობით განემტკიცებინათ სახელმწიფოებრიობა და დაეცვათ მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ მიზნებს ემსახურებოდა ქართველ მეფეთა და კათოლიკოს–პატრიარქთა წერილები, გაგზავნილი რომაული კათოლიკური ეკლესიის მეთაურებისადმი. რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ისარგებლა აღმოსავლეთის ქვეყნების მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობით და „პროპაგანდა დე ფიდეს“ ორგანიზაციის მეშვეობით აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის – საქართველოშიც, კათოლიკობის მქადაგებლებად გამოგზავნა მისიონერები, რომელნიც ცდილობდნენ მოსახლეობის დარწმუნებას იმაში, რომ თუ მართლმადიდებლობას დატოვებდნენ და გადავიდოდნენ კათოლიკობაზე, რომის პაპი დაიცავდა მათ ირან–ოსმალეთის ძალმომრეობისაგან. XV საუკუნის 30–იან წლებში ქართველმა სასულიერო პირებმა ხელი არ მოაწერეს ფერარა–ფლორენციის კრების ოქმს, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკურთან გაერთიანებას ითვალისწინებდა.

ბევრი უბედურება გადაიტანა საქართველომ XVI–XIX საუკუნეებში: მასობრივი ხოცვა–ჟლეტა, ეკლესია–მონასტრების რბევა, მაგრამ მტკიცედ შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. XVI–XVIII საუკუნეებში ირან–

ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქართულ მიწა-წყალზე რომის პაპის მიერ გამოგზავნილმა მისიონერებმა მოახერხეს ქართველთა მცირე ნაწილის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადაყვანა... XIX საუკუნეში სომხებმა, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებაში თავიანთი მომხრეების მეშვეობით, იმპერატორ ნიკოლოზ II-ს გამოაცემინეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართველი კათოლიკეები სომხეთის მონოფიზიტური ეკლესიის იურისდიქციაში უნდა გადასულიყვნენ, ე.ი. გასომხებულიყვნენ. ამ ვითარებაში ქართველი მართლმადიდებლები გამოესარჩლნენ ისტორიული ძნელებელობის უამს სარწმუნოებაშეცვლილ თანამომხეებს. ეს დავა გაგრძელდა XX საუკუნის პირველ მეოთხედშიც. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა კირიონ II-მ წერილი გაუგზავნა რომის პაპს. „განგებაჲმან ღმრთისაჲმან, – აღნიშნავდა უწმიდესი კირიონ II, – არა უცხო ქმნა ეკლესიაი ჩუენი ჰრომთათვის დიდისა, პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა, მათ მოწაფეთა ქრისტეისათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს, მართალსა სარწმუნოებისაი არს სიყვარული და თვისობაი ორთა ამათ ეკლესიისთაი.“[15, 209]. უწმიდესი კირიონ II ესარჩლებოდა ქართველ კათოლიკეებს, რომელნიც იდევნებოდნენ რუსულ-სომხური პოლიტიკის გამო საკუთარ სამშობლოში. „ესასოებ, ვითარმედ უწმიდესობაი შენი არა უგულებელყოფს ქართველ კათოლიკეთა ეროვნულ-სარწმუნოებრივ ხასიათს“[15, 209], – წერდა მისი უწმიდესობა. მართლმადიდებელი ქართველი პატრიარქი გამოესაჩრლა რა კათოლიკური აღმსარებლობის ქართველებს, რომის პაპს მეგობრობა და თანამშრომლობა შესთავაზა.

საქართველოსა და რომაულ-კათოლიკურ ეკლესიათა შორის ურთიერთობა ეპისტოლარულ ფორმას არ გასცილებია 1917–1977 წლებში. 1978 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) ესწრებოდა რომის პაპის პავლე II-ის დაკრძალვას, ხოლო 1980 წლის 5–6 ივნისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს. უწმიდესისა და უნეტარესის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით გულითადად მოგესალმებით. საქართველოს

ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში“. პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ სხვა მაგიდასთან მივიდა, საიდანაც მოიტანა რუკების ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია. მე დავუმატე: მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები.“[27, 145, 1839].

საქართველოს ეკლესიის დელეგაციამ დაათვალიერა ვატიკანის ბიბლიოთეკა, პაპის პირადი სამლოცველო, ვატიკანის ღირსშესანიშნაობანი. გადაწყდა, რომ ქართველი მეცნიერები დაეშვათ ვატიკანის არქივებში ქართულ დოკუმენტებზე სამუშაოდ. რომის პაპმა მის უწმიდესობას გადასცა ვატიკანის არქივებში დაცული იმ საბუთების მიკროფილმები, რომელნიც საქართველოს ისტორიას ეხებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: ჩვენი ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ყოველთვის გვქონდა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხია ის დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას.

გამართლდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მოსაზრება. პოლონური წარმოშობის ახალმა პაპმა დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური სისტემის რღვევის საქმეში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თბილისში გაიხსნა ვატიკანის საელჩო, კავკასიაში რომაულ-კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსო.

1999 წელს საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსათვის, ისე – მთლიანად კავკასიისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის,

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“[27, 16469].

მიუხედავად ამგვარი ურთიერთობისა, 2003 წლის 15 სექტემბერს ვატიკანმა, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გვერდის ავლით, მონდომა ქართულ სახელმწიფოსთან განსაკუთრებული ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც 27 მუხლისგან შედგებოდა და საქართველოში კათოლიკური ეკლესიის უფლებების გაფართოებისაკენ იყო მიმართული. საქართველოს საპატრიარქომ სპეციალური განცხადებით გააპროტესტა ეს ფაქტი და აღნიშნა, რომ ვატიკანს ასეთი ხელშეკრულება არც ერთ მართლმადიდებელურ სახელმწიფოსთან არა აქვს გაფორმებული. ხალხი ქუჩაში გამოვიდა, ხელისუფლება იძულებული გახდა, ხელშეკრულება აღარ გაეფორმებინა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პატივს სცემს იმ მცირერიცხოვან ქართველ თანამემამულეთა რელიგიურ გრძნობებს, რომელთა წინაპრებიც ისტორიული ძნელბედობის ჟამს კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდნენ, მაგრამ არასოდეს დახუჭავს თვალს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენელთა აქტიური პროზელიტიზმის პოლიტიკაზე და მოთმინებით შეახსენებს თავის თანამემამულეებს, რომ ძნელბედობა იყო მათი წინაპრების კათოლიკობაზე გადასვლის მიზეზი. ერთიანი ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების საფუძველი საქართველოში ყოველთვის იყო მართლმადიდებლური სარწმუნოება და ეკლესია.

მრავალსაუკუნოვანია ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა. ამ ურთიერთობებში ნეგატიურს პოზიტიური სჭარბობს. VII საუკუნის დასაწყისიდან ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა ექპარისტული კავშირის გაწყვეტა, ვინაიდან სომხურმა ეკლესიამ არ მიიღო 451 წლის ქალკედონის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებანი; მიუხედავად ამისა, ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იბრძოდა არაბი, თურქ-სელჩუკი, მონღოლი, ირანელი და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ. შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფო და ქართველი მეფეები – ბაგრატ IV, დავით IV, გიორგი III, თამარი, გიორგი

ბრწყინვალე, ალექსანდრე I, ვახტანგ V, ვახტანგ VI, ერეკლე II, თეიმურაზ II – ყოველნაირად ეხმარებოდნენ მტრებისგან შევიწროებულ სომხებს, რომლებიც ტოვებდნენ თავიანთ სამშობლოს და საქართველოს აფარებდნენ თავს. თუ XVI–XVIII საუკუნეებში ირანი და ოსმალეთი მართლმადიდებელ ქრისტიანებს სასტიკად სდევნიდა, სამაგიეროდ, სრულ თავისუფლებას აძლევდა კათოლიკეებსა და მონოფიზიტ სომხებს, რითაც ისარგებლეს ექმიაძინის სომეხთა კათოლიკოსებმა და დაიწყეს რელიგიური ექსპანსია საქართველოში. მათ აქ მიითვისეს მრავალი ეკლესია–მონასტერი და გადააკეთეს ისინი სომხურ ყაიდაზე.

XVI–XVIII საუკუნეებში ქართველთა გასომხება ძირითადად ოსმალთა მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე ხდებოდა. XIX საუკუნეში კავკასიაში დამკვიდრებულ რუსეთს ყველაზე საიმედო დასაყრდენად სომხები მიაჩნდა და ხელს უწყობდა ქართველი მაჰმადიანების თავიანთი მიწა-წყლიდან გაძევების ხარჯზე თურქეთიდან სომხების გადმოსახლებას (ძირითადად სამცხე-ჯავახეთში). XIX საუკუნეში ორი სომხური საკათოლიკოსო (ექმიაძინისა და კილიკიის) და ორი სომხური საპატრიარქო (იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის) დიდი სომხეთის აღდგენის იდეით იყო გატაცებული. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა ოსმალეთის იმპერიის ხარჯზე, მაშინ საქართველოს ახალ სომხეთად გადაქცევა იყო განზრახული. ამიტომ XIX საუკუნეში კავკასიის ცენტრად გამოცხადებულ თბილისში დატრიალდა სომხური კაპიტალი, გააქტიურდა მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორა. მათ ისარგებლეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებითა და რუსი ეგზარქოსების ხელშეწყობით და კიდევ უფრო გააძლიერეს რელიგიური ექსპანსია, ქართველთა გასომხება. ამის წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს ეპისკოპოსმა კირიონმა, ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ... მიუხედავად ამისა, ქართველობამ მაინც გაუწოდა დახმარების ხელი სომხებს 1914–1918 წლების პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში დატრიალებული მასობრივი ხოცვა-ჟლეტისას და ათასობით ლტოლვილი შეიფარა...

1917 წლის 25 სექტემბერს თბილისში ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის გეგორქ V-ის (თბილელის) დეპეშა მოვიდა. იგი უწმიდესსა და უნეტარეს კირიონ II-ს ულოცავდა კათოლიკოს–პატრიარქად არჩევას. საქართველოს ეკლესია თვლიდა, რომ, კონფენსიური სხვაობის მიუხედავად, სომხურ სამოციქულო ეკლესიასთან ნორმალური ურთიერთობა აუცილებელი იყო. უწმიდესმა და

უნეტარესმა კირიონ II-მ წერილით მიმართა ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გეგორქ V-ს. ეს წერილი, ერთი მხრივ, დახვეწილი დიპლომატიისა და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი პატრიარქის არამართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურისადმი დამოკიდებულების ბრწყინვალე ნიმუშია. უწმიდესი კირიონ II წერდა: „მიმოვიხილავ გარემოსა ჩემსა და თვალთა გონებისა ჩემისა შევაცენებ ღვთისმოშიშსა ერსა ზედა ჰაიკანისასა ძმური ნათესაობით ქართლოსიან-ჰაოსიანთა... მოგიკითხავ, უწმიდესო მეუფეო, რათა წრფითა და ღვაწლითა ჩუენითა აღდგენილ იქნას ერთობა ჩვენდამი რწმუნებულთა ერთა. ერთობას ვიტყვი არა სარწმუნოებრივ-დოგმატურსა, არამედ მოქალაქეობრივ-განმათლებლობისასა, რათა დაემყაროს ჩუენ შორის ძმობაი და ურთიერთს გულისხმავეოთ. და რაითა სამშობლოს შინა ჩუენისა დაამკვიდროს სასუფეველი ღმრთისაი.“[37, 49].

1922 წელს თბილისში ჩამოვიდა აქ დაბადებული და თბილისის ნერსესის სახელობის სომხური სემინარიის ყოფილი სტუდენტი კათოლიკოსი გეგორქ V. იგი შეხვდა და ქართულ ენაზე ესაუბრა უწმიდესსა და უნეტარეს ამბროსის. 1923–1940-იან წლებში ქართულ-სომხური საეკლესიო ურთიერთობა ეპისტოლარული ხასიათისა იყო. 1945 წლიდან ინტენსიური გახდა ურთიერთობები უწმიდეს კალისტრატესა და თბილისის სომხური ეპარქიის ყოფილ ეპისკოპოსს, იმხანად ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გეგორქ VI-ს შორის. სომხური ეკლესიის ახალი მეთაური კათოლიკოსი ვაზგენ I ხშირად სტუმრობდა საქართველოს. გასაოცარი იყო მისი ინტუიცია და დიპლომატიური ნიჭი. უკვე 1962 წლიდან იგი საახალწლოდ მისალოც ბარათებს უგზავნიდა ჯერ იღუმენ, შემდეგ არქიმანდრიტ, შემდეგ კი – მღვდელმთავარ ილია შიოლაშვილს. ვაზგენ I 1961 წელს პირველად შეხვდა არქიმანდრიტ ილიას და განჭვრიტა მისი დიდი მომავალი. 1977 წლის 25 დეკემბერს კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა მცხეთაში განაცხადა: „ქართული ეკლესია მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ძეგლია... ძეგლი, რომელიც ქართველი ერის სულს განასახიერებს. მე მწამს ამ სულის უკვდავება, როგორც მწამს უკვდავება თვით ქართველი ერისა.“[34, 1978, 1, 15].

1978 წლის 12–14 მაისს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სომხეთს სტუმრობდა. ეჩმიადინში კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა თავის ხალხს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩვენთან იმყოფება უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. უნდა აღინიშნოს, რომ იგი

ახალი არჩეულია პატრიარქად. ამ უმაღლესი და უწმიდესი მსახურებისათვის საგრძნობლად ახალგაზრდაა, მხნე, ჯან-ღონით სავსე და, რაც მთავარია, დიდი ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებული... თავის სამშობლოში მას ყურს უგდებენ, მისი სწამთ, მისი სჯერათ, მას აფასებენ. ასეთი დიდი სიყვარული თავისი ერისა ბევრს არ ერგება წილად. ეს მან დიდი სულიერი სიმაღლით მოიპოვა.“[27, 2217]. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მაღლობა მოახსენა სომეხთა კათოლიკოსს და უთხრა, რომ ის, რაც XII საუკუნეში დავით აღმაშენებელმა გააკეთა საქართველოსათვის, ის თქვენ სომხეთის ეკლესიაში XX საუკუნის 50–70–იან წლებში შეძელით.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ამის შემდეგ არაერთხელ ესტუმრა სომხეთს ისევე, როგორც კათოლიკოსი ვაზგენ I სტუმრობდა საქართველოს.

1978 წლის ნოემბერში ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში, სადაც სომეხთა მეორე რელიგიური ცენტრი, კილიკიის სომეხთა საკათოლიკოსოა, მაჰმადიანმა ტერორისტებმა სომეხების მასობრივი ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს. მისმა უწმიდესობამ ოფიციალურ განცხადებაში დაგმო ეს ვანდალური აქტი და სომეხ ხალხს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. „ჩვენ, ქართველები, – აღნიშნა მან, – ისტორიის დასაბამიდან ვცხოვრობთ უძველესი კულტურისა და ტრადიციის მქონე სომეხი ხალხის მეზობლად. ამ ხნის მანძილზე ერთად გადაგვიტანია მრავალი განსაცდელი, მტერთა შემოსევა და სხვა ბედუკუდმართობანი, და არ შეგვიძლია გულგრილი დავრჩეთ მათ თანამემამულეთა ტრაგედიის მიმართ.“[37, 45].

პატრიარქის ამ განცხადებამ საქართველოში მცხოვრები სომეხების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ამის დასტური იყო ახალქალაქელი ხ. ოვსეპიანის გამოსმაურება: „გბედავ და მოგახსენებთ უდიდეს მაღლობას თქვენ, საქართველოს დიდებულ კათოლიკოს–პატრიარქს. სომეხი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თქვენს მაღალადამიანური და მოქალაქეობრივი სიყვარულით სავსე თანაგრძნობას.“[37, 49].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გამოესარჩლა ეჩმიაძინის საკათოლიკოსოს 1980 წელს, როდესაც საზღვარგარეთელი სომეხი კათოლიკენი ლანძღავდნენ და ამცრობდნენ მის მნიშვნელობას. ყოველივე ამას კარგად ხედავდა კათოლიკოსი ვაზგენ I და ცდილობდა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან ურთიერთობაში დაეცვა ტაქტი და ყოფილიყო მისი პატივისმცემელი. უწმიდესმა ილია II-მ სათანადო პატივი მიაგო კათოლიკოს

ვაზგენ I-ის ხსოვნას 1994 წელს ეჩმიაძინში და საგულისხმო სიტყვა წარმოთქვა: „დიდია მწუხარება სომხეთის სამოციქულო ეკლესიისა და სომეხი ხალხისა, იგი ემშვიდობება თავის ღირსეულ და ბრძენ მამამთავარს, რომელიც 39 წლის მანძილზე, ურთულეს პირობებში, იყო საჭეთმპყრობელი ეჩმიაძინის უძველესი საკათოლიკოსო ტახტისა... იმ დროს, როდესაც შეზღუდული იყო კავშირი უცხოეთთან, მან მოახერხა ურთიერთობა დაემყარებინა იქ მყოფ სამწყსოსთან, გაელრმავებინა მათში სამშობლოს სიყვარული, გაემთლიანებინა ერი... შევთხოვ უფალს, რათა მისი უკვდავი სული დააწესოს იმ სავანეში, რომელშიც სომეხი ხალხის დიდებული წინაპარნი განისვენებენ.“[27, 8441].

კათოლიკოს ვაზგენ I-ის გზა განაგრძო კილიკიური წარმოშობის ახალმა კათოლიკოსმა გარეგინ I-მა, რომელმაც 1997 წელს იმოგზაურა საქართველოში, მოიხიბლა ჩვენი ქვეყნით, მისი დიდებული ტაძრებით, ისტორიით. სამწუხაროდ, იგი მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ სომხურ ეკლესიაში გაძლიერდა ტენდენცია ქართული ეკლესია-მონასტრების მითვისების, ისტორიის ფალსიფიკაციისა. სომხური საკათოლიკოსოს ხელშეწყობით, ერევანში გამოდის რუკა-ცნობარები, სამეცნიერო წიგნები, რომლებშიც გაყალბებულია საქართველოს ისტორია, სომხურადაა გამოცხადებული 650-ზე მეტი ქართული ეკლესია. სომხურ საეკლესიო ინტერნეტსაიტებზე ვრცელდება ისეთი ინფორმაციები, რომლებიც ხელს არ უწყობს ორი მეზობელი ხალხისა და ეკლესიის მეგობრულ ურთიერთობას.

ქართველ ხალხს ისტორიულად ახასიათებს სჯულშემწყნარებლობა და ტოლერანტობა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ ნახევარმილიონიან სომხურ დიასპორას საქართველოში აქვს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სკოლები, თეატრი, პრესა, უმაღლეს სასწავლებელში – სომხურენოვანი განყოფილება, სომხური ეპარქია. ისტორია არ გვაპატიებს ჩვენი ორი ქვეყნისა და ხალხის ურთიერთობის გართულებას. მეცნიერებმა, პოლიტიკურმა და რელიგიურმა მოღვაწეებმა უნდა გავითვალისწინოთ მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გამოცდილება და შევინარჩუნოთ ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა.

ისტორიულად საქართველო თავის თავს ევროპის ნაწილად მიიჩნევდა და ცდილობდა, მჭიდროდ დაჰკავშირებოდა ევროპულ ცივილიზაციას. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიურ-კონფენსიური თვალსაზრისით ევროპის განვითარებული ქვეყნები – ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია – სრულიად განსხვავებულნი იყვნენ საქართველოსაგან, მონღოლების, ირანისა და

ოსმალეთის დამანგრეველი ლაშქრობების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მაინც ევროპის ქვეყნების დახმარების იმედი ჰქონდა. მართალია, XVI–XX საუკუნეებში ეს დახმარება სიტყვიერ მხარდაჭრას არ გასცილებია, მაგრამ ქართველობის ორიენტაცია არ შეცვლილა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ევროპის ქვეყნებთან კონტაქტებს იმ დროს ახერხებდა, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაკეტილი სახელმწიფო იყო და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა – საგრძნობლად შეზღუდული.

1979 წლის 15 იანვარს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II არჩეულ იქნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტად. ამან მას საშუალება მისცა მონაწილეობა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერთა შეხვედრებში. უწმიდესი და უნეტარესი ყველგან საუბრობდა საქართველოზე, მის ისტორიაზე, უძველეს სამოციქულო ეკლესიაზე. ამ შეხვედრებით მან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა მსოფლიოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების მეთაურებთან და მოიწვია ისინი საქართველოში. ამ შეხვედრებმა და პირადად კონტაქტებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საქმეში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1963–1997 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში წევრობის პერიოდს ასე აფასებს: „საბჭოთა იზოლაციის დროს ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში ყოფნამ ჩვენს ეკლესიას საშუალება მისცა, რომ იგი მსოფლიოს გაეცნო, როგორც დამოუკიდებელი ეკლესია. ასე რომ, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მართლმადიდებელი ეკლესიების ყოფნა ერთგვარად მათი მისიონერული მოღვაწეობის გაგრძელებასაც წარმოადგენდა“ [38, 526].

უწმიდესი და უნეტარესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ნიდერლანდებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში სხვადასხვა დროს შეხვდა პროტესტანტული, ლუთერანული, ანგლიკანური ეკლესიების მეთაურებს, ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლებს. მისმა შეხვედრებმა ახალი სტიმული მისცა ევროპაში ქართველოლოგიური მეცნიერების

განვითარებას. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები აღტაცებას ვერ ფარავდნენ: მათ წინაშე მანამდე უცნობი ქრისტიანული აღმოსავლეთის დიდი ცივილიზაციისა და უძველესი მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური იყო. მომხიბლავი გარეგნობა, დახვეწილი მანერები, ევროპული ცივილიზაციისა და თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ზოგადი პრინციპების ღრმა ცოდნა მათ ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურისადმი უდიდესი პატივისცემით განაწყოდა.

უწმიდესი და უნეტარესი სტუმრობდა აზიის ქვეყნებსაც. იგი შეხვდა და საქართველოს სამოციქულო ეკლესია გააცნო ეგვიპტის კოპტთა პატრიარქს შენუდა III-ს, მაღაბარიის ინდოელთა მონოფიზიტ პატრიარქ-კათოლიკოსს ბასილ მართომა მათე I-ს, ეთიოპიის მონოფიზიტ პატრიარქს აბუნა თეკლე-ჰაიმანოტს, სირიელ იაკობისტთა პატრიარქს მარი იაკობ III-ს, აღმოსავლეთის მონოფიზიტ პატრიარქს მაქსიმე V-ს. უწმიდესმა და უნეტარესმა ქართული სტუმართმოყვარეობით უმასპინძლა საქართველოში საპასუხო ვიზიტით ჩამოსულ სხვადასხვა ქვეყნის რელიგიურ და პოლიტიკურ ლიდერებს, მეცნიერების, ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებს. საქართველოს, ქართველების შესახებ საინფორმაციო მასალებს ბეჭდავდნენ ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის ქვეყნების წამყვანი გამოცემები.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიოში ცნობილი რელიგიური ლიდერია, მას დიალოგი შეუძლია არა მარტო არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ სხვა აღმსარებლობის ადამიანებთანაც. ამის დასტურია კავკასიის მუსლიმანთა ლიდერის შეის ალახ შუქურ ფაშა ზადესა და უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის მეგობრული ურთიერთობა, რომელიც აისახება ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის მეგობრობაში.

2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის მიწვევით უწმიდესი და უნეტარესი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ირანში, შეხვდა პრეზიდენტ ჰათამსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის სულიერ ლიდერს ალი ჰამენეს. პატრიარქმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: „მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნების – ირანისა და საქართველოს – რელიგიური ლიდერები და სასულიერო მოღვაწენი, ჩვენი ხელისუფალნი და საზოგადოება მზად არიან, რათა მსოფლიოს ვუჩვენოთ მაგალითი იმისა, რომ რელიგიური განსხვავებულობისა და წარსულში დაპირისპირების მიუხედავად,

შეგვწევს უნარი ურთიერთპატივისცემისა, უნარი მშვიდობიანი და მეგობრული თანაარსებობისა.“[30, 286].

მიუხედავად იმისა, რომ პატრიარქი საოცრად შემწყნარებელია, იგი არაფერს არ თმობს, როდესაც საქმე ეხება სამშობლოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას. ამის მაგალითია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მსოფლიო ეკლესიათა საბჭოსთან ურთიერთობა. როდესაც ამ ორგანიზაციამ განსხვავებულ კონფენსიათა სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობათა განხილვა გადაზარდა ერთიანი მსოფლიო ეკლესიის შექმნის მცდელობაში, ერთობლივი ღოცვების ჩატარების შესაძლებლობასა და მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელ გადაწყვეტილებებში, 1997 წლის 20 მაისს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უარს ამბობს ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან... მართლმადიდებლები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ღოცვებსა და ღვთის თაყვანისცემაში.“[27, 1937, 158].

პატრიარქის ამ გადაწყვეტილებას იმხანად სხვადასხვა შეფასება მიეცა, მაგრამ დრომ აჩვენა მისი მართებულობა. ამ ნაბიჯით ჩვენმა ეკლესიამ თავიდან აიცილა გლობალიზაციისათვის დამახასიათებელი ტენდენციების საეკლესიო სფეროში შეჭრა და დაიცვა მართლმადიდებელი ეკლესიის სიწმინდე.

თავისი თამამი ნაბიჯებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XX საუკუნის 70–80–იან წლებში საქართველოს პოლიტიკური, სულიერი და კულტურული ცხოვრების ცენტრში აღმოჩნდა. ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ ისინი ვეღარ ახერხებდნენ ეკლესიის საქმიანობის სრულ კონტროლს, მის გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას. 1977–1990–იან წლებში თბილისს სტუმრობდნენ მსოფლიოს მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები, პოლიტიკური მოღვაწეები. ისინი ხვდებოდნენ უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. თუ 1923–1977 წლებში თვალში საცემი არ იყო ის ფაქტი, რომ საპატრიარქო რეზიდენცია სულ 3–4 ოთახისგან

შედგებოდა, ახლა უკვე აშკარა უხერხულობა იქმნებოდა. საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურები კვლავ აცხადებდნენ, რომ ქვეყანაში სინდისის თავისუფლება გარანტირებული იყო საბჭოთა კონსტიტუციით, რომ ეკლესიას ყველაფერი ჰქონდა, რაც სჭირდებოდა. მაგრამ 1977–1988 წლებში პატრიარქს საპატრიარქო რეზიდენცია არ ჰქონდა, სიონის საპატრიარქო ტაძრის გარშემო უსახური სახლები იყო ჩამწკრივებული. ხელისუფლებამ ერთხანს გრიგოლ ორბელიანის მოედანზე არსებული საზღვარგარეთთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობა დაუთმო საპატრიარქოს უცხოელი საპატიო სტუმრების მისაღებად.

ჯერ კიდევ 1967 წელს, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად ყოფნის დროს, მეუფე ილიამ წმიდა სინოდის სახელით საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარეს მოსთხოვა საპატრიარქოსათვის დაებრუნებინათ 1923 წელს ჩამორთმეული რეზიდენცია. 1977 წლიდან ოფიციალური ხელისუფლება გრძნობდა, რომ შექმნილი უხერხული ვითარების გამოსწორება მხოლოდ საპატრიარქოსათვის რეზიდენციის გამოყოფით შეიძლებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1984 წლის 2 თებერვალს განმეორებითი თხოვნით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. შევარდნაძეს და მოითხოვა საპატრიარქოსათვის ისტორიული შენობის დაბრუნება. მთავრობა ყოყმანობდა. ბოლოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას გადაეცა ნახევრად ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სპორტკომიტეტის ყოფილი შენობა. 1990 წელს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა კატეგორიული მოთხოვნის შედეგად, ოფიციალური ხელისუფლება იძულებული გახდა, აღედგინა ისტორიული სამართლიანობა და 1923 წელს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული საპატრიარქო რეზიდენცია, სადაც მოღვაწეობდნენ უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქნი – კირიონი, ლეონიდე, ამბროსი – დაუბრუნა კანონიერ მფლობელს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს ისტორიულმა რეზიდენციამ დაიბრუნა თავისი ფუნქცია. აქ თამამად შეიძლება საპატიო სტუმრების, საერო და სასულიერო პირების მიღება და ღირსეული მასპინძლობა.

**თავი VI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო
ავტოკეფალიური ეკლესიის ეპარქიების აღორძინება, კავშირი საზღვარგარეთის
ქართულ სამონასტრო ცენტრებთან. სინოდის განჩინებანი. ახალი წმინდანები**

საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობა ისტორიულად V საუკუნიდან XI საუკუნემდე ამგვარი იყო: ეკლესიის მეთაურს ეწოდებოდა კათოლიკოსი, რომელსაც ექვემდებარებოდნენ საქართველოს სხვადასხვა პროვინციის საეპისკოპოსოების მმართველი მღვდელმთავრები – ეპისკოპოსები. წყაროთა მონაცემებით დადგენილია, რომ V–VII საუკუნეებში მარტო აღმოსავლეთ საქართველოში 33 მოქმედი ეპარქია იყო. საქართველოს გაერთიანებისა და მისი ტერიტორიების გავრცობის შემდეგ ეპარქიათა რაოდენობა გაიზარდა 55–მდე. XVI–XVIII საუკუნეებში, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს პროვინციულ სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, ირან–ოსმალეთის აგრესიის პირობებში, მოქმედ ეპარქიათა რაოდენობა შემცირდა. რუსეთის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების დაპყრობის პერიოდში (XIX საუკუნის დასაწყისი) აღმოსავლეთ საქართველოში იყო 13, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 9 მოქმედი ეპარქია. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ რუსი ეგზარქოსების მიზანი იყო მოქმედ ეპარქიათა რაოდენობის შემცირება, საეპარქიო ქონების დატაცება. მათ ეს ამოცანა წარმატებით შეასრულეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს საეგზარქოსოში სულ 5 ეპარქია იყო, დასავლეთ საქართველოში – იმერეთისა და სოხუმის, აღმოსავლეთ საქართველოში კი – თბილისის, ალავერდისა და გორის. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, პირველი საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიათა რაოდენობა განისაზღვრა 13–ით. მას მოგვიანებით კიდევ ორი ეპარქია დაემატა. დებულების თანახმად, თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის,

ცხუმ-ბედიის ეპარქიები ცხადდებოდა სამიტროპოლიტო ეპარქიებად. ეპარქიებში იქმნებოდა საეპარქიო საბჭო, საეპარქიო სასამართლო, რომელთაც თავმჯდომარეობდა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. ეპარქიები იყოფოდა ოლქებად. თითოეულ ოლქში 10–15 სამრევლო შედიოდა. 1920 წელს, მეორე საეკლესიო კრებაზე, მცირე შესწორებები იქნა შეტანილი საეპარქიო მმართველობაში – გაერთიანდა მცხეთისა და თბილისის ეპარქიები.

1921 წლიდან, ბოლშევიკური მმართველობის ხანაში, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. აგრესიული ათეიზმის ზეობის უამს, 1922–1939 წლებში, ცენტრალური ხელისუფლებისაგან წაქეზებული პროვინციელი ბოლშევიკები და კომკავშირლები სასტიკად სდევნიდნენ ეპარქიათა მღვდელმთავრებს, სამღვდელოებას. მღვდელმთავრებს აიძულებდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ეპარქიები. დააპატიმრეს და გადაასახლეს ეპისკოპოსი ეფრემი (სიღამონიძე, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ II), გადასახლებაში გარდაიცვალა მიტროპოლიტი ვარლამ მახარაძე, 1924 წლის აგვისტოში დახვრიტეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი. მის მიმართ წაყენებული ბრალდება ასეთი იყო – როგორ გაბედა თავისი ეპარქიის სოფელ როდინაულში ახალი ეკლესიის კურთხევა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ოფიციალურად 15 ეპარქია იყო, რეალური ვითარება სულ სხვა სურათს გვიჩვენებდა. 1929 წელს ოფიციალურად გაუქმდა ალავერდის ეპარქია, დაიკეტა ალავერდის მონასტერი, 1930 წელს გაუქმდა ჭყონდიდის ეპარქია, 1930 წელს დაიკეტა გელათი, 1934 წელს გაუქმდა ბათუმ-შემოქმედის ეპარქია, გააუქმეს ბოდბის, ნინოწმიდისა და წილკნის ეპარქიები. ეპარქიათა მღვდელმთავრებმა თავი დედაქალაქში მოქმედ ეკლესიებს შეაფარეს. 1947 წელს საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 5 მღვდელმთავარი იყო (ეფრემ სიღამონიძე, მელქისედეკ ფხალაძე, ტარასი კანდელაკი, დიმიტრი ლაზარიშვილი, გაბრიელ ჩაჩანიძე). ეპარქიებში საკათედრო ტაძრების გაუქმების გამო მათი უმრავლესობა თბილისში იყო. მდგომარეობა უკეთესობისკენ არც 1950–1970 წლებში შეცვლილა.

1977 წელს, როდესაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა ილია II, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში არსებული 15 ეპარქიიდან მღვდელმთავრები ჰყავდა შემდეგ ეპარქიებს: 1.

ალავერდის (ეპისკოპოსი გრიგოლ ცერცვაძე), 2. ბათუმ-შემოქმედის (მიტროპოლიტი რომანოზ პეტრიაშვილი), 3. მანგლისის (ეპისკოპოსი გიორგი ღონღაძე), 4. წილკნის (მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი), 5. თეთრიწყაროსა (მიტროპოლიტი ზინობი მაჟუგა) და 6. ბოდბისას (ეპისკოპოსი ილარიონ სამხარაძე). ბოდბელი სწირავდა თბილისის სამების ეკლესიაში, მანგლელი – დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში, წილკნელი – სვეტიცხოველში, თეთრიწყაროელი – თბილისის ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში. არც ერთი მოქმედი ეკლესია არ იყო ნიკორწმინდის, აგარაკ-წალკის, ბოდბის, აწყურის, ცაგერის, წილკნის ეპარქიებში...

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ კარგად იცოდა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინება ეპარქიებიდან უნდა დაეწყო. აუცილებელი იყო ახალგაზრდა, განათლებული სასულიერო პირების მღვდელმთავრის ხარისხში აყვანა და საეპარქიო ცხოვრების გამოცოცხლება. 1978 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის ღოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, ეპისკოპოსებად აკურთხეს და ეპარქიებში გაგზავნეს: ცხუმ-აფხაზეთის კათედრაზე ნიკოლოზი (მახარაძე), ჭყონდიდელად – ეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), მაწყვერელად – ეპისკოპოსი შიო (ავალიშვილი), ბოდბელად – ეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ბათუმ-შემოქმედელად – ეპისკოპოსი დავითი (ჭკადუა), ურბნელად – ეპისკოპოსი კონსტანტინე (მელიქიძე). 1978 წლის სექტემბრიდან ეპისკოპოსი თადეოზი გადაყვანილ იქნა წილკნელად, ხოლო ბოდბელად აკურთხეს ათანასე (ჩახვაშვილი). თითოეულის კურთხევა საზეიმო ვითარებაში ჩატარდა მრავალრიცხოვან მორწმუნეთა თანდასწრებით. უწმიდესმა და უნეტარესმა გადასცა მათ სამღვდელმთავრო კვერთხი და შეახსენა, რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა თითოეულ მათგანს.

1978 წლის დეკემბერში, წმიდა სინოდის სხდომაზე, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წინადადებით გადაწყდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში აღდგენილიყო ისტორიული ტრადიცია, რომელიც ითვალისწინებდა მთავარეპისკოპოსის ხარისხის მინიჭებას. ამავე სხდომაზე აწყურის ეპარქიას ეწოდა „ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთისა“, ცაგერისას – „ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთისა“. უწმიდესმა და უნეტარესმა მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანა მანგლელი ეპისკოპოსი გიორგი (ღონღაძე) და ალავერდელი ეპისკოპოსი გრიგოლი (ცერცვაძე). პირველი

მთავარეპისკოპოსები გახდნენ: ნიკოლოზი (მახარაძე), იოანე (ანანიაშვილი), შიო (ავალიშვილი). ოფიციალური ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება. იგი ცდილობდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მეშვეობით შეეფერებინა ახალნაკურთხი ეპისკოპოსების რეგისტრაცია, რეგისტრაციის გარეშე კი მათ უფლება არ ჰქონდათ წასულიყვნენ და ეღვაწათ თავიანთ ეპარქიებში.

რელიგიის საქმეთა რწმუნებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილში უკმაყოფილებას გამოთქვამდა ეპისკოპოსთა რაოდენობის „გაუმართლებელი ზრდის“ გამო. 1979 წლის 5 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა რწმუნებულს დაუსაბუთა მიღებული გადაწყვეტილების მართებულობა: „თანახმად კართაგენის კრების მე-12 კანონისა, რომლის მიხედვითაც ეპისკოპოსის განსჯის შემთხვევაში, როდესაც საეკლესიო კრების მოწვევა ვერ ხერხდება, აუცილებელია 12 ეპისკოპოსის შეკრება, რომ მათ შესაბამისი მსჯავრი გამოიტანონ. საქართველოს ეკლესიაში კი, ამჟამად 3 მიტროპოლიტი, 3 მთავარეპისკოპოსი და 4 ეპისკოპოსია.“[27, 1988].

1979 წელს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) გადაიყვანეს ქუთათელ-გაენათელად, ხოლო ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსის ხარისხში აყვანილ იქნა ქრისტეფორე (წამალაიძე), ნიკორწმინდის ეპისკოპოსად აკურთხეს ამბროსი (ქათამაძე). ახალი მღვდელმთავრების კურთხევის შემდეგ დღის წესრიგში დადგა პროვინციებში 1921–70 წლებში ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების კვლავ ამოქმედების საკითხი. საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის თანახმად, მორწმუნეები ქმნიდნენ და რეგისტრაციაში ატარებდნენ რელიგიურ საზოგადოებას. რელიგიური საზოგადოების 20 სრულწლოვანი წევრი ეკლესიის ამოქმედების შესახებ საგანგებო განცხადებით მიმართავდა ადგილობრივ აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომელიც მას აგზავნიდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რწმუნებულთა აპარატში. განცხადება იქიდან მოსკოვში იგზავნებოდა და მხოლოდ მოსკოვის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდა ეპარქიის მღვდელმთავარს უფლება, გაეგზავნა ეკლესიაში სასულიერო პირი. ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობდნენ რელიგიური საზოგადოების წევრების დაშინებას, მაგრამ, როცა სასურველ შედეგს ვერ აღწევდნენ,

იძულებულნი ხდებოდნენ გაეცათ ნებართვა ეკლესიის ამოქმედების შესახებ. თუ ოფიციალური ნებართვა არ იყო გაცემული, ეკლესიაში ღვთისმსახურების ჩატარება კანონდარღვევად ითვლებოდა.

1978 წლის 1 ნოემბერს ქუთაის-გაენათის ეპარქიის წყალტუბოს რაიონის სოფ. ზედა მაღლაკში მაცხოვრის ეკლესიაში დაინიშნა მღვდელი გიორგი კუჭუხიძე. რწმუნებულმა კატეგორიულად მოითხოვა მღვდელ კუჭუხიძის უკან გამოწვევა მანამდე, სანამ მაღლაკის ეკლესია ოფიციალურად არ იქნებოდა რეგისტრირებული. 1979 წელს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნდა ანონიმი ავტორის წერილი „ვის უხმობს ნიკორწმინდის ზარები?“, რომელშიც მკაცრად იყო დაგმობილი ნიკორწმინდის ეკლესიის ამოქმედება და კრიმინალად იყო გამოცხადებული ამ საქმის მოთავე, სოფ. ნიკორწმინდის მცხოვრები შურა გოცირიძე. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ნიკორწმინდაში სასწრაფოდ გახსნა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის დანიშნულება იყო ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერება.

ეპარქიებში შექმნილი რთული ვითარება კარგად ჩანს ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის იოანეს (ანანიაშვილი) 1981 წლის 6 სექტემბრის მოხსენებით ბარათში, რომელიც მან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს გამოუგზავნა. მეუფე იოანე იმხანად ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქიასაც განაგებდა. იგი წერდა: „მესტიაში როდესაც ჩავედი, ადგილობრივ ხელმძღვანელობას ვუჩვენე დოკუმენტი, სადაც მიწერია, რომ ვარ ჭყონდიდისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი. მათ გაუკვირდათ და მითხრეს, ჩვენ არ გვინდაო. თურმე რაიონში ჩასულ მღვდლებს აიძულებდნენ, სასწრაფოდ დაეტოვებინათ იქაურობა. მესტიის რაიონის თითქმის ყველა სოფელი დავიარე, ხალხი ყველგან ეკლესიის გახსნას მთხოვდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება თავშეკავებულ აგრესიას ამჟღავნებდა და მთხოვდა, მალე დამეტოვებინა რაიონი.“[27, 5344].

ასეთივე რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ქუთათელ-გაენათელი, ახალციხელი, ბოდბელი მღვდელმთავრები. მიუხედავად ამ სირთულეებისა, 1979 წელს საქართველოს ეკლესიამ ბოდბის მონასტრის ეზოდან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადაიყვანა 13 ოჯახი, შეკეთდა ტაძარი, მოწესრიგდა წმიდა ნინოს საფლავი; კეთილმოეწყო ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზო; საგარეჯოში რესტავრაცია ჩატარდა ღვთისმშობლისა და წმიდა დოდოს ეკლესიებს; წალკაში გაიხსნა ღვთისმშობლის ეკლესია; მანგლისში

დაიწყო საეპარქიო რეზიდენციის მშენებლობა; ბათუმში აშენდა ახალი ეკლესია; ახალციხეში გაიხსნა ეპარქიაში ერთადერთი მართლმადიდებელი წმიდა მარინეს ეკლესია და დაიწყო მისი ეზოს კეთილმოწყობა; აღდგენითი სამუშაოები დაიწყო თეკლათის, მენჯის ეკლესიებში. ოფიციალურ ხელისუფლებას აღიზიანებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასეთი წარმატებები, ამიტომ სცადა აპრობირებული საშუალებით (ჭორები, შიდა დაპირისპირების ინსპირირება) ეკლესიისათვის სახელის გატეხა. ათეისტურ საზოგადოებაში ადვილი იყო მოსახლეობის დეზინფორმაცია ბერ-მონაზვნებისადმი უარყოფითი განწყობის შესაქმნელად. ამ მიზნით ოფიციალურმა ხელისუფლებამ პრესითა და ტელევიზიით დაწვრილებით გააშუქა მიტროპოლიტ გაიოზის სასამართლო პროცესი. ხელისუფლების ცილისწამების მსხვერპლი გახდა რამდენიმე მაღალიერარქი.

უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის უცხოეთში ვიზიტის დროს რამდენიმე ავანტიურისტმა ხელისუფლების წაქეზებით პატრიარქის საწინააღმდეგო გამოსვლები მოინდომა, მაგრამ მორწმუნე მრევლის რისხვამ ისინი აიძულა ხელი აეღოთ ამ განზრახვაზე. ოფიციალურ ხელისუფლებას ეს ყველაფერი პატრიარქის დასაშინებლად სჭირდებოდა, მაგრამ ამან მხოლოდ უკუშედეგი გამოიწვია. ქართველი ერი კიდევ უფრო მტკიცედ დადგა დედა ეკლესიისა და მისი მეთაურის გვერდით. ეს არ იყო ის ხალხი, რომელიც ტაძარში წირვა-ლოცვაზე გაუცნობიერებლად მოდიოდა, ეს იყო ჭეშმარიტად მორწმუნე მრევლი, რომელმაც გაითავისა ქრისტიანული რწმენის სიდიადე და მზად იყო მის დასაცავად.

1977–1990 წლებში საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. 80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში, ე.წ. „პერესტროიკის“ პერიოდში, დემოკრატიული ღირებულებების გაღრმავების ღოზუნგით, ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ტოტალიტარული რეჟიმის ლიბერალიზაცია დაიწყო. ეს მომენტი კარგად გამოიყენა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ და ეპარქიებში დაიწყო ადმინისტრაციული წესით დახურული 20–50-იანი წლების ნგრევას გადარჩენილი ეკლესიების ამოქმედება. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1995 წელს მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში მოქმედი 15 ეპარქიის 27-მდე, ხოლო 2007 – წელს 36-მდე გაზრდის შესახებ.

XVI–XX საუკუნეებში ქართველი ხალხის თავს დატყუილმა კატაკლიზმებმა საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიები საგრძნობლად შეამცირა. თუ XII–XIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორია 205 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, XIX საუკუნეში იგი 102 ათას კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა, ხოლო 1921 წლიდან 1990 წლამდე პერიოდში კი 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა ისტორიული ტაო–კლარჯეთი, ლაზეთი, ჰერეთი (საინგილო), ლორე–ტაშირი. დღეისათვის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიები სრულად მოიცავს ისტორიულ საქართველოს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა–კურთხევით, ნეკრესის ეპარქიის სულიერი სამწყსოა ისტორიული ჰერეთი (საინგილო), ახალციხის ეპარქია განივრცო ახალციხის, ტაო–კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიად, დმანისის ეპარქიას დაემატა ისტორიული ლორე–ტაშირი. ამჟამად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის ეპარქიებია:

1. მცხეთა–თბილისისა, რომელსაც ხელმძღვანელობს სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი. თუ 1977 წელს ამ ეპარქიაში მოქმედი იყო 11 ეკლესია–მონასტერი, ამჟამად მოქმედია 130;

2. რუსთავისა და მარნეულისა, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი). 1977 წელს ამ ტერიტორიაზე არც ეპარქია იყო და არც მოქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის კი 18 მოქმედი ეკლესიაა;

3. ქუთაის–გაენათისა, რომელსაც განაგებს მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი). 1977 წელს ეპარქიაში მოქმედი იყო 5, ამჟამად მოქმედია 90–მდე ეკლესია–მონასტერი 130-ზე მეტი სასულიერო პირით;

4. მანგლისისა და წალკის ეპარქიაში მოქმედი იყო 2 ეკლესია, 2007 წლისათვის მოქმედია 12 ეკლესია და 3 მონასტერი; ეპარქიას განაგებს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე);

5. თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქია ახალია. იგი შეიქმნა 2007 წელს. ეპარქიას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე). ეპარქიის ტერიტორიაზე თავიდან მოქმედი იყო 1 ეკლესია, ამჟამად მოქმედებს 15;

6. რუისისა და ურბნისის ეპარქია, რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი). 1977 წელს ეპარქიაში მოქმედი იყო 2 ეკლესია, 2007 წლისათვის კი 100-მდე ეკლესია–მონასტერია, სადაც 200-მდე სასულიერო პირი მოღვაწეობს;

7. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). 1977 წელს მოქმედი იყო 3 ეკლესია, აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ კი ეპარქია დევნილ მდგომარეობაშია;

8. ჭყონდიდის ეპარქია მოიცავს მარტვილისა და აბაშის რაიონებს. მას ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა). ეპარქიაში დიდი აღშენებლობითი საქმიანობა მიმდინარეობს: აშენდა საეპისკოპოსო სახლი, გაიხსნა მამათა მონასტერი (მარტვილში). ეპარქიაში მოქმედია 20-მდე ეკლესია, რომლებშიც დვთისმსახურებას ეწევა 25-მდე სასულიერო პირი;

9. ალავერდის ეპარქია, რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). თუ 1977 წელს ეპარქიაში 3 მოქმედი ეკლესია იყო, 2007 წლისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა 40-მდე;

10. დასავლეთ ევროპის ეპარქია აერთიანებს ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს. ეპარქია შეიქმნა 2002 წლის 17 ოქტომბერს. მას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ეპარქიის სამრევლოები არის ავსტრიაში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში – სულ 14 სამრევლოა;

11. ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია, რომელსაც მეთაურობს მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე მოქმედი იყო 1 ეკლესია, ამჟამად მოქმედია 7 ეკლესია-მონასტერი;

12. თიანეთისა და ფშაგ-ხევსურეთის ეპარქია ისტორიული ქალაქ-ხარჭაშნის ეპარქიის ადგილზე შეიქმნა წმიდა სინოდის 2003 წლის 18 აგვისტოს განჩინებით. 1977 წელს თიანეთსა და ფშაგ-ხევსურეთში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად კი მოქმედია 5. ეპარქიას ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი);

13. არგვეთისა და უბისის ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით. 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე მოქმედებდა ორი სამლოცველო სახლი, ამჟამად მოქმედია 10 ეკლესია და 2 მონასტერი. ეპარქიას ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი);

14. შემოქმედის ეპარქია 1917 წელს აღდგა. ეპარქიას ამჟამად ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე). 1977 წელს ეპარქიაში მოქმედი იყო 2 ეკლესია, 2007 წელს კი 42 ეკლესიაა და 7 მონასტერი;

15. ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქიას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია). 1977 წელს არც ეპარქია არსებობდა და არც მოქმედი ეკლესიები. 2007 წლისათვის მოქმედია 5 ეკლესია და 1 მონასტერი;

16. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია, რომელსაც წინამძღოლობს მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა). 1977 წელს აქ არც ეპარქია იყო და არც მოქმედი ეკლესია. 1995 წელს შეიქმნა ბორჯომისა და ახალქალაქის ეპარქია, 2002 წლის 17 ოქტომბერს კი, წმიდა სინოდის განჩინებით, ახალქალაქი და კუმურდო ცალკე ეპარქიად გამოიყო. ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქიაში მოქმედია 15–მდე ეკლესია–მონასტერი;

17. ნიკორწმიდის ეპარქია აღდგა 1917 წელს, მაგრამ ეპარქიამ რეალური ფუნქციონირება დაიწყო 1979 წლიდან, როდესაც ამოქმედდა ნიკორწმიდის ეკლესია. ეპარქიას 1996 წლიდან განაგებს მთავარეპისკოპოსი ელისე (ჯოხაძე). 2007 წლისათვის ეპარქიაში მოქმედ ეკლესიათა რიცხვი 6-ს აღწევს;

18. ფოთისა და ხობის ეპარქია 1995 წელს გამოეყო ჭყონდიდის ეპარქიას. 1996 წლიდან ეპარქიას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). 1977 წელს ეპარქიაში მოქმედი იყო მხოლოდ 1 ეკლესია და 1 სამლოცველო სახლი, 2007 წლისათვის კი მოქმედია 8 ეკლესია, შენდება 5;

19. ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით შეიქმნა, მას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი). აქ 1977 წელს არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია. 2007 წელს მოქმედია 3 ეკლესია და 2 მონასტერი;

20. ახალციხის, ტაო–კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიას ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). თუ აქ 1977 წელს არც ერთი მოქმედი ეკლესია არ იყო, 2007 წლისათვის მოქმედია 19 ეკლესია და 9 მონასტერი. შენდება 4 ახალი ეკლესია;

21. ხონისა და სამტრედიის ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 1995 წლის 5 აპრილის განჩინებით. ეპარქიას ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი საბა (გიგობერია). 1977 წელს აქ არც ერთი მოქმედი ეკლესია არ ჰქონდათ, 2007 წელს კი 12 მოქმედი ეკლესიაა;

22. წილკნის ეპარქია აღდგა 1917 წელს. ეპარქიის წინამძღოლია მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი). 1977 წელს ეპარქიაში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად მოქმედ ეკლესიათა რაოდენობა ათზე მეტია;

23. ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია 1917 წლიდან არსებობდა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის სახით. 1995 წლიდან შემოქმედის ეპარქიის გამოყოფის გამო მას ეწოდა ბათუმისა და სხალთისა. 2007 წლიდან კი დიდაჭარისა და ხულოს ცალკე ეპარქიად ჩამოყალიბების გამო ეწოდა ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია, რომელსაც განაგებს მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). თუ 1977 წელს ეპარქიაში 3 მოქმედი ეკლესია იყო, 2007 წლისათვის მათი რაოდენობა 29-მდე გაიზარდა. შენდება 8 ეკლესია;

24. ვანისა და ბაღდადის ეპარქია წმიდა სინოდის 1995 წლის 5 აპრილის განჩინებით შეიქმნა. ეპარქიას ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის მათი რაოდენობა 22 გახდა;

25. ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია შეიქმნა ისტორიული ცაიშის ეპარქიის საფუძველზე წმიდა სინოდის 1995 წლის 5 აპრილის განჩინებით. 1998 წლიდან ეპარქიას განაგებს მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). 1977 წელს ეპარქიაში მოქმედი იყო 2 ეკლესია, 2007 წლისათვის კი აქ 6 ეკლესია-მონასტერია;

26. ბოდბის ეპარქია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს გადაწყვეტილებით აღდგა 1925 წელს. 1999 წლიდან ეპარქიის წინამძღოლია ეპისკოპოსი დავითი (ტიკარაძე). 1977 წელს აქ მოქმედი იყო 2 ეკლესია, ამჟამად მათი რაოდენობა ათზე მეტია;

27. სამთავისისა და გორის ეპარქიას განაგებს მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად მათი რაოდენობა თხუთმეტიზე მეტია;

28. სტეფანწმიდისა და ხევის ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით. ეპარქია მოიცავს ყაზბეგის რაიონს, რომელსაც განაგებს ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად მათი რაოდენობა ათს აღემატება;

29. ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია 1917 წელს იწოდა ცაგერისა და ლენხუმ-სვანეთისად, მას 2002 წლის 27 ოქტომბრიდან ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). თუ 1977 წელს ეპარქიაში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ახლა მათი რაოდენობა 10-ზე მეტია;

30. მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით. ეპარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი

ილარიონი (ქიტიაშვილი). 1977 წელს ეპარქიაში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად მოქმედია 8-ზე მეტი;

31. გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 2002 წლის 14 სექტემბრის განჩინებით. ეპარქიას 2003 წლის 18 აგვისტოდან განაგებს ეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის მათი რაოდენობა გაიზარდა 10-მდე;

32. საგარეჯოსა და ნინოწმიდის ეპარქია ნინოწმიდის ისტორიული ეპარქიის საფუძველზე აღდგა 1995 წლის 5 აპრილიდან. ეპარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე). 1977 წელს ეპარქიაში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის მათი რაოდენობა 11-მდე გაიზარდა;

33. დმანისის ეპარქია 2003 წლის 18 აგვისტოს შეიქმნა, ხოლო 2006 წლიდან მას დაემატა აგარაკ-ტაშირის ტერიტორიაც, რომელიც 1921 წლიდან სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული. ეპარქიას განაგებს ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, 2007 წლისათვის კი მოქმედია 8 ეკლესია-მონასტერი;

34. ბოლნისის ეპარქია ისტორიული ცურტავის ეპარქიის საფუძველზე შეიქმნა 1995 წელს. 2007 წლიდან ეპარქიას განაგებს ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). 1977 წელს აქ არც ერთი მოქმედი ეკლესია არ იყო, დღეისათვის მოქმედია 5 ეკლესია და 3 მონასტერი;

35. სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია შეიქმნა წმიდა სინოდის 2003 წლის 18 აგვისტოს განჩინების საფუძველზე. ეპარქიას განაგებს ეპისკოპოსი შიო (მუჯირი). თუ 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე მოქმედი იყო 21 ეკლესია, ამჟამად მათი რაოდენობა გაიზარდა ათამდე;

36. ხულოსა და სხალთის ეპარქია შეიქმნა 2007 წელს. ეპარქიას ხელმძღვანელობს ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე). 1977 წელს ეპარქიის ტერიტორიაზე არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია, ამჟამად მოქმედია 10-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების აღორძინება უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დიდი ღვაწლის შედეგია. უწმიდესი და უნეტარესი ხშირად სტუმრობს ეპარქიებს, მცირე წარმატებასაც უფასებს მმართველ

მღვდელმთავრებს, მწყემსმთავრული სიტყვით მიმართავს მრევლს, დედა ეკლესიისა და სამშობლოს სიყვარულისაკენ მოუწოდებს მათ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სიძლიერისა და სიმტკიცის საფუძველი მოქმედ ეკლესიათა სიძლიერეა.

ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამონასტრო ცხოვრებას. პირველი მონასტრები IV–V საუკუნეებიდან არსებობდა. მონასტრები არა მარტო რელიგიური, არამედ კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრების ფუნქციასაც ასრულებდნენ. შუა საუკუნეებში ქართველებს სამონასტრო ცენტრები ჰქონდათ საბერძნეთში, კვიპროსზე, წმიდა მიწაზე. ქვეყანაში შემოსული მტერი მონასტრებს არბევდა. ცნობილია ქვათახევისა და დავით გარეჯის მონასტრების მტერთაგან რბევა, ბერ–მონაზვნების ხოცვა–ჟლეტა, მაგრამ მონასტრები მაინც აღორძინდებოდნენ ხოლმე. ბერ–მონაზვნები ყველაზე დაფასებულნი იყვნენ ჩვენი სულიერი ცხოვრების ისტორიაში.

XIX საუკუნეში ქართულ მონასტრებს რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსული ბერები დაეპატრონენ... 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღორძინება, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტებით დაიწყეს საეკლესიო მიწების ჩამორთმევა და მონასტრებში მცხოვრები ბერ–მონაზვნების შევიწროება, რის გამოც უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქმა ლეონიდემ მკაცრი საპროტესტო წერილი მისწერა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს – ნოე ჟორდანიას. 1921 წლიდან, ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების წაქეზებით, დაიწყო ეკლესია–მონასტრების ძარცვა–რბევა. დახოცეს შიომღვიმის, ქვათახევის, ბეთანიის, არმაზის, კაბენის მონასტრების ბერები. საბუთები ყველგან ისე გააფორმეს, თითქოს კრიმინალური დანაშაული იქნა ჩადენილი. დაიხურა მონასტრების უმრავლესობა. უწმიდესისა და უნეტარესი კალისტრატეს ძალისხმევით, სახელმწიფომ ისტორიული ძეგლის მცველის თანამდებობაზე დანიშნა ბეთანიელი ბერები: იოანე (მაისურაძე) და გიორგი (მხეიძე), ზედაზენზე – ექვთიმე (კერესელიძე).

XX საუუნის 60–70–იან წლებში საქართველოში სამონასტრო ცხოვრება ძალიან შესუსტებული იყო. თითო–ოროლა მონასტერში (შიო მღვიმე, სამთავრო,

თეკლათი, მოწამეთა) ნახევრად არალეგალურად მოღვაწეობდნენ ბერ-მონაზვნები. ოფიციალური ხელისუფლება განსაკუთრებით უარყოფითად იყო გამსჭვალული მათ მიმართ. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გააზრებული, თანმიმდევრული საქმიანობით შესაძლებელი გახდა სამონასტრო ცხოვრების აღორძინება საქართველოში. თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში მონასტრებში ძირითადად ასაკოვანი ადამიანები იყვნენ, ამჟამად 70-ზე მეტ მოქმედ მონასტერში ძირითადად ახალგაზრდა მორჩილნი და ბერ-მონაზვნები მოღვაწეობენ. საქართველოს ყველა მოქმედ ეპარქიაში არის მამათა და დედათა მონასტრები.

უწმიდესსა და უნეტარესს სურდა, ფარავნის ტაძართან, საიდანაც მოციქულთა სწორი წმიდა ნინო ვახის ჯვრით გამოემართა მცხეთისაკენ, დაარსებულიყო მამათა და დედათა მონასტრები. გასული საუკუნის 70-იან წლებში მთელი სამცხე-ჯავახეთის ტერიტორია საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრისპირა რაიონებად იყო გამოცხადებული. აწყურის იქით გადასვლა მხოლოდ სპეციალური საშუალებით შეიძლებოდა. გარდა ამისა, ფარავნის ტბისპირა სოფელ ფოკაში არც ერთი ქართული ოჯახი არ ცხოვრობდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ოფიციალურად ჩაეწერა სოფელ ფოკაში, რათა დაუბრკოლებლად ემოგზაურა ამ ტერიტორიებზე. მისი დიდი ძალისხმევით მოხერხდა ფოკაში დედათა და მამათა მონასტრების დაარსება. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია. მრავალი ასეთი დაბრკოლება გადაიტანა საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, მაგრამ, უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, სამონასტრო ცხოვრება აღორძინდა არა მარტო საქართველოში – ჩვენი მამები და დედები მოღვაწეობენ უცხოეთში არსებულ ქართული წარმომავლობის ეკლესია-მონასტრებშიც.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინსვლა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: თუ 1977 წელს 50-მდე მოქმედ ეკლესია-მონასტერში ღვთისმსახურებას ეწეოდა 7 მღვდელმთავარი და 80-მდე სასულიერო პირი, 2007 წლისათვის 1500-ზე მეტ ეკლესიასა და 60-ზე მეტ მონასტერში მოღვაწეობს 36 მღვდელმთავარი და 2000-ზე მეტი სასულიერო პირი. წინააღმდეგობათა დაძლევის გზების ძიება, ლოცვაში გატარებული მრავალი უძილო ღამე გადაიტანა მისმა უწმიდესობამ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ამ სიმაღლეზე

ასაყვანად. „მიძევა გვირგვინი მწყემსმთავრისა, ერმაც და ბერმაც თავიდანვე მკაფიოდ გამოხატული ნდობითა და პატივისცემით მივიღოთ. ფრიად მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა მღვდელმთავარი მთელი თავისი არსებით ასხივებთ სათნო ადამიანურ ბუნებას. ხალხში თქვენს გასვლას, ინტელიგენციასთან საქმიან შეხვედრა-დიალოგებს თავიდან ბოლომდე გასდევდა სულიერების თავანკარა სათავეებთან დაბრუნების აუცილებლობის აზრი და წადილი... თქვენ საქართველოს ეკლესია იზოლაციიდან, კარნაკტილობიდან გამოიყვანეთ.“[27, 11880]. ამ სიტყვების ავტორს, ილია რურუას, როგორც რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილეს, სამსახურებრივად ევალებოდა ეკლესიისა და პატრიარქის კონტროლი... პატრიარქის სულიერებამ და სიდიადემ დაჩრდილა მასში ოფიციალური ფუნქციონერი და საქართველოს სულიერი წინამძღოლის საქმეთა პირუთვნელ შემფასებლად აქცია იგი.

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ადრეული შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნის ჩათვლით, საზღვარგარეთ მრავალი ეკლესია-მონასტერი ჰქონდა. აქ მოღვაწე ქართველი ბერები ქმნიდნენ ორიგინალურ სასულიერო ნაშრომებს, თარგმნიდნენ ქართულიდან ბერძნულად, ან ბერძნულიდან ქართულად ითარგმნებოდა ქრისტიანულ ლიტერატურაში ცნობილი თხზულებები. თუ ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი იყო შუა საუკუნეების ქართული კულტურა, ამაში დიდია საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების წვლილი. ახლო აღმოსავლეთში განთქმული იყო საბაწმინდის, სინას, ჯვრის, შავი მთის, ხოლო დასავლეთში – ათონისა და პეტრიწონის მონასტრები. შუა საუკუნეებში წმიდა მიწაზე ქართველებს განსაკუთრებული პრივილეგიები ჰქონდათ – გოლგოთაზე ქრისტეს საფლავის ეკლესიის კლიტენი მათ ეპყრათ და გაშლილი დროშებით ცხენზე ამხედრებულებს შეეძლოთ იერუსალიმში შესვლა. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეში ერთიანი საქართველო სამ სამეფოდ და ერთ სამთავროდ დაიშალა, სამეფოთა მეფე-მთავარნი საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს ყურადღებას არ აკლებდნენ.

ირან-ოსმალეთის მძლავრობის ხანაში (XVI–XVIII ს.ს.) საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პოზიციები შესუსტდა. XVI–XX საუკუნეებში, საქართველოს მიმართ ოსმალთა მიერ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ისტორიული საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი –

ტაო-კლარჯეთ-ლაზეთი – და იქ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები საქართველოს საზღვრებს გარეთ აღმოჩნდა.

XVI საუკუნეში ოსმალთაგან შევიწროებულმა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ ავტოკეფალია და მართლმადიდებლურ დიპტისში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიულად კუთვნილი მე-5 ადგილი პოლიტიკურად გაძლიერებული რუსეთის ეკლესიას მისცა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებს თანდათან უცხოელები (ბერძნები და სომხები) დაეპატრონენ და გულმოდგინედ დაიწყეს მონასტრებში არსებული ქართული კვალის წაშლა. (ამის თვალსაჩინო მაგალითია ამ ბოლო დროს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკის გარშემო ატეხილი სკანდალიც).

მიუხედავად იმისა, რომ XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოციქულო ეკლესია რუსეთის სინოდის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, ქართველი სასულიერო პირები მაინც წმიდა მიწისაკენ, ათონისაკენ, მიისწრაფოდნენ. ქართველ სამღვდელოებაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდნენ საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებში ნამსახურები ბერები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მცდელობა, 1917 წელს ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ აღედგინა კავშირი საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან, უშედეგო აღმოჩნდა. 1921–1970 წლებში, საბჭოთა „რკინის ფარდის“ პირობებში, ეს კიდევ უფრო გართულდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები – უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II და დავით V – სარეკომენდაციო წერილებს უგზავნიდნენ იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს, რათა ათონის ივერთა მონასტერსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაღების უფლება მიეცათ კინორეჟისორ ირაკლი ონოფრიშვილისა და გურამ პატარაიასათვის, დაეშვათ იქ სამუშაოდ ქართველ მეცნიერთა ჯგუფი (ირაკლი აბაშიძე, გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე). უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავისი მღვდელმთავრობის პერიოდში, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების ხელმძღვანელმა, მიზნად დაისახა საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებთან კავშირის აღდგენა. მისთვის განსაკუთრებით ახლობელი იყო ათონის ივერთა

მონასტერი. ამ მონასტრის ისტორიას მიუძღვნა მან თავისი საკვალიფიკაციო შრომა და ვრცელ დასკვნაში მკაფიოდ განსაზღვრა ათონის ივერთა მონასტრის როლი საქართველოს ისტორიაში. ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტად ყოფნის დროს იგი არაერთხელ შეხვდა ქართველ მეცნიერებს და მათთან ერთად იმსჯელა, რა უნდა გაკეთებულიყო ათონის ივერთა მონასტერთან დასაკავშირებლად. 1970 წელს მიტროპოლიტი ილია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს სწერდა: „ქალბატონო ელენე, გამახარა თქვენმა წერილმა და ზ. ალექსიძის „ეპისტოლეთა წიგნმა“. გმადლობთ ყურადღებისათვის. მეც მინდა გაგახაროთ სასიამოვნო ამბით. არქიმანდრიტ აბელის საშუალებით ვიპოვეთ გზა, რომლითაც დაგუკავშირდებით ივერიის მონასტრის ხელნაწერებს. მივიღე წერილი თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორ ტახიკოსისგან, რომელიც გვპირდება დახმარებას.“[27, 3203].

1978 წლის სექტემბერში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში მოწვეულ ათონის მთის გუბერნატორს დიმიტრიოს ცამისს ვიზიტის ისეთი პროგრამა შესთავაზა და ქართული სტუმართმასპინძლობის ისეთი მაღლი აჩვენა, რომ აღფრთოვანებულმა გუბერნატორმა თბილისიდან გამგზავრების წინ განაცხადა: „დამიანის ცხოვრებაში იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს წუთები, როდესაც არ შეიძლება გამოითქვას გრძნობები, რომლებიც მას ეუფლება. ყველა სიტყვა, რომელიც შეიძლება მე ვთქვა, ღარიბი და უფერული იქნება ჩემს განცდებთან შედარებით.“[34, 1978, 2, 13]. ბატონ ცამისის სახით საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ ძლიერი მხარდამჭერი იპოვა.

1979 წლის 5 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ათონის ივერთა მონასტრის საბჭოს მიმართა: „აღსდგეს ის კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ივერიის მონასტერს შორის. ამ მიზნით ჩვენ გამოვთქვამთ სურვილს, რომ წარმოვგზავნოთ თქვენთან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან სამი მეცნიერი, რომელნიც გადაიღებენ ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს.“[27, 2335]. უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას განუმარტავდა ათონის ივერთა მონასტრის მნიშვნელობას საქართველოსათვის და სთხოვდა მხარდაჭერას, რათა მონასტერში გაგზავნილიყო ოთხი ქართველი ბერი, თან დასძენდა: „თუ ეს

შეგქელით, ჩვენს მეცნიერებსა და ეკლესიას ექნებათ მუდმივი კავშირი ამ საგანგებო და იქ დაცულ ძვირფას ქართულ ნივთებს ეყოლება თავისი კანონიერი პატრონი და გულშემატკივარი.“[27, 1560].

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 1983 წელს განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღინიშნა ათონის ივერთა მონასტრის დაარსებიდან 1000 წლისთავი. მონასტრის საბჭოსადმი გაგზავნილ მილოცვაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ათონის ივერთა მონასტერი მარადუამს იყო და დარჩება საქართველოს სამოციქულო დედა ეკლესიის სულის განუყოფელ ნაწილად. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ს ძალისხმევით, ათონის მონასტრების ბერები არაერთხელ ესტუმრნენ საქართველოს, მოილოცეს ქართული ეკლესია-მონასტრები, შეხვდნენ ქართველ სასულიერო პირებს, მეცნიერებს. პატრიარქთან შეხვედრებმა ისინი განსაკუთრებული მადლიერებით აღავსო. 1987 წლის 11 თებერვლით დათარიღებულ წერილში ისინი აღნიშნავენ: „შვილიერი გრძნობით ვუსურვებთ თქვენს ღირსეულ უნეტარესობას ჯანმრთელობას და ღვთაებრივ ძლიერებას, რათა მაცხოვრებელი სიტყვა უქადაგოთ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სამწყსოს. ვითხოვთ თქვენს ღვთაებრივ ლოცვებს და ყველანი, საერთო კრების წარმომადგენლები, ათონის წმიდა მთის ოცივე წმიდა მონასტრის წინამძღვრები, ვრჩებით უღრმესი პატივისცემით.“[27, 10106].

უწმიდესისა და უნეტარესის სურვილით საქართველოში ჩამოაბრძანეს ათონის კარის ღვთისმშობლის ხატის ასლი.

XX საუკუნის ქართველ პატრიარქთა და საერო მეცნიერთა ოცნება, ჰქონოდათ კავშირი ათონის წმიდა მთაზე არსებულ ქართულ მონასტრებთან და იქ დაცულ ქართულ ხელნაწერებთან, რეალობად იქცა. დღეს ათონზე არაერთი ქართველი ბერი მოღვაწეობს.

უწმიდესი და უნეტარესი ასეთივე დიდი მონდომებით შეუდგა იერუსალიმის ჯვრის მონასტერთან საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კავშირის აღდგენას. იერუსალიმის პატრიარქთან, უწმიდეს ბენედიქტესთან შეხვედრისას ის პირველად შეეხო ჯვრის მონასტრის საქართველოს ეკლესიისათვის დაბრუნების საკითხს. მოლაპარაკებები გაგრძელდა პატრიარქ დიოდოროსის I-ის დროსაც. პატრიარქმა ილია II-მ კარგად იცოდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოსათვის ძნელი გადასაწყვეტი იყო ეს

საკითხი. მისი უწმიდესობა საქართველოს საერო ხელისუფლებას მეტი მხარდაჭერისაკენ მოუწოდებდა. იგი 1987 წლის 5 ნოემბერს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ზურაბ ჩხეიძეს სწერდა: „იერუსალიმში ოფიციალური ვიზიტის დროს შევხვდი პატრიარქ დიოდოროს I-ს და დავაყენე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის გადმოცემის საკითხი. როგორც მოსალოდნელი იყო, ბერძნები ჩვენს თხოვნას ენთუზიაზმით არ შეხვედრიან, თუმცა შეგვპირდნენ საკითხის განხილვას. საჭიროა მთავრობის დახმარება. წარმატების შემთხვევაში თქვენ დაიმსახურებთ ჩვენი ხალხის სამუდამო მადლიერებას.“[27, 11375, 135].

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკითხის მოგვარებაზე მუშაობს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შექმნილი მეცნიერთა და ბიზნესმენტა ჯგუფი. ისრაელის მთავრობა, ქართველი ებრაელობა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. ასეთ ვითარებაში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძენმა ბერებმა შეზღუდეს მონასტერში ქართველთა შემოვლა, გაურკვეველ ვითარებაში დაზიანდა რუსთაველის ფრესკა. ამ სამწუხარო ფაქტების მიუხედავად, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება და ჯვრის მონასტერი აუცილებლად დაუბრუნდება საქართველოს...

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 1979 წლის 9–15 მაისს, ბულგარეთში ვიზიტის დროს, მონახულა პეტრიწონის ქართველთა მონასტერი, რომელიც 1083 წელს ძმებ ბაკურიანისძეთა მიერ არის დაარსებული. ბულგარეთის პატრიარქმა უწმიდესმა მაქსიმემ განაცხადა, რომ მზად იყო ნებისმიერ დროს მიეღო ქართველი ბერები ამჟამად ბაჩკოვოს მონასტრად წოდებულ პეტრიწონში.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1977–2007 წლებში მოილოცა საზღვარგარეთ არსებული ყველა ეკლესია–მონასტერი, სადაც კი ქართველებს უღვაწიათ, სადაც ქართული სიწმინდეებია დაცული, პატივი მიაგო ჩვენს სახელოვან და ისტორიის მიღმა დარჩენილ უსახელო გმირებს, რომელნიც ემსახურებოდნენ დედაეკლესიას, დედასამშობლოს. უწმიდესმა და უნეტარესმა მოახერხა დაკავშირებოდა 1927 წლიდან საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციიდან გასულ პარიზის წმიდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარ დეკანოზ ილია მელიას.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართველი საღვთისმშობლის სულიერი ერთიანობის სიმბოლოა. საზღვარგარეთულ ქართულ მონასტრებთან საუკუნეთა მანძილზე გაწვეტილი კავშირის აღდგენით მან საქართველოს სამოციქულო ეკლესიას ძველი სიდიადე და ქრისტიანულ აღმოსავლეთში გამორჩეული მისია დაუბრუნა.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად გამორჩეული იყო ქართველ წმინდანთა სიმრავლით. ჩვენი ეკლესია ღვაწლსა და თავდადებას არ უკარგავდა არც სასულიერო და არც საერო პირებს. თაობები იზრდებოდნენ და იზრდებიან ქართველ წმინდანთა ცხოვრების მაგალითზე. XIX საუკუნეში რუსი ეგზარქოსები ცდილობდნენ, ქართველობას დაევიწყებინა ეროვნულ წმინდანთა დღესასწაულები. XX საუკუნეში, ბოლშევიკური ათეისტური მმართველობის ხანაში, განსაკუთრებით 20–70-იან წლებში, როდესაც ეკლესიის საქმიანობის არეალი შეზღუდული იყო, ხოლო წმიდა სინოდის შემადგენლობა – არასრული (5–7 მღვდელმთავარი), ახალი წმინდანების კანონიზაციაზე ფიქრი არასერიოზულად აღიქმებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შესანიშნავად იცოდა, რომ ეკლესიის სისუსტეზე მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ორი საუკუნის მანძილზე მას წმინდანად არავინ შეურაცხავს. ამიტომ, უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, 1979 წლიდან საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა სასულიერო და საერო მეცნიერთა კომისია, რომელსაც უნდა ემსჯელა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ახლო მომავალში წმინდანებად შესარაცხ პირთა შესახებ.

XX საუკუნის 80-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საბჭოური აზროვნებისა და ღირებულებების მსხვრევით დაიწყო. ამ მხრივ პირველი სერიოზული ნაბიჯი საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ გადადგა. 1987 წლის 20 ივლისს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ილია ჭავჭავაძე შეირაცხა წმინდანად და ეწოდა მას „წმიდა ილია მართალი“. უწმიდესმა და უნეტარესმა შესანიშნავად ახსნა ამ დიდი პიროვნების ღვაწლი: „ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა იწყება საქართველოსათვის საბედისწერო ეამს, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა,

როდესაც საქართველოს ეკლესიას მოჰკვეთეს თავი და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდს, როდესაც ქართველი ინტელიგენცია და თავადაზნაურობა იყო უმოქმედო და კმაყოფილი რუსეთის იმპერატორისგან ბოძებული თანამდებობებით და ჩინ-მედლებით. ამ დროს ღვთის განგებით მოგვევლინა ილია ჭავჭავაძე, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც „ხმა მღალაღებელი უდაბნოსა შინა“, როგორც სიტყვა მართალი და ჭეშმარიტი, როგორც მქადაგებელი და წინამძღვარი. მან აღასრულა თავისი თავადაღებული ცხოვრებით მცნება უფლისა: „რომელ ჰნებავეს შემდგომად ჩემდა, უარჰყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდგებიან მე“ (მათე 16,24). მან აღასრულა უფრო მეტიც, მხოლოდ თავისი ჯვარი კი არა, მთელი ერის ჯვარი იტვირთა.“[27, 1669, 10639].

ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. მწერალთა გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ 1987 წლის 23 ნოემბერს დაბეჭდა ინტერვიუ უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-სთან სათაურით „მართალი ვითარცა ფინიკი აღიყუანეს“. პატრიარქმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართული ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა აღიარებაა არა მარტო ილიას პიროვნებისა, არამედ იმ დიდი საქმისა და იდეალებისა, რომელთაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისთავადობის იდეალების ერთგულებისათვის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევითა და წმიდა სინოდის განჩინებით, 1995–2007 წლებში წმინდანებად შერაცხნენ კათოლიკოსები: პეტრე I და სამოელი; კათოლიკოს-პატრიარქები: მელქისედეკ I, კირიონ II და ამბროსი (ხელაია); ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი და სამღვდლო კრებული მისი; ეპისკოპოსები: ზოსიმე კუმურდოელი, ალექსანდრე (ოქროპირიძე), გაბრიელი (ქიქოძე); მიტროპოლიტები: დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი; იმერთა მეფე სოლომონ II, ცოტნე დადიანი, საქართველოს ეროვნული ღირსების დასაცავად მსხვერპლად შეწირული დიმიტრი ყიფიანი, ექვთიმე თაყაიშვილი; მღვდელ-მონაზონნი: თეოდორე აჭარელი, ილარიონ ქართველი, იოანე (მაისურაძე), გიორგი (მხეიძე), გრიგოლი (ფერაძე), ალექსი (შუშანია), ექვთიმე (კერესელიძე), კლარჯეთის უდაბნოს ღირსნი მამანი და დედანი, თეოდორე კველთელი, წმიდა მოწამენი ქართველნი, სპარსეთში მოწყვეტილნი... უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ წმინდანთა

დასში შერაცხვით ხელახლა გააცისკროვნა მათი დიდნი საქმენი და გააძლიერა ზეციური საქართველო. თითოეული წმინდანის ხსენების დღეს პატრიარქი მორწმუნე ქართველობას შეახსენებს მათ ღვაწლსა და თავდადებას სამშობლოსა და დედაეკლესიისათვის. საქართველოში შეიქმნა ახლადშერაცხილ წმინდანთა ხატები, მათ სახელზე შენდება ეკლესიები. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ძნელბედობის ქამს გაფერმკრთალებული დიდი საეკლესიო დღესასწაულები კვლავ საზიემო და ტრადიციული გახდა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამოციქულო ავტოკეფალიური ეკლესიის მართვა-გამგეობის, შიდასაეკლესიო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, XX საუკუნეში, ცამეტი საეკლესიო კრება ჩატარდა, რომელნიც მიექდვნა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქების არჩევნებს, ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებათა დამტკიცებას. ეს დებულებები დამტკიცდა 1917, 1927, 1945, 1995 წლებში. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის პერიოდში ჩატარდა მე-12 საეკლესიო კრება (1977წ.) და მე-13 გაფართოებული კრება (1995 წ.), რომელმაც დაამტკიცა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მართვა-გამგეობის ახალი დებულება. უწმიდესისა და უნეტარესის დიდი ძალისხმევის შედეგია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის ეკლესიამ 2002 წლის 14 ოქტომბერს გააფორმა კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) სახელმწიფოსთან, რომლის თანახმადაც საქართველოს სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ამ შეთანხმების თანახმად, „ეკლესია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ საჯარო სამართლის სუბიექტს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საეკლესიო სამართლის ნორმებით. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები დაცულია კანონით. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედსა და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული. სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს სახელმწიფო დაცვაში (მუზეუმებსა და საცავებში) მყოფ

საეკლესიო საგანძურს, სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის. სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-1990 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს, როგორც ჩამორთმეული ქონების ნაწილის ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას მატერიალური ზიანის ნაწილობრივ კომპენსაციაზე“.[12, 2006, 206-208]. ამ შეთანხმების ხელმოწერით აღმოიფხვრა ის უსამართლობა, რომელსაც ბოლშევიკური ხელისუფლება ახორციელებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ (დევნა-შევიწროება, იურიდიული სტატუსის ჩამორთმევა) და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ჰარმონიული ურთიერთობის წინაპირობა გახდა.

**თავი VII. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. საქართველოს
მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია – ქართველთა ერთიანობის
სიმბოლო**

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ქართველი ხალხის თავისუფლების სიმბოლოა. შუა საუკუნეებში მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლაში საერო პირებთან ერთად სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ. დედაეკლესია არა მარტო სულიერად ამხნევებდა სამწყსოს, არამედ საჭიროების შემთხვევაში ბრძოლის წინა ხაზზეც იდგა. მრავალმა სასულიერო პირმა მოწამებრივი სიკვდილით იხსნა სამშობლო განსაცდელისაგან. თვედორე კველთელის მაგალითი ნათელი დასტურია სასულიერო პირთა თავდადებისა და სიმტკიცისა.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბავშვობამ და სტუდენტობამ საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩაიარა, მაგრამ მისი ოჯახი ვლადიკავკაზში საქართველოს სიყვარულით იყო აღსავსე. გიორგი სიმონის ძე შიოლაშვილმა უმცროს ვაჟიშვილს ქართლ-კახეთის გმირი მეფის – ერეკლე II-ის პატივსაცემად ირაკლი დაარქვა. ბუნებრივია, პატარა ირაკლი ხშირად მოისმენდა ოჯახში სამშობლოსათვის თავდადებული „პატარა კახის“ ბრძოლების შესახებ. ვლადიკავკაზის ქართველობისათვის მნიშვნელოვანი იყო წმიდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია და ქართული სკოლა. გარდა ამისა, იქიდან მშობლიურ სნომდე ხომ ერთი საათის გზა იყო გასავლელი. შიოლაშვილების ოჯახი ზაფხულს ტრადიციულად ხევში – სნოში ატარებდა. მომავალი პატრიარქის მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წმიდა ქალაქ მცხეთაში საუფლო კვართის დღესასწაულებზე დასწრებას.

სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში სწავლის დროს ახალგაზრდა ირაკლი შიოლაშვილს კიდევ უფრო გაუმძაფრდა სამშობლოს სიყვარული. საპატრიარქოს არქივში ირაკლი შიოლაშვილის სემინარიისდროინდელ საბუთებში ინახება მის მიერ ღამაში კალიგრაფიით შესრულებული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის – ამბროსის მიერ გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე გაგზავნილი წერილის ასლი. ახალგაზრდა სემინარიელი არაერთხელ აცრემლებულა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ტრაგიკული ცხოვრების გამო. იგი გაცრემული იყო უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II-ის გაუტყეხლობითა და სამშობლოსათვის თავდადებით. მის მესხიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, რომელმაც დალოცა იმხანად ყმაწვილი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი. სტუდენტ ირაკლი შიოლაშვილის საკვალიფიკაციო თემაც – „ათონის ივერთა მონასტრის ისტორია“ – სამშობლოსა და დედაეკლესიას ეძღვნებოდა.

საქართველოში დაბრუნებული მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი დიდი ყურადღებით უსმენდა საქართველოს ეკლესიის ცოცხალ მატრიანებს: კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ს, ევაგრე დიასამიძეს, პართენ აფციაურს, ნაომ შავიანიძეს. ცხუმ-აფხაზეთში, თითქმის გარუსებულ ეპარქიაში, თავისი მღვდელმთავრობის პერიოდში, მან 12 ქართველი სასულიერო პირი ჩაიყვანა და მოქმედ ეკლესიებში გადაანაწილა. როგორც ჩანს, მისმა ოპონენტებმა იცოდნენ მიტროპოლიტ ილიას პოპულარობა ქართველ დისიდენტებში, ამიტომ სიამოვნებით აფრინეს მოსკოვში დეპეშა მომავალი პატრიარქის კომუნისტური სისტემისადმი უარყოფითი განწყობის შესახებ.

მოსკოვის მიზანი, 1956 წლის 9 მარტის სისხლიანი ანგარიშსწორებით დაეშინებინა ხალხი, უშედეგო აღმოჩნდა. სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ სულ მალე თბილისში გამოჩნდა პროკლამაციები: „დგება ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი, დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლის წინააღმდეგ საბრძოლველად.“[20, 183]. დამპყრობელი საბჭოთა იმპერია კიდევ უფრო აძლიერებდა ზეწოლას მოკავშირე რესპუბლიკებზე, ინტერნაციონალიზმის დროშით დაუნდობლად ებრძოდა ეროვნული ცნობიერების საფუძვლებს: საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას, ქართულ ენასა და ლიტერატურას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან განდევნილ იქნა საქართველოს ისტორიის სასწავლო საგანი.

ასეთი დაუფარავი რუსიფიკაცია ქართველი ინტელიგენციის უკმაყოფილებებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საფუძველი გახდა. XX საუკუნის 60-იან წლებში რამდენიმე არალეგალური ორგანიზაცია მოქმედებდა, რომელთა მიზანი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა იყო. ეროვნული მოძრაობის მესვეურნი სასულიერო პირებთან კონტაქტის მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი რიგების გაძლიერებას, მაგრამ, რადგან სასულიერო პირთა უმრავლესობას საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი 1920-50-იანი წლების რეპრესიები, გადასახლება, ტერორი, მათი ეროვნულ მოძრაობაში ჩართვა სათუო იყო. ახალგაზრდა სასულიერო პირები ეროვნული მოძრაობისათვის დიდი მონაპოვარი იქნებოდა. ჯერ მღვდელმონაზონი, შემდეგ ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ საქმეს აკეთებდა – ახალი სასულიერო კადრების მომზადება, საზღვარგარეთულ ქართულ სამონასტრო ცენტრებთან ურთიერთობის აღდგენა, ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის თუ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის განმტკიცება... თითოეული მისი ნაბიჯი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ახალგაზრდობის შთაგონების საფუძველი გახდა. პატრიარქის მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ქადაგებები ყველა ქართველის გულს საღებუნად ედებოდა. უწმიდესმა და უნეტარესმა აღადგინა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ქართველ მეფეთა და წმინდანებად შერაცხულ საერო და სასულიერო მოღვაწეთა ხსენების დღეების განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა. ათასობით ახალგაზრდა კვლავ დაუბრუნდა თავის ისტორიულ ფესვებს და გატაცებით დაიწყო მრავალტანჯული საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ყველაზე პრესტიჟულ სპეციალობებად ისტორიკოსობა და ფილოლოგობა იქცა.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის აღორძინებით დაიწყო. XX საუკუნის 70-80-იან წლებში ქართველ ახალგაზრდებში პოპულარული გახდა არა ყამირსა და ბამზე გამგზავრება შრომითი სემესტრებში, არამედ ისტორიული მნიშვნელობის ეკლესია-

მონასტრების აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობა. უამთა სიავისაგან მიტოვებულ სიწმიდეთა აღდგენამ და მოვლა-პატრონობამ ახალგაზრდობა კიდევ უფრო დაახლოვა დედაეკლესიასთან. ახალგაზრდები უკვე კატეგორიულად მოითხოვდნენ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს მოქმედი რუსული სამხედრო პოლიგონის გაუქმებასა და ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედებას, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის სასწავლო კურსის გაძლიერებას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ თავსმოხვეული კომუნისტური დღესასწაულების – 7 ნოემბრის, 1 მაისის, 25 თებერვლის, ლენინის დაბადების დღის – გაუქმებასა და საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი თარიღების – დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ხსენების დღის, საქართველოს გაქრისტიანების, დამოუკიდებლობის აღდგენის დღის, 26 მაისის, – აღნიშვნას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ძალისხმევით, საქართველოში აზროვნების წესის შეცვლის პროცესი შეუქცევადი გახდა. ისტორიის ასპარეზზე კვლავ გაბრწყინდნენ კომუნისტური იდეოლოგიისაგან გაფერმკრთალებული გმირები და მოწამენი: საქართველოს დიდნი მეფენი, კათოლიკოს-პატრიარქნი, წმინდანები, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ან ემიგრაციაში აღსრულებულთა სახელები... საბჭოთა იმპერიის ნგრევის პროცესი კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა.

XX საუკუნის 70-იანი წლების მოვლენებთან დაკავშირებით უწმიდესი და უნეტარესი ილია II აღნიშნავს: „ჩვენმა ეკლესიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ეროვნული მოძრაობის აღმავლობის საქმეში. ჩვენმა ახალგაზრდა პოლიტიკოსებმა სწორედ აქ დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა... როდესაც ეკლესიაში ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მოსვლის შესახებ ვსაუბრობ, მინდა განვმარტო, ამის მიზეზი იყო არა იმდენად რწმენა, რამდენადაც ძიება რწმენისა. მათ უკვე აღარ სწამდათ კომუნისტური იდეებისა და ეკლესიას მოაშურეს, რწმენა და სულიერება მათ ეკლესიამ მისცა“ [33, II, 112]. ამ ვითარებაში საბჭოთა სპეცსამსახურებმა აამოქმედეს XX საუკუნის 20-იან წლებში ჩადებული ნაღმები და ეროვნული თავისთავადობისათვის მებრძოლ ურჩ რესპუბლიკებში ხელი შეუწყვეს უკანონოდ შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნთა სეპარატისტულ მოძრაობას. თავისუფლებისა და დემოკრატიული

ღირებულებებისათვის მებრძოლ ქართველობას აფხაზი და ოსი სეკერატისტების მეშვეობით უპირისპირდებოდნენ რუსეთის რეაქციული ძალები.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იდეა კიდევ უფრო პოპულარული გახდა 1988 წლის ნოემბრის მასობრივი აქციების შემდეგ. 1989 წლის მარტ-აპრილში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების გამწვავების ფონზე, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში დაიწყო მასობრივი გამოსვლები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. 1989 წლის 4 აპრილიდან საპროტესტო აქციების ცენტრად თბილისი, მთავრობის სასახლის წინა მოედანი იქცა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა იყო მთავარი, რამაც მოსკოვის განრისხება გამოიწვია. მოსკოვის საკავშირო მთავრობის მითითებით, ადგილობრივმა მარიონეტულმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება 8 აპრილს მთავრობის სასახლის წინა მოედნის მომიტინგეთაგან ძალით განთავისუფლების შესახებ. დედაქალაქში სიტუაცია უმართავი გახდა. მომიტინგეთა რაოდენობა იზრდებოდა. თბილისის ვაზიანის აეროპორტში სამხედრო თვითმფრინავებით ათასობით ჯარისკაცი ჩამოიყვანეს. დედაქალაქის ქუჩებში სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა. დამის 12 საათზე ტანკები სიონის ეკლესიასთან, სანაპირო ქუჩაზე გამოვიდნენ. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გადაწყვიტა მისუღიყო მთავრობის სასახლესთან. „დამის 3 საათზე მე მივედი მთავრობის სასახლესთან და იქ მყოფნი გავაფრთხილე, რომ საშიშროება რეალური იყო. ვთხოვე, სალოცავად შესულიყვნენ იქვე ახლოს მდებარე ქვაშუეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო, ისინი არავის არ ემუქრებოდნენ და ამიტომაც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მათ წინააღმდეგ ხელკეტებს, ნიჩბებს და მომწამვლელ გაზს გამოიყენებდნენ. თუმც არ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ საშინელმა წინათგრძნობამ მომიცვა და გადავწყვიტე, მათთან ერთად დავრჩენილიყავი, რომ მათი ხვედრი გამეზიარებინა“ [27, 2547], – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა. მთავრობის სახლის წინ საშინელი ანგარიშსწორება დაიწყო, კბილებამდე შეიარაღებული რუსი ჯარისკაცები დაუნდობლად არბევდნენ მომიტინგეებს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხალხმა სამშვიდობოზე გაიყვანა.

გათენდა 9 აპრილი. თბილისი საბჭოთა ჯარების მიერ იყო ოკუპირებული. ხალხი შავი დროშებით გამოვიდა ქუჩებში და ასე გამოხატა

პროტესტი მომხდარის გამო. დაიღუპა 21 და მოიწამლა ათასობით ადამიანი. 9 აპრილს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სიონის საპატრიარქო ტაძარში დაღუპულთა მოსახსენებელი პირველი პანაშვიდი გადაიხადა და მათ სამშობლოს თავისუფლებისათვის მსხვერპლად შეწირულები უწოდა. – ჩვენ ვგლოვობთ, მაგრამ ამავე დროს, ვმადლობთ ღმერთს, რომ გვეოლია მრავალი გმირი, რომლებიც მზად არიან თავი შესწირონ სამშობლოს. მათი სახელები უკვდავია, – თქვა მან.

პანაშვიდის დროს ხალხი ტიროდა. საღამოს სიონის საპატრიარქო ტაძარში თოთხმეტი გარდაცვლილი მოასვენეს. ეს იყო უმძიმესი დღეები ყველა ქართველისათვის, უმძიმესი იყო მისი უწმიდესობისათვის, რომელსაც, რთული ვითარების მიუხედავად, უნდა გაემხნეებინა სრულიად საქართველო. ვერც კომენდანტის საათმა და ვერც რეპრესიებმა ვერ შეარყია ქართველი ხალხის სწრაფვა თავისუფლებისაკენ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ადამიანები მასობრივად ტოვებდნენ საბჭოთა კავშირის კომპარტიის რიგებს, მანდატებს კი კოცონზე წვაგდნენ.

9 აპრილის მოვლენების შემდეგ საქართველოში კომუნისტური ხელისუფლება ნომინალური გახდა. საბჭოთა იდეოლოგიამ სრული კრახი განიცადა. საბჭოთა კავშირის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მცდელობა, გავერცელებინათ დეზინფორმაცია, თითქოს 9 აპრილს გააფთრებული მომიტინგეების აგრესიისაგან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II რუსმა სამხედროებმა იხსნეს, თვითონ უწმიდესისა და უნეტარესის მკაცრმა განცხადებამ ჩაშალა: „ცენტრალურ პრესაში არაერთხელ დაიწერა, თითქოს დემონსტრანტებს ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინოთ და ჯარებმა ჩემი დაცვის მიზნით გამომიყვანეს, ეს სწორი არ არის. პირიქით, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკები დაიძრნენ, ჩემს წინ ახალგაზრდებმა კედელი აღმართეს, რათა ხიფათი არა შემმოხვეოდა რა“ [34, 1989, 2, 6].

უწმიდესი და უნეტარესი სინანულით აღნიშნავდა: „დადგა დრო უფროსი თაობის ჯერ არნახული დაუნდობელი ლანძღვისა იმ საბაბით, თითქოს მან დაღუპა საქართველო. ის კი გვავიწყდება, რომ XIX–XX საუკუნეებში ჩვენი ერის ცხოვრებაში მომხდარი ფაქტები შედეგი იყო სწორედ ქართველთა სულიერი დონის დაკნინებისა, სულმოკლეობისა, ურთიერთმტრობისა“ [33, II, 113]. პატრიარქი გრძნობდა, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებად დაქსაქსულ

ქართველ ერში გაღრმავდებოდა ურთიერთდაპირისპირება, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის მძიმე შედეგებით დასრულდებოდა. მისი ინიციატივით, 1990 წლის 19 მარტს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა სიონის საპატრიარქო ტაძარში ერთიანობის ფიცი დადეს: „ამ დღეს იმპლავრა ჩვენში მიძინებულმა სიყვარულმა, შეერთდა დაქსაქსული ქართული სული, სინანულის მადლით განიბანა და თანადგომისა და თანაგრძნობის სურვილით ადვსილი ერთგულების ფიცით წარსდგა ღვთის წინაშე ღმერთმა ისმინოს მათი, ღმერთმა დალოცოს და შეკრას საქართველო.“ [33, I, 115].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II თავის ქადაგებებსა და ეპისტოლეებში აფრთხილებდა ქართველობას, ყოფილიყო მიმტკეპელი, დიდსულოვანი და წინაპართა ღვაწლის დამფასებელი, რომ შეჯიბრი და ქიშპობა, ვინ უფრო კარგი ქართველია, ვის უფრო უყვარს ჩვენი სამშობლო, შეუწყნარებლობა განსხვავებული შეხედულებების მიმართ და გაცხარებული პოლემიკის დროს ერთმანეთის შემკობა სამშობლოს მოდალატის იარლიყით საქართველოს მომავლისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. „თავისუფლება არ არის ყველაფრის უფლება, არამედ იგია მუდმივი თვითკონტროლი და მისი საშუალებით ცოდვის მონობისაგან თავის დაღწევა; თავისუფლება მშვენიერია, სასურველი და ახლობელი, მაგრამ იგი, ამავე დროს, საშიშიცაა, რადგან თითოეულ ჩვენგანს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს. თავისუფლება ადამიანს აძლევს არჩევანის, ინიციატივის გამოჩენის, შეხედულებების შეცვლის საშუალებას... მაგრამ, ამავე დროს, პასუხსაც სთხოვს ყველა მის მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე“ [30, 429], - აღნიშნავდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II.

1989 წლის 9 აპრილიდან 1990 წლის ოქტომბრამდე საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა იყო. ნომინალურად კვლავ ფუნქციონირებდა საბჭოთა სტრუქტურები: კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო, მაგრამ რეალური ძალაუფლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელში იყო. მათი მოთხოვნით, 1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ, სპეციალური დადგენილებით, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოში ჯარების შემოყვანა შეაფასა როგორც ანექსია და ქვეყნის ოკუპაცია. ამავე დადგენილების საფუძველზე, საოკუპაციო ხელისუფლების მიერ შექმნილი სტრუქტურები ფაქტობრივად უკანონოდ გამოცხადდა და მათ თვითლიკვიდაციისაკენ გადადგეს ნაბიჯი. 1990 წლის გაზაფხულამდე

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ერთიანი იყო, ხოლო 1990 წლის 13-15 მარტს მოწვეულ ეროვნულ ფორუმზე გამოიკვეთა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ორი განსხვავებული ხედვა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში თავი იჩინა დაპირისპირებამ, რომელიც კარგად გამოიყენეს ჯერ კიდევ ძლიერმა საბჭოთა სპეცსამსახურებმა. ეროვნული მოძრაობის ორი ძირითადი მიმართულება ურთიერთბრალდებებით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას. მათ ლიდერებს სურდათ, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას არჩევანი გაეკეთებინა ამ ორ მიმდინარეობას შორის. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიიჩნევდა, რომ ეკლესია არის ერის მთლიანობის სიმბოლო, რომ ქართველები, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა, ეკლესიის სულიერი შვილები არიან. ეკლესია არ უნდა გამხდარიყო პოლიტიკურ დაპირისპირებათა ადგილი. პატრიარქის სიტყვებით, „ჭეშმარიტ თავისუფლებას ზეცად აჰყავს ადამიანი, ანიჭებს რა მას მშვიდობას, სიხარულსა და ბედნიერებას, მაგრამ თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა, პირველ რიგში, საკუთარ თავთან და მასში ფესვგადგმულ მანკიერებებთან. ეს რთული პროცესია და სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება.“[30, 429].

სამწუხაროდ, პატრიარქის სიტყვას ისმენდნენ, მაგრამ ეიფორიაში მყოფი ადამიანები სხვა გადაწყვეტილებებს იღებდნენ. 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ საქართველოში დამარცხდა კომუნისტური ხელისუფლება და გაიმარჯვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ ფრთამ, რომელსაც სათავეში ზვიად გამსახურდია ედგა. 14 ნოემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. უზენაესი საბჭოს ამ ისტორიულ სხდომას მიესალმა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ახალმა ეროვნულმა ხელისუფლებამ დაიწყო კომუნისტური სისტემის დემონტაჟი: 1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით, რასაც მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა; 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა; ზვიად გამსახურდია 26 მაისს გახდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი. როგორც მან განაცხადა, იწყებოდა საქართველოს გოლგოთა. ჯერ კიდევ არსებულმა საბჭოთა იმპერიამ საქართველოს წინააღმდეგ აამუშავა მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი:

საინფორმაციო ომი, ეთნოკონფლიქტების ინსპირირება აფხაზეთსა და შიდა ქართლში, არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში ძირგამომთხრელი საქმიანობა. ამას დაერთო ხელისუფლების გარეთ დარჩენილ ოპოზიციურ პარტიათა მკვეთრი დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასთან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II გრძნობდა შექმნილი ვითარების სერიოზულობას. იგი საპატრიარქო რეზიდენციაში ხვდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ინტელიგენციის, ხელისუფლების წარმომადგენლებს, მოუწოდებდა, რომ მოლაპარაკებათა გზით გადაეწყვიტათ არსებული უთანხმოებანი. საპატრიარქოში შეხვედრებზე მიწვეული პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ისმენდნენ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აზრს, რომ „დღეს ჭეშმარიტ რწმენას ურწმუნოება კი არ უპირიპირდება, არამედ, ცრუ სარწმუნოება, რომელსაც ჭეშმარიტების დიდი პრეტენზია აქვს. ნამდვილ თავისუფლებას თვითნებობა და თავაშეებულობა ცვლის, რომელიც ისევ ურცხვად იჩემებს თავისუფლების სახელს.“[30, 429], მაგრამ კვლავაც იმავეს აგრძელებდნენ. უწმიდესი და უნეტარესი აფრთხილებდა გაუთავებელი მიტინგებითა და ურთიერთბრალდებებით დამძიმებულ ქართველობას: „გონიერნი მაშინ ვიქნებით, თუ საქმის კეთებას დავიწყებთ არა ლანძვით, არამედ ერთმანეთის გვერდში ამოდგომით, ერთმანეთის მოსმენით, ურთიერთგაგებით, კარგი იდეების გაზიარებით. სხვა გზა არ არსებობს, სხვა გზა დამღუპველია.“[33, I, 114].

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი ვერ ითვალისწინებდა ისტორიის მწარე გაკვეთილებს. ჯერ კიდევ XV საუკუნის 40–50–იან წლებში, როდესაც ბიზანტიის იმპერია უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი აგრესიული ოსმალეთი გამოდიოდა. იმის ნაცვლად, რომ მოსალოდნელი საშიშროება გაეთვალისწინებინათ, ქართველი მეფე-მთავარნი ურთიერთდაპირისპირების ჭაობში გადაეშვნენ და შედეგად XVI–XVIII საუკუნეებში პროვინციებად დაშლილი, ირან-ოსმალეთის სათარეშოდ ქცეული საქართველო მივიდეთ. 1990–1991 წლებში, როდესაც საბჭოთა იმპერიამ საქართველოს სახით პირველი თავისუფლებისმოყვარე ურჩი რესპუბლიკა მიიღო და მის წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღა, ქართველობას ერთსულოვნება და მონოლითურობა სჭირდებოდა. ანტიქართული ისტერიის კოცონი გიზგიზებდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ქართველობა ურთიერთდაპირისპირებისა და მიტინგების ფერხულში ჩაება. ეროვნული ხელისუფლების სერიოზული

შეცდომა იყო ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე უარის თქმა, თუმცა ოპოზიციაც ვერასოდეს გაიმართლებს თავს იმით, რომ 1991 წლის 4 სექტემბრის ინციდენტითა და საპროტესტო მოძრაობის აღმავლობით დიდ ეროვნულ საქმეს ვაკეთებდითო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ კიდევ ერთხელ სცადა საქართველოში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური ვითარების განმუხტვა. „მიუხედავად იმისა, რომ სულსა და ხასიათში გვიზის სიჩქარე, სულსწრაფობა უნდა დავიოკოთ, ხომ ფაქტია, რომ ვჩქარობთ, ბევრ შეცდომას ვუშვებთ“ [33, I, 114], – აღნიშნავდა იგი. მან 1990 წლის სექტემბერში მთავრობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები თავის რეზიდენციაში მიიწვია მოსალაპარაკებლად. მის უწმიდესობას თავისი ხელით ჩამოუწვრია მოლაპარაკებაზე განსახილველი საკითხები: „1. ორივე მხარემ შეინარჩუნოს პოზიციები; 2. შეჩერდეს გამოსვლები; 3. პრეზიდენტმა გააკეთოს განცხადება, რომ ხალხი წავიდეს სახლებში; 4. დაინიშნოს უზენაესი საბჭოს სესია; 5. ტელევიზიაში დაინიშნოს ოპოზიციის საათი; 6. განთავისუფლდნენ პოლიტპატიმრები; 7. აღიარებულ იქნეს ოპოზიცია.“ [27, 6605]. სამწუხაროდ, შეთანხმება ვერ მოხერხდა...

1991 წლის ოქტომბერ–ნოემბერში საქართველოში დაიწყო უმართავი პროცესები, რომლებიც გადაიზარდა 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის სამოქალაქო დაპირისპირებაში. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება სამხედრო ძალით იქნა დამხობილი. ქვეყანაში დაიწყო სამოქალაქო ომი. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მცდელობა, შეეჩერებინა ეს პროცესი, უშედეგო აღმოჩნდა. უწმიდესმა და უნეტარესმა 1991 წლის 23 დეკემბერს კიდევ ერთხელ მიმართა ქართველ ერს: „უმძიმესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისულია დაღუპვის პირამდე, იღვრება ქართველთა სისხლი, საქართველოს ემუქრება სამოქალაქო ომი. ვხედავთ რა დაძაბულ სიტუაციას, მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისაკენ, რათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო პრობლემები, თავიდან აგვეცილებინა ძმათა სისხლისღვრა. დიალოგი მართლაც შედგა, მაგრამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ვგრძნობთ რა მომავალ მძიმე შედეგებს, საქართველოს ეკლესიის, სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის სახელით, კიდევ ერთხელ მოგმართავთ დაპირისპირებულ მხარეებს: გამოიჩინეთ სიბრძნე და გონიერება, იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე და ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მშვიდობიანი

მოლაპარაკების გზით გადაწყვიტოთ სადავო საკითხები, მომავალი თაობა დააფასებს თქვენს კეთილგონიერებას.“[33, I, 275]. სამწუხაროდ, ერის სულიერი მამის შეგონება არც ამჯერად შეისმინეს.

სამოქალაქო დაპირისპირებამ საქართველოში არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ცხოვრების ღრმა კრიზისიც გამოიწვია. „ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არ არის, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასათვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით. საქართველოს ისტორიაში მოხდა მეტად სავალალო ფაქტი: ერი დაიყო. ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში, მოსახლეობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, დაუპირისპირდა თაობები, ოჯახის წევრები“[33, I, 425].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხელახლა შეუდგა ერის სულიერი გამთლიანების რთულ პროცესს. ამავე დროს, პატრიარქმა საქართველოსათვის თავსმოსხვეული ინსპირირებული კონფლიქტების პირობებში, როდესაც ქვეყანა რეალურად დადგა ისტორიული ტერიტორიების წართმევის საფრთხის წინაშე, ქვეყნის სათავეში სამოქალაქო დაპირისპირების ფონზე მოსულ ხელისუფლებას კი არანაირი ავტორიტეტი არ ჰქონდა, თვითონ იკისრა ახალი ქართული სახელმწიფოს საერო და სასულიერო მეთაურის მისია. მან ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში მიმართა რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს და აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში ბრალი დასდო რუსეთის იმ ძალებს, რომელნიც ვერ ეგუებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გაეროს გენერალურ მდივანს – ბატონ ბუტროს გალის მოსთხოვა, მსოფლიო თანამეგობრობას დაეცვა საქართველო რუსეთის აგრესიისაგან, ხოლო რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინს – ქმედითი ღონისძიებების გატარება, რათა აღკვეთილიყო რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან შეიარაღებული ბოვეიკების შემოსვლა, რუსეთის სამხედრო ბაზებიდან საბრძოლო ტექნიკის შემოტანა და დაუფარავი აგრესია საქართველოს წინააღმდეგ.

სრულიად საქართველოს კათლიკოს–პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გრძნობდა, რომ, თუ საქართველოში სამხედრო ხელისუფლების შემდეგ არჩევნების გზით მოსული ახალი ხელისუფლება არ გადადგამდა ქმედით

ნაბიჯებს ეროვნული შერიგების, ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების, საერთაშორისო აღიარებისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ, საქართველოს ახლადშექმნილ სახელმწიფოს მომავალი არ ექნებოდა. პატრიარქი აფრთხილებდა იმ ადამიანებს, რომელთაც თავისუფლება ყველაფრის უფლებად მიაჩნდათ: „განა შეიძლება ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი იქ, სადაც უარს ამბობენ ზნეობრივ ცხოვრებაზე და მის ნაცვლად პროპაგანდა ეწევა „ყველაფერი ნებადართულია“-ს პრინციპს? ნუთუ ნორმალური ყოფა ეთქმის იმ გარემოს, სადაც ადამიანის კატასტროფული სულიერი დაცემის პროცესს თავისუფლებისაკენ სწრაფვად სახელსდებენ და საშინელი ცოდვის მონობას ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობად აცხადებენ?“[30, 429].

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის მოვლენების, 1992–1993 წლებში სამოქალაქო დაპირისპირების, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მიხედვით დაქუცმაცებულ საქართველოში ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების სიმბოლო იყო.

საქართველოსათვის ერთ–ერთ მტკივნეულ პრობლემად აფხაზეთის საკითხი იქცა. აფხაზეთი ისტორიულად საქართველოს განუყოფელი ნაწილია. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიზანი იყო საქართველოს დაქუცმაცება, ერთიანი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების მოსპობა და გარუსებული მხარის რუსეთის შიდაგუბერნიებთან ინტეგრირება. რუსეთის ხელისუფლება მთელი შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე ასახლებდა შიდა გუბერნიებიდან წამოყვანილ მოსახლეობას, რითაც ავიწროვებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს. იგი ყოველთვის ცდილობდა ქართველებისა და აფხაზების დაპირისპირებას. ის, რაც XIX საუკუნეში ვერ მოახერხა რუსეთმა, XX საუკუნის დასაწყისიდან წარმატებით განახორციელა. აფხაზების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა ქართველთაგან გაუცხოების ტენდენცია. გარუსებული აფხაზებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა 1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ იმ დროს საქართველოს მთავრობამ მოახერხა სეპარატისტული ტენდენციების აღკვეთა და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და ავტონომიებად დაქუცმაცების შემდეგ აფხაზეთის

ავტონომიურ რესპუბლიკაში, მოსკოვის წაქეზებით, ანტიქართულმა მოძრაობამ მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა. ამ დროს არაერთი წიგნი და სტატია დაიბეჭდა აფხაზების, გააფხაზებული ქართველებისა და რუსების ავტორობით, რომლებშიც გაყალბებული იყო აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხები. გაყალბებული ისტორია იქცა აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგიურ საფუძვლად. ქართველ ისტორიკოსებს უფლება არ ჰქონდათ, პასუხი გაეცათ ისტორიის გამყალბებლებისათვის. შეიქმნა პარადოქსული ვითარება – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები 300000–ზე მეტი ქართველი განიცდიდა დისკრიმინაციას 80 ათასი აფხაზისაგან. აფხაზობა პრივილეგიად იქცა. ბევრმა ქართველმა ვერ გაუძლო წნეხს და გააფხაზდა. გულია, ლასურია, ლაბახუა, კანია, წერეთელი, აბაშიძე, ვახანია, ჯანჯალია და სხვა ძირძველი ქართული წარმოშობის გვართა მქონენი აფხაზებად მოგვევლინენ. ცხუმ–აფხაზეთის ეპარქია ისტორიულად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, მაგრამ ქართული მოსახლეობის მცირედმორწმუნეობის გამო აფხაზეთის ტერიტორიაზე მძლავრობდა რუსული მრევლი, რომელსაც არ სურდა საქართველოს საპატრიარქოს იურისდიქციაში ყოფნა. რელიგიის საქმეთა რწმუნებული აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ა. ლაგვილაგა აქტიურად თანამშრომლობდა სეპარატისტულ ძალებთან და ცდილობდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქციის შესუსტებას.

საქართველოში ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პარალელურად აფხაზეთში კიდევ უფრო ძლიერდებოდა სეპარატისტული ტენდენციები. მოსკოვის მხარდაჭერით აფხაზებს ჰქონდათ საკუთარი ტელევიზია, აფხაზური უნივერსიტეტი. 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შეფასებისას, როდესაც ქართველ დეპუტატებს მოსკოვში სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა, უკრაინამ, მოლდოვამ, საქართველოს დელეგაციაში მყოფმა აფხაზებმა და ოსებმა რუსეთის რეაქციული ძალების პოზიცია დაიკავეს. ხელოვნურად შექმნილი ხიდნატეხილობა სახეზე იყო. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წ. 9 აპრილი) აფხაზეთის სეპარატისტულმა ძალებმა რუსეთის მხარდაჭერით დაიწყეს ჯერ პროვოკაციები, ხოლო 1992–1993 წლებში – ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციები. მათ ისარგებლეს საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ–პოლიტიკური

მდგომარეობით და რუსეთის რეგულარული სამხედრო ნაწილებისა და ჩრდილოკავკასიელი ბოვეიკების დახმარებით დაიწყო ქართველთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა. მისმა უწმიდესობამ საგანგებო წერილით მიმართა აფხაზებს: „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სახელით, კიდევ ერთხელ გამოვთქვამ დიდ გულისტკივილს იმის გამო, რომ საქართველოში, კერძოდ – აფხაზეთში, კვლავ იღვრება სისხლი გარეშე ძალების ჩარევით. ეს ის ძალები არიან, რომელნიც ასაზრდოებენ ცენტრიდანულ ელემენტებს, ისინი კი, უტოპიური იდეებით შეპყრობილნი, მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის დაყოფას; მაგრამ ეს ცდები ამაოა. აფხაზეთი ისეთივე განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, როგორც ქართლი, იმერეთი, სამეგრელო... საუკუნეთა მანძილზე ჩვენ და აფხაზი ხალხი ვცხოვრობდით ერთად და კვლავაც ვიცხოვრებთ, ჩვენ გვაკავშირებს არა მარტო ერთი მიწა-წყალი, არამედ – ნათესაური კავშირი და ურთიერთპატივისცემა. მამაშვილური სიყვარულით მივმართავ ყველას: ნუ ჩაიდენთ დანაშაულს, რომლისაც მერე შეგრცხვებათ, ვიცხოვროთ დალოცვილ საქართველოში ერთად, მშვიდობითა და თანხმობით“ [34, 1995, 1, 102].

რუსეთის რეაქციულ ძალებს საუკეთესო შესაძლებლობა მიეცათ, შური ეძიათ საქართველოზე 1993 წლის 27 სექტემბერს. ისინი სოხუმში შეიჭრნენ და არნახული ბარბაროსობა დაატრიალეს აფხაზეთის მიწა-წყალზე: დახოცეს ათასობით ქართველი, დაარბიეს ეკლესია-მონასტრები, კომანში დახვრიტეს მღვდელი ანდრია ყურაშვილი, 300 ათასი ქართველი, ცხუმ-აფხაზეთის სამღვდელოებასთან ერთად, საკუთარი სამშობლოდან გამოაძევეს და ლტოლვილებად აქციეს. რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ, ხელყოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და საქართველოს ჩამოაშოროს ეს ძირძველი ქართული კუთხე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრობლემები, რომელნიც რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში არსებობს, დაკავშირებულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან; საქართველო არასოდეს შეურიგდება ამ ტერიტორიების დაკარგვას; რუსეთს სამხრეთი საზღვრების სტაბილურობისათვის ერთიანი საქართველო უნდა სჭირდებოდეს.

პატრიარქი თავის ეპისტოლეებში არაერთხელ შეეხო აფხაზეთის საკითხს. მისი უწმიდესობა მოუწოდებს განსაცდელში ჩავარდნილ ქართველობას, არ გაბოროტდეს: „სიყვარული აღუღაბებს და ამთლიანებს

სრულიად საქართველოს. ალბათ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვეკლებია – ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მატარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დააკარგინოს, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს.“[33, II, 141]. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ღოცვა-კურთხევით, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის სამღვდელთა გადანაწილებულია იმ ეპარქიებში, რომლებშიც ღტოლვილები ცხოვრობენ. პატრიარქი ხვდება მათ, ამხნევენ და აფასებს მათ თავდადებას, სამშობლოს თავისუფლებისათვის ზვარაკად შეწირულთათვის იხდის სულის მოსახსენებელ პანაშვილებს. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიანიშნებს აფხაზეთიდან დევნილებს, რომ ერთიანობა, უფლისა და სამშობლოს სიყვარული არის ის მთავარი, რამაც უნდა დაგვაბრუნოს აფხაზეთში.

ქართველთა ურთიერთდაპირისპირებამ და გაუტანლობამ დიდი როლი შეასრულა აფხაზეთში დატრიალებულ ტრაგედიაში. ისტორიის გაკვეთილები იმისათვის გვეჩივრება, რომ აღარ გავიმეოროთ შეცდომები. უწმიდესისა და უნეტარესის ღოცვა-კურთხევით არაერთი წიგნი გამოვიდა აფხაზეთზე, მის წარსულსა და მომავალზე, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენციები, რომელთა მიზანი ერთია – პასუხი გაეცეს ისტორიის გამყალბებლებს, მოინახოს აფხაზეთთან მეგობრული ურთიერთობისა და ნდობის აღდგენის გზები, რათა ქართველებმა და აფხაზებმა მეგობრულად იცხოვრონ ერთიან საქართველოში, როგორც ეს იყო ისტორიულად.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული ყურადღებითაა გამსჭვალული სამეგრელოს რეგიონის მიმართ. სამეგრელოს მოსახლეობა ბოლშევიკურ-ათეისტური მმართველობის ხანაშიც ახერხებდა მართლმადიდებლური სარწმუნოების ტრადიციების დაცვას. 1992–1993 წლების სამოქალაქო ომმა ყველაზე დიდი უბედურება სამეგრელოს დაატეხა თავს. სამხედრო გადატრიალების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ადამიანები ვერასოდეს გაიმართლებენ თავს ისტორიის წინაშე იმ განუკითხაობისა და თანამომძეთა ძარცვა-რბევის გამო, რომელიც ამ კუთხის მცხოვრებთა თითქმის ყველა ოჯახს შეეხო. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საგანგებოდ მიმართა საქართველოს უბედესი კუთხის – სამეგრელოს მკვიდრთ: „ქრისტესმიერ საყვარელნო სულიერნო შვილნო, მრავალგზის ყოფილა საქართველო განსაცდელში, მაგრამ, ღვთის მადლით და ძალით, ბოლოს მაინც გამარჯვებული გამოსულა გაჭირვებიდან. მსგავს შემთხვევებში ჩვენი ქვეყნის

ძირძველი კუთხე, სამეგრელო, განსაკუთრებით იცავდა საქართველოს მთლიანობასა და დამოუკიდებლობას... საჭიროა ჩვენი ერის ერთსულოვნება, საქართველოს მთლიანობა, ურთიერთმიმტევებლობა, ჩვენ ყველამ კიდევ ერთხელ დავინახეთ და საკუთარ თავზე გამოვცადეთ, რომ არ არსებობს სხვა გზა, გარდა შენდობისა და მიტევებისა, ბოროტება აძლიერებს და ამძლავრებს ბოროტებას. მისი მკურნალი მხოლოდ სიყვარული და ურთიერთპატივისცემაა, ესაა ქრისტიანობა... უნდა გვახსოვდეს, რომ ერისათვის გადამწყვეტ ისტორიულ პერიოდში მუდამ მძაფრდებოდა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის. ახლაც ასეთი უამრავი უდგას საქართველოს... ამან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა დაგვაბრკოლოს. მე მჯერა, სიკეთე აუცილებლად გაიმარჯვებს და მშვიდობა, რწმენა და სიყვარული კვლავ დაისადგურებს ჩვენს გულებსა და მთელ საქართველოში.“[33, II, 427].

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პატრიარქობის პერიოდში სამჯერ იმოგზაურა სამეგრელოში (1989, 1998, 2007 წლებში), მოილოცა ყველა ეკლესია-მონასტერი, ფოთში, ზუგდიდში, სენაკში, მარტვილში შეხვდა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, ინახულა აფხაზეთის კონფლიქტის დროს ტრაგიკულად აღსრულებული ქიული შარტავას მშობლები, ანუგემა ისინი და კიდევ ერთხელ გაიხსენა აფხაზეთის ომში დაღუპულნი, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის მებრძოლნი, რომელთა ღვაწლიც დიდია ღვთისა და სამშობლოს წინაშე. თუ 1977 წელს სამეგრელოს რეგიონში მხოლოდ ერთი – ჭყონდიდის ეპარქია იყო, პატრიარქის ღვაწლით, 2007 წლისათვის მოქმედ ეპარქიათა რაოდენობა 5-მდე გაიზარდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, წმინდანებად შეირაცხნენ ამ კუთხის ღირსეული შვილები: დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მოძღვარი გიორგი ჭყონდიდელი, ცოტნე დადიანი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი, ბერი ალექსი შუშანია. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ცდილობს შეუმსუბუქოს, განუქარვოს სამეგრელოს მკვიდრთ გადატანილი მწუხარება და ტკივილი.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში სამსახური დაიწყო 1960 წელს აჭარაში, ბათუმის საკათედრო ტაძარში. იქ მსახურების პერიოდში მან კიდევ უფრო ახლოს გაიცნო აჭარა, ამ კუთხის ტრაგიკული ისტორია შუა საუკუნეებში. სწორედ აჭარიდან გადმოვიდა ქრისტეს მოწაფე ანდრია პირველწოდებული აღმოსავლეთ

საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად. შუა საუკუნეებში აჭარაში გამორჩეული იყო თუხარისის, ასიზის, ფორთას, ანჩის, ნინოწმიდის, ტბეთის, ბანას, სოტიროპოლის საეპისკოპოსოები; მაგრამ XVI საუკუნიდან, ოსმალთა მძლავრობით, ამ კუთხეში დაიწყო ქრისტიანული კერების მოსპობა და მოსახლეობის გამაჰმადიანება. XIX საუკუნის 70-იან წლებში აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული იყო. ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, გიორგი ყაზბეგი, დიმიტრი ბაქრაძე, ზაქარია ჭიჭინაძე – ყველაფერს აკეთებდნენ, რათა აჭარის ქართველობას, სარწმუნოებრივი გაუცხოების მიუხედავად, მოეხერხებინა მჭიდრო კავშირი დანარჩენ საქართველოსთან.

1917 წლის 9–17 სექტემბერს ჩატარებულმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პირველმა საეკლესიო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის შექმნის შესახებ. ეპარქია არსებობდა 1930-იან წლებამდე, ხოლო 50-იანი წლებიდან ისევ აღორძინდა. ეპარქიას სხვადასხვა დროს განაგებდნენ მიტროპოლიტები: დავით კაჭახიძე, ევრემ სიღამონიძე, რომანოზ პეტრიაშვილი. 1963 წელს, წმიდა სინოდის განჩინებით, არქიმანდრიტი ილია აღყვანილ იქნა ბათუმ-შემოქმედელი ეპისკოპოსის ხარისხში; მეუფე ილია 1967 წლის 1 სექტემბრამდე განაგებდა აღნიშნულ ეპარქიას. ამ დროს ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა, ხელი შეეშალა აჭარაში ქრისტიანობის აღორძინებისათვის. როდესაც მიტროპოლიტი ილია გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, თავის სამუშაო დღიურში, უპირველეს საქმეთა შორის, აჭარაში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის ზრუნვა ჩაინიშნა. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ეპარქიაში სხვადასხვა დროს მოღვაწე მღვდელმთავრები – შიო (ავალიშვილი), კონსტანტინე (მელიქიძე), იობი (აქიაშვილი), დიმიტრი (შიოლაშვილი) – განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მოსახლეობაში მისიონერულ საქმიანობას.

1989 წლის 19 აპრილს აჭარაში მომხდარ სტიქიურ უბედურებას მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჩავიდა აჭარაში, მონახულა სტიქიის ზონა, ანუგეშა ხალხი: „მე მოვალედ ჩავთვალე თავი, მოვსულიყავი ამ ადგილზე და თანაგრძნობა მეთქვა თქვენთვის... აჭარა საქართველოს უპირფასესი კუთხეა. აქ იყვნენ პირველი ქრისტიანები.

გახსოვდეთ, არასოდეს არ გვჭირდებოდა ერთიანობა ისე, როგორც გვჭირდება დღეს. ერთად უნდა ვიყოთ. იმ ტრაგედიის წუთებიდან მთელი საქართველო თქვენთან იყო, ასევე – ეკლესიაც. ასე უნდა ვიყოთ სულ... უნდა გითხრათ, რომ გუშინ საოცარი დღე იყო. ხუთი ათასზე მეტი კაცი მოინათლა ბათუმში. ვისაც გასურთ, აქაც მოგნათლავთ, გამოვგზავნი მღვდელმთავრებს, თუ საჭირო იქნება, მეც ჩამოვალ და მოგნათლავთ. ნათლობა ეს არის სულის გადარჩენა...“[34, 1998, 1, 60].

უწმიდესისა და უნეტარესის ამ მიმართვას საოცარი ფერისცვალება მოჰყვა – აჭარაში დაიწყო ქრისტიანობისაკენ მოსახლეობის შემობრუნების პროცესი. საქართველოს სულიერი მწვემსმთავრის სიტყვები – ხშირად განსაცდელი მშვიდობისა და კეთილდღეობის წინამორბედიო – აჭარის მოსახლეობისათვის დიდ ნუგეშად იქცა.

უწმიდესი და უნეტარესი 1990–2007 წლებში არაერთხელ ეწვია აჭარას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო 2003 წელი, როდესაც მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-თან ერთად იმოგზაურა აჭარაში. უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა განცვიფრება ვერ დამალა, იმდენად დიდი იყო სხვაობა მისი პირველი ვიზიტის შემდეგ. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, აჭარაში 1726 წელს ქრისტეს რწმენის ერთგულებისათვის მუსლიმანი თურქების მიერ წამებული ქართველნი წმინდანებად შეირაცხნენ. წმინდანთა დასს შეემატა აგრეთვე აბუსერიძე ტბელი.

აჭარამ ბევრ განსაცდელს გაუძლო და დედასამშობლოს, ქრისტიანული რწმენის დარაჯად დარჩა.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღებითა და ინტერესით ადევნებდა თვალს ისტორიული საქართველოს იმ ნაწილის ცხოვრებას, რომელიც დღეს თურქეთის საქართველოდ – ტაო–კლარჯეთ–ლაზეთად არის ცნობილი. შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ–სულიერი და კულტურულ–საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიაში განსაკუთრებულია ტაო–კლარჯეთის როლი. თითოეულმა წიგნიერმა ქართველმა იცის არტანუჯის, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, პარეხის, ბერთას, წყაროსთავის, ანჩის, ოშკის, იშხანის, ხახულის, ბანას ეკლესია–მონასტრები, პატივს სცემს იქ მოღვაწე სასულიერო პირებს, რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს

ისტორიაში. ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრების, წმიდა ხატების, უნიკალური საეკლესიო წიგნების გარეშე ხომ წარმოუდგენელია საქართველოს ისტორია. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე იყო 14 საეპისკოპოსო: მაწყვერელის, კუმურდოელის, იშხნელის, ანხელის, მტბეგარის, წურწყაბელის, ერუშნელის, ვალაშკერტელის, ანელის, კარელის, ბანელის და დადეშნელის, არზრუმელის... XVII საუკუნის 60-იან წლებში ეს საეპისკოპოსოები გააუქმეს ოსმალებმა. „ეპისკოპოსნი ივლტოდინ კვალადცა, რომელთა არა ინებეს გამაჰმადიანება: ქართლს, იმერეთს, ოდიშს, გურიას, კახეთს“ [39, 287], - დანანებით წერდა ვახუშტი ბაგრატიონი.

XIX საუკუნეში ისტორიული ტაო-კლარჯეთის ნაწილი დაუბრუნდა საქართველოს... 1921 წელს კი, საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტური თურქეთის მთავრობას შორის დადებული შეთანხმებით, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში გადავიდა...

საბჭოთა იმპერიის პერიოდში ისტორიულ ტაო-კლარჯეთთან დაკავშირება თითქმის წარმოუდგენელი იყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში კინოოპერატორებმა გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა ნახევრად არალეგალურად მაინც მოახერხეს ტაო-კლარჯეთის სიწმინდეთა გადაღება. უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით წმიდა სინოდმა 1978 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაწყვერელის ეპარქიის ნაცვლად შექმნილიყო ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქია, ხოლო წმიდა სინოდის 2002 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით, ახალციხის ეპისკოპოსის სამწყვსოს დაემატა ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია, რომელიც აერთიანებს ამ ტერიტორიაზე ისტორიულად არსებულ 14 საეპისკოპოსოს. სინოდის ამ განჩინებით საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის იურისდიქცია განივრცო ისტორიული საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საქართველოსა და თურქეთს შორის დამყარებული კეთილმეზობლური ურთიერთობის პირობებში შესაძლებელი გახდა ტურისტულ ჯგუფებში გაერთიანებულ მომლოცველთ მოვლოცათ ტაო-კლარჯეთის ქართული სიწმინდენი, შეხვედროდნენ თურქეთის ქართველობას.

2003 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II სინოდის წევრებთან ერთად ესტუმრა ტაო-კლარჯეთს, მოილოცა ხახულის, ოშკის, იშხნის მონასტრები. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოს I-თან, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ პეტრე VII-სთან ერთად იმყოფებოდა ისტორიულ

კაბადოკიაში. პირველად, მრავალი საუკუნის შემდეგ, წირვა-ლოცვა აღევლინა წმიდა ელენესა და კონსტანტინეს სახელობის ტაძარში. წირვას უმეტესად ქართველი მრევლი ესწრებოდა. ყველანი გრძნობდნენ ისტორიული მომენტის სიდიადეს. აღელვებული იყო უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ც. „წმიდა მამები ამბობენ, რომ არსებობს სულთა კავშირი, – ბრძანა მან, – და ჩვენ გვწამს, რომ დღეს, ჩვენთან ერთად, აქ იმყოფებიან წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ბასილი დიდისა და სხვათა, კაბადოკიელ მამათა და დედათა სულები. აღვაველეთ ღოცვებს, რომ მშვიდობა, სიხარული, სიყვარული სუფევდეს ჩვენს შორის.“[34, 2005, 2, 14].

მსოფლიოს ასამდე ტელევიზია იღებდა ლიტურგიის მსახურებას, მილიონობით ადამიანი უყურებდა ამ ეკლესია-მონასტრების ისტორიულ პატრონებს – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და იმ ქართველებს, რომლებიც მას ახლდნენ. თურქეთის ქართველობას დედასამშობლოსთან სიახლოვის, ქართველობით გამოწვეული სიამაყის გრძნობა კიდევ უფრო გაუმძაფრდა. უწმიდესისა და უნეტარესის ღოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიმართა თურქეთში მცხოვრები ქართველების (ჩვენებურების) ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტი. თურქეთის ქართველობა დედასამშობლოს, წინაპართა მიწის ყივილს გრძნობს... უწმიდესი და უნეტარესი ილია II არასოდეს არ ივიწყებს მათ: „განსაკუთრებული სიყვარულითა და მსურვალე გრძნობებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენო ძმებო, მცხოვრებნო სამშობლოს საზღვრებს გარეთ, მოგმართავთ თქვენ, მუსლიმანებო და ქრისტიანებო, ჩვენ სისხლითა და ხორციით ერთნი ვართ, მიუხედავად განსხვავებული რელიგიური შეხედულებებისა. გახსოვდეთ, რომ თქვენი წინაპრები განისვენებენ საქართველოს წმიდა მიწაში; ნუ დაივიწყებთ, ვინა ხართ, გახსოვდეთ ღვთისგან დალოცვილი ქართული ენა და საუკუნეთა მანძილზე შენარჩუნებული წმინდა ქართული ტრადიციები... ჩვენ მარად გვახსოვხართ და დღედაღამ ვლოცულობთ თქვენთვის, ჩვენი ერის გამთლიანებისთვის.“[33, II, 406].

ისტორიული უკუღმართობით 1921 წლიდან აღმოსავლეთ კახეთის ნაწილი – ჰერეთი (საინგილო) – საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩა. ეს კუთხე საქართველოს ისტორიაში ცნობილი იყო ქრისტიანული სარწმუნოებისადმი თავდადებითა და ჩრდილო კავკასიაში წარმოებული მისიონერული საქმიანობით. აქ მოქმედი ქურმუხისა და გიშის საეპისკოპოსოები დიდ როლს ასრულებდნენ

ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში. XVI საუკუნეში ირანელთა მხარდაჭერით ამ ტერიტორიაზე მძლავრობენ ლეკები, „ლეკიანობასთან“ ბრძოლა გაგრძელდა XVIII–XIX საუკუნეებშიც.

1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ისტორიული ჰერეთის – საინგილოს სამწესო ბოღბელის ეპარქიაში შედიოდა. 1921 წლიდან, აგრესიული ათეიზმის ხანაში, აზერბაიჯანის კომუნისტურმა ხელისუფლებამ არაერთი ეკლესია–მონასტერი დაანგრია საინგილოში, დახოცეს სასულიერო პირები. მიუხედავად იმისა, რომ ინგილოთა ნაწილი მაჰმადიანია, ისინი თავიანთ თავს ქართველებად თვლიან და იმედის თვალი საქართველოსკენ აქვთ მოპყრობილი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საინგილოში სამოღვაწეოდ გაუშვა სასულიერო პირები, ხოლო 1997 და 2005 წლებში კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარის შეის ალახ შუქურ ფაშა ზადეს მიწვევით ორჯერ იმოგზაურა საინგილოში. უწმიდესმა და უნეტარესმა მოილოცა კახის, ბელაქნის, ზაქათალის რაიონებში არსებული ქართული ეკლესია–მონასტრები, შეხვდა და ესაუბრა მოსახლეობას, გადასცა მათ საეკლესიო წიგნები, ხატები. უწმიდესი და უნეტარესი ასე აღწერდა საინგილოში სტუმრობას: „ყველა სოფელში, სადაც კი მივედი, ხალხი ანთებული გულებით, ანთებული სანთლებითა და პურ–მარილით გვხვდებოდა. ბევრი მათგანი სიხარულისგან ტიროდა. მთავარი ის იყო, რომ დედასამშობლოს მოწვევტილმა იქაურმა ქართველებმა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ავბედობის გამო ახლა სხვა სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, იგრძნეს, რომ ისინი უპატრონონი არ არიან... ხშირად მესმოდა, როგორ ამბობდნენ: ჩვენ არაფერი არ გვინდა, ჩვენ მხოლოდ გვინდოდა დაგვენახა საქართველოს პატრიარქიო. რა თქმა უნდა, მათ ბევრი რამ სჭირდებათ, მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ჩვენს ყურადღებასა და გულის სითბოს საჭიროებენ.“[34, 1988, 4, 24].

პატრიარქის გადაწყვეტილებით, 2002 წლის 17 ოქტომბერს შეიქმნა ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია, რომელიც ისტორიული ჰერეთის ტერიტორიასაც მოიცავს.

2001 წელს ირანის პრეზიდენტის მუჰამედ ჰათამის მიწვევით ირანში ვიზიტისას მისმა უწმიდესობამ მოინახულა ფერეიდანი, შეხვდა იქაურ ქართველობას და გაამხნევა ისინი. პატრიარქის ფერეიდნიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს მოაშურა არაერთმა იქაურმა ქართველმა. სამშობლოში ჩამოსული ფერეიდნელების პატრონი და მასპინძელია მისი უწმიდესობა და

უნეტარესობა ილია II. ფერეიდნელი ქართველები მის უწმიდესობას ოცნების საქართველოდან ჩამოსულს უწოდებენ. მისი უწმიდესობა ხშირად იმეორებს ფერეიდნელთა საოცარ ღოცვას – „ღმერთს ებარებოდეთ“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული ყურადღებით მუშაობდა მესხეთის პრობლემებზე. XX საუკუნის 70-იან წლებში ამ კუთხეში წირვა-ლოცვები აღესრულებოდა სომხურ მონოფიზიტურ და კათოლიკურ ეკლესიებში, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესია საერთოდ არ ფუნქციონირებდა. მესხეთ-ჯავახეთი, როგორც საბჭოთა კავშირ-თურქეთის სასაზღვრო ზონა, მოწყვეტილი იყო დანარჩენ საქართველოს. აწყურის იქით გადასვლა სპეციალური საშვის გარეშე შეუძლებელი იყო. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში ჩაეწერა, რათა დაუბრკოლებლად გადასულიყო სამცხე-ჯავახეთში. მისი ძალისხმევით მოხერხდა წმიდა მარინეს სახელობის მართლმადიდებლური ეკლესიის ამოქმედება ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიაში. 1988 წლის ივლისში პატრიარქმა სასულიერო და საერო პირებთან ერთად იმოგზაურა სამცხე-ჯავახეთში. თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი მესხეთი, კარგად ჩანს მისი უწმიდესობის სიტყვიდან: „ჩვენს პერიოდში გაუგებრობითა და წარსული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებით, რაც მტრებს გადაურჩა, ჩვენ გავანადგურეთ. ფაქტია, რომ დღევანდლამდე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ახალციხეში უკანასკნელ პერიოდში ეპარქიის აღდგენას, ამ უძველეს კულტურულ სამყაროში ერთი ეკლესიაც არ მოქმედებდა... საქართველო იქაა, სადაც ღმერთს ქართულ ენაზე ადიდებენ. ასე რომ, ჩვენ გვაქვს საერთო საზრუნავი: სამშობლოს ბედნიერება, ხალხის კეთილდღეობა. ამაში ეკლესიას ძალიან ბევრი შეუძლია.“[34, 1988, 4, 41-42].

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სამცხე-ჯავახეთის ყველა ეკლესია-მონასტერი მოილოცა, შეხვდა ქართველ კათოლიკეებს, მონოფიზიტ სომხებს. მან ამ სიტყვებით მიმართა ქართველებს: „ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ ეს მიწა-წყალი თქვენი საპატრონოა, რადგან იგი თქვენი იყო და არის. თქვენ ცხოვრობთ იქ, სადაც დაიწყო ჩვენი ქრისტიანობა, ქართული კულტურა... უნდა გახსოვდეთ ისიც, რომ რწმენა, რომელიც გადმოგცეს წინაპრებმა, არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ. ამ რწმენამ გადაგარჩინათ თქვენ და მთლიანად საქართველო. ამიტომ გარჯა, მოვლა-პატრონობა და თვალისჩინივით გაფრთხილება სჭირდება ყველაფერს. ვინც ეს დაივიწყა და მიატოვა მამა-პაპის კერა, ნაანდერძევი

სარწმუნოება, ის გადაგვარდა; რწმენის დაკარგვას ეროვნების დაკარგვა მოსდევს.“[33, II, 275-276].

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო, რომ ფარავნის ტბასთან, იქ, საიდანაც მოციქულთა სწორი წმიდა ნინო წამოვიდა ვაზის ჯვრით მცხეთაში, დაეფუძნებინა მონასტერი. იმ დროს ეს გადაწყვეტილება ოცნებას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალობას, მაგრამ, ღვთის შეწევნით, მოხერხდა როგორც მამათა, ასევე ღვდათა მონასტრების დაფუძნება. უწმიდესი და უნეტარესი იხსენებს: „1988 წლის ივლისში სამცხე-ჯავახეთში ვიმოგზაურე და წმიდა ადგილები და ტაძრები დავათვალიერე, გადავწყვიტე, რომ ამ მხარეში რამდენიმე ტაძარი და მონასტერი უნდა აშენდეს, მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენი ყურადღება ფარავნის ტბამ მიიპყრო, სადაც განსაკუთრებით იგრძნობა წმიდა ნინოს ძალა და მადლი. საერო ხელისუფლებისაგან მივიღე ნებართვა იმის თაობაზე, რომ ტბის იმ ნაპირზე, სადაც წმიდა ნინო ბრძანდებოდა, საეკლესიო ცენტრი აშენდეს. აქვეა სოფელი ფოკა, რომელშიც მე-11 საუკუნეში აგებული წმიდა ნინოს სახელობის მშვენიერი ბაზილიკა დგას, ნახევრად დანგრეული, ქართული ასომთავრული წარწერებით დამშვენებული. სამწუხაროდ, სოფელში არც ერთი ქართველი არ ცხოვრობს, რომ ამ წმიდა ეკლესიაში სანთელი მაინც აანთოს. წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღესასწაული, რომელიც პირველ ივნისს დაწესდა, ყოველ წელს ზემით უნდა ჩავატაროთ ფარავნის ტბასთან.“[30, 97].

ჯავახეთის ძირძველ მიწაზე ქართული წირვა-ლოცვა აღდგა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II 2007 წლის ივლისში კვლავ იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთში, მოილოცა იქაური სიწმინდენი და კმაყოფილი დარჩა იქაური ეკლესია-მონასტრების საქმიანობით. ქართველი მორწმუნენი ყოველწლიურად მოგზაურობენ წმიდა ნინოს გზაზე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ხშირად სტუმრობს იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს. ქუთაისი, ცაგერი, მესტია და ამბროლაური სიყვარულითა და მოწიწებით ეგებება თავის სულიერ წინამძღოლს. პატრიარქის სიტყვა, მისი მოწოდება რწმენის სიდიადის, სამშობლოს სიყვარულის, წინაპართა ტრადიციების დაცვის თაობაზე ძვირფასია თითოეული ქართველისათვის. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, მცხეთაში, მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სვეტიცხოვლობას სრულდება დიდი ნათლობა, ინათლება ათასობით ქართველი. „ნათლობით ადამიანი ხელახლა იბადება, ეკლესიის წევრი და ქრისტეს ნაწილი

ხდება, თავისუფლდება როგორც ადამისმიერი პირველქმნილი შეცოდებისაგან, ისე – ყველა სხვა ცოდვისაგან, აღსდგება მასში ხატება ღვთისა, ენიჭება სულიწმიდის მადლი და ყველა სიკეთე მისი“[30, 117].

პატრიარქი წარმოშობით მთის შვილია, მთები და აქაფებული თერგი თავისკენ იზიდავს მას. როდესაც საქმე ხევში წასვლას ეხება, მისთვის არ არსებობს დაღლა და მოუცლევლობა. ხევში არ არის სოფელი, სალოცავი, სადაც პატრიარქის ღვაწლით წირვა–ლოცვა არ აღესრულებოდეს. დარიალის ხეობაში, რუსეთ–საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სიახლოვეს, უწმიდესის ლოცვა–კურთხევით შენდება წმიდა მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის – სახელობის სამონასტრო კომპლექსი, რომელიც თავისი დანიშნულებით მრავალმხრივი დატვირთვის იქნება: იგი იქცევა კარიბჭედ და, ამავე დროს, პირველ მასპინძლად ჩრდილოეთიდან საქართველოში შემოსულთათვის და ყველა თავიდანვე იგრძნობს, რომ ისინი ქრისტიანულ ქვეყანას ესტუმრნენ.

უწმიდესი და უნეტარესი აუცილებლად შეივლის ხოლმე სოფელ სნოში, საგვარეულო სასაფლაოზე სანთლებს აანთებს, პარაკლისს გადაიხდის, დიდი წინაპრის – შიოლა ღუდუშაურის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრში შეხვდება სოფლის მცხოვრებთ, მოილოცავს გერგეთის სამებას, მონასტრის ეზოდან თვალს მოაველებს მარადიული თოვლით დაფარულ მყინვარწვერს, სტეფანწმიდას, დარიალის ხეობაში ხმაურით მიმავალ თერგს, გაიხსენებს დიდ თერგდალეულთ და ახალი ენერგიით აღვსილი გამოეშურება სატახტო ქალაქისაკენ. 2007 წლის ოქტომბერში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ხევში აკურთხა წმიდა ვახტანგ გორგასლის სახელობის ახლადაშენებული ეკლესია, ისაუბრა სახელოვანი წინაპრის დიდ ღვაწლზე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სულიერად, ზნეობრივად განსპეტაკებული ძლიერი საქართველოს სიმბოლოა. ოცდაათი წელია იგი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელია. ურთულესი, უმძიმესი ოცდაათი წლის მანძილზე პატრიარქი ერთგულად ემსახურება იმ იდეალებს, რომლებიც წმიდა ილია მართალმა „მამულის, ენის და სარწმუნოების“ დროშით გააერთიანა. XX საუკუნის მიწურულს, 1991 წელს, საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, გახდა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი. დღის წესრიგში დადგა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის – ნატოს – წევრობა, კიდევ უფრო დაჩქარდა

ქვეყნის ევროპიზაცია და ამერიკანიზაცია. საქართველო თავისი გეოსტრატეგიული მდებარეობით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო გლობალურ პროექტებში, გლობალიზაცია კი დღის წესრიგში აყენებს ახალგაზრდა ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რომელიც სრულ ჰარმონიაში იქნება დასავლეთის განვითარებული ქვეყნების ღირებულებებთან. ასეთ ვითარებაში სულ უფრო მძლავრობს ეროვნული ღირებულებებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, ვინაიდან ნიჰილისტები და კოსმოპოლიტები მიიჩნევენ, რომ, რაც მალე განთავისუფლდება ქართველი საზოგადოება ტრადიციული ეროვნული ფასეულობებისაგან, მით უფრო გაგვიადვილდება ევრო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრაცია. ამის დასტურია საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის სწავლების ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებშიც ყურადღება მახვილდება მხოლოდ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე. ქართული ენის სამოქმედო არეალის თანდათან შემცირება, ფუნდამენტური მეცნიერებების დაყვანა მხოლოდ ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურების განათლების დონემდე, სავალალო შედეგებს გამოიღებს. გლობალიზაციის პირობებში ჩვენ თავს ვერც ძლიერი ეკონომიკით, ვერც სამხედრო შესაძლებლობებითა თუ მრავალრიცხოვნებით ვერ დავიმკვიდრებთ. მართლმადიდებელი ეკლესიის, მართლმადიდებლობის, საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, უნიკალური ქართული ტრადიციების ერთგულება და პატივისცემა არის ჩვენი ეროვნული გადარჩენის საფუძველი. ეს კარგად ესმის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს. იგი ეკლესიის დანგრევის და მასში რეფორმატორული იდეების მქადაგებელ კოსმოპოლიტებს შეახსენებს: „სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია, უსამშობლო ადამიანი სულით დატაკია და საცოდავი, სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი. სამშობლოს გაფრთხილება სჭირდება.“[33, I, 191].

თავი VIII. განათლება, მეცნიერება, საღვთისმეტყველო ლიტერატურა, ჟურნალ-გაზეთები

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ისტორიულად ქრისტიანული სარწმუნოების დაცვასთან ერთად ბევრს აკეთებდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებისათვის. IV საუკუნიდან როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში არსებობდა თეოლოგიურ-ფილოსოფიური და მთარგმნელობითი სკოლები. ეკლესია-მონასტრების რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სამონასტრო სკოლების რაოდენობაც. IV–XI საუკუნეებში ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებს XII–XIII საუკუნეებში დაემატა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ გელათში დაარსებული და „სხვა ათინად და მეორე იერუსალიმად“ წოდებული გელათის აკადემია. საგანმანათლებლო კერები იყო იყალთოში, გრემში, შიომღვიმეში. XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ „სწავლულ კაცთა კომისიის“ წევრთა უმრავლესობა სასულიერო პირი იყო. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I სამართლიანად ითვლება დიდ ენციკლოპედისტად, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქართული განათლების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა, თელავისა და თბილისის სასულიერო სემინარიების დაარსება. მოქმედ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში სასულიერო პირები ასწავლიდნენ საერო და სასულიერო განათლების საფუძველებს. საქართველოს პროვინციებში სასულიერო პირთა ოჯახებში იყო წიგნები, ჟურნალ-გაზეთები.

XIX საუკუნეში, ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართველი სამღვდელთა კვლავ აგრძელებდა მისიონერულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ნიჭიერი ახალგაზრდები ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიას

ამთავრებდნენ, შემდეგ კი სასულიერო განათლების გასაღრმავებლად მიეშურებოდნენ ყაზანის, კიევის, პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში. XIX–XX საუკუნეების ქართველი სამღვდლოების უმრავლესობა სასულიერო აკადემიადამთავრებული იყო და გამოირჩეოდა ღრმა სულიერებითა და ინტელექტით. საკმარისია გავიხსენოთ ეპისკოპოსები: გაბრიელი (ქიქოძე), ალექსანდრე (ოქროპირიძე), ანტონი (გიორგაძე), პეტრე (კონჭოშვილი), დავითი (კაჭახიძე); კათოლიკოს–პატრიარქნი: კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე III, კალისტრატე, მელქისედეკი, ეფრემ II, რომელთაც მართლმადიდებლურ სამყაროში იცნობდნენ, როგორც გამოჩენილ თეოლოგ–მეცნიერებს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ კათოლიკოს–პატრიარქები – კირიონ II, ლეონიდე, ამბროსი, ქრისტეფორე, კალისტრატე და მელქისედეკი – ცდილობდნენ, მცხეთაში ან თბილისში სასულიერო სემინარია გაეხსნათ, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების უარყოფითი პოზიციის გამო ეს ვერ მოხერხდა. ოფიციალურმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საზოგადოების თვალში ეკლესია მხოლოდ ნათლობასთან ან მიცვალებულის წესის აგებასთან გაიგივებულიყო და საზოგადოებისაგან სრულ იზოლაციაში ყოფილიყო.

1963 წელს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ეფრემ II-ის ძალისხმევით მცხეთაში გახსნილი საღვთისმეტყველო სასწავლებელი საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდ წარმატებად შეფასდა. რამდენიმე წელიწადში მისი ხელმძღვანელის, შემოქმედელი ეპისკოპოსის – ილიას ღვაწლით სასწავლებელი სემინარიად გადაკეთდა. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქად აღსაყდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა განათლებასა და მეცნიერებაზე ზრუნვას. იგი განსაკუთრებით დაინტერესდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შექმნილი ვითარებით, არაერთხელ შეხვდა როგორც პრაქტიკოს მასწავლებლებს, ასევე – პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის დარგის მეცნიერებს. უწმიდესმა აღნიშნა, რომ 70–90–იანი წლების სკოლებში ყურადღება ძირითადად გადატანილი იყო ამა თუ იმ საგანში ფაქტოლოგიური მასალის მექანიკურ დაზეპირებაზე, არადა აუცილებელია ღრმა აზროვნების სწავლება: „ღრმა აზროვნებასთან ზიარება ბავშვს გაუადვილებს სხვა საგნების ათვისებას. ამასთან, ჩვენ აღვზრდით

განათლებულ ახალგაზრდებს, რომლებიც იცხოვრებენ და იმოქმედებენ არა ემოციებით, თავისუფალნი იქნებიან მაქსიმალიზმისაგან და ჩვენზე უფრო გონიერად, რწმენით, და სიმართლით წარმართავენ ცხოვრებას“[33, I, 117].

უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ მოსწავლეებთან მასწავლებლის ურთიერთობის წარმატება დამოკიდებულია სიყვარულითა და რწმენით აღზრდაზე. პატრიარქი მოითხოვდა საბჭოთა სკოლის პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სერიოზულ გადაშუშაებას, ხოლო პედაგოგებისთვის – მეტი თავისუფლების მიცემას, რათა მათ საშუალება ჰქონოდათ, სრულად და შემოქმედებითად გამოეყვინათ თავიანთი შესაძლებლობები, ვინაიდან დათრგუნული, შეშინებული პედაგოგი თავისუფალ, ღაღ თაობას ვერასოდეს აღზრდის. თუმცა, მისი უწმიდესობის აზრით, სკოლა ვერასოდეს შეძლებს იმის შევსებას, რაც ახალგაზრდას ოჯახმა უნდა მისცეს. მაღალი ზნეობრიობა, მიმტევებლობა, მოყვასის სიყვარული, სამართლიანობა – ეს ყველაფერი მოზარდმა ოჯახში უნდა შეითვისოს და, თუ მშობელნი პირადი მაგალითით არ გამოირჩევიან, ყოველგვარი მცდელობა ამო იქნება. ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის სურვილითაა ნაკანახევი მისი უწმიდესობის მოწოდება მშობლებისა და პედაგოგებისადმი: „საქართველომ ჯერ კიდევ უბევლესი დროიდან შეითვისა მაღალი კულტურის სხვადასხვა ნაკადი. მისთვის ახალი არ იყო კაცობრიობის სულის ყველაზე მტკივნეული და ამაღლებული პრობლემები: სულის სრულყოფისა და ადამიანის განდმრთობისა სარწმუნოებისა და სიყვარულის საშუალებით.“[33, I, 144]. უწმიდესი და უნეტარესი მიიჩნევს, რომ საქართველოს კარგი მომავალი საზოგადოების განათლებასა და ცოდნაზეა დამოკიდებული. იმ ადამიანების გასაგონად, რომელნიც ცოდნასა და რწმენას ერთმანეთს უპირისპირებენ, იგი მაქსიმე აღმსარებლის სიტყვებით პასუხობს: „ცოდნა, ღვთის შიშისაგან აულაგმავი, შობს ქედმაღლობას“.

XX საუკუნის საგანმანათლებლო სისტემა ძირითადად საბჭოურ იდეოლოგიურ დოგმებზე იყო დაფუძნებული, პოლიტიზირებული იყო ყველა სასწავლო დისციპლინა. საქართველოსა და საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების სასწავლო საგნების ნუსხასა და სწავლების შინაარსს განსაზღვრავდა საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრო. ოფიციალური ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობდა ეროვნული ცნობიერების მოსპობის გზით ახალი საბჭოთა ხალხის ფორმირებას. აქედან გამომდინარე, იდეენებოდა ის სასწავლო საგნები, რომელთა სწავლება ეროვნულ სულისკვეთებას აამაღლებდა ახალგაზრდობაში. საქართველოში შეზღუდული იყო ქართული

აგიოგრაფიის სწავლება. სასკოლო პროგრამიდან რამდენჯერმე ამოიღეს იოანე საბანიძის „აბო ტფილელის წამება“. სამაგიეროდ, შეიტანეს საქართველოს საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ნაწარმოები – კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების სწავლებისას მასწავლებლებს მითითება ეძლეოდათ, ყურადღება გაემახვილებინათ არა ნაწარმოების ღირებულებებზე, არამედ – იდეურ მხარეზე. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ფაქტობრივად აღარ ისწავლებოდა (დასწრება არ იყო სავალდებულო), მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირად წოდებული რუსეთის ისტორიას IV კლასიდან X კლასის ჩათვლით 500 საათი ჰქონდა დათმობილი.

ისტორია მომავლის წინასწარმეტყველებაა წარსულით. გარდასულ გმირთა სიდიადის, ზნეობრივი მაგალითების, სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავდადების ჩვენება მომავალი თაობების სულიერი განსპეცაკების საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, სამშობლოს ისტორიის სწავლებით ახალგაზრდობა დიდ წინაპართა საქმეების დამფასებელი და გამგრძელებელი ხდება. უწმიდესი და უნეტარესი გრძნობდა საბჭოთა განათლების სისტემის ხარვეზებს და ცდილობდა, აღმოეფხვრა საბჭოთა პერიოდში სკოლასა და ეკლესიას შორის საგანგებოდ შექმნილი გაუცხოება. საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა სასწავლო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სიონის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი. სასწავლო კომიტეტმა თავის გარშემო შემოიკრიბა ნიჭიერი, პერსპექტიული და მორწმუნე სპეციალისტები, რომელთაც მიზნად დაისახეს შეემუშაებინათ ახალი პროგრამები და სახელმძღვანელოები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პარალელურად საზოგადოებაში თანდათან იმსხვრეოდა საბჭოთა იდეოლოგიური დოგმები. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველოში კომუნისტურმა იდეოლოგიამ სრული კრაზი განიცადა. დევნილი საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა ახალი სიდიადით გაბრწყინდა. ხელოვნურად შექმნილმა გმირებმა (სინამდვილეში ანტიგმირებმა) დატოვეს ისტორიის ასპარეზი და მათი ადგილი დაიკავეს ჭეშმარიტმა გმირებმა. ისევ დაუბრუნდა ქართველთა მესხიერებას აბო ტფილელის, იოანე ექვთიმე, გიორგი მთაწმინდლების, დოსითეოზ ქუთათელის, ექვთიმე გაენათელის, ფილადელფოს კიკნაძის, იმერთა მეფე სოლომონ II-ის, სოლომონ ლიონიძის, 1918–1921 წლების დამოუკიდებელი საქართველოსათვის

თავდადებულთა სახეები, ახალი სიდიადით გამობრწყინდა ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან „ანტისაბჭოელად, ხალხის მტრებად“ მონათლული უწმიდესისა და უნეტარესი ამბროსის, მიტროპოლიტ ნაზარის სახეები. საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში მარქსიზმ–ლენინიზმის საფუძვლების სწავლება შეიცვალა რელიგიათა ისტორიის სწავლებით, რომლის პროგრამები და სახელმძღვანელოები მართლმადიდებლური სარწმუნოების საფუძვლებზე იყო აგებული. ახალგაზრდობა დაეწავა ქრისტიანულ ფასეულობათა შესწავლას, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შეიქმნა სამლოცველო სახლები, აშენდა ეკლესიები, საპატრიარქოს ეგიდით გაიხსნა გიმნაზიები, ლიცეუმები. განათლების სისტემა ეროვნულ ტრადიციებზე გადავიდა.

XXI საუკუნის დასაწყისში ვითარება კვლავ შეიცვალა. ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით დაიწყო განათლების სფეროში ეკლესიის როლის კრიტიკა, ხოლო 2004 წელს დამტკიცებული განათლების ახალი კანონის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაუქმდა სამლოცველო ოთახები, რელიგიური უმცირესობების უფლებებისა და რელიგიური გრძნობების დაცვის საბაბით შეწყდა რელიგიათა ისტორიის სწავლება, საქართველოს ისტორია ინტეგრირებულ იქნა მსოფლიო ისტორიასა და გეოგრაფიასთან. ახალი კანონი მოითხოვს თავის შეკავებას ეროვნული ღირებულებების წარმოჩენისაგან. ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“ მონიტორინგს ატარებს საქართველოს ისტორიის სწავლებაზე, რათა არსად აღმოჩნდეს ფრაზა ან წინადადება, რომელიც მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს ეროვნული უმცირესობებისათვის.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II ინტელიგენციის, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ინტელიგენცია ხალხს უნდა დაეხმაროს ჭეშმარიტების შეცნობაში; მაგრამ როგორ შეძლებს იგი ამას, თუ თავად იქნება მოწყვეტილი ღვთაებრივი სიბრძნის წყაროს – ეკლესიას? ... ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ ნაწილად, რომელიც ვითარცა ანთებული სანთელი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუნათებს.“[33, I, 278]. მიუხედავად ამისა, მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც სჯერათ, რომ რწმენა და მეცნიერება შეუთავსებელია. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: „განა შეიძლება მეცნიერება და რწმენა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, როცა ისინი ადამიანის შემოქმედებითი აზროვნების სრულიად განსხვავებულ სფეროებს მიეკუთვნებიან: ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე – სულიერს?! ისინი კი

არ უპირისპირდებიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მეცნიერება ღვთისგან ნაკურთხია, იგი ადამიანის ინტელექტის, როგორც ღვთის ხატების, მიღწევაა.“[33, I, 373].

საქართველოს უახლეს ისტორიაში სამარცხვინო ფურცლად დარჩება საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა სახელით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისათვის გაგზავნილი ერთი ტენდენციური წერილი, რომელშიც ჩანს საოცარი უმადურობა, ურწმუნოება და მკრეხელური რეკომენდაციები, თუ რა უნდა აკეთოს საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ. მიმართვა იმდენად გამომწვევი და მიუღებელი ტონით იყო შედგენილი, რომ უწმიდესმა და უნეტარესმა 2003 წლის 27 ივლისს სამების საკათედრო ტაძრიდან უპასუხა წერილის ავტორებს და მათი სახით – ყველა იმ ადამიანს, ვისაც არ ესმის ან არ უნდა გაიგოს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის როლი და დანიშნულება ჩვენი ერის ცხოვრებაში. მიმტვევებელი და შემწყნარებელი სულიერი მამა საოცრად პირდაპირი და შეუვალია თავის პასუხში: „ადამიანის ცხოვრება რთულია, ეს არის განსაცდელითა და სხვადასხვა გამოცდით სავსე გზა. ბედნიერია ის, ვინც შეძლებს ამ გზაზე მსვლელობისას ნათლად გაარჩიოს, სად არის კეთილი და სად – ბოროტი, სად არის თეთრი და სად – შავი... ხშირია შემთხვევა, როცა ბოროტება ინიღბება, ფარავს თავის ნამდვილ სახეს და ცდილობს, კეთილად წარმოჩინდეს... ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როცა აღრევაა ყველაფრისა, როცა ბევრ რამეს ფული განსაზღვრავს, როცა უფროსი და უმცროსიც კი ვერ ცნობენ ერთმანეთს და დაპირისპირებაა თვით მშობლებსა და შვილებს შორის. ასეთ პირობებში ერთადერთ საყრდენად და ნავთსაყუდელად რჩება ეკლესია, მართლმადიდებელი, ჭეშმარიტი, სამოციქულო; მაგრამ იმასაც ვხედავთ, რომ ამ ბოლო დროს არაეკლესიური ადამიანები ცდილობენ აქაც შფოთი შემოიტანონ. ისეთი პიროვნებანი, რომელნიც არა მარტო არაეკლესიურნი, არამედ ურწმუნონიც არიან, რაღაც რეკომენდაციებსა და რჩევებს აძლევენ ეკლესიას პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით. ეს, რა თქმა უნდა, მათი საქმეა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, საიდან მოდის ეს. ვიცით კიდევ... მე გული მტკივა, რომ მტერი როგორც აღრე, ახლაც თავისი მიზნებისათვის ქართველ ადამიანებს იყენებს... მივმართავ სრულიად საქართველოს, მტკიცედ იღვწენ ჭეშმარიტების გზაზე.“[40, 4-10, VIII].

ქართველმა ინტელიგენციამ, საზოგადოებამ გამოხატა თავისი პოზიცია ამ სამარცხვინო მიმართვის მიმართ. „მოდრაობა სულიერი და ზნეობრივი

საქართველოსათვის“ სახელით შედგენილ პასუხში ნათქვამია: „ქრისტიანი თუნდაც იმით განსხვავდება არაქრისტიანისაგან, რომ მისი ზნეობა არასოდეს გამიჯვნია ეროვნულობას. თუ ყველაფერი ეს ასეა, მაშინ საზოგადოების სახელით ლაპარაკის უფლება ყველას არ უნდა ჰქონდეს... როდესაც არის მცდელობა, ეკლესიას გადააბრალო ქვეყნის გასაჭირი და უბედურება, ხელი შეახოცო მას, ეს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივი საზღვრების დაკარგვის მომასწავებელია, ეს ეროვნული სახის გაუფერულებას ნიშნავს, ან კიდევ განზრახვას საზოგადოების თვალში ეკლესიის მიმართ უნდობლობის დამკვიდრებისა. ერთადერთი სიწმიდე, ერის სულიერი პოტენციალის სახით, ქვეყნის გარდაქმნის მძიმე პროცესს არ უნდა შეეწიროს. ქვეყნის მიწიერი პრობლემების მოგვარება სულიერების დაკარგვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ერის სულიერი წვრთნითა და ზნეობრივი სრულყოფით ეკლესიამ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის სანუკვარი ამოცანა უნდა გადაწყვიტოს.“[27, 15764].

უწმიდესი და უნეტარესი პატრიარქობის პირველივე წლებიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესიისა და ინტელიგენციის ურთიერთობას. მისი აზრით, საქართველოს კულტურულ-ინტელექტუალური აღორძინება სულიერებით უნდა დაიწყო. მეცნიერებისა და ინტელიგენციის სულიერება იქნება ჩვენი ქვეყნის განახლების სათავე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიიჩნევს, რომ „ინტელიგენციის და, საერთოდ, გავლენიან პიროვნებათა ბედნიერებაც და უბედურებაც იმაშია, რომ მათ თავიანთი მრწამსით, თავიანთი ცხოვრებით შეიძლება სულიერად გადაარჩინონ ან დაღუპონ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ – გარშემო მყოფნი და სხვა მრავალნიც“[30, 132], ამიტომ მათი ნაბიჯები და ქმედება დიდ სიფრთხილესა და მოკრძალებას მოითხოვს.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაური 1977 წლიდან ოფიციალური ხელისუფლების წინაშე სვამდა საკითხს სასულიერო აკადემიის გახსნის აუცილებლობის შესახებ. რუსეთის ეკლესიას ორი, სომხეთის სამოციქულო ეკლესიას კი ერთი აკადემია ჰქონდა, და რატომ არ უნდა ჰქონოდა უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი საქართველოს ავტოკეფალიურ სამოციქულო ეკლესიას?! როგორც უწმიდესი და უნეტარესი იხსენებს, ხელისუფლების წარმომადგენლები პატრიარქის შესახებ, რომელიც ასე დაბეჯითებით ითხოვდა სასულიერო აკადემიის გახსნას, გაკვირვებით ამბობდნენ – ჩვენი პატრიარქი, როგორც ჩანს, რეალობას მოწყვეტილია, რადროს აკადემიის გახსნა ან ახალი ეკლესიების ამოქმედებაა საყოველთაო

ათეიზმის ქვეყანაში. საქართველოს მთავრობა მოსკოვის უარს იმიზეზებდა, მოსკოვის ცენტრალური მთავრობა კი აცხადებდა, საქართველოს მთავრობაა წინააღმდეგო. ამ ვითარებაში პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრივი ვაჟკაცობის მაგალითი აჩვენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა ბატონმა ანზორ წიკლაურმა, რომელმაც მოსკოვში ცენტრალურ მთავრობას შეატყობინა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო, დაფუძნებულიყო თბილისის სასულიერო აკადემია, ხოლო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ნ. ჭითანავას მოახსენა, რომ მოსკოვი წინააღმდეგი არ იყო, რომ აკადემია გახსნილიყო თბილისში.

მისმა უწმიდესობამ თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნის თაობაზე ოფიციალური განცხადება 1987 წლის 25 დეკემბერს გამართულ წმიდა სინოდის სხდომაზე გააკეთა. უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის ფუნქციონირებისათვის მოსამზადებელი მუშაობა თითქმის ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 1988 წლის 14 ოქტომბერს თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძრის პირდაპირ, სამსართულიან ისტორიულ შენობაში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. აკადემიის გახსნაში უწმიდესსა და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და წმიდა სინოდის წევრებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის სასულიერო აკადემია გელათის, გრემის, იყალთოს აკადემიათა დიდი ტრადიციების გამგრძელებლად გამოაცხადა და აღნიშნა: „აკადემიაში უნდა მიმდინარეობდეს არა მარტო მომავალი განათლებული სასულიერო პირების მომზადება, არამედ სასწავლებელი უნდა იქცეს კვლევის ცენტრად, რომელთანაც დაკავშირებულნი იქნებიან როგორც ჩვენი სასულიერო პირნი, ისე – მეცნიერები, კავშირი გვექნება როგორც უმაღლეს სასწავლებლებთან, ისე – მართლმადიდებლურ და, საერთოდ, ქრისტიანულ უმაღლეს ცენტრებთან.“[34, 1988, 4, 7]. აკადემიის გახსნის ისტორიულ მნიშვნელობაზე ისაუბრეს: აკადემიის რექტორმა, წილკნელმა ეპისკოპოსმა ზოსიმემ (შიოშვილი), რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილემ ილია რურუამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ნოდარ ამალლობელმა, სასულიერო აკადემიის პრორექტორმა, პროფესორმა გიორგი ცინცაძემ და სხვებმა.

აკადემიასთან ერთად თბილისში გადმოვიდა მცხეთის სასულიერო სემინარია. აკადემიის პირველ ნაკადში ჩაირიცხა 15 სტუდენტი. უწმიდესმა და

უნეტარესმა ილია II-მ აკადემიაში ლექციების წასაკითხად მიიწვია საერო უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერები. პირველ წლებში იყო სიძნელეები, საერო მეცნიერებს არ ჰქონდათ სასულიერო სასწავლებელში მუშაობის გამოცდილება. რთული იყო სასულიერო საგნების – პატროლოგია, დოგმატური ღვთისმეტყველება, საეკლესიო სამართალი, რელიგიათა ისტორია – წაკითხვა, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი მოგვარდა. 1998 წელს, სასულიერო აკადემიის ათი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომაზე სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, ჭიათურის მთავარეპისკოპოსმა აბრაამმა აღნიშნა, რომ ათი წლის განმავლობაში სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში სტუდენტთა რაოდენობა 30–დან გაიზარდა 200–მდე.

1990 წელს აკადემიაში შეიქმნა ქრისტიანული ხელოვნებისა და ქრისტიანული ანთროპოლოგიის სპეციალობები, ხოლო 1994 წლიდან მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. 1993 წელს დაარსდა საქართველოს ისტორიის კათედრა (გამგე პროფესორი სერგო ვარდოსანიძე), 1998 წელს – ღვთისმეტყველების კათედრა (გამგე პროფესორი ედიშერ ჭელიძე), იმავე წელს შეიქმნა ქრისტიანული ხელოვნების კათედრა (გამგე პროფესორი ზაზა სხირტლაძე). არსებულ კათედრებს 1999–2007 წლებში შეემატა ქართული ენისა და ლიტერატურის (გამგე პროფესორი გრიგერ ფარულავა), უცხო ენების (გამგე პროფესორი იური მოსიძე), რელიგიათმცოდნეობის (გამგე პროფესორი ლელა ხაჩიძე) კათედრები. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ლექციებს კითხულობენ: მარიამ ლორთქიფანიძე, გრიგერ ფარულავა, რევაზ ბარამიძე, რევაზ სირაძე, სერგო ვარდოსანიძე, გურამ კაციტაძე, ლელა ხაჩიძე, ციალა ქურციკიძე, ზაზა სხირტლაძე, დიმიტრი თუმანიშვილი, ლამარა ქაჯაია, ბეჟან ჯავახია, ელდარ ბუბულაშვილი, მერი ჭელიძე, რუსუდან წიქვაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გურამ ბედოშვილი, ნანა გელოვანი, ჯული შოშიაშვილი, გვანცა კოპლატაძე.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ღოცვა-კურთხევით, სასულიერო აკადემია-სემინარიასა და საღვთისმეტყველო ინსტიტუტს დაემატა ხალხური სიმღერების უმაღლესი სკოლა (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი), მოწყალების დების ინსტიტუტი (დეკანი მამა ადამი), მხატვარ-რესტავრატორობისა და ჭედური ხელოვნების ფაკულტეტი (დეკანი მამა იოსები), დეკორატიული ხელოვნების ფაკულტეტი (დეკანი ზურაბ შევარდნაძე). თუ 1988 წელს აკადემიასა და სემინარიაში მხოლოდ 30 სტუდენტი იყო, ამჟამად აღნიშნულ სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა 1000–ს აღემატება.

თბილისის სასულიერო აკადემიამ ღირსეული ადგილი დაიკავა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის განსაკუთრებული ზრუნვა სასულიერო აკადემიაზე იმითაც გამოიხატება, რომ იგი თვითონ ხელმძღვანელობს აკადემიის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას. მისი უწმიდესობა თვლის, რომ ყოველი წელი აკადემიის წინსვლით ხასიათდება და შორს არ არის ის დრო, როდესაც იგი ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს უფრო ხანგრძლივი ტრადიციების მქონე სასულიერო სასწავლებლებს.

1995 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით ქუთაისში დაარსდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სასულიერო სემინარია, აღდგა გელათის სასულიერო აკადემია, რომლის რექტორად დაინიშნა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი). გელათის სასულიერო აკადემია დაფუძნდა გელათის სამონასტრო კომპლექსთან. აკადემიაში ლექციებს კითხულობენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, ადგილობრივი სწავლულები. მისი უწმიდესობა მიიჩნევდა, რომ გელათის აკადემია, რომელიც „მორედ იერუსალიმად და სხუად ათინად“ დაფუძნდა, მიზნად ისახავდა უმაღლესი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სკოლის ჩამოყალიბებას, სადაც უნდა მომხდარიყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თეოლოგიური შრომების თარგმნა-კომენტირება. ამ სკოლის ფილოსოფიური მიმართულება იმითაც წარმოიხნდა, რომ ითარგმნა წარმართი ფილოსოფოსის, ამონიო ერმისის ცნობილი ლოგიკური შრომები. რაც შეეხება გელათის აკადემიის საღვთისმეტყველო სიმაღლეს, იკმარებდა თუნდაც იმაზე მითითება, რომ სწორედ ამ აკადემიაში ითარგმნა წმიდა მაქსიმე აღმსარებლის ურთულესი ტერმინოლოგიური ნაშრომები. აქვე განხორციელდა კატენებიანი ბიბლიის თარგმნა, რასაც გელათის ბიბლია ეწოდება და რაც უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში. ამიტომ იყო აუცილებელი ქუთაისისა და გელათის ისტორიული ფუნქციის სრულად აღდგენისათვის ისეთი სამეცნიერო დაწესებულებების შექმნა, რომელიც საერო და სასულიერო მეცნიერების გამაერთიანებელი იქნებოდა.

1995 წლის 25 მაისს საქართველოს სახელმწიფო მეთაურის, ედუარდ შევარდნაძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ერთობლივი ბრძანებით, „ქართული ენისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისა და მისი ინტელექტუალური განვითარების მიზნით,“ ქ. ქუთაისში დაარსდა გელათის მეცნიერებათა აკადემია.

ამით აღდგა წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის აკადემიის ტრადიცია. გელათის აკადემიაში ნამდვილ წევრებად არჩეულ იქნენ თვალსაჩინო მეცნიერები (სულ 21 წევრი). აკადემიის პრეზიდენტი 1995–2007 წლებში იყო ცნობილი ფილოლოგი მაგალი თოდუა. ამჟამად აკადემიის პრეზიდენტია პროფესორი მიხეილ ქურდიანი. აკადემია გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო ჟურნალს, რომელშიც იბეჭდება მნიშვნელოვანი გამოკვლევები თეოლოგიის, ეკლესიის ისტორიის, ძველი ქართული ენის, ლიტერატურის, ქრისტიანული ხელოვნების მნიშვნელოვან პრობლემებზე. გელათის სასულიერო და მეცნიერებათა აკადემიის აღდგენით უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში სასულიერო განათლების სრული რეაბილიტაცია–აღორძინება მოახდინა. სასულიერო სემინარიები ფუნქციონირებს ახალციხეში, გორში, ფოთსა და ბათუმში. ყველა მოქმედ ეპარქიაშია სასულიერო გიმნაზიები, პროფილური სკოლები. სულ ამ ტიპის სასწავლებელთა რიცხვი 50–ზე მეტია. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა განათლების სამინისტროს მესვეურთა მიერ ერთგვარი სურვილი ამ სასწავლებლების სასწავლო პროგრამების კორექტირება–ოპტიმიზაციისა, რაც შეასუსტებს ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლებში სასულიერო ტრადიციებს, მაგრამ, ღვთის შეწევნით, სკოლები ინარჩუნებენ იმ მიმართულების ერთგულებას, რომელიც ქრისტიანული პედაგოგიკის მართლმადიდებლურ მრწამსს უკავშირდება.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი ილია II ღირსეულად აგრძელებს საქართველოს საერო უნივერსიტეტებთან ურთიერთობის იმ ტრადიციას, რომელსაც XX საუკუნის დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II–მ. არ დარჩენილა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც მისი უწმიდესობა არ შეხვედროდა პროფესორ–მასწავლებლებს, სტუდენტებს. უწმიდესი და უნეტარესი არჩეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტექნიკური უნივერსიტეტის, სულხან–საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში 2005 წლამდე იკითხებოდა რელიგიის ისტორიის (მართლმადიდებლობის) მოკლე კურსები, ფუნქციონირებდა რელიგიათმცოდნეობის კათედრები.

2005 წელს უწმიდესი და უნეტარესი ილია II არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსად. მისმა უწმიდესობამ აკადემიის წევრებს მიმართა: „მე თავს ვიხრი ჩვენი მეცნიერების წინაშე. დიდია თქვენი ღვაწლი, თქვენი წვლილი ერისა და

ეკლესიის წინაშე... მე ვიტყვოდი, რომ ის, რაც აქ ხდება, ისტორიული აქტია, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის პერიოდში. ეს არის პირველი შემთხვევა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად იქნა არჩეული... საქართველოს მეცნიერებათა აკადემია დღეს მძლავრი სამეცნიერო ცენტრია, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და, ამასთან ერთად, უნდა ვიზრუნოთ მის გაძლიერებაზე. აღმასვლის პროცესი უწყვეტი უნდა იყოს“[30, 184].

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ყოველთვის ხაზგსმით აღნიშნავს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია პოლიტიზირებული ძალა არ უნდა გახდეს, რადგან ეკლესია მოწოდებულია იმისათვის, რომ მთელ ერს ამთლიანებდეს. სასულიერო სასწავლებლები – აკადემია, სემინარია, გიმნაზია – მაგალითი უნდა იყოს საერო სასწავლებლებისთვისაც.

საქართველოში სასულიერო განათლების აღორძინებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს მართლმადიდებლურ სასწავლებლებთან კონტაქტებს, მათი გამოცდილება და მიღწევათა სწორად გააზრება დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენს სასწავლებლებს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩვენი წარჩინებული სტუდენტები გაცვლითი პროგრამების მეშვეობით სწავლას აგრძელებენ მოსკოვისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიებში, აგრეთვე საბერძნეთში, ჩეხეთში, კვიპროსზე, გერმანიაში, რომში. საქართველოს ეკლესიის მეთაური ზრუნავს არა მარტო სასულიერო განათლების პრობლემებზე, არამედ ზოგადად საბუნებისმეტყველო-ტექნიკური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაზეც. პატრიარქთან ხშირად იკრიბებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტები და მსჯელობენ აქტუალურ საკითხებზე. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, 2005 წლის 8 თებერვალს, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, დაარსდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი – „სულიერების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება და განვითარება“. ფონდის თავმჯდომარეა უწმიდესი და უნეტარესი ილია II, აღმასრულებელი მდივანი – დეკანოზი გიორგი ზვიადაძე. ფონდის პრეზენტაციაზე მისმა უწმიდესობამ ასე განსაზღვრა ფონდის სამოქმედო გეგმა: „ეს ფონდი იზრუნებს არამარტო სულიერების განმტკიცებისთვის, არამედ კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარებისთვის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის. ამიტომ, ჩვენ

გვექნება ძალიან მჭიდრო კავშირი ჩვენს მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენს უნივერსიტეტებთან და ყველაფერს გაგაკეთებთ იმისათვის, რომ დახმარების ხელი გაუწოდოთ მეცნიერებს, მაგრამ მთავარი მაინც ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნება განმტკიცება.“[30, 183].

ფონდის მმართველ საბჭოში შედიან თვალსაჩინო ადამიანები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი. ფონდის მიზანია დააფინანსოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტები. ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით აღდგა ქართული ჟურნალების: „ცისკარის“, „მნათობისა“ და „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოცემა; დაფინანსდა მრავალი სამეცნიერო, ლიტერატურული, ისტორიული, სასწავლო-შემეცნებითი თუ ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნი და გამოცემა, მათ შორის: - ახალგაზრდა მეცნიერის ირაკლი გუნიას წიგნი „საქართველოს მონასტრები“; - ღვაწლმოსილი მეცნიერის, მიხეილ გაფრინდაშვილის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორია“; - პროფესორ ვახტანგ ჯობაძის ნაშრომი „ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში“; - მწერალ შოთა ხოდაშნელის წიგნი „მოქანდაკე, რესტავრატორი – კარლო ბაკურაძე“; - პროფესორ ამირან არაბულისა და ეთერ თათარაიძის წიგნი-ალბომი „შენდობით მომიხსენიეთ“; - წიგნი - „შენი ცა ანა“, რომელიც ეძღვნება ცნობილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის 80 წლის იუბილეს. - მსყვალა ბერიანიძის წიგნი - „გულში დატეული დიდი საქართველო“. წიგნი წარმოადგენს საქართველოს ისტორიას ბავშვებისათვის (5 ნაწილად).

ფონდის თანადგომით გამომცემლობა „ხელოვნებამ“ დაბეჭდა ტრილოგიის პირველი წიგნი „საქართველოს სულიერი საგანძური“, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოში არსებული ეკლესია-მონასტრების ისტორია და მათი მნიშვნელობა ჩვენი კულტურისა და სულიერებისთვის. ნაშრომი გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კულტურული თანამშრომლობა უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან.

ამ პროგრამის ფარგლებში:

- ჩაიწერა ლაზური ფოლკლორული სიმღერების პირველი კომპაქტ-დისკი;
- დაფინანსდა ქართული დელეგაციის გამგზავრება, ისტორიულად ლაზურ ქალაქ არქაბიში (თურქეთი) გამართულ ფოლკლორულ ფესტივალზე, სადაც პირველად აუღერდა საპატრიარქოს რადიო „ივერიის“ სტუდიაში ჩაწერილი ახალი ლაზური სიმღერები;

- დაარსდა კულტურული ცენტრი და სასტუმრო სახლი ფერეიდანელი ქართველებისათვის.

ფონდი დიდ ყურადღებას უთმობს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი პროექტების მეცნიერულად დამუშავებასა და მომზადებას. ამ მიზნით, ფონდთან შეიქმნა „ნავთობისა და გაზის“ დროებითი კომისია, რომელიც მუშაობს საქართველოს ნავთობისა და გაზის საძიებო და მომპოვებელი ღარვის განვითარების ეროვნული პროგრამის შემუშავებაზე.

პატრიარქის ფონდი ყოველწლიურად ატარებს დიდ საერთაშორისო ფესტივალს - „აღდგომიდან ამდღებამდე“, რომლის მიზანია ახალგაზრდობის დაინტერესება ქართული და მსოფლიო კლასიკური ხელოვნებით, უცხოეთში

მოღვაწე ქართველ ხელოვანთა და ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელ შემსრულებულთა შემოქმედების პოპულარიზაციით საქართველოში.

2006 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკო-პატრიარქის ფონდთან დაარსდა ქართული საგალობლისა და ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, რომლის მიზანია ლოტბარების მომზადება, სამგალობლო სასწავლებლებისა და ფოლკლორული ცენტრების დაარსება და ქართული კულტურის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ.

ფონდი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში.

ფონდმა დააფინანსა სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული, XII-XIII საუკუნით დათარიღებული ერთ-ერთი უძველესი ქართული ხელნაწერი ძეგლის – ანჩის სახარების (ოთხთავი) რესტავრაცია.

ფონდი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ქართულ და საერთაშორისო ტელემუშევრებთან; მისი პატრონაჟითა და დაფინანსებით საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა სასწავლო-შემეცნებით ტელეპროექტს; დაფინანსდა სხვადასხვა ჟანრის სატელევიზიო-დოკუმენტური ფილმები, მათ შორის, სახელმწიფოთაშორისი ტელერადიოკომპანია „მირ“-ის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ წარმოდგენილი პროექტი - „ერის სულიერი აღორძინება“; ფონდის აქტიური მხარდაჭერით მაუწყებლობს დამოუკიდებელი ქართული ტელეკომპანია „იბერია“.

ფონდი ზრუნავს გამოჩენილ და ახალგაზრდა ქართველ მხატვართა შემოქმედების პოპულარიზაციაზე. ამ პროგრამის ფარგლებში, მოეწყო მხატვარ რენო თურქიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა. აგრეთვე, პერიოდულად ტარდება თემატური ნიშნით შექმნილი საბავშვო ნახატების გამოფენა-კონკურსი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით ფონდი აქტიურად მუშაობს დემოგრაფიული პრობლემის მოგვარებისათვის საჭირო ეროვნული პროგრამის შექმნაზე. პროგრამის ამოქმედება დაგეგმილია 2008 წლის დასაწყისისთვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფონდში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ხშირად იკრიბებიან ქართველი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები, საზოგადოების წარმომადგენლები, სადაც მსჯელობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თემას და იმ გზების ძიებას, რომელიც ადადგენს ჩვენი ხალხების მშვიდობიან თანაცხოვრებას ერთიან სახელმწიფოში.

უწმიდესმა და უნეტარესმა აღორძინებული „მნათობის“ პრეზენტაციაზე ხაზგასმით აღნიშნა: „მწერლობა, ლიტერატურა არ შეიძლება წაიშალოს, არ შეიძლება დაეცეს პროზა და პოეზია ჩვენს სულში... რა იქნებოდა, რომ არა გვქონოდა ძველი ქართული საეკლესიო მწერლობა? ვერ აღორძინდებოდა ის საერო ლიტერატურა, რომელსაც ასე ვეთაყვანებით და რომლითაც ასე ვამაყობთ. ქართული ლიტერატურა იყო, არის და იქნება ერის წინამძღოლი“[41, 2].

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია XXI საუკუნის დასაწყისში ეროვნული მეცნიერული და ინტელექტუალური ღირებულებების მოწინააღმდეგეთა პასუხად მტკიცე ქომაგად დაუდგა ქართულ მეცნიერულ-

ინტელექტუალურ ძალას. 2005 წლის 7–9 ნოემბერს სტამბულში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე „მშვიდობა და შემწყნარებლობა“ პატრიარქი კვლავ შეეხო თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას – ცივილიზაციათა დიალოგის საკითხებს – და აღნიშნა, რომ კვლავ აქტუალურია ცივილიზაციათა დიალოგის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ხალხებს საშუალებას მისცემს, გააერთიანონ ძალები გლობალური და ლოკალური საკითხების გადასაჭრელად. საზოგადოება უნდა დაფიქრდეს ერის სულიერი წინამძღოლის მინიშნებაზე, რომ თაობათა ერთობა და ერთსულოვნება დღეს ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეშმაკი ყოფს და აპირისპირებს, ღმერთი აერთიანებს და არიგებს. პატრიარქი შეახსენებს ყველას, ვისთვისაც მეცნიერება, ერის ინტელექტუალური პოტენციალი მეორეხარისხოვანია, რომ „ქვეყანამ არ უნდა დაკარგოს ის სამეცნიერო მონაპოვარი, რაც მას გააჩნია... მრავალ დარგში საქართველოს მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები ჰყავს. საერთოდ, ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში სამეცნიერო სფერო გადამწყვეტ როლს ასრულებს. მის ჩამოყალიბებას დიდი თანხა და დიდი დრო სჭირდება. გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, ქვეყანამ არ გამოიყენოს ის სამეცნიერო პოტენციალი, რომელიც მას გააჩნია“[42, 11]. ქართველი მეცნიერები, მწერლები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები შექმნილ რთულ ვითარებაში ერის ინტელექტუალური პოტენციალის მფარველად და გადამრჩენლად სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს, საქართველოს სამოციქულო ეკლესიას მიიჩნევენ.

XIX საუკუნემდე საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ორიგინალური თუ ნათარგმნი საღვთისმეტყველო ლიტერატურის პრობლემა არ არსებობდა. V საუკუნიდან ქართულ ენაზე ითარგმნა წმიდა წერილის ცალკეული წიგნები, აქედანვე იღებს სათავეს ორიგინალური სასულიერო მწერლობა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარებას. ამ მიზნით დიდი სამუშაოები სრულდებოდა როგორც საქართველოში, ასევე – საზღვარგარეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში. ათონის ივერთა მონასტერი გამორჩეული იყო შუა საუკუნეებში როგორც ორიგინალური სასულიერო ლიტერატურის შექმნის, ასევე მთარგმნელობითი თვალსაზრისით. ამ დიდმა ტრადიციებმა, XV-XVIII საუკუნეების რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, მაინც მოაღწია სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქ ანტონ I-ის

მოღვაწეობის დრომდე. რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ქართული საღვთისმეტყველო ლიტერატურის განვითარება, ქართულ ენაზე წმიდა წიგნების გამოცემა საქართველოში დამკვიდრებული რუსი ეგზარქოსებისათვის მიუღებელი გახდა. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნეში მაინც მოხერხდა აუცილებელი სასულიერო წიგნების გამოცემა ქართულ ენაზე. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საკათოლიკოსო საბჭოს დადგენილებით, დაიწყო საპატრიარქოს ოფიციალური ჟურნალის „სვეტიცხოვლის“ გამოცემა, რომელშიც უნდა ასახულიყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საქმიანობა. ჟურნალის რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა. სამწუხაროდ, ექვსი ნომრის მეტი ვერ გამოიცა.

1918 წელს მღვდელ ქრისტეფორე ციციშვილის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ახალი სიტყვა“, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, საკათოლიკოსო საბჭოს, კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი კირიონ II-ის მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი. ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიათა უმრავლესობას პოლემიკური ხასიათი ჰქონდა. გამოვიდა ჟურნალის მხოლოდ 9 ნომერი.

1918 წელს კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ლოცვა-კურთხევით დაიბეჭდა საეკლესიო კალენდარი, რომლის არც ერთ ეგზემპლარს ჩვენამდე არ მოუღწევია.

1921 წლიდან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სურდა გამოეცა საპატრიარქოს უწყებანი, მაგრამ საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. 1927 წლიდან ყოველწლიურად უნდა გამოცემულიყო „საქართველოს ეკლესიის კალენდარი“, მაგრამ გამოიცა მხოლოდ 1927 და 1928 წლებისა.

გასული საუკუნის 40-იან წლებში უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ აღადგინა საეკლესიო კალენდრის გამოცემა. განსაკუთრებული მოვლენა გახდა 1963 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით „ახალი აღთქმის“ გამოცემა. მართალია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მეცნიერული კომენტარებით აქვეყნებდა ბიბლიის ტექსტებს, წმინდანთა ცხოვრებას, მაგრამ ეკლესია მართლმადიდებლური წიგნების ნაკლებობას განიცდიდა; ამიტომ ეს მაინც დიდი მოვლენა იყო.

უწმიდესისა და უნეტარესის კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ს დროს მოხერხდა საქართველოს ეკლესიის კალენდრის (1976, 1977 წლების) ცალკე წიგნებად გამოქვეყნება, რომელთა შინაარსიც, საეკლესიო დღესასწაულების გარდა, ბევრ საინტერესო ინფორმაციას მოიცავდა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა თუ მართლმადიდებლური დოგმატიკის საკითხების შესახებ. საეკლესიო კალენდარმა ოფიციალური ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია.

1977 წლის 25 დეკემბერს ახლადარჩეულმა პატრიარქმა ილია II-მ კომპეტენტური, მცოდნე კადრების ნაკლებობის გამო თავის თავზე აიღო 1978 წლის საეკლესიო კალენდრის შემდგენელ-რედაქტორობა და კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა წინა წლების კალენდრებში არსებული მასალები. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყოველწლიური კალენდარი თავისი მეცნიერული დონით, დამწეები მორწმუნეთათვის აუცილებელი ღოცვებით, საეკლესიო დღესასწაულების მოკლე მიმოხილვით საზოგადოებისათვის სასურველ გამოცემად იქცა. 1977-1986 წლებში მისი ტირაჟი შეზღუდული იყო, მაგრამ ხალხი მაინც ახერხებდა საეკლესიო კალენდარში არსებული აუცილებელი მასალის გადაწერასა და გამრავლებას. პატრიარქის ღოცვა-კურთხევით, 1980-1982 წლებში კალენდრებში დაიბეჭდა „ფსალმუნნი დავითისი“, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ცალკეული თავები. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ღოცვა-კურთხევით, ყოველწლიურ სქელტანიან საეკლესიო კალენდარს დაემატა მცირე ფორმატის „ჯიბის კალენდარი“ (1979 წლიდან) და კედლის კალენდარი. ამჟამად გამოდის როგორც საპატრიარქოს ოფიციალური კალენდარი, ასევე იბეჭდება ეპარქიების მიერ მომზადებული კალენდრებიც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1978 წელს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ღოცვა-კურთხევით გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, რომელიც თავისი მრავალფეროვანი შინაარსით, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყოველდღიური საქმიანობის მიმოხილვით საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი ოცდაათწლიანი ისტორიის ყველაზე სანდო წყაროდ იქცა. ჟურნალი ემსახურება მისი უწმიდესობის მიზანს

– სრულიად საქართველოს სულიერ გამთლიანებას. ჟურნალის საგანგებო ნომრები – „ტაო–კლარჯეთ–მესხეთი“, „საინგილო“, „აფხაზეთი“, „აჭარა“, „კახეთი“, „იმერეთი“, „რაჭა–ლეჩხუმი–სვანეთი“, „სამეგრელო“, „გურია“, „შიდა ქართლი“ – ქართველობას აცნობს ამ რეგიონებში არსებულ პრობლემებს და ცდილობს დააფიქროს საზოგადოება მათი მოგვარების გზებზე.

1978–1990 წლებში უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია II-ის ლოცვა–კურთხევით მცირე ტირაჟით გამოდიოდა „საღვთისმეტყველო კრებული“, რომელშიც იბეჭდებოდა თეოლოგიური, ფილოსოფიური, ისტორიული ხასიათის გამოკვლევები და თარგმანები.

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბიბლიის სრული ტექსტის დაბეჭდვას. უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა–კურთხევით შეიქმნა ბიბლიის მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამომცემელთა ჯგუფი, რომლის მრავალწლიანი შრომის შემდეგ 1989 წელს დაიბეჭდა ბიბლიის სრული ტექსტი ახალ ქართულ ენაზე. ამას მოჰყვა ბიბლიის ძველ ქართულ ენაზე დაბეჭდვაც. მართალია, ტირაჟი მცირე იყო, მაგრამ იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება, რომ გამოცემა რამდენჯერმე განმეორდა. საპატრიარქოს შეკვეთით, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტმა მილიონობით ტირაჟით გამოსცა „ახალი აღთქმა და ფსალმუნნი“.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა–კურთხევით, 1989 წლიდან დაიწყო გაზეთ „მადლის“ გამოცემა. 1999 წლის 7 იანვრიდან გამოდის „საპატრიარქოს უწყებანი“, რომელიც თავისი შინაარსით მრავალფეროვანია და მოიცავს საეკლესიო ცხოვრების ყველა სფეროს. საქართველოს საპატრიარქოს ეგიდით გამოდის ჟურნალები: „კარიბჭე“ და „კრიალოსანი“. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყველა ეპარქიას აქვს თავისი გაზეთები და ჟურნალები: „ხვამლი“, „თაბორი“, „ფუძე“, „დედაეკლესია“, „სამრეკლო“, „კანდელი“, „მრევლი“. საპატრიარქოში არსებობს საღვთისმეტყველო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია (თავმჯდომარე ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)), გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტი (თავმჯდომარე ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)), საინფორმაციო სამსახური – პრესცენტრი (თავმჯდომარე ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი)), საგამომცემლო განყოფილება (თავმჯდომარე პროფესორი გვანცა კოპლატაძე). საპატრიარქოს აქვს თეოლოგიური ლიტერატურით მდიდარი ბიბლიოთეკა.

საინტერესო მუშაობა მიმდინარეობს საპატრიარქოს არქივში (უფროსი მზია კაცაძე), დამუშავდა უნიკალური ფონდები. პატრიარქის აღსაყდრების 30-ე წლისთავს ეძღვნება საპატრიარქოს არქივის მასალებზე დაყრდნობით გამოცემული შესანიშნავი წიგნი-ალბომი „პატრიარქი“, რომელიც შეადგინა ქალბატონმა მზია კაცაძემ.

საპატრიარქოს რადიო „ივერია“ თავისი ეროვნული შინაარსის გადაცემებით განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს მოსახლეობაში. 2007 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო ქართულმა ტელემაუწყებლობა „ივერიაში“, რომელსაც ხელმძღვანელობს გიორგი ანდრიაძე.

2007 წლის მაისში, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, დაარსდა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის საერო უნივერსიტეტი. საინიციატივო ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში არიან: ბათუმისა და ქობულეთის მიტროპოლიტი დიმიტრი, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პრორექტორი, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, პროფესორები: სერგო ვარდოსანიძე, ზაზა აბაშიძე, სერიოზული სამუშაო შეასრულა. 2007 წლის ივნისში ჯგუფი გაფართოვდა. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა პარმენ მარგველაშვილი. განისაზღვრა უნივერსიტეტის პროფილი და სპეციალობები. განზრახულია შეიქმნას სამი ფაკულტეტი: 1. ჰუმანიტარული (ისტორია-ფილოლოგია), 2. სოციალურ მეცნიერებათა (ფილოსოფია, იურისპუდენცია, ეკონომიკა), 3. საბუნებისმეტყველო-ტექნიკური. მეცნიერთა ჯგუფებს დაევალებათ შეედგინათ სასწავლო გეგმები. მიმდინარეობს მუშაობა საგანთა მიხედვით სილაბუსების შედგენაზე. უნივერსიტეტის მიზანია ეროვნული მნიშვნელობის მეცნიერებათა მიღწევების შენარჩუნება და განვითარება, იმ ტრადიციების დაცვა, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

IX. უკვდავებაში გარდასულ სახეთა არდავიწყება

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვცემდეთ პატივს ჩვენს დიდ წინაპართა სახელებს, მათ ხსოვნას. უწმიდესი და უნეტარესი წმინდანებად შერაცხულ ქართველ მეფეთაგან განსაკუთრებით გამოარჩევს წმიდა მირიანს, წმიდა ვახტანგ გორგასალს, წმიდა არჩილს, წმიდა დავით

ადმაშენებელს, წმიდა თამარს, ლუარსაბ წამებულს, წმიდა ქეთევან დედოფალს... საეკლესიო კალენდრის მიხედვით მათი ხსენების დღეებში წირვის შემდეგ პატრიარქი მრევლს არაერთხელ ესაუბრა მათ სულიერ სიმაღლეზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე. უწმიდესი ხშირად სტუმრობს გელათის მონასტერს. დავით ადმაშენებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მის დიად საქმეთა შეხსენებით ქართველობას განუმტკიცებს წარსული ისტორიით აწმყოსა და მომავლის რწმენას. პატრიარქი ხშირად იხსენებს ქართლ-კახეთის მეფის, ერეკლე II-ის მიერ სამშობლოსათვის თავგანწირვას, კრწანისის ბრძოლას, სადაც 75 წლის მოხუცი მეფე უკანასკნელად გავიდა ბრძოლის ველზე. უწმიდესმა და უნეტარესმა 300 არაგველის ბაღში არაერთხელ გადაიხადა პარაკლისი ალა-მაჰმად ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ ქართველ მეომართა სულების მოსახსენებლად. მანვე გადაარჩინა 300 არაგველის ბაღი გასხვისებას. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა 1987 წლის 20 ივლისს, წმიდა სინოდის თანხმობით, დიდი ქართველი მწერალი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული მეთაური ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა. წმიდა ილია მართალი XX საუკუნის დასაწყისში სოციალ-დემოკრატების მსხვერპლი გახდა, მისი სახელი იღვენებოდა XX საუკუნის 20-30-იან წლებში, ხოლო 40-70-იან წლებში ხან რევოლუციონერ-დემოკრატად, ხან კი განმანათლებლად იწოდებოდა. წმინდანად შერაცხვის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ქართველი ერის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში.. პატრიარქმა აღასრულა ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის - აკაკი წერეთლის წინასწარმეტყველება: თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ შენც უკვდავი იქნებიო. წმიდა ილია მართლის უკვდავება 1987 წლიდან დაიწყო.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II სამართლიანად თვლიდა, რომ ცოტნე დადიანის გმირობა და მოყვასისათვის თავდადება საკმარისი იყო მისი წმინდანად კანონიზაციისათვის. 1999 წლის 26 ოქტომბერს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით, ეროვნული გმირი ცოტნე დადიანი წმინდანად შეირაცხა. პატრიარქმა ასევე უკვდავყო XVII-XVIII საუკუნეებში სპარსეთში დაღუპულნი „წმიდა მოწამენი ქართველნი“, სარწმუნოებისათვის თავდადებულნი ლაზნი, საქართველოს მეფე ვახტანგ III, რომელიც აღესრულა 1303 წელს. დიდი ქართველი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ყველა ინტელექტუალისათვის ცნობილია. მისი დაუღალავი საქმიანობით XIX-XX

საუკუნეთა მიჯნაზე შესაძლებელი გახდა მრავალი უცნობი ხელნაწერისა და საისტორიო საბუთის მოძიება და გადარჩენა. ფასდაუდებელი იყო მეცნიერის მიერ მოწეობილი სამეცნიერო ექსპედიციები როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე – თურქეთის საქართველოში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. ექვთიმე თაყაიშვილი პატრონობდა 1921 წელს ემიგრაციაში წასული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ გატანილ ქართულ სიწმინდეებს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ დიდმა ადამიანმა ბოლშევიკური ხელისუფლებისგან დამცირება, შეურაცხყოფა, ცილისწამება და მრავალი უსიამოვნება გადაიტანა. იგი აღესრულა 1953 წელს. ქართველი საზოგადოება სინანულით იხსენებს მეცნიერის სამშობლოში ცხოვრების ბოლო წლებს. მრავალი წიგნი და სამადლობელი წერილი მიექდვნა მის ხსოვნას, მაგრამ ყოველივე ეს მის დამსახურებასთან შედარებით ზღვაში წვეთი იყო. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ 2002 წლის 18 ოქტომბრის სინოდის სხდომაზე ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მოწამებრივად აღსრულებული ექვთიმე თაყაიშვილი წმინდანად შერაცხა და მას წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი უწოდა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეს ისტორიული გადაწყვეტილება დიდი ადამიანის უკვდავებისა და შთამომავლობის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების უბადლო მაგალითია.

საუკუნეთა მანძილზე ქართველ წმინდანთა შესახებ ცნობები თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ბევრი წყარო დაიკარგა, ბევრი ღირსეული მოღვაწე თავის დროზე ვერ იქნა სათანადოდ დაფასებული. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში შექმნილ წმინდანთა კანონიზაციის კომისიას (ხელმძღვანელი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი) დაავალა, მოეძია მასალები საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნებებზე, რათა წმიდა სინოდის სხდომებზე მოეხდინათ მათი წმინდანებად შერაცხვა. 1996 წლის 23 დეკემბერს წმინდანებად შეირაცხნენ წმიდა ნინოს მშობლები – ზაბილონი და სუსანა, 2002 წლის 18 ოქტომბერს – ქართლის პირველი კათოლიკოსი პეტრე I, კათოლიკოსი სამოელ I, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I, XVI საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ზოსიმე კუმურდოელი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ეპისკოპოსების: გაბრიელის, ალექსანდრეს, მიტროპოლიტ ნაზარისა და სამღვდლო კრებულის, მღვდელ-მონაზონ ალექსი შუშანიას, ილარიონ ყანჩაველის, გრიგოლ ფერადის, ექვთიმე კერესელიძის, იოანე მაისურაძის,

გიორგი მხეიძის, მიტროპოლიტების: დოსითეოზისა და ექვთიმეს წმინდანებად შერაცხვით ისტორიული სამართლიანობა აღადგინა.

1995 წლის 18–19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი წმინდანად შერაცხა. როდესაც პატრიარქმა ეს გადაწყვეტილება ამცნო კრების მონაწილეებს, ცრემლი ვერ შეიკავა. ეს იყო სინანული იმ ადამიანთა ნაცვლად, რომელთაც ქართველი ხალხის პოლიტიკური და ეკლესიური თავისუფლებისათვის მებრძოლ კათოლიკოს ამბროსის მრავალი უსიამოვნება მიაყენეს, საქართველოს ეკლესიის საჭეთმკურობელი სამშობლოს ღალატის ბრალდებით ციხეშიც კი გამოკეტეს. კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ თავის სასამართლო პროცესზე ქრისტეს სიტყვებით მიმართა მრევლს: „ასულნო იერუსალიმისანო, ნუ სტირით ჩემდა, არამედ იტირეთ თავთა თქვენთა და შვილთა თქვენთა“. წმიდა ამბროსი აღმსარებელი ახლად შერაცხულ წმინდანთა დასში გამორჩეულად ბრწყინავს.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მეცნიერ ისტორიკოსებთან მრავალწლიანი კონსულტაციების შემდეგ კიდევ უფრო სრულად გაიაზრა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ავტოკეფალიური მოძრაობის მეთაურის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ღვაწლი. კირიონ II-მ მრავალი დაბრკოლება, ცილისწამება, დევნა-გადასახლება გადაიტანა, მაგრამ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა არ შეუწყვეტია. მან აღასრულა თავისი სიტყვები: „მამულიშვილობის გვირგვინი სამშობლოს სამსხვერპლოზე ჰკიდიაო“ და 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში მოწამეობრივად აღესრულა. ქართველ მეცნიერთა და სასულიერო წრეებში ოთხმოც წელზე მეტ ხანს არ შეწყვეტილა დავა და აზრთა ურთიერთჭიდილი, თუ რა მოხდა 1918 წლის 27 ივნისს მარტყოფის მონასტერში. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ უწმიდესი კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ის წმინდანად შერაცხვით ღირსეულად დააფასა დიდი წინამორბედის ღვაწლი ქართველი ერისა და დედაეკლესიის წინაშე.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ასეთივე პატივი მიაგო სამშობლოდან უსამართლოდ დევნილი ბაგრატიოვანთა სამეფო სახლის წარმომადგენლის, 1815 წელს ტრაპიზონში აღსრულებული იმერთა მეფის

სოლომონ II-ის ხსოვნას: 1990 წელს პანაშვიდები გადაუხადა სიონისა და სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრებში, ხოლო 2005 წლის 27 ივნისს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი თავდადებული მეფე წმინდანად შერაცხა. პატრიარქმა ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ღირსეულ პატივს მიაგებს დიდ წინაპართა ხსოვნას.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II დიდ წინამორბედთა საქმის ღრსეული გამგრძელბელი და, ამავე დროს, მათი ღვაწლის საოცარი დამფასებელია. იგი არაერთხელ შეხებია 1927–1932 წლების საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უმძიმეს მდგომარეობას და აღუნიშნავს პატრიარქ ქრისტეფორე III-ის ადლო და მოქნილობა, ახალ საბჭოთა ხელისუფლებასთან დიალოგი და თანამშრომლობა, რომლითაც მან სრული განადგურებისგან იხსნა საქართველოს სამოციქულო ეკლესია.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1979 წელს საპატრიარქოში შექმნა საგანგებო ჯგუფი, რომელსაც უნდა მოეძია მასალები უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატეს შესახებ. შეიკრიბა უწმიდესი კალისტრატეს თანამედროვეთა მოგონებები, რამაც კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა დიდი პატრიარქის ღვაწლი და დამსახურება. მისი უწმიდესობა ილია II სტუდენტობის პერიოდში არაერთხელ შეხვედრია უწმიდეს და უნეტარეს მელქისედეკ III-ს. უწმიდესსა და უნეტარესს მისალოც ბარათებში ლაკონურად, მაგრამ სრულად წარმოუჩენია უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქების: ეფრემ II-ისა და დავით V-ის ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინაშე.

პატრიარქი ერთნაირად ყურადღებიანია მღვდელმთავრებისა და რიგითი სასულიერო პირების მიმართ. მან პატივი მიაგო სიონის ტაძრის პროტოპრესვიტერს – პახუმ ობოლაძეს, მიტროპოლიტებს: გიორგის (ღონდაძე), ზინობს (მაჟუგა), გრიგოლს (ცერცვაძე), კონსტანტინეს (მელიქიძე).

უწმიდესი და უნეტარესი საოცრად მიმტევებელია. ამის დასტურია პატრიარქის პატივისცემა ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტების – რომანოზისა (პეტრიაშვილი) და შიოს (ავალიშვილი) მიმართ, რომელნიც თავის დროზე მისი უწმიდესობის შეურიგებელი ოპონენტები იყვნენ. ისინი, პატრიარქის გადაწყვეტილებით, სიონის ტაძრის ეზოში დაკრძალეს. ხოლო როდესაც გარდაიცვალა ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსყოფილი იოანე (ანანიაშვილი), უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო გადაწყვეტილება მისი სამთავროს მონასტრის ეზოში დაკრძალვის შესახებ.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დიდი პატივი მიაგო მერაბ კოსტავას, ზურაბ ჭავჭავაძის, გიორგი ჭანტურიას, აკაკი ბაქრაძის, ზვიად გამსახურდიას ხსოვნას. 2007 წელს გროზიდან საქართველოში გადმოასვენეს საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ნეშტი. ქართველი ხალხი თვალცრემლიანი მიაცილებდა მრავალტანჯული ადამიანის ცხედარს სვეტიცხოვლის ტაძრიდან მთაწმინდისაკენ. უწმიდესმა და უნეტარესმა თვითონ გადაუხადა პანაშვიდი განსვენებულ პრეზიდენტს.

მისი უწმიდესობა განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობა ბაგრატიონთა სამეფო სახლის წარმომადგენლებს, მიიჩნევს, რომ ბაგრატიონებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი საქართველოსათვის. იგი არ გამორიცხავს საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის ისეთი სახით აღდგენის შესაძლებლობას, როცა მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, XX საუკუნის 90-იან წლებიდან განახლდა ბაგრატიონთა სამეფოს სახლის გარდაცვლილ წევრთა სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში დაკრძალვის პროცესი.

სიონის საპატრიარქო ტაძარში შაბათობით შავოსანი ადამიანები იკრიბებიან. მათ სახეზე უდიდესი ტკივილი და მწუხარებაა აღბეჭდილი. უმრავლესობას ცხოვრებაში დიდი ტრაგედია დაატყდა თავს – ისინი შვილგარდაცვლილი დედები არიან. თუ არა ეკლესია, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ყურადღება, მათი ცხოვრება მაშინ დამთავრდებოდა, როდესაც საკუთარ შვილებს გამოეთხოვნენ. პატრიარქმა მათ უჩვენა სულიერი ცხოვრების გზა ხსნისა.

„გცხოვრობდი წუთისოფლის ორომტრიალში ყოველდღიური საზრუნავით ჩემს ოჯახთან ერთად, ღმერთი კი რატომღაც არ გვახსოვდა. მაგრამ ღმერთმა თვითონ გაგვახსენა თავისი არსებობა. სამსახურობრივი მოვალეობის შესრულების დროს ბოროტმოქმედის მიერ ნასროლი ტყვიით გარდაიცვალა ჩემი უფროსი ვაჟი – 21 წლის კახაბერი. დრო თითქოს გაჩერდა, შიშმა შემიპყრო, მომავალს ვეღარ ვხედავდი. ერთ დღეს მომინახულა შვილგარდაცვლილმა დედამ. იგი თურმე სიონში არსებული შვილგარდაცვლილი დედების ჯგუფში იყო და უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, გარდაცვლილი შვილებისათვის შეკვეთილ წირვებს ესწრებოდა. მან ეკლესიაში წამიყვანა და იქიდან დაიწყო ჩემი ეკლესიური ცხოვრება. დავდიოდი წირვა-ლოცვებზე, ვისმენდი მოძღვრისა და თვით უწმიდესისა და უნეტარესის ქადაგებებს. ვგრძნობდი, რომ ჩემი გონება

უკვე სხვაგვარად აზროვნებდა. მივხვდი, რომ რწმენის გარეშე სიცოცხლე ბნელი, შიშისმომგვრელი და გაუმართლებელი იყო. ახლა კი არის წუთები, როდესაც გული სიხარულით მევსება და ეს მომავალ ცხოვრებაში შვილთან შეხვედრის სიხარულია, რომელიც ადრე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა; მაგრამ წინ დიდი გზაა განსაცდელებით სავსე წუთისოფლისა და მის გაკაფვაში მისი უწმიდესობა დიდად გვეხმარება. პატარა ბავშვივით გულში გვიხუტებს და გვეფერება, ჩვენი განცდა გულთან მიაქვს და გვარიგებს, რომ უსაზღვრო გლოვა და გოდება, ტირილი ამძიმებს ჩვენი შვილების უკვდავ სულებს და ვამძიმებთ ოჯახურ ცხოვრებასაც... მადლობა უფალს და მის უწმიდესობას, რომ გვიხსნა სულიერი სიბრძავისაგან, აგვაცილა იმ განსაცდელს, რომელიც ჩვენი წარსული ურწმუნოებითი ცხოვრების მიხედვით საუკუნო ცხოვრებაში გველოდებოდა“[43, 54-55]. – წერს ლიანა ბარნოვა.

უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, შეილგარდაცვლილი დედები მრავალი კეთილი საქმის აღმსრულებელი არიან. მათთვის მისი უწმიდესობა რწმენის, იმედის, სიხარულისა და სიყვარულის ხატებია. აუღელვებლად ვერ წაიკითხავ იმ მრავალრიცხოვან სამადლობელ ბარათებს, რომლებიც შეილგარდაცვლილმა დედებმა მის უწმიდესობას გაუგზავნეს. საპატრიარქოს არქივის გამგემ, ქალბატონმა მზია კაცაძემ 1987 წლის 6 დეკემბერს ორი შვილი – მიხეილი და მაიკო დაკარგა. „მყავს ორი შვილი მიხეილი და მაიკო, ამჟამად მკვიდრნი ზეციური საქართველოსი, – წერს ქალბატონი მზია, – როგორც ყველა დედა, იმდენად ვიყავი ჩემი შვილების სიყვარულით დაბრმავებული, რომ თვით ღმერთიც კი არ მახსოვდა. არაფერი მინდოდა ამქვეყნად გარდა იმისა, რომ ისინი კარგ მამულიშვილებად აღმეზარდა. შედეგითაც არ ვიყავი უკმაყოფილო. მშობელთა კრებებიდან სიხარულისგან თავბრუდახვეული ვბრუნდებოდი. რა თქმა უნდა, ჩემს შვილებს წამით გვერდიდან არ ვიშორებდი, მაგრამ იმ საღამოს, მეც არ ვიცი, როგორ, ახლობლების დაუინებული თხოვნით, მე და ჩემმა მეუღლემ ისინი მარტო დავტოვეთ და მეგობრის ქორწილში წავედით. რამდენიმე საათში უკან მობრუნებულებს ჩვენი სახლის წინ სახანძრო მანქანები და უამრავი ხალხი დაგვხვდა. ჩემი სახლ-კარი ცეცხლის ალში იყო გახვეული და ჩემი ორი შვილიც შიგნით იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით მე და ჩემი მეუღლე. ბოლომდე არ მინდოდა დამეჯერებინა, რაც შემდგომ მოხდა. სიმათლის თქმას ვერავინ მიბედავდა. მე თვითონ მივხვდი ყველაფერს, ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა... დარჩა მხოლოდ ერთადერთი გზა – მე და ჩემს მეუღლეს შვილების დასაფლავების შემდეგ თავი მოგვეკლა,

მაგრამ, სანამ ამას ჩავიდენდით, მივსულიყავით საქართველოს პატრიარქთან და გვეკითხა, თუ ღმერთი მართლა არსებობს, ასე რატომ გაგვიმეტა.

ამ დროს ოჯახის ახლობელმა შეგვატყობინა, რომ ჩვენთან ოჯახში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მობრძანდებოდა. ოთახში კათოლიკოსის შემობრძანებისთანავე რამდენიმე წუთის წინ სიგიჟის ზღვარზე მისული გააფთრებული დედა, ახლა უკვე გაწონასწორებული, წამოვდექი, სწრაფი ნაბიჯებით გავეშურე მისი უწმიდესობისკენ, დავემხე მის მუხლებთან, მჭიდროდ შემოვხვიე ხელები, გულში ჩავიკარი და შეველა ვთხოვე. მან ფრთხილად წამომაყენა და მოძღვარს თვალთ ანიშნა, რომ პანაშვიდი დაეწყო. საეკლესიო წესის შესრულების შემდგომ პატრიარქმა ბრძანა: „თქვენ ბედნიერი მშობლები ხართ, თქვენი შვილები ანგელოზები არიან, ღმერთი ასეთ უბედურებას დედამიწაზე არ მოაწევდა, მაგრამ ეტყობა ძალიან დასჭირდა თქვენი შვილები და ისინი არა მარტო თქვენ, ბევრ სხვასაც გადაარჩენენო“.

მე და ბედნიერი?, – ვიფიქრე გონებით, მაგრამ გულით კი ყველაფერი ვიწამე და დამეუფლა საოცარი სიმშვიდე. ეს რამდენიმე წინადადება იქცა ჩემი შემდგომი ცხოვრების სულიერ საზრდოდ. წაბრძანების წინ მისმა უწმიდესობამ მთხოვა, ცრემლებით არ დამემძიმებინა მათი სულები, ფსალმუნები მეკითხა, ეკლესიაში მევლო, საპატრიარქოს კარები მუდამ ღია იქნებოდა ჩემთვის. გადმომცა სანთლები, ხატები, ჯვრები ჩემი შვილებისათვის, შემდეგ გულში თბილად ჩამიკრა და გამომემშვიდობა. იმ დღიდან ჩემი ცხოვრების წესი რადიკალურად შეიცვალა... დაერწმუნდი, რომ სული უკვდავია, რომ სიცოცხლე სიკვდილით არ მთავრდება, არამედ აღდგომითა და ამალღებით გრძელდება და რომ არსებობს გარდაცვალება და არა სიკვდილი. და რომ გარდაცვალება არის მარადიულობის საწყისი.

თბილისში შეიღვარდაცვლილ დედათა რაოდენობამ 600-ს გადააჭარბა. დიდმა ტკივილმა გააერთიანა ისინი. როგორც მისმა უწმიდესობამ ბრძანა, ასეთი ერთობა შეიღვარდაცვლილი დედებისა ერთადერთია ქრისტიანობის ოცსაუკუნოვან მსოფლიო ისტორიაში. დედების ერთად ყოფნა ხომ მართლმადიდებლობის უსიტყვო ქადაგებაა“[43, 9-11].

შეიღვარდაცვლილი დედები მრავალ სასიკეთო საქმეთა ინიციატორები არიან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი საქმიანობა საპატრიარქოსთან არსებულ მოწყალეების სახლში, რომელიც დაარსდა 1994 წელს და სადაც ასობით უპოვარ ადამიანს ყოველდღიურად უმზადებენ სადილებს, უტარებენ უფასო სამედიცინო შემოწმებას. „ჩვენმა ერთობამ, – აღნიშნავს ქალბატონი

მზია, – მრავალი მშობელი გადაარჩინა იმ საშინელი ცოდვის ჩადენას, რომელსაც თვითმკვლელობა ჰქვია. ახლადშვილგარდაცვლილ მშობლებს, რომლებიც განადგურებულები, იმედდაკარგულები მოდიან სიონში შაბათის წირვაზე, სადაც ისინი ნუგეშინისცემულნი არიან საღვთო მადლით, სითბოთი და სიყვარულით. ბევრ მათგანს თავიდან არც ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წირვა-ლოცვაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ ღვთის წყალობით ისინი თანდათანობით თავადაც იწყებენ ეკლესიურ ცხოვრებას.“[43, 13].

უწმიდესმა და უნეტარესმა უძიძესი პირადი ტრაგედიით სულშეძრულ და ამქვეყნიურ ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ არაერთი ადამიანს დაუბრუნა ცხოვრების სურვილი. მრავალრიცხოვანი სამადლობელი წერილებიდან მსახიობ გოგი ხარაბაძის წერილი უწმიდესისა და უნეტარესისადმი მკაფიოდ აჩვენებს შვილგარდაცვლილ მშობელთა საოცარ სითბოსა და მადლიერებას ერის სულიერი წინამძღოლისადმი: „ისეთი საოცარი ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდი იმ საღამოს სიონის საკათედრო ტაძარში, რომ ყველაზე ურწმუნო თომაც კი აღიარებდა ღმერთის არსებობას. 7 აპრილს, ხარებას, თქვენო უწმიდესობავ, კიდევ ერთხელ მაგრძნობინეთ, რა არაჩვეულებრივი ქვეყნის შვილი ვარ, ქვეყნისა, რომლის სულიერი მამაც თქვენ ბრძანდებით. გმადლობთ რწმენისათვის. გმადლობთ ადამიანური თანადგომისათვის.“[27, 10486].

აფხაზეთში დაღუპული ეროვნული გმირის – ჟიული შარტავას დედა, ქალბატონი ნინო (ფენია) დარასელია-შარტავა უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ სამადლობელ წერილში აღნიშნავს: „ხალხის მსახურების გზა ეკლიანია, მაგრამ ამდენად შეუფასებელია საქართველოს პატრიარქის ღვაწლი სრულიად საქართველოსა და პირადად ჩვენი ოჯახის წინაშე. დღეს, მართალია, ფიზიკურად დაუძღვრებულნი, მაგრამ სულიერად გაძლიერებულნი, ვავედრებთ უფალს საქართველოს და მის საჭეთმპყრობელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს, მადლობა უფალს, მადლობა პატრიარქს ყველაფრისათვის! უფალმა დიდხანს აცოცხლოს ჩვენი სათაყვანებელი ქართველი ერის მამა, ერის იმედი, უწმიდესი და უნეტარესი ჩვენი პატრიარქი“[43, 20].

უწმიდესი და უნეტარესი საოცარ ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს თანაბრად უნაწილებს ყველას, მათ შორის უძღვებ შვილებსაც, და ჭეშმარიტი ქრისტიანული ცხოვრების მაგალითს აძლევს საზოგადოებას. იგი სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებს მათ და აფრთხილებს: „იცოდეთ, შემოქმედი იმაზე მძიმე ჯვარს არ გარგუნებთ, რისი ტარებაც თქვენ არ შეგიძლიათ. სიმშვიდითა

და სიმდაბლით მიიღეთ ცხოვრების ტვირთი და მუდამ გახსოვდეთ, ყველაზე მეტად სულს სჭირდება გაფრთხილება: მასზე ძვირფასი არა არის რა კაცისათვის. იგი განსაზღვრავს ჩვენი მარადიული სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს.“[30, 367].

X. ერისა და ეკლესიის ინტერესების სადარაჯოზე

„მკაცრი იშვიათად ვარ, მაგრამ, თუ ეს შეეხება სამშობლოსა და ეკლესიის ბედს, შეუვალი ვხდები. ღვთისა და ერის მოღალატეს მკაცრი სასჯელი შემიძლია დავადო, ამავე დროს, სულ ველოდები მისგან სინანულს და, თუ მოინანიებს, მზად ვარ ყველაფერი ვაპატიო“[30, 379], – ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

მძიმე და საპასუხისმგებლოა ერის სულიერი წინამძღოლობა. ადამიანების უმრავლესობა გარედან ხედავს პატრიარქის საქმიანობას. პატრიარქი ღოცვაზეა, პატრიარქი წირავს, ტაძარში საზეიმოდ იმოსება, ზოგიერთს აინტერესებს, ოქროსია თუ არა პატრიარქის მიტრა, კვერთხი...

უწმიდესი გრძნობს ამას და გვაფრთხილებს: „როდესაც თანამედროვე ისტორიკოსები და ზოგჯერ ღვთისმეტყველნიც ეკლესიაზე წერენ, უფრო ხშირად მის გარეგნულ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას ან წარსულის მიხედვით აფასებენ მის როლს. ეკლესია გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ჩვენ გვგონია“ [30, 436].

მისი უწმიდესობის პატრიარქობის ოცდაათწლიანი ხანა, ესაა ხილული და უხილავი წინააღმდეგობების დაძლევის პერიოდი. 1977 წლის 25 დეკემბრიდან, როდესაც მისმა უწმიდესობამ სვეტიცხოველში განაცხადა, რომ შეგნებული ჰქონდა ის საპატიო მოვალეობა, რომელიც დააკისრა წმიდა ტაძრის თაღებქვეშ მაღალმა ღმერთმა, პატრიარქს ერთი დღეც არ ჰქონია მშვიდი ცხოვრება. საბჭოთა იმპერიის მესვეურნი ცდილობდნენ ეკლესია ხალხისგან მოწყვეტილი ყოფილიყო. სათქმელად ადვილია, სიონის საპატრიარქო ტაძარს მრევლი მოაწყდაო, მაგრამ ამ ძიების პროცესში მყოფ ადამიანებს მოფერება, გაფრთხილება და ჭეშმარიტ მართლმადიდებლურ ღირებულებებთან ზიარება სჭირდებოდათ. ხელისუფლებას აღიზიანებდა ხალხის ეკლესიისაკენ შემობრუნება. როგორც მისმა უწმიდესობამ გაიხსენა, მას პირდაპირ უთხრეს, რომ იქნებ უმჯობესი ყოფილიყო მხოლოდ დიდი საეკლესიო დღესასწაულების დროს ეწირა სიონში. პატრიარქი არ დასთანხმდა ამ წინადადებას. მისთვის ყველაზე რთული იყო 1977 წლის 9 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე პერიოდი. როგორი სისასტიკით იბრძოდნენ მის წინააღმდეგ, მაგრამ იგი ყოველთვის სიმშვიდეს ინარჩუნებდა. უწმიდესსა და უნეტარესს საყვედურიც კი არ უთქვამს იმ ადამიანებისათვის, რომელთაც უსამართლო ცილისწამებით გული ატკინეს მას; მაგრამ პატრიარქობის პირველივე დღეებიდანვე იგი მტკიცე და შეუვალი იყო ეროვნული და საეკლესიო ინტერესების დაცვაში.

XX საუკუნის 90-იანი წლების ახალგაზრდობა, ვერც მომდევნო თაობა სიღრმისეულად ვერ გაიაზრებს 60-80-იანი წლების საბჭოთა პოლიტიკური სისტემის რეალობას. ამ დროს ბეწვის ხიდზე უნდა გველო, რათა შეგენარჩუნებინა შენი მრწამსი, გებრძოლა მრევლთან მისასვლელ გზებზე ხელისუფლებისაგან შექმნილ დაბრკოლებათა გადასალახავად.

უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მზარდმა ავტორიტეტმა ოფიციალური ხელისუფლება შეაშფოთა. მათ დაიწყეს ეკლესიის შიგნით დასაყრდენი ძალის ძიება, რათა შიდასაეკლესიო არეულობით ეკლესიის მიმართ საზოგადოების უნდობლობა გამოეწვიათ. ამას ემსახურებოდა 1982-1983 წლების საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მოვლენები, როდესაც არნახული შეტევა დაიწყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ. საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობის მიერ მიღებული დადგენილება „მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლა“ ფაქტობრივად ეროვნული და სარწმუნოებრივი ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული. ამ ბრძოლას შეეწირა რამდენიმე მაღალი იერარქიც.

პატრიარქი ჩვეული სიბრძნითა და შეუპოვრობით ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდიდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტორიტეტს. ოფიციალური ხელისუფლების სურვილი – საქართველოს ეკლესია თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოეყენებინა – უშედეგოდ დამთავრდა.

1983 წელს, მოსკოვის მითითების შესაბამისად, საქართველოში დიდი ზემოთ უნდა აღენიშნათ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი. ადგილობრივმა ხელისუფლებამ პატრიარქს მოსთხოვა, საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც გამოხმაურებოდა ამ მნიშვნელოვან თარიღს. მაშინ უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიიღო გადაწყვეტილება, აღენიშნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის 1500, ავტოკეფალიის აღდგენიდან 65 და თავისი პატრიარქად აღსაყდრებიდან 5 წლისთავი. საქმეში ჩაუხედავი ზოგიერთი პიროვნება კი ამტკიცებდა, თითქოს მისი უწმიდესობა გასული საუკუნის 70-80-

იან წლებში ერიდებოდა ოფიციალურ საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირებას. კონფრონტაცია-დაპირისპირება არ არის მისი უწმიდესობის ცხოვრების წესი, მაგრამ 1980 წლის დასაწყისში უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის წერილი, გაგზავნილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის ზურაბ პატარიძისადმი, ბევრ კითხვას სცემს პასუხს. საქმე ეხება საერო ხელისუფლების გადაწყვეტილებას საქართველოს ეკლესია-მონასტრებში საკონცერტო ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

„ჩვენთვის გაუგებარია, – წერდა უწმიდესი და უნეტარესი ილია II, – რატომ ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ შიომღვიმის მონასტერი მოქმედი მონასტერია, ამ მონასტერს ჰყავს წინამძღვარი და აქ ღვთისმსახურება არ შეწყვეტილა; ხომ საკითხავია, რა უნდა ქართულ მონასტერში ორღანს?.. გადავავლოთ თვალი სხვა ტაძრების მდგომარეობასაც. მეტეხის ტაძარში, სადაც დაკრძალულია წმიდა დიდმოწამე შუშანიკი, ახალგაზრდული თეატრია, სპექტაკლები და ცეკვები იმართება; ბიჭვინთის დიდებულ ტაძარში, სადაც იყო კათედრა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქებისა, ამჟამად ორღანია და კონცერტები იმართება; თბილისში წმიდა ნიკოლოზის ეკლესია საკონცერტო დარბაზადაა ქცეული; ანჩისხატის საპატრიარქო ტაძარში სახელოსნოა, ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში აბანოა, წყნეთის ეკლესიაში – პურის საცხობი. საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მრავალი მონასტერი, ეკლესია გადაქცეულია საწოლებად, სახალხო გართობისა და დასასვენებელ ადგილებად. მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ისეთი ქვეყანა, სადაც ასე უპატივცემულად ეპყრობიან უძველეს სიწმიდეებს. ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეს ეკლესია-მონასტრები ჩვენმა წინაპრებმა სალოცავად ააშენეს და არა გასართობ ადგილებად... ჩვენ სინანულით მივსტირით ათონის ივერთა მონასტერს, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს იმ დროს, როდესაც საქართველოში არსებულ ტაძრებსა და მონასტრებს უდიერად ვექცევით... მე, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ვაღიარებ ვარ ღვთისა და ერის წინაშე, ვთქვა გულწრფელი, გულმართალი სიტყვა ამ უადრესად დიდი და სულიერად ფაქიზი საქმის შესახებ“ [27, 6578].

1983 წლის 18 ნოემბერს ქართველ ახალგაზრდებს (სოსო წერეთელს, ძმებ ივერიელებს, გეგა კობახიძეს, დავით მიქაბერიძეს), რომელთაც საბჭოთა სინამდვილისადმი პროტესტის ნიშნად თბილისის აეროპორტიდან სცადეს თვითმფრინავის გატაცება და უცხოეთში გაქცევა, საბჭოთა სასამართლომ უღმობელი განაჩენი გამოუტანა – ისინი უნდა დაეხვრიტათ, მათ შორის – ბეთანიის მონასტრის მღვდელი თეიმურაზ ჩიხლაძე, რომელიც იმ თვითმფრინავში არ იმყოფებოდა. ოფიციალური ხელისუფლება საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით შეეცადა საზოგადოებრივი აზრის შექმნას დახვრეტის მუხლის მხარდასაჭერად, მაგრამ მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება ახალგაზრდების დასაცავად. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ 1984 წლის 14 აგვისტოს საგანგებო წერილით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პავლე გილაშვილს: „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდისა და ჩემი სახელით, მოგმართავთ თხოვნით თქვენ და პრეზიდიუმის წევრებს, შეიწყალოთ და სიცოცხლე შეუნარჩუნოთ მათ, ვინც დააკავშირებულნი არიან თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან“ [27, 10708]; მაგრამ ხელისუფლებას საზოგადოების დაშინების მიზნით მათი დახვრეტა გადაწყვეტილი ჰქონდა და სასწრაფო წესით აღასრულა განაჩენი.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II შეუვალი და მტკიცე იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების აღორძინების, ახალი

მღვდელთავრების კურთხევის საქმეში და არ ითვალისწინებდა ოფიციალური ხელისუფლების „რეკომენდაციებს“.

დღეს სიამაყით ვამბობთ, რომ 1990 წელს მსოფლიო საპატრიარქო აღიარა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, მაგრამ ეს იოლად არ მომხდარა. 1977-1990 წლებში სტამბულსა და თბილისში არაერთი დაძაბული მოლაპარაკება გაიმართა. მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბერძენმა მღვდელთავრებმა განაცხადეს, რომ წმიდა მირონს თავიანთი ხარჯებით გამოგზავნიდნენ ხოლმე. პატრიარქი წამოდგა, მისი სახე შეუვალი გახდა. – ქართველი ხალხი ასეთ აღიარებას არ მიიღებს, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობას, რომ ავტოკეფალიური ეკლესია მირონს კონსტანტინოპოლიდან იღებს, ვერავინ იკისრებს, – განაცხადა მან.

პატრიარქი დაემშვიდობა მსოფლიო საპატრიარქოს წარმომადგენლებს... შეთანხმება ვერ შედგა. ბერძენები წავიდნენ, აეროპორტიდან დარეკეს მსოფლიო საპატრიარქოში და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მეთაურის პოზიციის შესახებ მოახსენეს. მსოფლიო საპატრიარქო იძულებული გახდა დაეთმო და მიეღო საქართველოს ეკლესიის მიერ წამოყენებული პირობები.

XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ცხოვრებამ დიდი გამოცდა მოუწყო როგორც მთელ ერს, ასევე საქართველოს სამოციქულო ეკლესიას. 1989 წლის 9 აპრილს საქართველო იყო ერთიანი და დიადი. მართალია, მთავრობის სასახლესთან სისხლი დაიდვარა, მაგრამ ზნეობრივად ამაღლებულმა ქართველმა ერმა დაამარცხა საბჭოთა იმპერია. ვერც კომუნდანტის საათი და ვერც თბილისის ქუჩებში მოგრიალე ტანკები ვეღარ შეაჩერებდნენ ქართველი ხალხის სწრაფვას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

სამწუხაროდ, ქართველთა ეს ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. თავი იჩინა პირადმა ამბიციებმა, შექმნილი ვითარების რეალურად შეუფასებლობის ტენდენციებმა, გაჩნდა უამრავი პოლიტიკური პარტია თავისი ლიდერებით, დროშებითა და ჰიმნებით. თითოეული მათგანი ქართველ ხალხს ჰპირდებოდა სანუკვარ თავისუფლებას, ეკონომიკურ სასწაულებს, ქვეყნის დემოკრატიული მოწყობის მრავალფეროვან მოდელებს. პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მხარდაჭერასა და კეთილგანწყობას. პოლიტიკურ პარტიათა ლიდერები ხვდებოდნენ უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, საკუთარ ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდნენ უწმიდესთან გადაღებულ ფოტოებს და ცდილობდნენ საზოგადოება დაერწმუნებინათ იმაში, რომ უწმიდესი და უნეტარესი იწონებდა მათ პროგრამას. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მამაშვილურად განუმარტავდა მათ, რომ საქართველოში ადგილი არ უნდა ჰქონოდა დაპირისპირებას, რომ პარტიებად ქვეყნის დაყოფას კარგად გამოიყენებდნენ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის მტრები, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა უნდა ეყრდნობოდეს მაღალზნეობას და არა ურთიერთუპატივცემულობასა და ცილისწამებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არის არა ცალკეული პარტიებისა და პიროვნებების ინტერესების გამომხატველი, არამედ იგი უნდა დარჩეს ქართველი ხალხის სულიერი ერთიანობის სიმბოლოდ, რომ ეკლესია არასოდეს არ უნდა ჩაერიოს წვრილმან პარტიულ დაპირისპირებაში.

მიუხედავად იმისა, რომ უწმიდესისა და უნეტარესის ამ მკაფიო, მართალმა პოზიციამ პოლიტიკური პარტიის ბევრი ლიდერის გაღიზიანება გამოიწვია, დრომ დაამტკიცა მისი მართებულობა. უწმიდესმა და უნეტარესმა

ილია II-მ არაერთხელ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს ურთიერთპატივისცემისა და შერიგებისაკენ, გამოთქვა მზადყოფნა მათ შორის მოლაპარაკებების საპატრიარქოში ჩატარებისა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველო 1991-1992 წლებში შიდადაპირისპირებათა და გარე ძალების მეშვეობით სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლში გაეხვია. „ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არ არის, – აღნიშნავდა მისი უწმიდესობა, – ტრაგედია მოხდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელ სწორ გზას ვერ ვიპოვით, თუ მოვლენებს მიუკერძოებლად არ გავაანალიზებთ და ყველასთვის სამწუხარო შედეგის მიზეზებს არ აღმოვფხვრით... ერი დაიყო ქალაქებსა და სოფლებში, სამსახურებში, ოჯახებში... მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება გამოვლინდა ეკლესიის მიმართაც. იმის ნაცვლად, რომ ეკლესია თვითონ დაეცვათ პოლიტიკისაგან და ამ მძიმე უამს ერის ერთობის, მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის აღევლინათ გულმხურვალე ღოცვა ღვთისადმი, მას დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოსთხოვეს. განა შეიძლება ეკლესია დადგეს პოლიტიკის გამო ორად გახლეჩილი ერის რომელიმე მხარეს და თავისი მხარდაჭერით მისცეს მორალური უფლება ერის ერთ ნაწილს მეორის გასანადგურებლად?“[33, I, 275].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II მტკიცე, შეუვალი და პრინციპული იყო რუსეთის რეაქციული ძალების მიერ აფხაზეთსა და შიდა ქართლში ინსპირირებული კონფლიქტების შეფასებაში. იმ დროს, როდესაც საერო ხელისუფლება იარაღის ძალით იქნა დამხობილი, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იყო ერთადერთი, რომელიც გამოხატავდა ქართველი ერის სულიერ და პოლიტიკურ ინტერესებს. პატრიარქმა საგანგებო წერილით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, მსოფლიო პატრიარქს, რუსეთის პრეზიდენტს, რუსეთის პატრიარქს. მან დაუფარავად მიანიშნა რუსეთის აგრესიაზე ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნის მიმართ და, როგორც 1922 წელს – უწმიდესმა და უნეტარესმა ამბროსიმ, მოუწოდა მსოფლიო თანამეგობრობას, დახმარებოდნენ საქართველოს. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში დატრიალებული მოვლენებით შეძრწუნებულ თანამემამულეებს ამ სიტყვებით მიმართა: „ჩვენს სწრაფად ცვალებად და ურთიერთდაპირისპირებულ დროში კიდევ უფრო კარგად გამოჩნდა, რომ ეკლესია არის ის ერთადერთი გადამრჩენელი ხომალდი, რომელსაც შესწევს ძალა, გადალახოს ცხოვრების გზის აბოზოქრებული ტალღები და ნაპირზე მშვიდობით მიგვიყვანოს“[30, 437].

უწმიდესმა და უნეტარესმა 1993-2007 წლებში კვლავ იმოგზაურა საქართველოს ყველა კუთხეში, შეხვდა მოსახლეობას, ადგილობრივ ინტელიგენციას, სასულიერო პირებს და მოუწოდა მათ, რომ არც ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რაგინდ მიმზიდველი პროგრამაც უნდა ჰქონოდა, არ დაეყენებინათ ქართველი ერის ერთიანობის ინტერესებზე მაღლა, რომ ის გამოცდა, რომლის წინაშეც უფალმა ქართველი ხალხი დააყენა, დაფიქრებისა და სულიერი ამაღლების საფუძველი უნდა გამხდარიყო...

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში მრავლად არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა აშკარად, დაუფარავად გაილაშქრა საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციათა მრავალრიცხოვან ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა პუბლიკაციები, რომელთა ავტორებიც ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას აფერხებდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც, მათი აზრით, შუასაუკუნოებრივი ტრადიციების დამცველი იყო. ამ ორგანიზაციებმა შეადგინეს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის გათანამედროვეობის მრავალი

პროექტი, სცადეს ეკლესიის შიგნით დასაყრდენის მოპოვება, დაიწყო ეროვნული ღირებულებების გამოცხადება ჩამორჩენილ აზროვნებად. ისინი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს ლიბერალიზაციას მოითხოვდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის პასუხი ამ გამოწვევებზე კარგად ჩანს უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის საახალწლო, საადღვომო და საშობაო ეპისტოლეებში, საკვირაო ქადაგებებში. ვინც გულდასმით გაეცნობა მათ, დაინახავს 1990-2007 წლების საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და სულიერი ცხოვრების ობიექტურ სურათს. „ზოგიერთს იქნებ ჰგონია, რომ მოციქულთა და წმიდა მამათა მიერ დადგენილი ქრისტიანული ღირებულებანი დროის შესაბამისად უნდა იცვლებოდეს. ასეთი ადამიანები სულიერებაში საერთოდ ვერ ერკვევიან და სარწმუნოებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსგავსად განიხილავენ. მათ არ ესმით, რომ მართლმადიდებლობა ეს არის ქრისტეს ეკლესია დედამიწაზე, ქრისტეს ეკლესია კი არის სულიწმიდის მადლით განახლებული სიცოცხლე ქრისტესთან და ქრისტეში“ [30, 435]. – წერდა მისი უწმიდესობა.

გასაოცარი იყო ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა აქტიურობა 2002-2004 წლებში, განსაკუთრებით – სამების საკათედრო ტაძრის გახსნის წინ. მავანნი ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკურად შეჭირვებულ საქართველოში მიზანშეუწონელი იყო ასეთი გრანდიოზული მასშტაბის ტაძრის მშენებლობა. ცნობისმოყვარე ჟურნალისტები პატრიარქს სთხოვდნენ, გამოეთქვა თავისი აზრი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირთა შესახებ. პატრიარქმა მშვიდად, ღიმილით უპასუხა მათ – სამების საკათედრო ტაძრის გახსნა ყველა კითხვაზე პასუხს გასცემსო. იგი არც შემცდარა. 2004 წლის 23 ნოემბერს, წმიდა გიორგობის დღესასწაულზე, საოცარი სანახავი იყო საქართველოს დედაქალაქი. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ყველა მოქმედი ეპარქიიდან ათასობით მორწმუნე, ეპარქიის მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების თანხლებით, წმიდა ხატებითა და საეკლესიო დროშებით ელიას მთაზე წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გახსნაზე მიიქაროდა. მრავალრიცხოვანი მორწმუნენი იყვნენ მცხეთა-თბილისის ეპარქიის ეკლესიებიდანაც. სამების საკათედრო ტაძრის ეზოსა და შემოგარენში ასი ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. ეს იყო საუკეთესო პასუხი ეკლესიის არაკეთილმოსურნეთა მიმართ. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაუფარავად აღნიშნა, რომ მან თვითონ ნახა იმ გეგმათა მონახაზი, რომელიც საქართველოს ეკლესიის დაშლას ითვალისწინებდა და, როგორც ქვეყნის პრეზიდენტმა, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა.

უწმიდესი და უნეტარესი თავისუფალი აზროვნებითა და ქცევით გატაცებულებს შეახსენებს: „სახელმწიფოებრივი აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, ღირსებითა და პასუხისმგებლობით ხასიათდება. შეუძლებელია, საზოგადოებას შინაგანად არ სურდეს თავისუფლება და სხვაზე დამოკიდებულებას ამჯობინებდეს, შეუძლებელია, საზოგადოებას არ ჰქონდეს პასუხისმგებლობა წინაპრებისა და მომავალი თაობების წინაშე და მან შექმნას რაიმე ღირებული; შეუძლებელია, ერს არ ჰქონდეს საკუთარი ღირსების გრძნობა და ააშენოს სრულფასოვანი სახელმწიფო“ [30, 227]. უღირსებო ერის დამონება ყველაზე ადვილია. საუკუნეთა მანძილზე მტრები ყოველთვის ცდილობდნენ, ქართველ ხალხში ჩაეკლათ ეროვნული ღირსების გრძნობა, მაგრამ ამას ვერ ახერხებდნენ. უკიდურესი განსაცდელის უამს ერის წიაღიდან ამოიზარდნენ ზნეობრივად და სულიერად გაუტეხელი გმირები წმიდა შუშანიკის, წმიდა მეფე არჩილის, წმიდა აშოტ კურაპალატის, წმიდა დემეტრე თავდადებულის, წმიდა ცოტნე დადიანის, წმიდა ბერი თევდორეს, წმიდა ლუარსაბ II-ის, წმიდა ქეთევან დედოფლის, წმიდა ილია მართლის, წმიდა კირიონის, წმიდა ამბროსი

აღმსარებლისა და სხვათა სახით, რომელთა მოწამებრივი ცხოვრება იყო ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დაცვისა და სულიერი სიმტკიცის დიადი მაგალითი.

XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოსათვის აქტუალურია საკითხი, როგორ იპოვოს თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. უწმიდესი და უნეტარესი აფრთხილებს საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც უყვარს საკუთარის უარყოფის ხარჯზე სხვისი მიბაძვა: „პოსტიმპერიულ საზოგადოებაში ხშირ შემთხვევაში უჩნდებათ არასრულფასოვნების განცდა, რაც მათ დამოუკიდებლობის მოპოვების ნაცვლად ხშირად ახალი „კეთილი ბატონის“ ძიებისაკენ უბიძგებს. ამას შეიძლება პირობითად პროვინციალიზმი ვუწოდოთ, როცა არასრულფასოვნების განცდის გამო ხდება უპირობო აღიარება სხვისი პრიმატისა, მაქსიმალური დამსგავსება და მონური ლტოლვა მისადმი, საკუთარი ფასეულობების უგულვებელყოფის ხარჯზე“ [30, 427]. სამწუხაროა, მაგრამ ამ საშიშროების წინაშე რეალურად აღმოჩნდა ქართველი საზოგადოება. პატრიარქი დიად აცხადებს: „თუ პიროვნებას, ხალხს, სახელმწიფოს არა აქვს სწორი რელიგიური და ეროვნული იდეოლოგია, ლიბერალიზმი აუცილებლად მტრების სასარგებლოდ იმუშავებს და შინაგანად დაანგრევს ქვეყანას. ის უბიძგებს საზოგადოებას ფსევდოდემოკრატიისა და ცრუ თავისუფლებისაკენ, გააუფასურებს ეროვნულ ღირებულებებს, დაარღვევს ფორმასა და შინაარსს საზოგადოებრივი ცხოვრებისას“ [30, 426].

ჩვენი საზოგადოება იმდენად გაიტაცა ევროამერიკულ პროცესებში ინტეგრაციის პროპაგანდამ, რომ, ჩვენდა სამარცხვინოდ, დაგვაიწყდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო თარიღები. არც მარაბდობა, არც დიდგორობა, არც კრწანისობა გვახსოვს. სასკოლო და საუნივერსიტეტო პროგრამებიდან და სახელმძღვანელოებიდან თანდათან ქრება სულიერი და ზნეობრივი ღირებულებების მქონე მასალა, რომელიც ეროვნულ სიამაყესა და ქართველობას აღვივებდა ახალგაზრდობაში. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი მეზობლებისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია იმას ეფუძნება, რის დავიწყებასაც ჩვენ ვცდილობთ. უწმიდესი და უნეტარესი ილია II გვაფრთხილებს: „როგორც ადამიანისათვის მიწიერი სურვილებით გატაცება არის დიდი ცოდვა და უაზრობა, ასევე უაზრობაა სახელმწიფო ინტერესების შემოფარგვლა მარტო ყოფითი პრობლემებითა და მიწიერი საკითხებით. თუ ხელისუფლებას სურს, არ ჩაეფლოს ამაოების ჭაობში და არ უნდა, საზოგადოების წევრები გაწიროს უმიზნო ყოფისათვის, მას ყოველთვის და ყოველ საქმეში ცათა სასუფეველი უნდა ჰქონდეს და ყველგან და ყველაფერში ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრებას უნდა ცდილობდეს. ასეთი სახელმწიფოა სიცოცხლისუნარიანი, სულით ძლიერი და გაუტეხელი. აუცილებელია, რომ საქართველომ, როგორც ძველმა ქრისტიანულმა სახელმწიფომ, იხელმძღვანელოს ქრისტიანული ეთიკით და ააშენოს ეროვნული სახელმწიფო ჩვენს ტრადიციებსა და მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დაყრდნობით“ [30, 426].

ეროვნული სახელმწიფოს აშენება, ეროვნულობის, ქრისტიანული ცხოვრების წესის დამკვიდრება გარეგნულ ეფექტებს გამოდევნებით შეუძლებელია. ყველაფერ ამას დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმაღლე სჭირდება. საზოგადოების არც ერთი წევრი თავს დამცირებულად, უსასლოდ არ უნდა გრძნობდეს. უწმიდესი და უნეტარესი ბრძანებს: „იმის საშიშროებაც აშკარაა, რომ ჩვენი მთავარი ყურადღება მიპყრობილია ტექნიკური, ეკონომიკური და ფინანსური ეფექტების მიღწევაზე, ურთიერთობის ზნეობრივი მხარე კი სრულიად დავიწყებულია, უფრო მეტად, ლამის იძულებით ხდება ზნეობრიობის გადაგვარება, ეს კი სულიერი და ფიზიკური განადგურების რეალურ საფრთხეს

ქმნის. ღმერთი ნამდვილად არ გვაპატიებს თავაშვებული ცხოვრების წესის დამკვიდრებას და ეს ყველამ უნდა გაითავისოს“[30, 431]. პატრიარქი იმ ადამიანთა საყურადღებოდ, ვისაც საქართველოს ეკლესიის დაშლა-დანაწევრება სურთ, აცხადებს, რომ ეკლესია შეუვალია და ამოა მათი იმედები, ვინც ამაზე ოცნებობს.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ინტერესები ერის სულიერი წინამძღოლის დიდ სიფხიზლესა და ყურადღებას მოითხოვს. უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძენი წინამძღოლია. ყველა ქართველმა უნდა დაიმასხოს მისი სიტყვები: „მე ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ: იყავით დაკვირვებულნი და ყურადღებიანები, ნუ დაკარგავთ ჭეშმარიტებას, ნუ დაკარგავთ ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ეროვნულ ღირებულებებს. მიწიერ საცდურზე ნუ გავცვლით მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვინ იქნება“[30, 435].

XI. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქოს სამსახურები

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, 1917 წლის ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების თანახმად, შეიქმნა საკათოლიკოსო საბჭო, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობით ყოველკვირეულ სხდომებზე იხილავდა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭირობო საკითხებს. საკათოლიკოსო საბჭოს წევრები (სულ 11 კაცი) იყვნენ როგორც სასულიერო, ისე საერო პირები. საკათოლიკოსო საბჭოს გარდა მუშაობდა საკათოლიკოსო სასამართლო, რომელსაც, სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქის თავმჯდომარეობითა და საერო და საეკლესიო სამართლის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით, გამოჰქონდა გადაწყვეტილებანი. საპატრიარქოში იყო საკათოლიკოსო კანცელარია, ჟურნალ „სვეტიცხოვლის“ რედაქცია.

საქართველოს საპატრიარქოს სამსახურების საქმიანობა შეიზღუდა 1921 წლის შემდეგ. 1923 წელს საოკუპაციო ხელისუფლებამ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას ოფიციალურად ჩამოართვა საპატრიარქო რეზიდენცია. ამ დროს საქართველოს ეკლესიას ასევე ჩამოართმეული ჰქონდა იურიდიული პირის სტატუსი. 1927 წლიდან გაუქმდა საკათოლიკოსო საბჭო, უფრო ადრე – საკათოლიკოსო სასამართლო. საპატრიარქოში შეიქმნა პატრიარქის სამეურნეო-საფინანსო თანაშემწის – ქორეპისკოპოსის – სამსახური. საკათოლიკოსო საბჭო შეცვალა სასინოდო პლენუმმა, რომელიც 1932 წლიდან კათოლიკოსის თანაი სინოდად გარდაიქმნა, XX საუკუნის 40-იანი წლებიდან კი მას წმიდა სინოდი ეწოდა. საქართველოს საპატრიარქოში აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი სამსახური. ხელისუფლებამ მოახერხა ეკლესიის საზოგადოებისაგან იზოლაცია. საპატრიარქო დარჩა კათოლიკოს-პატრიარქის, მისი თანაშემწისა და ქორეპისკოპოსის ამარა. XX საუკუნის 70-იან წლებში უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევრემ II გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო-საფინანსო სტრუქტურების საგადასახადო პოლიტიკის წყალობით ყველა სამსახური უპატრონოდ დარჩა და ისე ჩანს, საქართველოს საპატრიარქოს ლიკვიდაციამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩაო.

1977 წელს, როდესაც უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II გახდა, მან მიზნად დაისახა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო სტრუქტურების შექმნა, რომლებიც დაკომპლექტებული იქნებოდა მორწმუნე და პროფესიონალი ადამიანებით. 1979 წელს საპატრიარქოში ფუნქციონირებდა: 1. საგარეო საქმეთა სამმართველო, 2. საშინაო საქმეთა სამმართველო, 3. სარედაქციო-საგამომცემლო სამმართველო, 4. საეკლესიო ნაგებობათა, არქიტექტურულ-სარემონტო და ბუნების დაცვის განყოფილებები.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საპატრიარქოს საგარეო განყოფილებას. ამ განყოფილებას მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა ქართველ მეცნიერებთან, უნდა მოეგვარებინა მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურთა საქართველოში ვიზიტების დეტალები, შეედგინა კათოლიკოს-პატრიარქის უცხოეთში ვიზიტის სამუშაო გრაფიკი. 1977-2007 წლებში საპატრიარქოს საგარეო განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ: მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე), მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია). ამჟამად განყოფილების ხელმძღვანელია მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

XX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოს საპატრიარქოს სახელით ყოველწლიურად იბეჭდებოდა მხოლოდ საეკლესიო კალენდარი, მაგრამ, უწმიდესისა და უნეტარესის ღვაწლით, შესაძლებელი გახდა საეკლესიო ჟურნალის, საღვთისმსახურო და საეკლესიო წიგნების ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით მომზადება და გამოცემა, სხვადასხვა ენიდან აუცილებელი სასულიერო ლიტერატურის თარგმნა. ყოველივე ეს დიდ მუშაობას მოითხოვდა. უწმიდესის ღოცვა-კურთხევით, საპატრიარქოში ფუნქციონირებს საგამომცემლო განყოფილება (გამგე პროფესორი გვანცა კოპლატაძე), საღვთისმსახურო წიგნების შესწავლისა და რედაქტირების კომისია (თავმჯდომარე მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)), გამომცემლობისა და საღვთისმეტყველო წიგნების რეცენზირების დეპარტამენტი (თავმჯდომარე

მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი)). საპატრიარქოს ეგიდით იბეჭდება მრავალფეროვანი სასულიერო ლიტერატურა დოგმატიკის, საეკლესიო კანონიკის, ღვთისმეტყველების, საეკლესიო სამართლის საკითხებზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სასულიერო პირთა და მეცნიერთა ჯგუფმა შეადგინა წმიდა ნინოს საქართველოში შემოსვლის მარშრუტი ფარავნის ტბიდან მცხეთამდე. ამ მარშრუტით მომლოცველებმა დაიწყეს მოგზაურობა. ისინი სასულიერო პირებთან ერთად ხვდებიან ნინოწმიდის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის რაიონების მოსახლეობას, ესაუბრებიან საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიაზე, წმიდა ნინოს მოციქულებრივ ღვაწლზე. მათი მეშვეობით მრავალი ადამიანი მოინათლა, დაუბრუნდა დედაეკლესიას. უწმიდესი და უნეტარესი მომლოცველებს სვეტიცხოველში ხვდება I ივნისს და მათ სამახსოვრო საჩუქრებით აჯილდოებს. მომლოცველები ასევე მოგზაურობენ წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზაზე დიდაჭარიდან აწყურამდე. საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას. უწმიდესის ლოცვა-კურთხევით საპატრიარქოში შექმნილი მომლოცველობის სამსახური (გამგე არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი) აწიებს ქართველ მორწმუნეთა ორგანიზებულ გასვლებს საზღვარგარეთის ქართულ სიწმიდეთა მოსალოცად.

1987-2007 წლებში საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად შეირაცხა არაერთი გამოჩენილი საეკლესიო და საერო მოღვაწე. წმინდანად ამა თუ იმ პიროვნების შერაცხვას წინ დიდი სამუშაოები უძღვის. წყაროების, ლიტერატურის, საეკლესიო კანონიკის შეჯერების საფუძველზე თავიდან იწერება მისი ბიოგრაფია, რომელშიც მკაფიოდ უნდა ჩანდეს პიროვნების დამსახურება ეკლესიისა და ერის წინაშე, მისი სულიერი ცხოვრების დეტალები. ყოველივე ამას წარმატებით ასრულებს საპატრიარქოს წმინდანთა კანონიზაციის კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).

ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის მიზნით საქართველოში ფუნქციონირებდა ძეგლთა დაცვის კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორი ირაკლი ციციშვილი. ამ კომიტეტმა არაერთი მონასტრის რესტავრაცია შეძლო, მაგრამ ოფიციალური ხელისუფლებისათვის ეკლესია-მონასტრებს მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა ჰქონდა და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდა აღდგენილ ეკლესია-მონასტრებში ღვთისმსახურების ჩატარებას. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო ეკლესია-მონასტრების საპატრიარქოსათვის დაბრუნების რთული პროცესი, შეუდგნენ ახალი ეკლესიების მშენებლობას. შექმნილი ვითარება მოითხოვდა საპატრიარქოსთან ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის შექმნას, რომელიც საეკლესიო კანონიკის დაცვით წარმართავდა ამ პროცესს. უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). ჯერ კიდევ 1957 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მელქისედეკ III-ისადმი გამოგზავნილ წერილში ზაგორსკის სასულიერო აკადემიის I კურსის სტუდენტი ილია შიოლაშვილი საჭიროდ მიიჩნევდა ხალხში გაბნეული საეკლესიო სიწმიდეების შეგროვებას და, საეკლესიო მუზეუმის შექმნას. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საპატრიარქოში შექმნა სიწმიდეების მოძიებისა და დაცვის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი ელისე (ჯოხაძე).

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მრავალსაუკუნოვანი ქართული საეკლესიო გალობის შესწავლის, დაცვისა და ღვთისმსახურების დროს მისი გამოყენების საკითხებს. 1977 წლიდან საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში აღდგა ქართული ტრადიციული გალობა. უწმიდესი და უნეტარესი არაერთი ქართული საგალობლის ავტორია. საპატრიარქოში ფუნქციონირებს სამგალობლო ცენტრი, რომელსაც ხელმძღვანელობს ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 2006 წლიდან ამოქმედდა გალობის უმაღლესი სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი. ბოლო ხანს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სასულიერო და საერო პირთა ერთმა ჯგუფმა სცადა ბერძნულ ერთხმიან სამგალობლო მელოდიებზე აგებული ქართული გალობის შემოტანა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა ამგვარი ექპერიმენტი მიუღებლად მიიჩნია. უწმიდესმა და უნეტარესმა ამასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია და განაცხადა, რომ ეს არის შეურაცხყოფა ქართული გალობისა და ქართული ტრადიციებისა, მამებისა და ჩვენი წარსულისა. მისმა უწმიდესობამ 2003 წლის 14 თებერვალს ბერძენ მუსიკათმცოდნე გრიგორიუს სტათისთან შეხვედრაზე აღნიშნა: “ვფიქრობ, რომ ბერძნული მუსიკის ქართულ სიტყვებზე გალობა ცოტა უხერხულია. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ საერთოდ ბიზანტიურ მუსიკას, მაგრამ ყველა ერს თავისი გალობა და თავისი ტრადიციები აქვს.”

მრავალხმიანი უნიკალური ქართული გალობის შენარჩუნება და განვითარება უწმიდესისა და უნეტარესის სახელთანაა დაკავშირებული.

საპატრიარქოში ფუნქციონირებს გამწვანებისა და ეკოლოგიის დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია). საპატრიარქოში ფუნქციონირებს აგრეთვე აგროსამრეწველო დეპარტამენტი, რომელსაც არქიმანდრიტი მიქაელ გაბრიჭიძე ხელმძღვანელობს. საპატრიარქოს აღნიშნულ სამსახურებს მჭიდრო ურთიერთობა აქვთ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან. ეკლესია ზრუნავს საქართველოს უნიკალური ფლორისა და ფაუნის დასაცავად.

საქართველოს საპატრიარქოს შეიარაღებულ ძალებთან და სამართალდამცავ დაწესებულებებთან ურთიერთობის განყოფილება (ხელმძღვანელი დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე) კოორდინაციას უწევს შეიარაღებულ ძალებში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის სულიერი შვილების ქრისტიანულ ცხოვრებას, შეიარაღებული ძალების დისლოკაციის ადგილებში სასულიერო პირთა საქმიანობას. მსჯავრდებულებთან ურთიერთობის განყოფილება, დეკანოზ გიორგი თევდორაშვილის ხელმძღვანელობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან აგზავნის სასულიერო პირებს აღსარებისა და ზიარების მოსურნეთა სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. უწმიდესი და უნეტარესი თვითონაც სისტემატურად დაბრძანდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ხვდება მსჯავრდებულებს. მას მიაჩნია, რომ სასჯელაღსრულების ადგილებში ისეთი პირობები უნდა იყოს, რომ მსჯავრდებულს საშუალება მიეცეს, დაუფიქრდეს ჩადენილ დანაშაულს, მოინანიოს და იფიქროს გამოსწორებაზე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II თვლის, რომ ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული დაავადება – ნარკომანია – ადამიანში ცხოვრების სიძნელეების შიშითა და ამქვეყნიური პრობლემებისაგან განრიდების სურვილით არის გამოწვეული. პატრიარქის ინიციატივით, საპატრიარქოში არაერთი შეხვედრა გაიმართა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებზე.

საპატრიარქოში ფუნქციონირებს საფინანსო-ეკონომიური საბჭო (თავმჯდომარე დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე), ხალხური რეწვის განყოფილება

(უფროსი ელისო არაბული), საპატრიარქოს ბიბლიოთეკა (ხელმძღვანელი მონაზონი ნინო გრიგოლაძე), საეკლესიო ხელოვნების ცენტრი (ხელმძღვანელი პროფესორი ზაზა სხირტლაძე), საინფორმაციო სამსახური (თავმჯდომარე მიტროპოლიტი დიმიტრი შიოლაშვილი). უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ახალგაზრდობასთან ურთიერთობას, მომავალი თაობის მართლმადიდებლური რწმენითა და სულიერებით აღზრდას. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას ემსახურება საპატრიარქოს ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (თავმჯდომარე ეპისკოპოსი სტეფანე კალაიოჯიშვილი), ახალგაზრდული ცენტრი „ძლევაი“ (ხელმძღვანელი კონსტანტინე სვანიძე). საპატრიარქოს სასულიერო სასწავლებლებს, სკოლა-ლიცეუმებსა და გიმნაზიებს ხელმძღვანელობს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი (თავმჯდომარე პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი). საპატრიარქოსთან არსებობს სოციალური დაცვის უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი (თავმჯდომარე იღუმენი ადამ ახალაძე), რომელიც ეხმარება შეჭირვებულ ადამიანებს. საპატრიარქოს არქივს ხელმძღვანელობს მზია კაცაძე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ეხმარებიან: ქორეპისკოპოსი – მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე), კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი – დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი, კათოლიკოს-პატრიარქის მდივან-რეფერენტი შორენა თეთრუაშვილი, კანცელარიის გამგე იოანე გაგუა. საპატრიარქოს პრესცენტრი (ხელმძღვანელი დეკანოზი დავით შარაშენიძე) უწმიდესსა და უნეტარესთან შეთანხმებით საზოგადოებას აცნობს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის პოზიციას ქვეყნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სულიერ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს საპატრიარქოს სამსახურების გამართული, შეთანხმებული საქმიანობა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წარმატების საფუძველია.

XII. პატრიარქი

ა) ურთიერთობა პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს თავისი სასულიერო მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში საინტერესო შეხვედრები ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, რელიგიურ ლიდერებთან. 1977 წელს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის

მიტროპოლიტი ილია დელიში შეხვდა ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს – შრი ფახრუდანი ალი ახმედს და პრემიერ-მინისტრს – ინდირა განდის. ამ შეხვედრაზე ინდოეთის ხელმძღვანელობამ პირველად მიიღო ვრცელი ინფორმაცია საბჭოთა კავშირში შემავალი ერთ-ერთი რესპუბლიკის – საქართველოს, მისი ისტორიის, კულტურისა და რელიგიური აღმსარებლობის შესახებ.

1988 წლის აპრილში საქართველოში სტუმრად მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯორჯ შულცმა სურვილი გამოთქვა, შეხვედროდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. სიონის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობა გულთბილად მიესალმა საპატიო სტუმარს, განუმარტა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის როლი და მნიშვნელობა. თავის მხრივ, ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: „ის მიზნობრივი როლი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ შეასრულა ქართული კულტურის, ენისა და სულის ამაღლებასა და განმტკიცებაში, ნამდვილად შთაბეჭდავია.“[34, 1988, 22, 17].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II 1991 წელს თბილისში შეხვდა და ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების ექსპრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს, 1995 წელს შეხვდა რუმინეთის პრეზიდენტს იონ ილიესკუს, 1996 წელს – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს რომან ჰერცოგს. მისი უწმიდესობა 1993 წელს თბილისში შეხვდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბორის ელცინს, ხოლო 2005 წელს მოსკოვში – პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს. რუსეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრების დროს მისი უწმიდესობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთპატივისცემასა და ტერიტორიული მთლიანობის უპირობო აღიარებას. 1995 წელს პატრიარქმა თავის რეზიდენციაში უმასპინძლა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას, ხოლო 2006 წელს – პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს. უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვედრია აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტებს: პეიდარ ალიევსა და ილხამ ალიევს.

1995 წელს უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს შეხვედრა ჰქონდა საბერძნეთის მეფე კონსტანტინესთან. პატრიარქმა ამ შეხვედრას ისტორიული უწოდა: „თითქოს აღდგა 1000 წლის წინანდელი ტრადიცია, როცა ბიზანტიის იმპერატორები ეწვეოდნენ ხოლმე საქართველოს და ჩვენი მეფეები ჩადიოდნენ საბერძნეთში. თქვენს ვიზიტში ჩვენ ვხედავთ ნიშანს ღვთის დიდი განგებისა და ამიტომაც ფსალმუნის სიტყვებით ვამბობთ: „ესე არს დღე, რომელ ქმნა უფალმან, ვიხარებდეთ და ვიშუებდეთ ამას შინა“. თქვენმა ჩამობრძანებამ საქართველოს მიწაზე წარსულ საუკუნეთა სუნთქვა მოიტანა და გაგვახსენა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებთან დაკავშირებული მოვლენები.“[30, 354].

უწმიდესი და უნეტარესი ერევანსა და თბილისში არაერთხელ შეხვდა სომხეთის პარლამენტის სპიკერს კარენ დემირჭიანს, სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტებს: ლეონ ტერ-პეტროსიანსა და რობერტ ქოჩარიანს. ამ შეხვედრებზე განხილული იყო ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხები.

უწმიდესი და უნეტარესი 2000 წლის დეკემბერში, წმიდა მიწაზე ქრისტეშობის დღესასწაულის აღნიშვნის დროს, შეხვდა პაპესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარეს იასირ არაფატს. 2001 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტ მუჰამედ ჰათამთან შეხვედრისას მისმა უწმიდესობამ აღნიშნა: „საქართველო-ირანის ურთიერთობის ფესვები ძველი წელთაღრიცხვის შორეული წარსულიდან იწყება. იმ უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე არ დამცხრალა დაპირისპირება ჩვენს ქვეყნებს შორის. ირანი იყო სახელმწიფო, რომელსაც ყოველთვის სურდა, თავის მფლობელობაში ჰქონოდა ჩვენი მიწა-წყალი და ამ მიზნის მისაღწევად მკვეთრ ნაბიჯებს დგამდა. მიუხედავად ურიცხვი შემოსევისა, ქართველი ხალხი ბოლომდე არ გამტყდარა

და მრავალგზის დარბეული და განადგურებული, შემდეგ კი ფენიქსივით აღმდგარი, კვლავ იწყებდა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის“[30, 286]. უწმიდესმა და უნეტარესმა გამოთქვა რწმენა, რომ XXI საუკუნეში ორ განსხვავებული პოლიტიკური და რელიგიური სისტემის ქვეყანას შორის შესაძლებელი გახდებოდა ურთიერთთანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა.

2001 წელს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახალი იუსტინიანესა და სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსის მიწვევით იმყოფებოდა კვიპროსში და შეხვდა კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს. უწმიდესი და უნეტარესი ქართველი ხალხის სახელით მიესალმა მას და ბრძანა: „ჩვენ დიდი სიყვარულით ჩამოვედით თქვენს ბრწყინვალე ქვეყანაში და გვაქვს სურვილი, გავაგრძელოთ საუკუნეთა მანძილზე არსებული ძმური ურთიერთობა. კვიპროსის სიწმიდეებსა და ეკლესია-მონასტრებს დიდ პატივს სცემდნენ ჩვენი მეფეები და დიდებულები, ამიტომაც ხშირად ეხმარებოდნენ. ამასთან, ქართველებიც მრავლად ცხოვრობდნენ აქ. მათ კოლონია ჰქონდათ ნიქოზიაში, რამდენიმე მონასტერი – ალამანის რაიონში, მათ შორის – დალიას, იგივე ქალიას ეკლესია, რომელიც განამშვენა და შეამკო თამარ მეფემ. ჩვენი ორი ქვეყნის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია კიკოს მონასტერს. აქ დღესაც დაცულია დიდებულთაგან შეწირული საეკლესიო ნივთები, მათ შორის – ერეკლე მეფისეული ცნობილი დაფარნა, რომელიც სახეს უფარავდა ყოველწმიდა ღვთისმშობლის ლუკა მახარებლისეულ ხატს“[30, 253].

უწმიდესსა და უნეტარესს შეხვედრები ჰქონდა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსების მინისტრ ფრანსუა ჟისკარ დე სტენთან, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ კლარუს კინკელთან, ევროგაერთიანების კომისარ ტორბენ ხოლიოსთან, საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის სახელმწიფოთა ელჩებთან. ამ შეხვედრების დროს უწმიდესი და უნეტარესი ილია II საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული მნიშვნელობის, მსოფლიო გლობალური პოლიტიკის პრობლემებს იხილავდა. მისი უწმიდესობის დახვეწილ დიპლომატიას, მოვლენების სწორ ხედვას ერთხმად აღნიშნავდნენ ხოლმე შეხვედრიდან გამოსული სტუმრები.

პატრიარქობის ოცდაათი წლის მანძილზე უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს მმართველ პოლიტიკელსთან. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი მოკავშირე რესპუბლიკა, იმართებოდა მოსკოვის მიერ დანიშნული ადგილობრივი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნების მეშვეობით. 1972-1985 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ედუარდ შევარდნაძე. იმ დროს საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მიზანად ჰქონდა დასახული, რომ საქართველო გადაექციათ საყოველთაო ათეიზმის ქვეყნად. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ახლადარჩეულ პატრიარქსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს შორის ურთიერთობა საკმაოდ რთული იქნებოდა. ე. შევარდნაძე ისე გადაიყვანეს მოსკოვში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად, რომ ერთხელაც არ შეხვედრია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს.

1978 წლის ოქტომბერში ზ. ფაღიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ჩატარდა წმიდა შუმანიკის წამების დაწერიდან 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა. სხდომის პრეზიდიუმში მიწვეულ იყვნენ პარტიისა და საბჭოთა ორგანოების მაშინდელი ხელმძღვანელები, მეცნიერები. სხდომას ესწრებოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ეს იყო მისი ეპიზოდური შეხვედრა ე. შევარდნაძესთან. 1986 წელს მოსკოვის აეროპორტში ე.

შეგარდნაძე შემთხვევით შეხვდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს, ხელი ჩამოართვა და ამ სიტყვებით მიმართა: „მე ვამაყობ თქვენით“. თავის მხრივ, უწმიდესმა და უნეტარესმა წარმატება უსურვა მას და შეახსენა, საკუთარი სამშობლო არასოდეს დაგავიწყდესო.

1985-1989 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო ჯუმბერ პატიაშვილი. დროის ეს მონაკვეთი საბჭოთა კავშირში „პერესტროიკის“ ანუ გარდაქმნებისა და რეფორმების ხანადაა ცნობილი. ძირგამომპალი საბჭოთა სისტემის გადარჩენის მცდელობა იყო კომუნისტური პარტიის მიერ XX საუკუნის 20-70-იან წლებში ჩადენილ დანაშაულთა მონანიების, თავისუფალი, დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებისაკენ გადადგმული ნაბიჯები. ოფიციალურმა ხელისუფლებამ აღიარა ეკლესიასთან დამოკიდებულებაში დაშვებული შეცდომები და სინდისის თავისუფლების დეკლარირებული აღიარებიდან მის პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგა. გამარტივდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ოფიციალური რეგისტრაცია და ამოქმედება. ასეთ ვითარებაში საპატრიარქოსა და საერო ხელისუფლებას შორის თანამშრომლობა კონსტრუქციული გახდა. ხელისუფლებამ ნება დართო საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, გაეხსნა თბილისის სასულიერო აკადემია. ჯუმბერ პატიაშვილი რამდენჯერმე შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს.

1989-1990 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იყო გივი გუმბარიძე. 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა – ერთი მხრივ, არსებობდა ოფიციალური ხელისუფლება, რომელსაც ხალხში არანაირი ავტორიტეტი აღარ ჰქონდა, და, მეორე მხრივ, – ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც რეალურ ძალას ფლობდა და აკონტროლებდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს. გივი გუმბარიძის მმართველობის დროს საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა ის ისტორიული შენობა, რომელიც 1923 წელს ბოლშევიკურმა საოკუპაციო ხელისუფლებამ ეკლესიას ჩამოართვა.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ დაემხო კომუნისტური მმართველობა და ხელისუფლების სათავეში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული წინამძღოლი ზვიად გამსახურდია. ზვიად გამსახურდია მორწმუნე პიროვნება იყო. იგი ჯერ კიდევ 1972 წელს უჭერდა მხარს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილიას კანდიდატურას და მას საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში ყველაზე გამორჩეულ, ნათელ პიროვნებად მიიჩნევდა.

1979 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა პატრიარქს: „უწმიდესო და უნეტარესო! დღეს, როდესაც აღსრულდა ქართველი ხალხის სანუკვარი ოცნება და თქვენ მოვევლინეთ მამამთავრად ივერიის წმიდა სამოციქულო ეკლესიას, ყოველი ქართველის უწმიდესი მოვალეობაა, ამოგიდგეთ მხარში და თავისი თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს ჩვენი ეკლესიის აღორძინების დიდ საქმეში. ჭეშმარიტად დიდი და სასიხარულო ცვლილებებია ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში, თქვენი მადლიანი ხელი დაეცყო ყოველივეს, ჭეშმარიტად არ ყოფილა განწირული წმიდა ივერია, მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წარსულის ზოგიერთი მანკიერება ჯერაც არ აღმოფხვრილა და ბევრი რამ მოითხოვს ყურადღებას“ [27, 15585].

ზვიად გამსახურდია 1979-1989 წლებში სიონის საპატრიარქო ტაძრის მრევლი იყო, ესწრებოდა წირვა-ლოცვებს, ცდილობდა ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედებას, მონაწილეობდა დავით გარეჯის

სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის ღონისძიებებში, აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიას 1990 წლის 14 ნოემბერს, დალოცა სესიის მონაწილეები, ზვიად გამსახურდიას მიულოცა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევა და წარმატებები უსურვა საქმიანობაში. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ეროვნული მთავრობის გვერდით იდგა და ცდილობდა ეროვნული თანხმობის შენარჩუნებას, რომლის გარეშეც ახალგაზრდა დემოკრატიულ ქვეყანას გაუჭირდებოდა საბჭოთა იმპერიის მარწუხებიდან თავის დაღწევა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიესალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას 1991 წლის 9 აპრილს, მიულოცა ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევა. უწმიდესი და უნეტარესი თვლიდა, რომ ეკლესია პირდაპირ არასოდეს არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკურ პროცესებში, რომ მისთვის ძნელია არჩევანის გაკეთება თანამემამულეთა შორის პარტიული ნიშნის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ იყო მცდელობა ეკლესიის პოლიტიზაციისა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ არ დაუშვა მოვლენების ასეთი განვითარება. 1991 წლის შემოდგომაზე საქართველოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების განმუხტვის მიზნით საქართველოს საპატრიარქომ სცადა საპატრიარქოში მოლაპარაკებები გაემართა ხელისუფლებასა და საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან. უწმიდესმა და უნეტარესმა საგანგებო წერილებით მიმართა ზვიად გამსახურდიას, აკაკი ასათიანს, ბესარიონ გუგუშვილს, პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებს, ოპოზიციას. „საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია, – ნათქვამი იყო წერილში, – ქართველი ქართველს დაუპირისპირდა, მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლისღვრა, არ უნდა მოხდეს ეს სამარცხვინო ფაქტი. ნუ ჩავიდნით საშინელ ცოდვას ღვთისა და ერის წინაშე. მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს დიალოგი თქვენს შორის და მშვიდობიან ვითარებაში გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. თუ იქნება თქვენი სურვილი, მზად ვარ მონაწილეობა მივიღო ამ დიალოგში“ [27, 6870].

სამწუხაროდ, არც ხელისუფლებასა და არც ოპოზიციას არ ეყო გონიერება, და საქართველოში დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება. ზ. გამსახურდია იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო. მისი მომხრეები გაღიზიანებული იყვნენ საქართველოს ეკლესიაზე, მაგრამ, დროთა ვითარებაში, მოვლენების ობიექტური შეფასების შემდეგ, მიხედნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არჩევანს ვერ გააკეთებდა უღირს და ღირსეულ შვილებს შორის. ის, რაც მოხდა, იყო უბედურება, მაგრამ ეკლესია უნდა დარჩენილიყო ქართველი ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ.

რთული იყო უწმიდესისა და უნეტარესის ურთიერთობა სამხედრო საბჭოსთან იმ დროს, როდესაც ქვეყანაში სამოქალაქო ომი, ეკონომიკური სიძნელებები და პოლიტიკური კრიზისი გრძელდებოდა. სამხედრო საბჭო, თ. სიგუას, თ. კიტოვანისა და ჯ. იოსელიანის სახით, გადაულახავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ვითარებაში 1992 წლის 7 მარტს მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც ჯერ – სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ – სახელმწიფოს მეთაურად, ხოლო 1995 წლიდან საქართველოს პრეზიდენტად იქნა არჩეული.

თბილისში დაბრუნებული ე. შევარდნაძე პირველად სიონის საპატრიარქო ტაძარში მივიდა და ამით ყველას მიაჩნია, რომ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საქართველოს სახელმწიფოს გაუჭირდებოდა მრავალრიცხოვანი სერიოზული პრობლემების მოგვარება. უწმიდესი და უნეტარესი ილია II

თვლიდა, რომ უმძიმესი ვითარებიდან საქართველოს გამოსაყვანად აუცილებელი იყო ე. შევარდნაძისათვის მხარდაჭერა და არა პარტიულ-ნომენკლატურული წარსულის გამო მისი კრიტიკა. უწმიდესმა და უნეტარესმა არაერთხელ დააფიქსირა მისადმი მხარდაჭერა. 1993 წელს, როდესაც რუსეთის რეაქციული ძალების მიერ აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ უფრო გამძაფრდა დაპირისპირება, პატრიარქმა საგანგებო წერილებით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს, მსოფლიო პატრიარქს, რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურს, რუსეთის პრეზიდენტსა და პატრიარქს და მოუწოდა სწორად შეეფასებინათ აფხაზეთში დატრიალებული მოვლენები და სასწრაფოდ მიეღოთ ზომები სისხლისღვრის შესაწყვეტად.

1993 წლის 31 დეკემბერს ე. შევარდნაძემ ამ სიტყვებით მიულოცა ახალი წელი მის უწმიდესობას: „ძვირფასო ბატონო ილია, აფხაზეთში გამგზავრების წინ გადავწყვიტე ორიოდ სიტყვით შეგეხმიანოთ და ახალი წელი მოგილოცოთ, თქვენ და მთელ ქართველ ხალხს ვუსურვო, რომ ასეთი მძიმე წელი აღარ განმეორებულიყოს საქართველოს მომავალ ისტორიაში. პირადად თქვენ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ მხარდაჭერისათვის, თქვენი ლოცვა-კურთხევისათვის, რომელიც რწმენას, ძალასა და ენერგიას მატებს ჩვენს მრავალტანჯულ ხალხს. გილოცავთ ახალ წელს“ [27, 719].

1996 წელს ელიას მთაზე საფუძველი ჩაეყარა წმიდა სამების საკათედრო ტაძარს. პრეზიდენტი ე. შევარდნაძე ყოველმხრივ დახმარებას უწევდა ტაძრის მშენებლობას. 1997 წლის 25 დეკემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის აღსაყდრებიდან 20 წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მისი უწმიდესობა დაჯილდოვდა საქართველოს სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – „წმიდა დავით აღმაშენებლის ორდენით“. დაჯილდოების დროს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა: „ ძნელია ეს გზა, ერისა და ყოველი ჩვენგანის სულიერი განწმენდის გზა, მაგრამ თქვენი ლოცვა-კურთხევითა და შეგონებით მჯერა, საქართველო ამ გზას გაივლის. მე ვიცი, თქვენ არ გასურდათ ხმაურიანი ყოფილიყო თქვენი საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, მაგრამ ერი ცხოვრობს ამ თარიღებით, ფიქრობს და ლოცულობს თქვენთან ერთად, რადგან თქვენ ერის, დროისა და ისტორიის კუთვნილება ხართ“ [27, 16459]. 2002 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ სამოციქულო ეკლესიას შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება-კონკორდატი პრეზიდენტისა და პატრიარქის სერიოზული თანამშრომლობის შედეგია.

ე. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი შეეცადა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ეროვნული სიწმიდეები უცხოეთში გამოფენაზე გაეტანა. ეკლესიისა და ხალხის კატეგორიული მოთხოვნით ეს მცდელობა ჩაიშალა. ე. შევარდნაძეს მიმართეს საპროტესტო წერილით, რომელსაც 100 000-ზე მეტი ადამიანი აწერდა ხელს: “ბატონო პრეზიდენტო, ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ინტენსიური სულიერი ექსპანსიის დროს, დაუშვებლად მიგვაჩნია, საქართველო მაცხოვრის შობის 2000 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულს ეროვნულ სიწმიდეთა გარეშე შეხვდეს. კეთილმორწმუნე ქართველი ერი უმორჩილესად გთხოვთ, არ დაუშვათ ეროვნულ სიწმიდეთა საზღვარგარეთ გამგზავრება“ [27, 2203, 14537].

2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციის“ დროს ე. შევარდნაძე გადადგა საქართველოს პრეზიდენტის პოსტიდან. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მის ამ ნაბიჯს მამაცური და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გამომხატველი უწოდა. უწმიდესი და უნეტარესი ქრისტიანული სიყვარულითა და პატივისცემით მოიკითხავს ხოლმე ექსპრეზიდენტს. 2005 წლის 30 აპრილს ე. შევარდნაძემ ასე შეაფასა საქართველოს სულიერ წინამძღოლთან თავისი მრავალწლიანი ურთიერთობა: „ვამაყობ იმით, რომ მრავალი წლის

განმავლობაში ჩვენ თანამოაზრენი და საქართველოს ბედნიერებისათვის მებრძოლნი ვართ. რამდენად დაღვინებული ვართ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ უფლისა და ჩვენი ხალხის წინაშე პირნათელნი ვართ. რომ არა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და თქვენი უწმიდესობის დიდი ღვაწლი, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო დიდ სიძნელეებთან და მსხვერპლთან იქნებოდა დაკავშირებული. ყველაფრისათვის დიდი მადლობა“[27, 16458].

2004 წლიდან საქართველოს პრეზიდენტია მიხეილ სააკაშვილი. ახალგაზრდა პრეზიდენტის ინაუგურაცია-კურთხევა შესრულდა გელათში, წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავთან. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს: „თქვენო აღმატებულებაჲ, ბატონო პრეზიდენტო! ყველაფერი ამქვეყნად ღვთის განგებით ხდება. განგებამ უფლისამ დაგადგინათ ღღეს თქვენ ამ დიდებულ ტაძარში, რათა მოგენიჭოთ მადლი ღვთისა ჩვენი ქვეყნის წარსამართებლად. ეს არის წმიდა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული ის საგანე, რომელიც საუკუნეთა მანძილზე იყო სიმბოლო ქართველი ერის სიბრძნისა და გონიერებისა, რწმენისა და სულიერი სიმაღლისა; ეს არის ის წმიდა ადგილი, სადაც დაღვრილია მრავალი ცრემლი და აღვლენილია მრავალი ღოცვა უფლის წინაშე საქართველოს მთლიანობისა და კეთილდღეობისათვის. თქვენი წარმატების დიდი გარანტი არის ხალხის ნდობა. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ იგი განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასაც გაკისრებთ და მას გაფრთხილება უნდა. არიან ხელისუფალნი, რომელნიც სათნოეყოფიან კაცთა და მხოლოდ მიწიერი საზრუნავით მოცულნი ცდილობენ დროის შესაბამისად იმოქმედონ. ასეთი ადამიანები ვერ ქმნიან სახეს ისტორიისას. არიან ხელისუფალნი, რომელნიც თავისი ქმედებებით, უპირველეს ყოვლისა, სათნოეყოფიან უფალს და ჯილდოდ მიწიერ დიდებასაც იღებენ. როგორც წესი, მათი სახელი საუკუნეებს ახსოვთ. არჩევანი თქვენზეა. აქ, ამ ტაძრიდან იწყება თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, მოღვაწეობის პირველი დღე. ინებოს ღმერთმა, რომ ეს გზა იყოს ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და კეთილწარმატების მომტანი... გელათში, წმიდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ფიცის დადება სიმბოლოურია და დიდად საპასუხისმგებლო, ვინაიდან აქ არა მარტო დღევანდელი, არამედ მთელი ზეციური საქართველო დგას და თქვენგან „ჩუულებსაებრ მამულისა სვლას“ მოითხოვს“[27, 15764].

2004-2007 წლებში პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ეკონომიკური რეფორმები. საქართველომ ივალდებულა შეიარაღებული ძალების გადაყვანა ნატოს სტანდარტებზე. ჩატარდა სასამართლო და პოლიციის სისტემების რეორგანიზაცია, გადაიდგა ნაბიჯები სამოქალაქო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისაკენ, მაგრამ ეროვნული ტრადიციებისა და ღირებულებების გაუფასურების ტენდენციაც აშკარაა. მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები ღიად უპირისპირდებიან საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და მის მეთაურს. არის მცდელობა, გადასინჯულ იქნეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატი, რომელიც, ფაქტობრივად, არ მუშაობს. სამწუხარო გაუგებრობა მოხდა 2007 წელს აჭარაში, ფერიის მთაზე, სადაც დაანგრიეს მშენებარე ეკლესია. უწმიდესი და უნეტარესი ასე ახასიათებს შექმნილ ვითარებას: „მიმდინარეობს საეკლესიო საკითხებზე არაკორექტული, ხშირ შემთხვევაში კი შეურაცხყოფილი და ცილისმწამებლური მსჯელობები. ყველაფერ ამას ერთგვარი ორგანიზებული სახე აქვს და მასში მონაწილეობას იღებენ როგორც ეკლესიის წევრები, ისე მის გარეთ მყოფი პირები. ჩვენთვის გაუგებარია აღნიშნულ პროცესებში იმ ადამიანთა მონაწილეობა, რომელთაც

ეკლესიასთან კავშირი არა აქვთ, ვინაიდან მათ ამის არც ცოდნა, არც მორალური და იურიდიული უფლება არა აქვთ; ხოლო ისინი კი, რომელნიც ეკლესიის წევრად მიიჩნევენ თავს და ეკლესიასა და მის იერარქს კი საჯაროდ განიკითხავენ, არღვევენ უძველეს საეკლესიო წესსა და ტრადიციას, რომლის უგულებელყოფაც ნებისმიერი მოტივით სრულიად გაუმართლებელია... პრობლემები ყველა საზოგადოებასა და ყველა დროში იყო, არის და იქნება, ისევე – როგორც ეკლესიაში, ოღონდ მათდამი მიდგომა და შესაბამისი ქმედებაა ორგვარი. ერთის საფუძველი სიძულვილი, მიზანი კი ზიანის მოტანაა, მეორისა – სიყვარული და გამოსწორების სურვილი. ორივე დამოკიდებულება ადვილად იცნობა. ეკლესიასთან დაკავშირებით დღეს მიმდინარე პროცესებიც ნათლად ავლენს, თუ სინამდვილეში რასთან გვაქვს საქმე“[38, 583].

საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს, არაერთხელ აღუნიშნავს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში, ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაში. 2007 წლის 28 აგვისტოს, მარიამობის დღესასწაულზე, სიონის საპატრიარქო ტაძარში მან კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს ხელისუფლების სრული მხარდაჭერა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, მისი უწმიდესობის მიმართ და გამოთქვა იმედი, რომ პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისთავის იუბილე გახდება ჩვენი ეკლესიის სიდიადის წარმოჩენის საუკეთესო საშუალება...

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს სასულიერო პირად ყოფნის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მრავალი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებთან, არაქრისტიანული დენომინაციების სულიერ ლიდერებთან. უწმიდესი და უნეტარესი კარგად იცნობდა რუსეთის პატრიარქებს: ალექსი I-ს, პიმენს. 1997 წელს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II-სთან ერთად სერგი რადონეჟელის ლავრაში საღმრთო ლიტურგიაზე უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ განაცხადა: „სწორედ აქ, ამ ლავრაში, წმიდა სერგის მფარველობითა და კურთხევით, ავირჩიე ჩემი ცხოვრების გზა – ბერობა. მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა ალექსი I-მა სწორედ აქ, წმიდა სერგის ტაძარში დამასხა ხელი მღვდელმონაზვნად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებიდან უკვე მრავალი წელი გავიდა, ლავრასა და მის დამფუძნებლებთან სულიერსა და ლოცვით კავშირს მუდმივად ვგრძნობ“[30, 243].

უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვდა კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქებს: უწმიდეს დიმიტრიოს I-სა და ბართოლომეოს I-ს. 1992 წელს უწმიდეს ბართოლომეოს I-თან შეხვედრის დროს მან აღნიშნა: „ჩვენ ფრიად ვიწონებთ და მეტად ვაფასებთ მსოფლიო საპატრიარქოს ღვაწლსა და შრომას მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთსულოვნებისა და მსოფლიოში მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის“[30, 213].

განსაკუთრებით თბილი, მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპსა და პატრიარქ უნეტარეს ნიკოლოზ VI-სთან. უნეტარესი ნიკოლოზ VI განცვიფრებული და აღფრთოვანებული იყო უწმიდესისა და უნეტარესის პიროვნებით, მისი ყურადღებით და ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა საქართველოში. ერთხელ მან ისურვა პატრიარქის მშობლიური კუთხის, ხევის, ნახვა. როგორც თვითონ ბრძანებდა, ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ყოველი ახალი ჩამოსვლა მას განუმტკიცებდა იმ აზრს, რომ ქართველი ადამიანისათვის სტუმარი ღვთის წყალობად არის მიჩნეული.

უნეტარესი ნიკოლოზ VI-ის გზა განაგრძეს უნეტარესმა პართენიოსმა და პეტრე VII-მ.

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა იერუსალიმის პატრიარქებთან: უწმიდეს ბენედიქტე I-თან და დიოდოროსთან. 2000 წელს, მაცხოვრის შობის დღესასწაულზე, უწმიდესი და უნეტარესი ილია II და მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები ეწვივნენ წმიდა ქალაქ იერუსალიმს, შეხვდნენ და ესაუბრნენ უწმიდეს დიოდოროსს.

უწმიდესი და უნეტარესი ილია II არაერთხელ შეხვდა რუმინეთის პატრიარქ თეოკტიტეს, ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს, სრულიად კვიპროსის ეკლესიის მეთაურს, მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსს, ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს, მიტროპოლიტებს: თეოდოსს, ჰერმანეს. 1999 წელს ვაშინგტონში, წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში, საღმრთო ლიტურგიის შემდეგ, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა უნეტარეს თეოდოსს: „თქვენი უნეტარესობის მოწვევით, სიხარულით ვესტუმრეთ აშშ-ს. ეს არის ჩემი მეოთხე ვიზიტი თქვენს ქვეყანაში, მაგრამ იგი განსაკუთრებულია იმით, რომ ამჟამად აქ ჩამოვედით დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოდან. ჩვენი მიზანია, განმტკიცდეს ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიებისა და გაღრმავდეს თანამშრომლობა ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის“ [27, 14221].

უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს ელადის ეკლესიის მეთაურ უნეტარეს ქრისტოდულოსთან, სერბეთის ეკლესიის მეთაურ უწმიდეს პავლესთან. 1996 წლის აგვისტოში უწმიდეს პავლესთან შეხვედრისას მისმა უწმიდესობამ აღნიშნა: „სერბი და ქართველი ხალხის ისტორია აღსავსეა მძიმე განსაცდელებითა და ტრაგიკული მოვლენებით. ჩვენი ხალხები მუდამ მედგრად იცავდნენ თავიანთ მიწა-წყალს უცხო დამპყრობელთაგან, იცავდნენ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, ენასა და კულტურას. განსაცდელის დროს ჩვენი ეკლესიები მუდამ ჩვენი ერების გვერდით იდგნენ და მისი ჭირისა და ღხინის მოზიარენი იყვნენ“ [27, 4662].

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებს არამართლმადიდებლური ქრისტიანული კონფესიების ლიდერებთან: რომის პაპთან, ანგლიკანური ეკლესიის მეთაურთან, აღმოსავლეთის კობტურ-მონოფიზიტური ეკლესიების მეთაურებთან. უწმიდესი და უნეტარესი ბევრჯერ შეხვდა ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსებს: ვაზგენ I-ს, გარეგინ I-ს, გარეგინ II-ს. გულითადი მეგობრობა აკავშირებს მას კავკასიის მუსლიმანთა საბჭოს თავმჯდომარესთან შეიხ ალახ შუქურ ფაშა ზადესთან.

მის უწმიდესობას ასეთივე მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოში არსებულ არამართლმადიდებლური კონფესიების ხელმძღვანელებთან. 2002 წლის 11 სექტემბერს თბილისში გარდაიცვალა სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქიის წინამძღოლი, მთავარეპისკოპოსი გევორქ სერაიდიანი, რომელიც 30 წელი მსახურობდა თბილისში. უწმიდესი და უნეტარესი ილია II დაესწრო მის დაკრძალვას, დაესმარა სომხური ეპარქიის წარმომადგენლობას, რათა განსვენებული მთავარეპისკოპოსის ნეშტი დაეკრძალათ წმიდა გიორგის სახელობის სომხური ეკლესიის ეზოში.

პატრიარქთან ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები და გამოსატყვევებ თავიანთ პატივისცემასა და მადლიერებას მისადმი.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქართული სულისა და ქართული ხასიათის მქონე პიროვნებაა. მას არაერთხელ აღუნიშნავს: „მიუხედავად მრავალეროვანი მოსახლეობისა, საქართველოში არასოდეს ჰქონია ადგილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ნიშნით დევნას, ამიტომაც არის, რომ აქ გვერდიგვერდ საუკუნეებია მშვიდობიანად მკვიდრობენ მუსლიმები,

იუდეველები, ქრისტიანები და სხვა რელიგიების მიმდევარნი. მაშინაც კი, როდესაც მწვავედებოდა ურთიერთობა ამა თუ იმ სახელმწიფოსთან, საქართველოში მცხოვრები ამ ქვეყნის წარმომადგენლებისადმი დამოკიდებულება კვლავ შემწყნარებლური რჩებოდა. ურთიერთობის ეს წესი არ შეცვლილა ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც. მოყვასისადმი ასეთი მიდგომა ქართველ ადამიანში მართლმადიდებლური სარწმუნოების დიდი პატივისცემიდან და სიყვარულიდან მომდინარეობს“[30, 363].

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II შეხვდა 1989 წელს თბილისში ჩამოსულ დედა ტერეზას, იუნესკოს გენერალურ მდივანს ფრედერიკო მაიორს. უწმიდესი და უნეტარესი არაერთხელ შეხვედრია დიდ გერმანელ დრამატურგს ჰერმან ვედეკინდს.

აი, რას წერდა პოლონელი დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი: „უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს პირველად 1995 წელს შევხვდი, საოცარი ადამიანია, ხშირად მასთან ურთიერთობისას თუ საუბრისას მიგრძვნიას, რომ ეს არ არის უბრალო ადამიანი, იგი ზეციური სტუმარია დედამიწაზე... ბედნიერია ერი, რომელსაც ასეთი მწყემსმთავარი ჰყავს, რამეთუ მას გადაშენება არ უწერია“[27, 15769].

პატრიარქი, როგორც დიდი თეოლოგი, მეცნიერი და შემოქმედი პიროვნება, ქართველი მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეების მეგობარი და ხელისშემწეობია. უწმიდესმა და უნეტარესმა 2001 წლის სააღდგომო ეპისტოლეში გაიხსენა ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან თავისი ურთიერთობის პირველი წლები: „მსურს ერთგვარი სიამაყის გრძნობით აღვნიშნო, რომ საქართველოში ინტელიგენტთა შორის თითქმის არ ყოფილან მებრძოლი ათეისტები. მართალია, უმრავლესობამ კომუნისტურ პერიოდში ეკლესიურობა დაკარგა, მაგრამ ღვთისადმი შინაგანი რწმენა შეინარჩუნა და ამ გრძნობას ბოლომდე თან ატარებდა. ამიტომაც იყო, რომ 1977 წელს, როდესაც, ღვთის განგებით, საპატრიარქო ტახტზე ამირჩიეს, ეკლესიის დასახმარებლად პირველად ინტელიგენცია და ახალგაზრდობა მოვიდა. დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო ქ-ნი ბაბო დადიანი, ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე, გურამ პატარაია, ლევან ცუცქერიძე, ლამარა და გრიგოლ აბაშიძეები, ირაკლი აბაშიძე, ერასტი და ელენე ვაჩნაძეები, ნანა ხატისკაცი, მედეა ჯაფარიძე, რეზო თაბუკაშვილი, ლილი გეგელია, რეზო ჩხეიძე, მედეა ჩახავა, ზურაბ კიკნაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, გიორგი ცინცაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ბაჩანა ბრეგვაძე და სხვანი. მათ უთვალთვალებდნენ, ავიწროებდნენ, უშლიდნენ ჩვენთან სიახლოვეს, მაგრამ ისინი არ უშინდებოდნენ ზეწოლას. მინდა შევჩერდე ახალგაზრდებზეც, რომელთა ყოფნა ეკლესიაში მაშინ, ფაქტობრივად, თავგანწირვა იყო. რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, მაგალითად, ზურაბ ჭავჭავაძეს, რომ წლების განმავლობაში შეენარჩუნებინა თანამშრომლობა და კავშირი საპატრიარქოსთან. ეს გზა გაიარა კომუნისტური მმართველობის დროს ეკლესიაში მოსული ახალგაზრდობის უდიდესმა ნაწილმა“[38, 804].

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ქართველი ინტელიგენციის – მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის კომუნისტური მმართველობის ხანაში მომავლის იმედად იქცა. საპატრიარქოს კარი მუდამ ღია იყო მათთვის. ისინი ხვდებოდნენ ერის სულიერ წინამძღოლს და ამ შეხვედრებიდან გამოსულნი დიდხანს სიყვარულით უამბობდნენ ახლობლებს თავიანთი განცდების შესახებ. ინტელიგენციის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვანი წერილებიდან მოვიყვანთ ზოგიერთ ნაწყვეტს, მიძღვნილს უწმიდესისა და უნეტარესისადმი.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილიშვილი, ქალბატონი ბაბო დადიანი ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო. იგი სიონის საპატრიარქო ტაძარში უსმენდა უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქების: კირიონის, ლეონიდეს, ამბროსის, კალისტრატეს ქადაგებებს, 1977 წლიდან კი უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ს წირვა-ლოცვებზე იღვა მრავალგანსაცდელგამოვლილი ეს არისტოკრატი ქალბატონი. იგი მუდამ გრძნობდა პატრიარქის სიტბოსა და სიყვარულს. 1980 წლის 20 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ წერილში იგი წერს: „უწმიდესო და უნეტარესო, მუხლმოდრეკით, ჩემი თავის უმდაბლესად დახრით, უღრმესი მადლობის გრძნობით ვეამბორები თქვენს ხელს. ვერ აგიწერთ ჩემს ბედნიერებასა და სიხარულს, გამოწვეულს თქვენი ესოდენ დიდი წყალობითა და ყურადღებით ჩემდამი. ვევედრები უფალს თქვენს ხანგრძლივ, ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენდა მფარველად“ [27, 792].

პატრიარქისადმი სიყვარული, პატივისცემა და მოწიწებაა გამოხატული ცნობილი მეცნიერის კალისტრატე სალიას მიერ პარიზიდან გამოგზავნილ წერილში: „თქვენო უწმიდესობავ, უწინარეს ყოვლისა, მუხლმოდრეკით ვემთხვევი მარჯვენას თქვენსას. ლოცვა-კურთხევის თქვენგან მიღება და საუბარი დაუვიწყარ მომენტად დარჩება სამშობლოს განშორებულ, ტანჯულ, მიწურულს მიმდგარ ჩემს ცხოვრებაში. თქვენო უწმიდესობავ, თქვენ ბრძანდებით წინამძღვარი ისტორიით დატვირთული ქართული ეკლესიისა, რომლის მეთაურთ თავს ხშირად ედგათ მოწამის გვირგვინი და აკვირვებდნენ სამყაროს შეუდრეკელობით, მხნეობით, გამძლეობით, თავგანწირვით სჯულისა და სამშობლოს დასაცავად. დიდება თქვენ და იმ წმიდა გვირგვინს, რომლის ტარება ბედმა და ქართველმა ერმა მოგანდოთ“ [27, 1846].

პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი 1987 წლის 31 ივლისს ასეთი შინაარსის წერილს უგზავნის მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ, ღირსმყავით, რათა უღრმესი მადლობა შემოგბედოთ დიდი ილიას წმინდანად შერაცხვისათვის“ [27, 963].

უწმიდესისა და უნეტარესის ყურადღებით აღფრთოვანებული პოეტი მორის ფოცხიშვილი კი მას თავის გადამრჩენელს უწოდებდა. ასაკში შესულმა პოეტმა მხედველობა დაკარგა, დეპრესიაში ჩავარდა და თავის მოკვლაზე დაიწყო ფიქრი. ამ დროს ტელეფონმა დარეკა და მოახსენეს, რომ მასთან შეხვედრა და საუბარი სურდა უწმიდესსა და უნეტარეს ილია II-ს. პოეტი მადლიერებით ამბობდა, რომ მისმა უწმიდესობამ მეორედ აჩუქა სიცოცხლე.

1983 წლის 9 მაისს ივანე ჯავახიშვილის შვილმა ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილმა პატრიარქს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „თქვენო უწმიდესობავ, გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის, რომლის ღირსი გამხადეთ ჩემი დის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. თქვენი წმიდა სიტყვა უდიდესი ნუგეშია ამ მძიმე წუთებში ჩემთვის, მთელი ჩემი ოჯახისათვის“ [27, 1779].

აკადემიკოსი როინ მეტრეველი მის უწმიდესობას მადლობას მოახსენებს ოქროს ჯვრით დაჯილდოების გამო.

აკადემიკოსი თამარ დეკანოზიძე 1980 წლის 12 ივნისს, პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლეს გაცნობის შემდეგ, მისი უწმიდესობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „თქვენო უწმიდესობავ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ შესანიშნავი ეპისტოლესათვის. მასში მრავალი ფაქტია ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან, რომელთა ცოდნაც ბედნიერებაა. დიდი მნიშვნელობისაა თქვენი სწორი პოზიცია პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებში“ [27, 1823].

უწმიდესისა და უნეტარესის პიროვნებით აღფრთოვანებული ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი წერს: „თქვენო უწმიდესობავ, ის შთაბეჭდილებები და

განსაკუთრებული შეხვედრები, რაც განვიცადე თქვენთან, არასოდეს დამავიწყდება“[27, 9695].

ქეთევან ბაგრატიონი იმ დროს, როდესაც თბილისის ქუჩებში ძმათამკვლელი ომი მიძინვარებდა, საქართველოს გადარჩენის ერთადერთ იმედად მის უწმიდესობას მიიხნევდა და იტალიიდან 1992 წლის 2 იანვარს გამოგზავნილ წერილში წერდა: „იმედი მაქვს, რომ, თქვენი უსპეტაკესი პიროვნების ლოცვა-კურთხევითა და ღვთის წყალობით, ისევ დაუდგება ჩვენს სამშობლოს მშვიდობიანი შობა და ჩვენი ერი, მისთვის ჩვეული სიბრძნით, კვლავ შეუდგება ღრმა იარების მოშუშებას“[27, 6291].

მწერალი გრიგოლ აბაშიძე უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-სადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ჩვენი ბობოქარი საუკუნის ძნელ გზებზე დიდხანს უძღოდეს და მხნეობას მატებდეს თქვენი ლოცვა-კურთხევა სარწმუნოების დიდი ტრადიციების მქონე ქართველ ხალხს, თქვენს წმიდა სამწყსოს“[27, 732].

ინტელიგენციის განსაკუთრებული მაღლიერება ერის სულიერი წინამძღოლისადმი კარგადაა გამოსატული წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები: „გვეამაყება, რომ ხართ ნათელი მაგალითი კაცთმოყვარეობისა, რომლის ნიადაგზეც იზრდება ჩვენი აწმყო და მომავალი. საქმეთა დიდ დინებაში პოულობთ დროს, რათა პირადად გაუწოდოთ ხელი და უნაზესი მამობრივი სიყვარულით ჩაიხუტოთ ჩვენი სამშობლოს წარჩინებულნი, მხატვარი თუ მწერალი, მუსიკოსი თუ ისტორიკოსი, მსახიობი თუ სპორტსმენი... არ მოჰკლებია თქვენი ლოცვა, დარიგება, საქართველოს მამაგ-მოდღვარო“[27, 1341].

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიდან უწმიდესთან მეგობრობით ამაყობენ რამაზ ხუროძე, ლია სტურუა, რეზო ამაშუკელი, როინ მეტრეველი, ვახტანგ სართანია, გურამ დოჩანაშვილი, ოთარ მეღვინეთუხუცესი, სოფიკო ჭიაურელი, ლიანა ისაკაძე, პაატა ბურჭულაძე, შოთა ნადირაშვილი, თამაზ გამყრელიძე, თამაზ წივწივაძე და სხვები.

უწმიდესი და უნეტარესი რომ არა, ბევრი ადამიანი საერთოდ გამოეთიშებოდა ცხოვრების დინებას. დიდი მწუხარების დროს მისი უწმიდესობა თითოეული ქართველის გვერდითაა და ანუგეშებს მათ. „დღეს განსაკუთრებით გვსურს მუხლმოდრეკით კაბის კალთაზე გემთხვიოთ და ათასი მაღლობა გადაგიხადოთ. რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, ყოველივე უფერულია თქვენდამი უღრმესი პატივისცემისა და მაღლიერების გამოსახატავად... თქვენ შექმლით ჩვენში, შვილგარდაცვლილ დედებში, გაგვეღვიძებინათ სიცოცხლის სურვილი, აზრი ამქვეყნად ცხოვრებისა და თუ რომელიმე ჩვენგანი საზოგადოების სრულფასოვანი წევრია, ამას თქვენ უნდა გიმაღლოდეთ, თქვენო უწმიდესობა“[27, 14414], – წერს ქალბატონი მზია კაცაძე.

საქართველოს ისტორიაში იშვიათია შემთხვევა, დიდმა ადამიანმა სიცოცხლეშივე ასეთი აღიარება და საზოგადოების ყველა ფენის სიყვარული დაიმსახუროს. მისი უწმიდესობა, ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს.

ბ) პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, მორწმუნე მრევლი განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღესასწაულებს.

1978 წლის 24 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო წირვა აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ. ტაძარი

საქართველოს ყველა კუთხიდან მოსული ხალხით გაივსო, ყველას სურდა უწმიდესისა და უნეტარესისათვის მიელოცა პატრიარქად აღსაყდრების დღე. სადამოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საიუბილეო სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე). ინტელიგენციას, მორწმუნე მრევლს უჩვენეს დოკუმენტური ფილმი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრების შესახებ.

1980 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო-სადღესასწაულო ლიტურგიის შემდეგ, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების მესამე წლისთავს მიეძღვნა, ქუთათელ-გაენათელმა მიტროპოლიტმა შიომ (ავალიშვილი) მის უწმიდესობას მიმართა: „უკვე სამი წელი გვაშორებს იმ ღირშესანიშნავ 25 დეკემბრის თარიღს, როდესაც მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში ღვთის განგებამ კათოლიკოს-პატრიარქის გვირგვინი დაადგა თავის რჩეულს თავზე. მე ვულოცავ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასა და ქართველ მორწმუნე ხალხს ღვთისგან კურთხეულ ამ ახალ დასაწყისს ჩვენი სულიერი აღმავლობისას. ცნობილი ამბავია, რომ ადვილი როდია სულიერი ცხოვრების აღმავლობის გზაზე დაყენება... ღვთის მაღალი განგება დიდი ხნის წინათ გამზადებდათ თქვენ მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მისასვლელად, იმ დიდი ნათლის წიაღში, რაც ღვთისგან რჩეულთა ხვედრია მხოლოდ. ხშირად გვეკითხებიან ხოლმე, რომ პატრიარქის გვირგვინი ოქროსია თუ არა? ჰოი, ადამიანურ სიმდაბლევ თუ ცნობისმოყვარეობავ!.. პატრიარქის გვირგვინი არც ოქროსია და არც ბრილიანტებით შემკული რაღაც... პატრიარქის გვირგვინი ღვთის მაღლია, ნათლით მოსილი... პატრიარქის გვირგვინს ფასი არა აქვს, იგი არ იყიდება და არც ბრძოლით მოიპოვება... პატრიარქის გვირგვინი არ იწონება და არც იზომება, არც მხატვარია მისთვის ვინმე, არც ხელოვანი გამომჭედელი, თვალთ ხილული... მას ჭედავს მხოლოდ უხილავი ღმერთის მარჯვენა... და მოგილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, რომ თქვენი მოღვაწეობით დაიმსახურეთ ასეთი ხელთუქმნელი წმიდა გვირგვინი.

ყოველი დღე ჩვენი საეკლესიო შრომისა გვარწმუნებს იმაში, რომ ქართველ მორწმუნე ხალხს ღმერთთან სიახლოვე სწყურია, უყვარს ქრისტე და ქრისტიანობა... მაშასადამე, არა ცოდვებით დაღუპვა, არამედ მარადიულობა და უკვდავება სწყურია ჩვენს სულს... ჩვენი ღოცვა, ჩვენი მაღლობა და თაყვანისცემა მაღალ ღმერთს იმისათვის, რომ თქვენი სახით მოგვივლინა დიდი მოძღვარი მარადიულობისა და უკვდავების გზის მასწავლებლად. ხომ ცნობილია, რომ მორწმუნე ერის სიყვარულსა და პატივისცემას ოქრო-ვერცხლით ვერ შეისყიდო, ვერც ბრძოლითა და ძალადობით მოიპოვებ... ხალხმა რომ გული გაგისხნას და შეგიყვაროს, ამისათვის ღვთისგან რჩეული უნდა იყო და მაღლით მოსილი. ღმერთი უნდა უძლოდეს წინ საქმეებს შენსას და მისი ტკბილი სიყვარული გზას გინათებდეს... ჩვენ გილოცავთ, თქვენო უწმიდესობავ, რომ მაღალმა ღმერთმა მოგანიჭათ ეს დიდი ჯილდო, და ასე უანგაროდ უყვარხართ გულით კეთილ და პატიოსნებით სავსე მორწმუნე ქართველ ხალხს. ქრისტიანთათვის რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს იმაზე დიდი ბედნიერება, რისი მოწმენიც ჩვენ გახლავართ ამ დიდ ტაძარში. ანგელოზის დღეს – ორშაბათობით, საქართველოს ანგელოზები, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, იკრიბებიან ხოლმე ამ ტაძარში და იესო ქრისტე ღოცავს ჩვენს შვილებს და ცამდე ასულნი აღტაცებით ვუყურებთ ხოლმე, თუ როგორ უპყრიათ ჩვენს მომავლებს სახარება წმიდა ხელებზე, და მაღლდება ზეცისაკენ სული ჩვენი ერისა... გილოცავთ თქვენ, ჩვენო მამავ და მასწავლებელო, მთელ ამ სიკეთეს და ვულოცავთ ჩვენს მრევლსა და სამშობლოს ჩვენსას, რომ ჩვენი მომავალი უწმიდეს ხელებს უპყრიათ სახარების საღადადებლად. ზოგჯერ დაჩოქება უძიძმს

ხოლმე ახალგაზრდასაც, ჩემს მოხუც გულს კი უყვარს იგი და ემსუბუქება... მე მანოქებს ხოლმე ღვთის სიყვარული... და ვინოქებ ახლაც იმ გულითა და იმ სიხარულით, როგორითაც აქ დგანან ფრთებგაშლილი ჩვენი ბავშვები ორშაბათობით – ანგელოზის დღეს“ [34, 1980, 2, 45].

1981 წლის 25 დეკემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში საზეიმოდ აღნიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების მეოთხე წლისთავი. უწმიდესსა და უნეტარესს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ურბნელმა მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ (მელიქიძე). მისმა უწმიდესობამ მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და განაცხადა: საქმენი, რომელნიც საქართველოს ეკლესიაში კეთდება, უფლის ნებაა, ამიტომ ყველამ მადლობა უნდა შევსწიროთ უფალს წყალობისათვის.

მთავარეპისკოპოსმა თადეოზ იორამაშვილმა ლექსით მიულოცა მის უწმიდესობას აღსაყდრების დღე:

„მაცხოვრის კვერთხის მპყრობელი ხელით,
შეჭიდებული უხილავ მტერთან,
სიმხნით და ღვაწლით აღურიცხველთა
უძღვი ცად მიმართ ცხოვართა შენთა.
აყვავებული სანთლები ხატთან
სიკეთის დღეთა იყავნ მაცნენი,
სიწმიდის მადლით და სასწაულით
მშობელთა ღოცვით აღმონაკვესნი
იმედმოსხმულან შენი დღეები,
სიყვარულს ყოველს რომ უწილადებ,
შენი ფიქრია, შენი მამული
სამარადისოდ ნათლით ბრწყინადეს,
თუ საქართველო წმიდა ჯვარია,
ნატრობ სამოთხის კართან იყოსო,
შენი სიცოცხლე ერს უხარია,
მრავალჟამიერ, კათოლიკოსო.“

საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში 25 დეკემბრის, პატრიარქის აღსაყდრების დღის, საზეიმოდ აღნიშვნა ტრადიციად იქცა. თუ პირველ წლებში მხოლოდ სამღვდელეობა და მორწმუნე მრევლი იკრიბებოდა, ხოლო მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები მისალოცი წერილებით კმაყოფილდებოდნენ, XX საუკუნის 80-იანი წლებიდან უკვე ისინიც აქტიურად ჩაერთვნენ საყოველთაო საზეიმო დღეების აღნიშვნაში.

1987 წლის 25 დეკემბერს უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების ათი წლისთავი განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. საზოგადოების წარმომადგენლები სასულიერო პირებთან ერთად ცდილობდნენ, გამოეხატათ პატრიარქისადმი დიდი პატივისცემა და სიყვარული. თავიანთ გამოსვლებში ისინი აღნიშნავდნენ უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის განსაკუთრებულ დამსახურებას. პატრიარქმა მრავალმხრივ საინტერესო სიტყვით შეაჯამა საზეიმო სხდომა, მადლობა მოახსენა ყველას კეთილი სურვილებისათვის და აღნიშნა: „უკვე ათი წელი გავიდა, რაც პატრიარქის უღელს ვეწევი, რომელიც, მართალია, მეტად მძიმეა, მაგრამ, ამავე დროს, დიდია შეწვევაც ღვთისა. თუ ადამიანი მის ნებას ასრულებს, უფალი მას მისი წილხვედრი ჯვრის ზიდვას უადვილებს. არ მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ ამ ხნის მანძილზე რა გავაკეთე. როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, გავაკეთე ის, რაც შევძელი, ხოლო უკეთესი სხვამ გააკეთოს. რაც გააკეთდა, იმ საქმეთა აღმსრულებელი უფალი, ყოველადწმიდა სამებაა, ხოლო ჩვენ ვმადლობთ ღმერთს, რომ მის ნებას ხანდახან მაინც ვასრულებდით... მინდა მადლობა მოვახსენო ჩვენს

მღვდელმთავრებს, რომელნიც ბევრს აკეთებენ ჩვენი ეკლესიისა და ხალხისათვის. ხშირად მორწმუნეთათვის შეუმჩნეველი რჩება ის დიდი ჯაფა, რომელსაც ეპისკოპოსები ეწევიან, მაგრამ ეს ალბათ ასეც უნდა იყოს, რადგან მთავარი ისაა, ღვთის საქმე გააკეთდეს. მინდა ასევე დავლოცო და მადლობა მოვახსენო ჩვენს მოძღვრებს, ბერ-მონაზვნებს, დიაკვნებს, მგალობლებს იმ დიდი სულიერი მოღვაწეობისათვის, რომელსაც ისინი მრევლისათვის ეწევიან, მადლობა მოვახსენოთ თქვენ და მთელ ქართველ ერს იმ დიდი სიყვარულისათვის, რომელსაც იჩენთ“[33, II, 68-69].

კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების დღის აღნიშვნა მარტოოდენ საზეიმო მილოცვებითა და სურვილებით არ მთავრდებოდა. უწმიდესი და უნეტარესი თავის შემაჯამებელ სიტყვაში პირუთვნელად აფასებდა განვლილი წლების საქმიანობას და, ამავე დროს, სამომავლო გეგმებზეც საუბრობდა. 1992 წლის დეკემბერში, როდესაც მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების 15 წელი შესრულდა, საქართველოში როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით ურთულესი ვითარება იყო. სამოქალაქო დაპირისპირება ჯერ არ ჩამცხრაღიყო, დაძაბულობა იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მიუხედავად ამ ურთულესი ვითარებისა, საპატრიარქოს ისტორიულ რეზიდენციაში, სადაც 1991 წლიდან სამუშაოდ გადავიდა მისი უწმიდესობა, ჩატარდა საზეიმო შეხვედრა, მანამდე კი სიონის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა საზეიმო წირვა. იყო მილოცვები, კეთილი სურვილები. პატრიარქმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და საგულისხმო სიტყვით მიმართა საზოგადოებას:

„მართლაც დიდია და ისტორიული დღევანდელი დღე, მაგრამ არა იმიტომ, რომ დღეს თხუთმეტი წელი შესრულდა ჩემი ინტრონიზაციიდან, არამედ დიდია იგი იმ მოვლენების მნიშვნელობით, რომლებიც ამ 15 წლის მანძილზე მოხდა ჩვენი ერისა და ეკლესიის ცხოვრებაში. განვლო წამების თხუთმეტმა წელმა. იმდენად მძიმეა ჯვარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა, რომ XX საუკუნეში მხოლოდ უწმიდესმა და უნეტარესმა კალისტრატემ გაუძლო მის ტარებას ოცი წლის მანძილზე. მეტად მძიმე იყო ჩემი აღსაყდრების დრო, როცა ოფიციალურად თითქმის თავისუფალი იყო ეკლესია, სინამდვილეში კი იდეენებოდა; მაგრამ უფრო მძიმე წლებიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, უფრო მეტად ყოფილა იგი შევიწროებული. მაგალითად, კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია დააპატიმრეს და დახვრეტაც კი მიუსაჯეს. ისეთი პერიოდიც ჰქონია საქართველოს ეკლესიას, როდესაც საკათოლიკოსო საბჭოს (სინოდის) მთელი შემადგენლობა ციხეში იჯდა და მის შენობაში, რომელიც დღეს ისევ საპატრიარქო რეზიდენციას წარმოადგენს, მხოლოდ მდივანი დარჩა – ეს იყო მღვდელმონაზონი ეფრემი, რომელიც შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა... საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოში არსებული 1500 ეკლესიიდან მხოლოდ ორმოცდაათი დადარჩა მოქმედი.

აი, ასეთ მძიმე დროს მომიხდა მე ღვთის განგებით კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრება... ამგვარ პირობებში, როცა მოქმედებდა არაოფიციალური დევიზი, რაც უფრო ბევრი ცუდი იქნება ეკლესიაში, მით უფრო კარგია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობის დამოკიდებულებას კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხისადმი. საქმეს ისიც ართულებდა, რომ მე, როგორც იმდროინდელი რეჟიმისათვის საშიშ პიროვნებას, ისე მიყურებდნენ, მაგრამ ღვთის განგებას წინ ვერავინ დაუდგება და აი, 1977 წლის 25 დეკემბერს ამ ტაძარში შედგა ჩემი აღსაყდრება.

როგორც პატრიარქმა, პირველ რიგში, ჩემს უმთავრეს მოვალეობად ერისა და ეკლესიის გაერთიანება მივიჩნეე. ეკლესია თითქოს მოწყვეტილი იყო ერისგან, განსაკუთრებით მთავრობასა და ინტელიგენციას იყო დაშორებული. ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ჩვენ დავეუკავშირდით საქართველოს

ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს ყველა სფეროში. ჩვენდა სასიხარულოდ, მათაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს ეკლესიის მიმართ. ურთიერთშეხვედრებმა საოცარი შედეგი გამოიღო, უფალი მივიდა ყველასთან. თვით ისინიც კი, რომელთაც თავიანთი თავი ათეისტებად მიაჩნდათ, აღიარებდნენ, რომ საპატრიარქოს რეზიდენციაში სტუმრობისას სულიერი სიმშვიდე ეუფლებოდათ. ამ დროს მათზე გადმოდიოდა მადლი, რომელიც მიზეზი ხდებოდა ჭეშმარიტი რწმენის დაბადებისა. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მამამთავარი და მოძღვარი უნდა იყოს არა მხოლოდ იმ ადამიანებისა, რომელნიც ყოველდღიურად მოდიან ეკლესიაში, არამედ ყოველი ქართველისა, და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ყოველი მკვიდრისა. კათოლიკოს-პატრიარქმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, ვისაც არ შეუძლია ან სულიერი ძალა არ ჰყოფნის ეკლესიაში მოსასვლელად. ასეთ კაცთან იგი თვითონ უნდა მივიდეს, მხრებით იტვირთოს და ისე მიიყვანოს უფალთან... და ბოლოს, იმ საოცრებასაც მოვესწარი, რომ საქართველო ორასი წლის შემდეგ ისევ დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. თუმცა სიძნელე ისევ მრავალია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ერს იმის შეგნება სჭირდება, რომ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ყოველი ჩვენგანის შინაგანი განთავისუფლებით უნდა დაიწყოს... ასე გავიდა თხუთმეტი წელი, რომელიც, როგორც ვთქვი, წამების წლები იყო, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩვენ მუდამ ვგრძნობდით სიახლოვეს უფლისას, ვგრძნობდით, რომ ჩვენთან იყო ღმერთი; და, რადგანაც ჩვენთან არს ღმერთი, ვერავითარი მტერი, ვერც ხილული და ვერც უხილავი, ვერას დააკლებს ვერც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასა და ვერც სახელმწიფოს.“[33, II, 93-96].

უწმიდესისა და უნეტარესის ეს სიტყვა მრავალმხრივ საყურადღებოა ისტორიკოსებისათვის. მასში ნახვენებია ის ძირითადი მიმართულებანი, თუ როგორ უნდა დაიწეროს საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია.

1997 წლის დეკემბერში ქართველმა ხალხმა განსაკუთრებულად აღნიშნა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 20 წლისთავი. საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც არაერთი საინტერესო მოხსენება იქნა წაკითხული უწმიდესისა და უნეტარესის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამ სტრიქონების ავტორმა შემდეგი სიტყვებით მიმართა მის უწმიდესობას: „თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ოცი წელი გვაშორებს იმ ღირშესანიშნავ დღეს, რაც საქართველოს საპატრიარქო ტახტზე მოხდა თქვენი აღსაყდრება. მოგესალმებით სიონის საპატრიარქო ტაძრის 70-იანი წლების იმ მრევლის სახელით, რომელიც თქვენ შექმენით საქართველოს ეკლესიაში და რომელიც მანამდე, სამწუხაროდ, არ არსებობდა. 1977 წლის ნოემბერში, როდესაც გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი დავით V, მის მოსახსენებელ პანაშვიდებს წესის მიხედვით აღასრულებდნენ ქართველი მღვდელმთავრები. მათი უმრავლესობა ხანდაზმული იყო. როდესაც თქვენ შემობრძანდით ტაძარში, საზოგადოების ის ნაწილი, ვინც არ გიცნობდათ, ვერც წარმოიდგენდა, რომ ქართველი მღვდელმთავარი შეიძლება ყოფილიყო ასეთი ახალგაზრდა და გამორჩეული. ბევრს უცხოეთიდან ჩამობრძანებული სტუმარი ეგონეთ.

თუ რა სავალალო მდგომარეობა იყო საქართველოს ეკლესიაში, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებით: თეორიულად მოქმედი 15 ეპარქიიდან რეალურად 4-5 ეპარქიას ჰყავდა საკუთარი მღვდელმთავარი და ჰქონდა მოქმედი ეკლესიები... ექვსი პატრიარქი აირჩია საქართველომ საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მაგრამ არც ერთი პატრიარქის კურთხევაზე ასეთი მრავალრიცხოვანი საზოგადოება არ შეკრებილა. ყველა გრძნობდა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა იწყებოდა. ამას ალბათ

ხელისუფლებაც გრძნობდა და მაქსიმალურად ცდილობდა ეკლესიის იზოლაციასა და შევიწროებას. საბედნიეროდ, თქვენი ბრძნული, მწვემსმთავრული მოღვაწეობის გამო ამას ვერ ახერხებდა. პირველი ნაბიჯი, რომელიც საქართველოს ეკლესიამ XX საუკუნის 70-იან წლებში გადადგა, იყო მრევლის შემოკრება და თქვენ, თქვენო უწმინდესობავ, იყავით პირველი მასწავლებელი სიონის მრევლისა, იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც მოვდიოდით ეკლესიაში, მაგრამ მცირეოდენი ეკლესიური განათლებაც არ გექონდა, არ ვიცოდით ტაძარში დგომის წესი, ლოცვა, სასულიერო იერარქისათვის მიმართვის ფორმები. თქვენ ყველაფერს გვასწავლიდით.

პირველ ხანებში გვიჭირდა ტაძარში დიდხანს დგომა, მაგრამ თქვენ გვამხსენებდით და გვიხსნიდით წირვა-ლოცვაზე დასწრების მნიშვნელობას. თქვენი განსაკუთრებული დამსახურებაა ის, რომ წარმართთა თავშესაფრად გადაქცეული საქართველოს უდიდესი ეკლესია-მონასტრები კვლავ აღორძინდა; აღაგერდობა, თელეთობა, სვეტიცხოველობა, ღომისობა კვლავ დიდ ქრისტიანულ დღესასწაულებად იქცა... დღეს ძალიან ადვილია ლაპარაკი აღორძინებული, გამშვენიერებული, გაძლიერებული ეპარქიების საქმიანობის შესახებ, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული თეორიულად არსებული ეპარქიების პრაქტიკულად ამოქმედება... საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორია უკვე იწერება... თქვენ სიცოცხლეშივე უკვდავების ბინადარი გახდით... ვლელავ, საოცრად ვლელავ და არ ვიცი, როგორ გამოვხატო ის განსაკუთრებული სიბო, სიყვარული და პატივისცემა, რასაც თქვენ იმსახურებთ ქართველი ხალხისაგან, ქართველი მრევლისაგან. საქართველოში საერთოდ ასე იციან: დიდ ადამიანს ძალიან გაუშინაურდებიან ხოლმე. დრო, დისტანცია არის საჭირო, რომ ეს სიდიადე სრულად აღიქვა. განსხვავებული აზრის მოტრფიალე ქართველობა ერთსულოვანია თქვენს შეფასებაში. საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალზე ფიქრში გატარებული უძილო დამეების, უმრავლესობისათვის დაფარული დიდი ღვაწლის დაფასებაა ერის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თქვენდამი.“

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი დასკვნითი საზეიმო სხდომა გაიმართა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. უწმიდესსა და უნეტარესს მესალმნენ მეცნიერების, ხელოვნების, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ გაიხსენა ოცი წლის წინა მოვლენები, ის დაძაბული ვითარება, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიაში შეიქმნა ახალი პატრიარქის არჩევის წინ. რაოდენ დიდი იყო ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის სურვილი, საპატრიარქო ტახტზე ეხილათ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პირველი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, ვინც წმიდა დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილდოვდებოდა, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია II იყო.

უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ სიტყვებით მიმართა ქართველ ერს: „ისევე როგორც პიროვნების განსაცდელი, ერის განსაცდელიც ღვთისგან მისი სულიერი ამადლებისათვის ხდება. ახლა სწორედ ამ პროცესს გავდივართ და დარწმუნებული ვარ, ღვთის წყალობით იგი იქცევა ზეცად აღმყვანებელ ჩვენს სულიერ კიბედ. ის კი, ვინც გაურბის ღვთისგან დაშვებულ ამ გამოცდას და იოლ გზას ეძებს, უარს ამბობს დიდების გვირგვინზე. მე მივმართავ მთელ ჩვენს ერს, საქართველოს მოსახლეობას, გადადგით ნაბიჯები ერთმანეთისა და ღვთისაკენ. ეცადეთ, ყოველ თქვენს მოქმედებას სიყვარული ედოს საფუძვლად, რათა იყოთ მსახური უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი... ქართველნო, ერთად – ღვთისაკენ.“[30, 439].

2003 წლის დეკემბერში საქართველომ აღნიშნა თავისი დიდი სულიერი წინამძღოლის აღსაყდრების 25 წლისთავი. „დროის უსასრულო მდინარებაში წუთიც კი არ არის 25, თუნდაც 70 წელი, მაგრამ ამქვეყნიური სათვალავით იგი ცოტა არაა. სრულიად ახალგაზრდა და მშვენიერი, ღვთიური ნათლით შთაგონებული აღზევდით თქვენ ქართული ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე... თქვენი პატრიარქობის პირველი დღეებიდანვე დაიწყო და თითქმის მთლიანად მოწესრიგდა საქართველოს ეკლესიური ცხოვრება. უანგარო ღვაწლი, რომელსაც თქვენი წინამორბედი პატრიარქები ეწეოდნენ მათთვის მიძიმე მოღვაწეობის პერიოდში, თქვენ განამრავლეთ. ქართული ეკლესიის ნამდვილი გამოღვიძების მისია თქვენ გხვდათ წილად... წლების მანძილზე უმღვდლებოდ დარჩენილ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ, ან უბრუნდებათ თავიანთი სახე... გელათის, იყალთოს, ტბეთის უძველესი, ოდესღაც ელადის სიმაღლეზე მდგარი, მაგრამ მტრისგან იავარქმნილი აკადემიების ნაფუძარზე კვლავ გაიდვიდა სიცოცხლემ... თქვენი მუდმივი საზრუნავი იყო და არის, ჩვენს ქვეყანაში, საერთოდ ჩვენს შორის, სუფევდეს ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული. თქვენ ერის ყველა შვილს მოუწოდებთ რწმენისა და სიკეთისაკენ... ღვთისგან განსაკუთრებული ლოცვა-კურთხევით ხელდასხმული ბრძანდებით... იყავით დღეგრძელი. დიდხანს მშვიდობიანად გემართოთ წმიდა საჭე ქართული ეკლესიისა“ [34, 2005, 1, 5-6], – ამ სიტყვებით მიულოცა ჟურნალმა „ჯვარი ვაზისა“ მის უწმიდესობას საიუბილეო თარიღი.

2007 წელს შესრულდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადებიდან 75, ბერად აღკვეციდან 50, მღვდელთმთავრად დადგინების 44 და პატრიარქად აღსაყდრებიდან 30 წელი. ქართველი ხალხი განსაკუთრებულად ემზადებოდა მისი უწმიდესობის საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად.

2007 წლის 12 ოქტომბერს დაიწყო მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავისა და მცხეთის ჯვრის მონასტრის 1400 წლის საიუბილეო დღესასწაულის ოფიციალური ნაწილი. საქართველოში სტუმრად ჩამობრძანდნენ: კონსტანტინოპოლისა და ახლისა რომისა მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I; კვიპროსის ეკლესიის მეთაური, მთავარეპისკოპოსი ქრიზოსტომოს II; ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური, მიტროპოლიტი ქრისტეფორე; უკრაინის ეგზარქოსი, მიტროპოლიტი ვლადიმერი; ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის ეკლესიის ეპისკოპოსი ნიფონი; იერუსალიმის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი თეოფილე, რუსეთის ეკლესიის ორენბურგის მიტროპოლიტი ვალენტინი, სერბეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი ამფილოქი, რუმინეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იოსები, ბულგარეთის ეკლესიის მიტროპოლიტი დომეტიანი, ელადის ეკლესიის მიტროპოლიტი ამბროსი, ალბანეთის ეკლესიის მიტროპოლიტი იგნაციოსი, პოლონეთის ეკლესიის მთავარეპისკოპოსი სიმონი, ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი ირინეოსი. სტუმრებს საზეიმო მიღება მოუწევს საპატრიარქო რეზიდენციაში, სადაც სიტყვა წარმოთქვა ყოვლადუწმიდესმა ბართოლომეოს I-მა: „დიდია ჩვენი სიხარული, ვინაიდან თქვენთან ერთად ვიმყოფებით, უნეტარესო და უსაყვარლესო ძმაო, თქვენს სტუმართმოყვარე და ისტორიულ ქვეყანაში, საქართველოში, რომელთანაც ჩვენს კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მჭიდრო, საუკეთესო სულიერი და, ამასთანავე, კანონიკური ურთიერთობა აკავშირებს... თავი მოვიყარეთ დღეს აქ, რათა ერთად აღვნიშნოთ მისი უწმიდესობის აღსაყდრებიდან 30 წლისთავი... თქვენ ისეთ მდგომარეობას გაუძევეთ, რომ ჩვენთვის, ვისაც ის უშუალოდ არ განგვიცდია, მისი აღქმაც კი არ ძალგვიძს, მაგრამ, ამავე დროს, თქვენ გადმოგეცათ სამწესო, მოწყურებული ღვთისა და ღვაებრივ სიყვარულს, და, მიუხედავად იმისა, რომ ხალხს მეტად უჭირდა, თქვენ დიდი გამოცდილება და თავგანწირვის გრძნობა

შეგძინათ... მოხარულნი ვართ, აღორძინების სულს რომ ვგრძნობთ. ეს არის სული ნუგეშისმცემელი უფლისა ჩვენისა, რომელიც მსჭვალავს მოციქულთა ოფლით გაუღენთილ და მოწამეთა სისხლით განბანილ ამ ქვეყანას. ეკლესიის ეს აღორძინება, მისი წინსვლა არ მოხდებოდა, თუკი 1977 წელს საპატრიარქო ტახტზე ესოდენ ღირსეული პიროვნება არ ასულიყო, არ იქნებოდა წინსვლა, თუკი ქვეყანას არ ეყოლებოდა ესოდენ ზნეობრივი, მშრომელი, შორსმჭვრეტელი, სიბრძნითა და მოთმინებით მმართველი პატრიარქი, რომელიც თავის ხალხს მეორე სულიერი დაბადებით მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში და მის ძიებაში დააბრუნებდა“[36, 2007, 32, 10].

13 ოქტომბერს თბილისის წმიდა სამების საკათედრო ტაძარში მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა მართლმადიდებელ ეკლესიათა მიერ წარმოგზავნილ მღვდელმთავერებთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებთან ერთად საზეიმო ღოცვა აღავლინა. უკრაინის დელეგაციამ წაიკითხა უკრაინის პრეზიდენტის, ვიქტორ იუშჩენკოს, მისალმება და გადაწყვეტილება, მისი უწმიდესობის ილია II-ის უკრაინის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი – თავად მიროსლავ ბრძენის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

14 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, მისი შემოგარენი ხალხს ვერ იტევდა. ტაძარში მობრძანდნენ: მისი უწმიდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II, მსოფლიო პატრიარქი ყოვლადუწმიდესი ბართოლომეოს I, მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრები, სამღვდლოება, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მისი უწმიდესობის აღსაყდრების 30 წლისთავის მისალოცად მობრძანდნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. უწმიდესი და უნეტარესი ილია II მიესალმა სტუმრებს, მადლობა მოახსენა ჩამობრძანებისათვის და აღნიშნა: „ეს 30 წელი, რომელიც საქართველომ განვლო, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს ეკლესია მუდამ გზას უჩვენებდა ქართველ ერს. მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო და იქნება ჩვენი ერისა და ჩვენი სულიერების განმამტკიცებელი, შემაერთებელი, შემდუღებელი. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ეს ერთობა არ იყოს დარღვეული. ამ 30 წლის განმავლობაში ბევრი რამ გააკეთდა, მაგრამ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს ჩემი გაკეთებულია. მახსენდება სიტყვები წმიდისა მეფისა დავით წინასწარმეტყველისა: „უფალი მეფობს“. როდესაც მეფე დავითს ხალხი აქებდა და ამბობდა, რომ მან გაამთლიანა ისრაელი, მეფემ გააჩუმა ისინი და უთხრა: „უფალი მეფობს“. უფალი მეფობს, უფალი ქმნის, უფალი ამთლიანებს, ხოლო ბოროტი ძალა ანაწევრებს“[36, 2007, 32, 4].

საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით მის უწმიდესობას მიესალმა მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე), რომელმაც აღნიშნა: „მრავალი ჩვენგანი მოწმეა იმისა, რომ მისმა უწმიდესობამ ამ 30 წლის წინ ჩაიბარა უცხო ქვეყნის მპყრობელობის შედეგად დამცრობილი ეკლესია, მატერიალურად უნივთო, ნაკლოვანი და ქანცმიღეული, ათეისტ მმართველთა მძლავრობით დაშინებული სულ რამდენიმე ათეული სამღვდლო პირით. და აი, გავიდა 30 წელი და ჩვენ ვხედავთ, თუ რა წარმატებით შეეგება ჩვენი ეკლესია ახალ ათასწლეულს... თქვენი ყოველდღიური საქმიანობა და სიტყვით იყავით და ხართ ჭეშმარიტი მოძღვარი და მასწავლებელი, წმიდა ეტალონი არა მხოლოდ სულიერ-ეკლესიურისა, არამედ – ყოფითისა, ეთიკისა თუ ესთეტიკისა. ყველა ჩვენგანმა ყველაფერი თქვენგან შეისწავლა, უფრო სწორად თუ ვიტყვით, უნდა შეისწავლოს, რადგან თქვენ უკვდავი საღმრთო

მაგალითი ბრძანდებით წყალობისა და ქველის საქმისა, ლოცვისა და მარხვისა. როგორც იტყვიან, ვინ აღრიცხავს თქვენს სახიერებას ზეცათა მამის გარდა? 30 წლის წინანდელ ქაოტურ სასულიერო დასში დაინერგა წესიერება და კანონი და თქვენი მორიდებით და კრძალვით ვერავინ იკადრებს უწესო სვლას. პატიოსნება და ღირსება თავის ადგილს იმკვიდრებს. მონასტრები, საეპისკოპოსოები და ეკლესიები წესითა და რიგით აღასრულებენ საღმრთო მსახურებას“[36, 2007, 32, 4-5].

15 ოქტომბერს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელსაც ესწრებოდნენ: საზღვარგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიათა დელეგაციები, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავრები, სამღვდელოება, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრები, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. უწმიდესსა და უნეტარესს საიუბილეო თარიღები მიულოცეს: მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელმა, მიტროპოლიტმა იოსებმა, ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენელმა, ეპისკოპოსმა ნიფონმა, რომელმაც ანტიოქიის პატრიარქის სახელით უწმიდეს და უნეტარეს ილია II-ს თვალმარგალიტით შემკული ოქროს პანალია მიართვა. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში, ბ-მა ჯონ ტეფტმა წაიკითხა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მილოცვის ტექსტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი: „თქვენო უწმიდესობავ, ამერიკელი ხალხის სახელით, გულითადად გილოცავთ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად აღსაყდრების 30 წლისთავს. თქვენი ხელმძღვანელობით ეკლესია გაძლიერდა. ვიცი, რაოდენ გაფასებთ ქართველი ხალხი თქვენ და ყველა თქვენს მიღწევას. გისურვებთ საუკეთესო ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს“[36, 2007, 32, 15].

მსოფლიო პატრიარქმა ბართოლომეოს I-მა გააკვირვება და აღტაცება ვერ დამალა იმ საერთო ეროვნული ზეიმის მასშტაბებისა და მისი უწმიდესობის მიმართ ქართველი ხალხის განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო და აღნიშნა: „ვხარობთ გამოუთქმელი და კეთილი სიხარულით, რამეთუ ახლოდან დავინახეთ მადლი უფლისა, გარდამოსული მსხმოიარე ვენახსა ზედა საქართველოს ეკლესიისა... ვხარობთ უთვალავი დიდებული ტაძრის მშენებლობის ხილვით, პატიოსანი მონასტრებიდან გამომავალი ასკეტური ცხოვრების ძლიერი მაჯისცემით, ვხარობთ ყოველივე იმით, რასაც თვალით ვხედავთ, გონებით ვწვდებით და ყურით ვისმენთ. მთელი გულით გისურვებთ, რომ უფალმა ღმერთმა სამარადისოდ დაგიცვათ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რათა არ დაინთქათ ამქვეყნიური ცხოვრების ბოხოქარი და შემმუსვრელი ზღვის ტალღებში“[36, 2007, 32, 13].

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 30 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო დღეებმა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა მისი ღვაწლი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის, ქართველი ერის წინაშე. ქართველმა ხალხმა თავისი სულიერი წინამძღოლის მიმართ კიდევ ერთხელ გამოსატა უდიდესი პატივისცემა და სიყვარული.

გ) პატრიარქის შემოქმედება

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ღვთისგან დაჯილდოებულია მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით. მისი ხელნაწერები ქართული კალიგრაფიის საუკეთესო ნიმუშია. გასაოცარია, როგორ მოახერხა მისმა უწმიდესობამ ასეთი დახვეწილი, ლამაზი კალიგრაფიის შენარჩუნება, მით უმეტეს, რომ სტუდენტობისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში მოღვაწეობის დროს ძირითადად რუსულ ენაზე უხდებოდა მუშაობა. პატრიარქი გრძნობს უნიკალური ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშნის სიდიადეს და მას თავისი ხელწერით კიდევ უფრო ამაღლებულად წარმოაჩენს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ფერწერით გატაცების შესახებ ძალიან ცოტამ იცოდა. პირველად საზოგადოებამ ამის შესახებ შეიტყო დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვის დროს, 1978-1979 წლებში. დიდუბის ეკლესიის მოხატვაზე მუშაობდა ცნობილი მხატვარი ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე. მორწმუნენი ხედავდნენ, რომ უწმიდესი და უნეტარესი თითქმის ყოველდღე მოდიოდა ტაძარში. დიდუბის ეკლესიაში, ისტორიული გადმოცემების თანახმად, ჯვარი დაუწერია წმიდა მეფე თამარს. უწმიდესმა და უნეტარესმა დიდუბის ეკლესიის კედელზე თამარ მეფის ხატი შექმნა. წმიდა მეფე თამარის ოთხ ფრესკას, ეკლესიის კედელზე გამოსახულს, მიემატა მეხუთე – უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მიერ შესრულებული.

საქართველოს ძველ საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ დაწერა წმიდა დიდმოწამე გიორგის ხატი, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეულია უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედებაში. წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის პორტრეტი იერუსალიმის ერთ-ერთ ქართულ მონასტერში ყოფილა, რომელიც, სამწუხაროდ, დროთა ვითარებაში დაიკარგა. უწმიდესმა და უნეტარესმა შექმნა წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის ხატი, რომელიც ხელოვნების, ხატწერის ბრწყინვალე ნიმუშია. ახოვან მეფეს ერთ ხელში დროშა უჭირავს, მეორეში – ეტრატი. უყურებ ამ შთამბეჭდავ პორტრეტს და ჩვენ თვალწინ ცოცხლდება სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი დიდი მეფის შეუდრეკელი ხასიათი და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადება. უწმიდესისა და უნეტარესის მიერ არის შესრულებული წმიდა სამების ხატი, რომელზეც ამოტვიფრულია პატრიარქის მიერ შექმნილი ლოცვა: „სამებაო დაუსაბამო, მამაო, ძეო და სულლო წმიდაო, დიდება შენდა! ყოვლადწმიდაო სამებაო, შემოქმედო ცათა და ქვეყნისაო, სიმართლითა და მოწყალებითა განმგებლო ყოველთა დაბადებულთაო, მადლობა შენდა! შენ გიგალობთ, შენ გაკურთხებთ და მარადის თაყვანს გცემთ შენ, სამწმიდაო, ერთარსებაო, მამაო, ძეო და სულლო წმიდაო, უფალო უფლებათაო, ღმერთო ძალთაო, და გვედრებით შენ, სიყვარულო და სასოებაო ჩვენო, გარდამოიხილე ზეცით და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას, და დაამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან, ამინ“ [30, 398].

საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. დედა ღვთისა მფარველობს და იცავს ჩვენს ხალხს. ღვთისმშობლის სახელობის მრავალი ეკლესია-მონასტერია საქართველოში, ჩვენმა წინაპრებმა ღვთისმშობლის არაერთი ხატი შექმნეს. „შენ ხარ ვენახიც“ ხომ ღვთისმშობლის სადიდებელი ჰიმნია. უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედებაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი ერთ-ერთი გამორჩეულია. პატრიარქმა საგანგებოდ შექმნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ლოცვა: „დედაო ღვთისაგ, გარდამოიხილე ჩვენზე და გვაცხოვნე ჩვენ! ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, პატრონო ივერიისაო, ბრწყინვალე ვარსკვლავო ცისკრისაო, მზეო ქვეყნისაო, აღმატებულო ანგელოზთაო, შემწეო ყოველთა დავრდომილთა და შეჭირვებულთაო, მამისგან

უფლის დედად გამორჩეულო და მფარველო ორთავ სოფლისაო, მოწყალე თვალთ გარდამოიხილე შენს წილხვედრ ქვეყანას – საქართველოს და ურიცხვთა ცოდვთა ჩვენთა შენდობაი შესთხოვე ყოვლადწმიდასა სამებასა – მამასა, ძესა და სულსა წმიდასა. წყალობითა შენითა კვალად აღგვადგინე, მშიერნი დააპურე, შიშველნი შემოსე, საპყრობილესა შინა მყოფნი განათავისუფლე და სიძარტლის გზაზე დააყენე, უძღურნი განკურნენ, მტირალთ ნუგეშიეც, ჭაბუკთა და ყრმათა სიმხნე მიეც და სულიერად აღამაღლე, ასაკოვანნი სიბრძნით აღავსე და მათი შთამომავალნი კეთილდღეობით გაახარე.

დედაო მოწყალეო, მოგვეც სიმტკიცე ჭეშმარიტი რწმენისა, სასოება, შიში ღვთისა და შეუორგულებელი სიყვარული ეკლესიისა და მოყვასისა, ერთგულება მამულისა და ქართული ენისა; მოგვმადლე გული წმიდა და სული წრფელი, გონება მახვილი და ღრმა, სხეული ჯანსაღი და უვნებელი; განამტკიცე ოჯახები ქართველთა და აკურთხე იგინი შვილთა სიმრავლითა, აღავსე ბედელნი ჩვენნი პურითა და ვენახები ჩვენნი – ყურძნითა, განამრავლე მოსავალი მიწისა და მონაგები პირუტყვთა.

ღვთისმშობელო დედაო, შეცტომილნი ძენი და ასულნი ივერიისანი ჭეშმარიტების გზაზე დააყენე, უცხოეთში მყოფნი ქართველნი სამშობლოში მშვიდობით დააბრუნე, მტრადმოსულნი უცხო ტომნი ჩვენს უვნებლად თვისავ ქვეყანასა შინა განაწესე, ხოლო ჩვენ, მკვიდრთა საქართველოსათა, მოგვეც ძალი ურთიერთთანადგომისა, რათა მწუხარეთა თანა ვტიროდეთ და შევეწეოდეთ მათ, ხოლო მხიარულთა თანა ვიხაროდეთ.

დედაო მარიამ, ერი ქართველთა, მთავრობა და ეკლესია ჩვენი სულიერად შეკარ და აღდგენილსა მამულსა შინა ჩვენსა ერთ განუყოფელ სამწყსოდ ღვთისად დაადგინე; ტაძრად შენდა ჰყავ საქართველო და ხილულ და უხილავ მტერთაგან კეთილსურნელ იათა მახვილითავე მარად დაიცევ. მერმეცა გვედრები, რათა შეეწიო მართლმადიდებლობით აღსრულებულთა ჩვენთა ახლობელთა და წინაპართა და სულნი მათნი შენის მეოხებით სავანესა მართალსა დააწესე. განუზომელია წყალობა შენი ჩვენ ზედა, ღვთისმშობელო დედაო, დიდებასა და მადლობას გწირავთ შენ, მეოხო ჩვენო, შენს ფერხთა ქვეშ განვაფნთ გულთა ჩვენთა და კანდლად აღვინთებთ ლოცვასა ჩვენსა, ზეცისა სასუფეველიდან ვიდრე საქართველომდე, ვითარცა ფიანდახსა დაგიფნთ სიყვარულსა ჩვენსა და მთელისა ქვეყნის ყვავილებით განვამშვენებთ მას. მუხლმოდრეკით შეგთხოვთ, არ განგვშორდე არცა ჟამსა მას მეორედ მოსვლისა ძისა შენისასა და სრულიად საქართველო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მარჯვენით დაადგინე, რათა შენთანა ვიხარებდეთ და ვადიდებდეთ დამბადებელსა ჩვენსა, ყოველთა შემწყნარებელსა და სიყვარულსა დაუსრულებელსა, მამასა, ძესა და წმიდასა სულსა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ.“[30, 399.

თვითონ უნდა იყო დიდი თეოლოგი, რომ სრულად შეაფასო უწმიდესისა და უნეტარესის მიერ შექმნილი ლოცვები... დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ერთხელ აღმოხდა – ჰომეროსის ენა უნდა გქონდეს, რომ ამ დიდი მეფის „დიდნი საქმენი“ სრულყოფილად აღწერო. ალბათ მსგავსი განცდა დაეუფლება ნებისმიერ აღამიანს, ვინც მოინდომებს სრულად წარმოაჩინოს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ცხოვრება და მოღვაწეობა.

უწმიდესისა და უნეტარესის მიერ დიდი სიყვარულითაა დაწერილი წმიდა მეფეების – დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონის – ხატები. მისი უწმიდესობის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია სახელოვან წინაპრებს. შიოლა ღუდუშაურს მიუძღვნა მან როგორც სკულპტურული ნამუშევარი, ასევე ფერწერული ტილოც. უწმიდესისა და უნეტარესის მშობლების – ნატალია

კობაიძისა და გიორგი შიოლაშვილის – პორტრეტებიდან შემოგვცქერიან ღრმად მორწმუნე, ქრისტიანი ადამიანები.

XX საუკუნეში არაერთი გამოჩენილი მხატვარი მოღვაწეობდა საქართველოში, მაგრამ კანონიკური ხატწერის დიდი ტრადიცია თითქმის დავიწყებული იყო. უწმიდესი და უნეტარესი ილია II XX საუკუნეში ქართული კანონიკური ხატწერის ფუძემდებელია. მის უწმიდესობას სურდა, რომ საქართველოში კვლავ აღორძინებულიყო ტიხრული მინანქრის, ჭედური ხელოვნების ისტორიული ტრადიცია. ერთი შეხედვით, ეს განუხორციელებელ კეთილ სურვილად ჩანდა, მაგრამ, თუ დღეს ამ მხრივ წარმატებები გვაქვს, ეს მისი უწმიდესობის დამსახურებაა. ფოკის დედათა მონასტრის ტიხრული მინანქრის სკოლით, დედათა მიერ შესრულებული ნამუშევრებით ნებისმიერი ერი იამაყებს.

საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ XIX-XX საუკუნეებში ურთულესი პერიოდები გაიარა. ავტოკეფალიის გაუქმებისა და ეგზარქოსობის ხანაში ქართული წირვა-ლოცვა, გალობა რუსულმა შეცვალა. ერთეული ადამიანების თავგანწირვის წყალობით გადარჩა ქართული საგალობლების ნოტები, მაგრამ მუსიკათმცოდნეები მათ, როგორც ისტორიულს, ისე აღიქვამდნენ და ფიქრადაც არავის მოსდიოდა, რომ ეს უნიკალური ქართული საგალობლები კვლავ გამოეყენებინა. უწმიდესი და უნეტარესი ილია II პატრიარქად აღსაყდრების პირველი დღეებიდანვე შეუდგა ქართულ საეკლესიო საგალობლებზე ზრუნვას. ამ საქმეში მას დაეხმარა დიდი მუსიკალური ნიჭი და გატაცება. მისი უწმიდესობა აღნიშნავს: „მუსიკა ბავშვობიდანვე მიყვარდა, როგორც ამბობდნენ, საუკეთესო სმენა მქონდა. რა თქმა უნდა, ყველაზე საამო ჩემთვის ქართული საგალობლების მოსმენაა. ამასთანავე, საათობით შემიძლია ვიჯდე და ვუსმინო კლასიკურ მუსიკას. გამორჩეულად მიყვარს მოცარტი, ფალიაშვილი. ღმერთმა ყველა ერს მისცა სიყვარულის მადლი, მათ შორის – ჩვენც, ქართველებს, რომელიც, პირველ რიგში, ჩვენს უძველეს ხალხურ სიმღერასა და საეკლესიო გალობაში ჩანს. ქართული გალობა არის სიყვარული უფლისადმი, ხოლო ქართული სიმღერა – სიყვარული მოყვასისადმი, მუსიკაში აჟღერებული და გადმოცემული“ [30, 380].

უწმიდესისა და უნეტარესის ღოცვა-კურთხევით, ძველი ქართული საგალობლების შესრულება დაიწყო ჯერ სიონის, შემდეგ – ანჩისხატის ტაძრებში. ამჟამად საქართველოს ყველა ეკლესია-მონასტერში აღდგა ძველი ქართული საგალობლების თანხლებით წირვა-ლოცვა. უწმიდესსა და უნეტარესს ეკუთვნის ბრწყინვალე საგალობლები: „გიხაროდენ, ფრიად მშვენიერო“, „მოდი ჩემთან, უფალო“, „უფალო იესო ქრისტე“, „წმიდაო ღმერთო“, „მამაო ჩვენო“, „მრწამსი“, „დიპტიქი“, „მიცვალებულთა კვერქსი“, „ჩემი ვედრება“.

2007 წლის 4 მარტს მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს მაცხოვრის საკათედრო ტაძარში სამების საკათედრო ტაძრის მგალობელთა გუნდმა შეასრულა „კირიეელისონ“. რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა აღექსი II-მ სთხოვა მის უწმიდესობას, იქნებ ამ უძველესი და ულამაზესი საგალობლის ნოტები გვიშოვოთო. რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც შეიტყო, რომ ამ საგალობლის ავტორი უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ა.

ქართული მრავალხმიანი საგალობლების დაცვასა და განვითარებას ემსახურება მისი უწმიდესობის ღოცვა-კურთხევით სამების საკათედრო ტაძართან შექმნილი ქართული საგალობლების უმაღლესი სკოლა, რომელიც ნიჭიერ ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, ღრმად დაეუფლონ ქართულ გალობას.

უწმიდესისა და უნეტარესის შემოქმედების შესწავლა მომავალში სპეციალისტების საქმეა, მაგრამ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ

აღვნიშნოთ მისი საოცრად ჰარმონიული დამოკიდებულება ბუნებასთან. პატრიარქს უყვარს ბუნების შვილები – ცხოველები, ფრინველები... განსაკუთრებით გატაცებულია მცენარეებით. იგი ყველას არიგებს, რომ უნდა შეეძლოს ბუნების სილამაზის აღქმა და მისით ტკობა. მის უწმიდესობას უყვარს ბუნებაში განმარტობა, რადგან ღრმად სწამს, რომ „ზოგჯერ განმარტობითაც უნდა დავტკბეთ, რათა ყურადღება შინაგან ცხოვრებაზე გადავიტანოთ და უმაღლესი რეალობის არსებობა ვიგრძნოთ. სწორედ საკუთარ თავთან განმარტობისასაა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ღმერთთან, სწორედ ამგვარი მარტოობისას იბადება დიდი იდეები“ [30, 375].

პატრიარქის სახით საქმე გვაქვს უნივერსალურ პიროვნებასთან, რომელიც ჩვენ, ჩვეულებრივ ადამიანებს, მისი საოცარი უბრალოებისა და მოკრძალების გამო ჩვენნაირი გვგონია. ალბათ ესეც არ არის შემთხვევითი, რადგან უბრალოებაში არის სიდიადე.

დ) წარსული, აწმყო და მომავალი. სამების საკათედრო ტაძარი

საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი ცნობიერება იყო ის ძალა, რომელიც განსაზღვრავდა ჩვენს მეობას, სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულს. „სამშობლო – ესაა ენა ქართული, ესაა სული ჩვენი დიდებული წინაპრებისა, ათასობით წმიდა მოწამისა, მეფეთა, კათოლიკოს-პატრიარქთა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა და დედათა; ესაა ჩვენი უთვალავი ტაძარი და მონასტერი, ჩვენი სიწმიდენი, ხელოვნება, არქიტექტურა, მწერლობა, ესაა ჩვენი ხასიათი და აზროვნების წესი, ესაა ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. სამშობლო ჩვენი დიდი იმედია. მისადმი გრძნობა ისევე ამაღლებული და სათუთია, როგორც სიყვარული ღვთისადმი.“ [38, 225-226], – ბრძანებს უწმიდესი და უნეტარესი ილია II. მაგრამ მისი უწმიდესობისა და უნეტარესობისათვის უცხოა საქართველოს წარსულისადმი ადვოკატურ-გამოსარჩლებითი მიდგომა, ვინაიდან კარგად იცის, რომ, თუ ერი მარტო წარსულით ცხოვრობს, მას აწმყო და მომავალი არ აქვს; ამიტომ იგი აფრთხილებს თავის სამწყსოს: „საერთოდ, ძველ კულტურულ ქვეყნებს, ერებსა და ხალხებს წარსულით სიამაყე ახასიათებთ. გამონაკლისი არც ჩვენ ვართ. ძალიან ხშირად ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, თუ რა გააკეთეს ჩვენმა წინაპრებმა და ეს გვახარებს. რა თქმა უნდა, ეს სიამაყე სამართლიანია, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იმაზე უნდა ვიფიქროთ, რას ვაკეთებთ, ან ჩვენი მომავალი თაობა რას გააკეთებს.“ [33, II, 71].

როგორც XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძეს აინტერესებდა, რა იყო ის ძალა, რამაც ურიცხვი მტრებით გარშემორტყმულ ერთ მუჭა ქართველობას შეაძლებინა მოედწია XIX საუკუნემდე, მაშინ, როდესაც დიდი ქვეყნები – ურარტუ, ასურეთი, ბაბილონი, ეგვიპტე და სხვა იმპერიები – გაქრნენ ისტორიის ასპარეზიდან, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ც დაახლოებით ამგვარად სვამს კითხვას და თვითონვე არგუმენტირებულად პასუხობს: „ჩვენ ხშირად ვუსვამთ საკუთარ თავს კითხვას, როგორ შეძლო ქართველმა ერმა, რომელსაც გამუდმებული ბრძოლა უხდებოდა თავის დასაცავად, ამგვარი დიდებული კულტურა შეექმნა? როდის მოიცალა ჯვრისა და სვეტიცხოვლის, სიონისა და გელათის აშენებისათვის? როდის მონახა დრო, შეექმნა ისეთი ხატები, როგორიცაა ხახულის ღვთისმშობელი, ან ისეთი მხატვრობა, როგორიც ატენის,

ყინწვისის თუ უბისის ტაძრებს ამშვენებს? როდის შექმნა ასეთი მდიდარი და მრავალფეროვანი მწერლობა? ყველაფერი ეს იყო ღვთის წყალობისა და ქართველი კაცის შემოქმედებითი გენიის შედეგი.“[33, II, 161].

უწმიდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებული მოკრძალებითა და მოწიწებით მოიხსენიებს წმიდა მეფე მირიანის, წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის, წმიდა თამარის ღვაწლს. დავით აღმაშენებელს ქრისტეს მხედარს უწოდებს, რომელმაც „თავისი ცხოვრებით, თავისი მოღვაწეობით სრულყოფის კიბის მაღალ საფეხურს მიაღწია. მან იცოდა, რომ ადამიანი გულსავსე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს, თუ მისი გული გახდება ტაძარი ღვთისა, ტაძარი სულისა წმიდისა, რაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ პიროვნება იგრძნობს, რომ მიუახლოვდა ღმერთს“[38, 286].

უწმიდესსა და უნეტარესს დავით აღმაშენებლის სახელი მარტო წარსულის გახსენებისათვის კი არ სჭირდება, არამედ – აწმყოსა და მომავლისათვის. პატრიარქი თვლის, რომ „ყოველი ერი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთი გარკვეული იდეის განხორციელებას ემსახურება... ქართული იდეა ისტორიის მანძილზე და მომავალშიც სიყვარულის სამსახურია... სწორედ სიყვარულის სამსახურმა გადაარჩინა ჩვენი ერი და ქვეყანა... მივმართავ ჩვენს ხელისუფლებას, მთავრობას, პარლამენტს, ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს, რაც უნდა განსხვავებული აზრისა და შეხედულებებისა იყოს, ღვთისა და სამშობლოს სიყვარულის გამო, ამოუდევით ერთმანეთს მხარში“[33, II, 97-98].

საქართველომ 1977 წლიდან დღემდე მრავალი განსაცდელი გადაიტანა. 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად პირველი არასანქცირებული დემონსტრაცია გაიმართა რუსთაველის გამზირზე. 1980-იანი წლებიდან რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში გადაიზარდა. დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. თუ მანამდე საზოგადოება პოლიტიკური საკითხების მიმართ ინდიფერენტული იყო, ახლა უკვე პოლიტიზებული გახდა. ეროვნული და პოლიტიკური ლოზუნგები ერთმანეთს ენაცვლებოდა, მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში ლამაზი ფერებით იყო დახატული საქართველოს მომავალი, მაგრამ რეალური ცხოვრება უფრო მკაცრი და მძიმე აღმოჩნდა. 9 აპრილი, სამოქალაქო დაპირისპირება, ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა – ყოველივე ამან საზოგადოებაში ეროვნული შესაძლებლობებისადმი ერთგვარი ნიჰილიზმი და მომავლისადმი პესიმისტური განწყობილება გამოიწვია.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქართველ ერს მოთმინებისა და განვლილი ცხოვრების გონების თვალთ შეფასებისაკენ მოუწოდებს. „ყველა გონიერ ადამიანს აღელვებს და აინტერესებს არა მარტო საკუთარი ბედ-იღბალი, არამედ თავისი ხალხის და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს აწმყო და მომავალი, – აღნიშნავს მისი უწმიდესობა, – როდესაც უყურებ მიმდინარე პროცესებს, ზოგჯერ გულგატეხილობა გეუფლება, გეჩვენება, თითქოს კაცობრიობა სადღაც უძირო უფსკრულისაკენ მიექანება და აღარ არსებობს ძალა, რომელიც მოახლოებულ ტრაგედიას შეაჩერებს, მაგრამ ეს ასე არ არის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ის, რაც კაცთათვის შეუძლებელია, ღვთისათვის არის შესაძლებელი. ოღონდ მთავარია, სწორ გზაზე ვიდგეთ და სწორად ვიცხოვროთ.“[30, 439].

უწმიდესი და უნეტარესი ამხნევებს თავის სამწყსოს და აცხადებს, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი და შესწევს უნარი, დააღწიოს თავი სიბნელის წყვილადს და ადაღინოს გაწყვეტილი კავშირი ღმერთთან.

როდესაც ეცნობი პატრიარქის მოსაზრებებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ხვდები, რომ მისი აზროვნება დროს ყოველთვის უსწრებს, იგი კარგად იცნობს XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის

დასაწყისის კაცობრიობის გლობალურ პრობლემებს. უწმიდესის მართებული შეფასებით, „სამწუხაროდ, მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის ინდივიდუალური სახის დაკარგვა, უფასურდება სიცოცხლე, იქმნება ისეთი მექანიზმები, რომლებიც თითქოს აღარ ემორჩილება ადამიანის კონტროლს და, ფაქტობრივად, მისთვის მტრულ ძალად შეიძლება იქცეს. ყოველივე ამის პარალელურად კაცობრიობა აყალიბებს ერთიან კონტროლირებად სისტემას, რომელსაც აუცილებლად სჭირდება ჭეშმარიტი სარწმუნოებით აღვსილი, სიყვარულით, ნებისყოფითა და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანები, რაზეც ნაკლებად ფიქრობენ“ [38, 558].

უწმიდესი და უნეტარესი გულისტკივილს გამოთქვამს თანამედროვე ყოფის რეალობაზე – ღირსება დაიკარგა, გული გაქვავდა, სიცოცხლე გაუფასურდა. ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო ეძიებს თავის ადგილს თანამედროვე მსოფლიოში. პატრიარქი გვაფრთხილებს, რომ წარსულისა და აწმყოს გათვალისწინებით საქართველომ მომავალზე სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს. „საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს და, ბუნებრივია, განიცდის მის გავლენას; მაგრამ ჩვენი ღირსება სწორედ ის იქნება, თუ ჭეშმარიტ რწმენასა და ეროვნულ ღირებულებებს შევინარჩუნებთ, სხვათა გამოცდილებას გავითვალისწინებთ და ამ ყოველივეს დროის მოთხოვნილებებს შევუსაბამებთ.“ [38, 575].

უწმიდესი და უნეტარესი მოგვიწოდებს – ჭეშმარიტ თავისუფლებაზე საუბარი არ შეიძლება იქ, სადაც ზნეობრივ ცხოვრებაზე უარს ამბობენ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში ფიქრობდა, რა უნდა მოემოქმედა, რომ ქართველი ხალხი ღირსეულად შეხვედროდა ქრისტიანობის 2000 წლისთავს. იგი ხვდებოდა მეცნიერებს, კულტურის წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს, აინტერესებდა, რას შესთავაზებდნენ ისინი. დიდი ფიქრისა და განსჯის შემდეგ მისმა უწმიდესობამ მიიღო გადაწყვეტილება თბილისში წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აშენების შესახებ. დაიწყო ადგილის ძებნა. გამოითქვა მოსაზრება, ტაძარი ვაკეში, ყოფილი სტუდენტთა ტერიტორიაზე, აშენებულიყო, მაგრამ მისმა უწმიდესობამ დაარწმუნა ყველა, რომ საკათედრო ტაძრის აშენება ავლაბარში, წმიდა ელიას მთაზე ყველაზე სწორი იქნებოდა.

1988 წლის 5 თებერვალს შეიქმნა საკონკურსო კომისია მისი უწმიდესობის ილია II-ის თავმჯდომარეობით, ხოლო კონკურსი მომავალი ტაძრის პროექტზე გამოცხადდა 1989 წელს. საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია საკონკურსოდ წარმოდგენილმა პროექტებმა. როგორც მისი უწმიდესობა აღნიშნავდა, კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები იყო გამოხატულება ჩვენი საზოგადოების მრწამსის, აზროვნებისა და კულტურისა. კონკურსზე გამარჯვებულად გამოაცხადეს არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის მიერ შესრულებული პროექტი. 1997 წლის 9 მარტს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საქართველოს მოსახლეობას მიმართა: „ქრისტეს მიერ საყვარელო ჩვენო სულიერო შვილებო! როგორც თქვენთვის ცნობილია, თბილისში, მაცხოვრის შობის 2000 და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავთან დაკავშირებით, შენდება წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, რომელიც აღიმართება სადიდებლად ღვთისა და ჩვენი ერის სულიერი გაძლიერებისა და განმთლიანებისათვის. ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სრულიად საქართველომ, ყოველმა ქართველმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის წარმომადგენელმა“ [27, 10789].

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და საქართველოს პრეზიდენტ ე. შევარდნაძის ერთობლივი გადაწყვეტილებით, სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის

ფონდის თავმჯდომარედ დაინიშნა ბატონი ირაკლი ანდრიაძე. განსაკუთრებულ საზეიმო ვითარებაში ათასობით მორწმუნის, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმკურობლის, წმიდა სინოდის, სამღვდელთა, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეების თანდასწრებით, საზეიმოდ აკურთხეს ის ადგილი, სადაც ტაძრის საძირკველი უნდა გაეჭრა. კურთხევის შემდეგ გაიჭრა საძირკვლის ადგილი, სადაც უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით ჩააწყვეს შემდეგი სიწმიდენი: „ქვა სინას მთიდან, სადაც უფალმა მოსე წინასწარმეტყველს გადასცა ათი მცნება; ქვა იორდანეიდან, სადაც ნათელ ილო უფალმა; ქვა ნაზარეთიდან, სადაც ეხარა დედა ღვთისმშობელს მაცხოვრის შობა; ქვა იერუსალიმიდან, სადაც დაკრძალული იყო ღვთისმშობელი; მიწა იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრიდან, აჭარიდან, გონიოლან, საიდანაც შემოვიდა მოციქული ანდრია; ქვა ფარავნის ტბიდან, საიდანაც შემობრძანდა წმიდა ნინო; სიწმიდეები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ეკლესია-მონასტრებიდან“ [27, 1535]. როგორც მისმა უწმიდესობამ განაცხადა: „წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა. ტაძარი საქართველოში მუდამ იყო ჩვენი სულიერი და ფიზიკური სიმტკიცის გამომხატველი. იგი უმსუბუქებდა მძიმე ჯვრის მტვირთველობას ქართველ ერს და განამტკიცებდა მასში მომავლის რწმენას.“ [30, 188].

საქართველოში იმ დროისთვის არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ამ გრანდიოზული მასშტაბის ტაძრის აშენებისათვის შეუფერებელი დრო იყო და ვერც მოხერხდებოდა მისი აშენება. ასეთი აზრები არა მარტო ეკლესიის არაკეთილმოსურნეებს ჰქონდათ, არამედ – გულწრფელ პატივისმცემლებსაც. როგორც მსახიობი გოგი ხარაბაძე იხსენებს, როდესაც ვეებერთელა ღრმული დავინახე, ვიფიქრე, ამის აშენებას მე ვერ მოვესწრები-მეთქი, მაგრამ მისი უწმიდესობა ყველას აოცებდა თავისი ოპტიმიზმით და ეს ოპტიმიზმი ხალხზეც გადადიოდა. იგი ყველას გასაგონად ამბობდა: „კაცობრიობა იმყოფება მსოფლიოში ისტორიის მეორე და მესამე ათასწლეულთა მიჯნაზე და ამიტომაც ქრისტიანობის 2000 წლისთავის, საქართველოს ოცსაუკუნოვანი ქრისტიანობისა და სამიათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავად არ მოიძებნება უფრო დიდი და ყოვლისმომცველი სულიერი და კულტურული მოვლენა, ვიდრე ეპოქალური ტაძრის აგება“ [30, 190].

ტაძრის მშენებლობაში თავისი წვლილი შეჰქონდა მთელ საქართველოს. ყველა ადამიანი ცდილობდა, გულით შეეწირა თუნდაც მცირედი თანხა. ცნობილმა ქართველმა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა თავის თავზე აიღო ტაძრის მშენებლობის ძირითადი დაფინანსება. უწმიდესი და უნეტარესი თავის სამუშაო დღეს სამების მშენებარე ტაძრის მონახულებით იწყებდა, ხვდებოდა მუშებს, მშენებლებს, აძლევდა რჩევა-დარიგებებს. მშენებლობის პარალელურად მიმდინარეობდა ეზოს კეთილმოწყობა და სულ რაღაც 8 წელიწადში წმიდა ელიას მთაზე წამოიშალა გრანდიოზული კომპლექსი, რომელიც თბილისის ყველა კუთხიდან მკაფიოდ ჩანს.

2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, მოხდა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის საზეიმო კურთხევა. ათასობით მორწმუნე, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდი, სამღვდელთა საგანგებოდ შეიკრიბა წმიდა სამების საკათედრო ტაძარში. დაიკრულა წმიდა სამების ზარებმა, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ტაძარში შებრძანდა. თითქოს მღვდლვარებამ მოიცვა იგი, მაგრამ მაინც მტკიცე ნაბიჯით გაემართა საკურთხეველისაკენ. პატრიარქი საზეიმო წირვისათვის შეიმოსა, თავზე ის გვირგვინი დაიდგა, რომელიც თავის დროზე ეხურათ უწმიდესსა და უნეტარეს კირიონს, ლეონიდეს, ამბროსის, ქრისტეფორეს, კალისტრატეს,

მელქისედეკს, ეფრემსა და დავითს. პატრიარქის ეს ოქროს გვირგვინი (მიტრა) ხომ მოწმე იყო XVII-XX საუკუნეების საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ყველა წარმატებისა და წარუმატებლობისა.

უწმიდესმა და უნეტარესმა საზეიმო წირვის შემდეგ საზოგადოებას მიმართა: „თქვენო აღმატებულებაჲ, ბატონო პრეზიდენტო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ჩვენო ძვირფასო სტუმრებო, ძმანო და დანო. წმიდა მეფე დავით წინასწარმეტყველი ბრძანებს: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ჩვენ ვართ მომსწრენი ღვთის ერთი საოცრებისა: შეჭირვების ჟამს ქართველმა ხალხმა შეძლო აღეშენებინა დიდებული ტაძარი ესე წმიდისა სამებისა, სადიდებლად ღვთისა და მოსაქცევად ერისა ჩვენისა; მაგრამ, მოწყალე ღმერთო, ჩვენ ვიყავით ოდენ მდაბალნი მუშაკნი შენნი. ეს შენ მოგვეც გულისხმისყოფა და ძალა, რათა შენს სადიდებლად და ჩვენდა ნუგეშად მოგვეერთმია ეს შესაწირი. აქ დაიღვრება მრავალი ცრემლი სინანულისა და განელდებიან გულნი ჩვენნი ცოდვათაგან მომყმარნი, განიწმიდება სული ჩვენი და აღდგება საქართველოც მკვდრეთით, ვითარცა ლაზარე. ივერიელნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოსა, ისმინეთ სიტყვანი უფლისანი: „აჰა, ესერა მომიცემია წინაშე კარი განდებული, რომლისა დახშვად ვერვინ შეძლებელ არს“ (გამ. 3,8). მაშ, შევიდეთ კართა ამით, რათა ღირს ვიქნეთ სასუფეველისა. სცანით წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი.

წმიდანო მეფენო, დედოფალნო, მამამთავარნო და კათოლიკოს-პატრიარქნო საქართველოსანო, მღვდელმთავარნო, მოწამენო, ღირსნო მამანო და დედანო, იხარეთ სავანეთსა მართალთასა და თქვენი ღოცვით მეოხგვეყავით წინაშე ღვთისა, რათა განმტკიცდეს ჩვენში მართლმადიდებლური სარწმუნოება, სიყვარული და სასოება, რათა უფალმა მოგვანიჭოს მშვიდობა, ერთობა, სულთა ჩვენთა ცხოვნება და დიდი წყალობა.

სიმბოლურია ის ფაქტი, რომ მაცხოვრის შობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი და ჩვენი ოცსაუკუნოვანი ქრისტიანული ისტორიის სიმბოლურად გამომხატველი წმიდა ტაძრის კუთხევა შედგა საქართველოს განსაკუთრებული მფარველის – წმიდა გიორგის ხსენების დღეს, შედგა იმ წელს, როცა შესრულდა 1700 წელი მისი წამებიდან. შევთხოვთ ღმერთს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, დიდმოწამე გიორგის, დალოცონ ყოველი ადამიანი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა ამ წმიდა ტაძრის მშენებლობაში. წმიდა სამებაჲ დალოცოს, გააძლიეროს ისინი და მათი ოჯახები. ღვთივკურთხეულნო ივერნო და ყოველნო მკვიდრნო საქართველოსანო, გილოცავთ ამ ბედნიერ დღეს, ღმერთს ებარებოდეთ. იხარეთ ორსავე სოფელსა შინა“[30, 201].

წმიდა სამების საკათედრო ტაძარი, უწმიდესის სიტყვით, „სიმბოლურად არის გამაერთიანებელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხისა. მთავარი ის არის, რომ ქართველმა ერმა ამით შექმნა ავტოპორტრეტი და ყველას უჩვენა, თუ შინაგანად როგორი ძლიერი ყოფილა. ეს დაფარული იყო ჩვენში და გამოვლინდა... ამ ტაძარმა ჩვენს ხალხს თავისი თავის რწმენა და იმედი შესძინა“[30, 202].

მსოფლიოს ქრისტიანულ ქვეყნებში ქრისტეშობის 2000 წლისთავთან დაკავშირებით არაერთი ტაძარი აშენდა, მაგრამ წმიდა სამება მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია. მის მნახველ უცხოელებს პირველად ასეთი კითხვა უჩნდებათ – საქართველოს ეკონომიკური შესაძლებლობის პირობებში როგორ შეძლო ქართველმა ხალხმა, მისმა სულიერმა წინამძღოლმა ისეთი ტაძრის აშენება, რომელიც ეყრდნობა მრავალსაუკუნოვან ქართულ ტრადიციებს და მასშტაბებით ნამდვილად გრანდიოზულია.

როდესაც ტაძარი მოილოცა მსოფლიო პატრიარქმა, უწმიდესმა ბართოლომეოს I-მა, განაცხადა, რომ ეს ტაძარი უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოღვაწეობის გვირგვინია.

ამჟამად უწმიდესისა და უნეტარესის ყოველდღიური მზრუნველობითა და ყურადღებით მიმდინარეობს ტაძრის მოწესრიგების შიდა სამუშაოები. ტაძრის საკურთხეველში, სადაც პატრიარქის ტახტი უნდა იყოს, წმიდა სამების ტახტია, პატრიარქის სავარძელი უფრო დაბლაა. როგორც უწმიდესი და უნეტარესი ილია II განმარტავს, „ასეთი ტახტი მხოლოდ სინას მთაზე დგას. იქ მაღალდასაჯდომელი საკურთხეველში აღმოსავლეთის მხარეს არის და მასზე არავინ ჯდება, არც ერთი პატრიარქი... ასეთი ტრადიცია, სინას მთის გარდა, არსად არ არის. ასე რომ, სინას მთის ტრადიცია დამკვიდრდება წმიდა სამების დიდ ტაძარში“[38, 198].

უწმიდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით მალე დაიწყება ტაძრის მოხატვა...

წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ჩვენი დროის ქართველების სავიზიტო ბარათი იქნება მომავალი თაობებისათვის. უწმიდესი და უნეტარესი ილია II ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს: „ძალიან ხშირად მეკითხებიან, რა იყო მნიშვნელოვანი ჩემი პატრიარქობის პერიოდში... ჩემი პატრიარქობის დრო იყო მზიანი დამე. მზიანი დამე ისევ გრძელდება და მალე გათენდება“[44, 11].

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში ბრძანებს: „სულიერება ხალხში თავდაპირველად გზას იკვლევს ცალკეულ მაღლმოსილ პიროვნებათა წყალობით, შემდეგ კი ეს ნიჭი ეფინება მთელ ერს, აღამაღლებს მას. ამიტომაც პიროვნების როლი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესია. არიან ადამიანები, ღვთის ნიშნით გამორჩეულნი, რომელნიც თესენ სიყვარულს, სათნოებას, ქმნიან, აშენებენ, თვითონ იწვიან და სხვას გზას უნათებენ“[33, I, 284].

თქვენო უწმიდესობავ, თქვენ ბრძანდებით ის პიროვნება, რომელიც სასულიერო პირად ყოფნის 50 და პატრიარქობის 30 წლის მანძილზე, საქართველოს ისტორიის უძიმეს და ურთულეს პერიოდში, ჭეშმარიტებისაკენ მიუძღვით ჩვენს ერს. თქვენში აისახება ყველა ის განსაცდელი და წარმატება, რომელიც გადაიტანა ჩვენმა მრავალჭირნახულმა ხალხმა. ჩვენ დიდი წყალობა მოგვანიჭა უფალმა ღმერთმა, მოგვცა შესაძლებლობა, თქვენი დიდი სიწმიდისა და სიყვარულის ფრთებქვეშ შეხიზნულეგმა გადავიტანოთ ეპოქის ყველა სირთულე და იმედით ვიყოთ განწყობილი მომავლისადმი.

Серго Вардосанидзе.

Грузинская Православная Апостольская Церковь в XIX-XX веках.

Жизнь и деятельность Святейшего и Блаженнейшего Католикоса-

Патриарха Всея Грузии Илии II.

В начале XIX века Российская империя насильственным путем упразднила Картлийско-кахетинское и Имеретинское царства, а глава Грузинской Православной церкви, Католикос-Патриарх Всея Грузии Святейший и Блаженнейший Антон II был отправлен в ссылку в Россию. Автокефалия Грузинской Апостольской церкви была упразднена в 1811 году по приказу Российского императора Александра I, главой церкви стал подчиненный Российскому Священному Синоду экзарх. Началась тяжелая эпоха в истории Грузии. Целью российского колониального режима было уничтожение многовековых грузинских традиций и национальных достояний, ассимиляция грузинского народа. Русские экзархи, выражая интересы официального правительства, выделялись своей антигрузинской политикой. Грузинский народ и духовенство боролись против реакционной, антигрузинской политики русских экзархов: Феофилакты Русинова, Евгения Багнанова, Евсевия Ильинского, Павла Лебедева, Иоанникия Руднева, Алексия Ипритоцкого, Никона, Платона Рождественского, протоиерея Иоанна Восторгова.

Во второй половине XIX века руководители национально-освободительного движения Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Якоб Гогешвили, Нико Николадзе вместе с требованием о политической свободе Грузии, выдвинули требование о восстановлении незаконно упраздненной автокефалии Грузинской Апостольской церкви. В этом движении участвовало грузинское духовенство, выдающиеся епископы: Гавриил (Кикодзе), Александр (Окропиридзе), Кирион (Садзаглишвили), Леонид (Окропиридзе), Антон (Гиоргадзе), протоиереи: Каллистрат (Цинцадзе), Никита (Талаквадзе), Христофор (Цицкишвили), архимандрит Амвросий (Хелая). Требование о восстановлении автокефалии Грузинской Православной церкви из научно-теоретических рассуждений в начале XX века приняло практический характер. В 1905 году в Тбилиси на особом Съезде грузинского духовенства и в 1906 году в Петербурге на заседании

Священного Синода встал вопрос о необходимости восстановления автокефалии Грузинской православной церкви.

12 (25) марта 1917 года собравшееся во Мцхета грузинское духовенство объявило о восстановлении автокефалии Грузинской Православной Апостольской церкви, а 17 сентября того же года избрало главу, Католикоса-Патриарха Всея Грузии. Первым Патриархом стал епископ Кирион (Садзаглишвили) под именем Католикоса-Патриарха Всея Грузии, Святейшего и Блаженнейшего Кириона II. С 1917 по 1977 год в Грузинской Православной Апостольской церкви было проведено одиннадцать церковных соборов. В этот период главами Грузинской Православной Апостольской церкви были Святейшие и Блаженнейшие: Кирион II (1917-1918 гг.), Леонид (1918-1921 гг.), Амвросий (1921-1927 гг.), Христофор III (1927-1932 гг.), Каллистрат (1932-1952 гг.), Мелхиседек III (1952-1960 гг.), Ефрем II (1960-1972 гг.), Давид V (1972-1977 гг.). Для Грузинской Православной Апостольской церкви с 25 февраля 1921 года настала тяжелая эпоха, когда Российское оккупационное большевистское правительство захватило Грузию. Оккупационный режим объявил Грузинскую Православную церковь организацией вне закона, в административном порядке закрывались церкви и монастыри, изымалось церковное имущество, разрушались храмы, судили и расстреливали духовных лиц. Было время, когда весь Священный Синод Грузинской православной церкви находился в тюрьме (1924-1925 гг.). В результате агрессивной атеистической политики к 1977 году в Грузии оставалось всего 50 действующих храмов, 3 монастыря, где служили около 80 духовных лиц, в то время как в 1921 году было 1450 действующих церквей, 25 монастырей, где служило свыше 1600 человек.

В истории Грузинской Православной церкви начинается новая эра после возведения в патриархи Святейшего и Блаженнейшего Илии II. Святейший и Блаженнейший Илия II прошел длинный жизненный путь. Родился в 1933 году 4 декабря в г. Владикавказе (Орджоникидзе), где его родители временно проживали, переехав туда из села Сно Казбегского

района. Будущего Патриарха крестили в грузинской церкви Святой Нины во Владикавказе. В 1941-1952 годах Ираклий Шиолашвили учился в 22-ой средней школе Владикавказа, в 1952-1956 годах в Московской Духовной семинарии. В 1957 году в Александро-Невском храме г. Тбилиси Ираклий Шиолашвили был пострижен в монахи под именем Илия.

В 1960 году, после окончания Московской Духовной академии, иеромонах Илия вернулся в Грузию и был назначен заместителем настоятеля Батумского кафедрального собора. 23 августа 1963 года архимандрит Илия был возведен в сан епископа Шемокмеди и по благословию Католикоса-Патриарха Всея Грузии Ефрема II был назначен ректором Мцхетской Духовной семинарии. В 1967-1977 годах сначала епископ, а затем митрополит Илия руководил Цхум-Абхазской епархией, отделом внешних церковных сношении Грузинской Православной церкви. 23 декабря 1977 года на XII Церковном Соборе Грузинской Православной Апостольской церкви митрополит Илия был избран Католикосом-Патриархом Всея Грузии. 25 декабря в Светицховели была проведена интронизация.

Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх Всея Грузии Илия II успешно разрешил проблемы, стоявшие перед Грузинской церковью. Задействовали до того номинально существовавшие епархии, их количество с 15 возросло до 37, открылись закрытые церкви и монастыри, были основаны Тбилисская и Гелатская Духовные академии, семинарии, духовные учебные заведения. Международное признание исторической автокефалии Грузинской Православной церкви также связано с именем Святейшего и Блаженнейшего Илии II. С его именем связано восстановление связи с древнейшими монастырскими центрами (Афон, Иерусалим, Петрициони), также восстановление духовной связи с грузинской диаспорой за границей. Святейший и Блаженнейший Илия II сыграл большую роль в национально-освободительном движении Грузии в 70-90 годы XX века. Патриарх был с народом во время событий 9 апреля 1989 года. В раздробленной на партии Грузии сам Патриарх и Православная церковь стали символами

национального единства. Благодаря Святейшему и Блаженнейшему возродилась монастырская жизнь, было построено множество церквей и монастырей. Если в 1977 году количество духовных служителей было до 80, а действующих церквей до 50, то к 2007 году в Грузинской Православной церкви свыше 1500 церквей и монастырей, где служат до 2000 духовных лиц. Благодаря Святейшему и Блаженнейшему Католикос-Патриарху Всея Грузии Илие II 14 октября 2002 года в патриаршем соборе Светицховели была подписана Конституционная договоренность (конкордат) между Грузинской Православной Апостольской церковью и государством, которая упорядочивает отношения между мирскими и церковными правителями, определяет статус Грузинской Православной церкви.

Патриарх – личность с многообразными интересами. Грузинский народ знаком с живописными полотнами, церковными песнопениями своего духовного предводителя. Венцом тридцатилетней деятельности Католикоса-Патриарха Всея Грузии является Кафедральный собор Святой Троицы в Тбилиси, построенный по благословению Его Святейшества в кратчайшие сроки. В истории Грузии редко встречаются личности, получившие при жизни признание за свои великие дела. Католикос-Патриарх Всея Грузии Святейший и Блаженнейший Илия II, при жизни ставший легендой, завоевал огромную любовь и признание грузинского народа.

Sergo Vardosanidze

**The Orthodox Church of Georgia in XIX-XX cc
Life and ministry of His Holiness and Beatitude, the Catholicos-Patriarch of
All Georgia Iia II**

At the onset of the XIX century Russia annulled the 1783 Treaty of Georgievsk, annexed Georgia and abolished the autocephaly of the Orthodox Church of Georgia. The head of the Church, the Catholicos-Patriarch of All Georgia, Anton II was exiled to Russia. Within 1811-1917 the Church of Georgia was ruled by the exarches, who were subjected to the synod of the Russian Church. Russian authorities set about complete assimilation of the conquered country. This fuelled an acute response from the Georgian people. In the first half of the XIX century an anti-Russian uprising was staged in Georgia to be followed by the national liberating movement in the second half of the XIX century. With particular intensity the movement raised demand for the restoration of the state and church independence.

On 12 (25) March 1917 the Orthodox Church of Georgia managed to restore the autocephaly which it had illegitimately been deprived of 116 years earlier. From 1917 right to the 1997 the Orthodox Apostolic Church of Georgia under the leadership of the Catholicos-Patriarchs: Kirion II, Leonide, Ambrosi, Christophore III, Calistrate, Melkisedek III, Ephrem II, David II, went through innumerable tribulations. Owing to the effort of the atheist Bolshevik leaders, hundreds of churches were destroyed, thousands of clergymen were either killed or forcefully precluded from performing their ministry; churches and monasteries were closed down. Until the year 1921, 1450 churches and 25 monasteries had been functioning and there were 1600 clergymen in Georgia. By 1977 only 50 churches, 3 monasteries and about 80 clergyman remained.

After the Metropolitan of Tskhum-Abkhazia Ilia was elevated to the throne of Catholicos-Patriarch of All Georgia, a new era set in in the history of the Orthodox Apostolic Church of Georgia. Through the vigorous ministry of His Holiness and Beatitude Ilia II, Georgian community was reunited in the bosom of the Church. Close ties were established with circles of science and intelligentsia, the churches which had been closed down by the Soviet government, began to be functioning again, numerous new churches and monasteries were erected. The number of existing eparchies increased from 15 to 37 and that of the functioning churches to 1500. By the ministry of His Holiness and Beatitude Ilia II the Apostolic Church of Georgia reinstated its historic place and authority among the local orthodox churches. By the blessing of the Patriarch, the historical tradition of theological education was restored in the Georgian Church. Tbilisi Theological Academy was established and Gelati Theological Academy was restored. Numerous theological institutions and seminaries were opened. Theological books, newspapers and journals were published. By the blessing of His Holiness and Beatitude new saints were canonized. The Apostolic Church of Georgia restored ties with the Georgian monastic centers as well as the Georgians living abroad. The Orthodox Church of Georgia is a symbol of national and state self-awareness of the Georgian people. Patriarch Ilia II enjoys particular love in Georgia and he earned this love through his indefatigable ministry and purity. He completely dedicated his life to God, motherland and the Georgian people. At the initiative of the Georgian Orthodox

Church, a constitutional agreement (concordant) between the Church and the State was concluded on 14 October 2002, through which the legal status, which the Church had been deprived of since 1921, was reinforced.

The Holy Trinity Cathedral in Tbilisi is the crown of the 30-year long ministry of His Holiness and Beatitude Ilia II, who continues his most important ministry to the benefit of the Orthodox Church of Georgia and the state.

წყაროები და ლიტერატურა:

1. პლატონ იოსელიანი, „ცხოვრება გიორგი XIII-ისა“, თბილისი, 1936
2. ბაგრატ ბატონიშვილი, „ახალი მოთხრობა“, თბილისი, 1941
3. ელდარ ბუბულაშვილი, „საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II“, თბილისი, 2002
4. ნიკოლოზ დურნოვი, „ბედი საქართველოს ეკლესიისა“, მოსკოვი, 1907
5. სარგის კაკაბაძე, „ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წწ.“ თბილისი, 1997

6. კალისტრატე ცინცაძე, „ჩემი მოგონებებიდან“, თბილისი, 2001
7. სერგო ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კალისტრატე“, თბილისი, 2004
8. ქართული მწერლობა, ტ. IX, თბილისი, 1992
9. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ხუთ ტომად, ტ. IV, თბილისი, 1987
10. აკაკი ბაქრაძე, „ილია ჭავჭავაძე“, თბილისი, 1984
11. იოსებ უთურაშვილი, „დიმიტრი ყიფიანი“, თბილისი, 1989
12. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კალენდარი, თბილისი
13. ა. ბაქრაძე, „ილია და აკაკი“, თბილისი, 1992
14. სერგო ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი კირიონ II“, თბილისი, 1993
15. სერგო ვარდოსანიძე, „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917-1952 წლებში“, თბილისი, 2001
16. სერგო ვარდოსანიძე, „ქართული ეროვნული ცნობიერების პრობლემები“, თბილისი, 2004
17. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ფონდი
18. გაზეთი „საქართველო“, 1918, №71
19. გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი, კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ფონდი, №1304
20. „საქართველოს ისტორია. XX საუკუნე“, პროფ. ვ. გურულის რედაქციით, თბილისი, 2003
21. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი
22. სერგო ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ამბროსი“, თბილისი, 2005
23. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური საისტორიო არქივი
24. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი
25. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III-ის ფონდი
26. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ფონდი
27. საქართველოს საპატრიარქოს არქივი
28. სერგო ვარდოსანიძე, „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ III“, თბილისი, 2000
29. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, კათოლიკოს-პატრიარქ დავით V-ის ფონდი
30. „პატრიარქი“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2006
31. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ფონდი
32. საქართველოს საპატრიარქოს არქივი, XII სასულიერო კრების მასალები
33. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“, ორ ტომად, თბილისი, 1997
34. ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“, თბილისი
35. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესი ილია II-ის მოსკოვში ვიზიტის მასალები
36. „საპატრიარქოს უწყებანი“, თბილისი
37. ჟურნ. „რელიგია“, თბილისი, 2002, №7-8-9.
38. „ნათელი ქრისტესი, საქართველო“, ტ. II, თბილისი, 2006
39. შოთა ლომსაძე, „სამცხე-ჯავახეთი“, თბილისი, 1975
40. გაზეთი „კვირის პალიტრა“, თბილისი, 2003, 4-10 აგვისტო

41. ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 2006, №1-2-3
42. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. „საადგილო ეპისტოლე“, თბილისი, 2006
43. „წერილები პატრიარქს“, შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2007
44. ჟურნ. „ივერიელი“, თბილისი, 2007, №3